



# აზრები სუვიაზე

„საუბრები იდიოტან“

ნაწყვეტები გაზეთიდან „ახალი განათლება“

„ჭკვიანები სიბრძნედ იმას ღებულობენ, რაც  
სუფიებს სიბრიყვედ ეჩვენებათ და ამიტომ  
ხანდახან სუფიები თავიანთ თავს იდიოტებს  
უწოდებენ... უდიადესი სუფიები იდიოტებად  
გამოიყურებიან“

იდრის შახი

სკოლა “შვიდთა ეტლთა ჰარმონია”  
თბილისი  
2002



## აზრები სუფიაზე

სუფიური ორდენი უძველეს სულიერ საძმოს წარმოადგენს. მისი წარმოშობა არაა დადგენილი.

სუფიურ მოძღვრებას შეცდომით მუსულმანურ მოძღვრებად ნათლავენ, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისლამის ჩარჩოებში იყო მოქცეული და აღმოსავლური ელფერი მიიღო. სინამდვილეში იგი ყველა რელიგიის იდუმალ მოძღვრებად ითვლება, მაგრამ რელიგიური დოგმატებისაგან თავისუფალია.

სუფიები თავიათ თავს „მეგობრებს“ ან „ჩვენნაირებს“ უწოდებენ და ერთმანეთს ცნობენ აზროვნებით და განსაკუთრებული ნიჭიერებების მიხედვით. მათ საძმოში არ არსებობს არავითარი იერარქია, თუ არ ჩავთვლით ნიჭიერების სხვადასხვა დონეს.

სუფიები ემორჩილებან რა სიყვარულის ბუნებრივ ვალს, მუდმივად დაკავებული არიან ადამიანთა მკურნალობით (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ხელოვნებას თორმეტი წლის განმავლობაში სწავლობენ). სუფია ექიმმა თავის შრომაში უნდა მიიღოს ერთი მუჭა მარცვალი და ავადმყოფს არ მოახვიოს თავს თავისი ნება-სურვილი; საგულისხმოა, რომ თხოვნა მკურნალობის შესახებ უნდა მოდიოდეს ავადმყოფისაგან და არა მკურნალისაგან.

სუფიას სძინავს „ჩვეული ბრძოლით სავსე დღის განმავლობაში“, მაგრამ ფხიზლადაა, როცა სხვებს სძინავთ.

ყველა სუფიამ იცის, რომ სიყვარულზე ფიქრით აზრებში ჩაძირვას ექსტაზისაკენ მიჰყავს ადამიანი. თუ, ქრისტიანი მისტიკოსები ექსტაზს ღმერთან გაერთიანებად მიიჩნევენ და შესაბამისად, რელიგიური მწვერვალის მიღწევად, სუფია მას საგანმურად აღიარებს; ოღონდ ადამიანმა, რომელმაც მიაღწია ამ მდგომარეობას, უნდა შეძლოს სიცოცხლისაკენ დაბრუნება და ცხოვრების გააზრება თავისი გამოცდილების შესაბამისად.

სუფიები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მათი შეხედულებების პრაქტიკულ გამოყენებას. მეტაფიზიკა მათთვის სრულიად უსარგებლოდ ითვლება, თუ კი მას არ ახლავს ადამიანის გონიერი ქცევები.

ქრისტიანებს ქრისტე მოჰყავთ ადამიანური ქცევების სრულყოფილ მაგალითად, სუფიები კი თვლიან მას ზემოდ ან სულჩადგმულ წინასწარმეტყველ პიროვნებად და მოჰყავთ სიტყვები ბიბლიიდან „Разве не записано в вашем законе, сказал, что вы Боги?“ რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსაჯულებსა და წინასწარმეტყველებს ეძლევათ ღვთიური კანონების ახსნის საშუალება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამგვარი წარმოსახვით ღვთიურობა, სამყაროში შეღწევის ნიჭიერება შეიძლება გააჩნდეს ნებისმიერ ადამიანს. არ არსებობენ სხვა ღმერთები, ერთი ღმერთის გარდა – ამგვარადვე განიხილეს ტიბეტური ლამაზმი და ინდური ციური გარდასახვის თეორიები, სუფიებმა.

სუფიური წარმოშობის ყველაზე ადრეული ცნობილი თეორიაა – „მამოძრავებელ ძალას სიყვარული ემსახურება“;

გასხვიოსნება მხოლოდ სიყვარულით მოდის.

ეს სასიყვარულო თემა მოვიანებით გამოყენებული იქნა ღვთისმშობლის ექსტაზიურ კულტში, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი ქრისტიანულ რელიგიაში ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდიდან დაიკავა. ღვთისმშობელს თაყვანს სცემენ ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებმაც სუფიის ძლიერი გავლენა განიცადეს.

მგოსნები სუფიზმის ძირითადი გამავრცელებლები იყვნენ:

„მე ვაღიარებ სიყვარულის რელიგიას,

მე სამი შეყვარებული მყავს –

სამი, რომელებიც არსით ერთს წარმოადგენს;

რადგანაც ბევრი რამ გასამებულად გვეჩენება,

რადგანაც სამყარო სამითა შენებული

და ყველაფერი ეს სხვა არაფერია თუ არა ერთადერთი“.

მას შეძლებ, რაც მე-VIII საუკუნეში სიცილია და ესპანეთი მუსულმანებმა დაიპყრეს, ისინი გადაიქცნენ მუსულმანური ცივილიზაციის ცენტრებად, რომლებიც რელიგიური სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. ორთოდოქსი მუსულმანი ავტორიტეტები, ისევე, როგორც ქრისტიანი ეპისკოპები პოეზიის, რომანსების, მუსიკის და ცეკვების მიმართ ერთნაირად მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდათ, თუმცა მეცნიერები, რომლებიც სხვა ევროპული ქვეყნებიდან ჩადიოდნენ, ინტერესს არ იჩენდნენ მუსულმანური თეორიების მიმართ და მხოლოდ სუფიურ ლიტერატურას იძენდნენ.

ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ლიტერატურაში შეიძლება ვიპოვოთ სუფიური გავლენის კვალი.

დღიდ სერვანტესის ქმნილება „დონ კიხოტი“ გვაგონებს სუფიის მასწავლებლის სიტი კიშარის (მას ხშირად ნასრედინს ადარებენ) ნაშრომს, განსაკუთრებით ქარის წისქვილების ეპიზოდი, როცა მან წყლის წისქვილები გიგანტებად მიიჩნია.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ესპანური სიტყვა „კიხადა“ – დონ კიხოტის ნამდვილი სახელი – სერვანტესის მიხედვით, იმავე არაბული სიტყვიდანაა წარმოშობილი, რაც კიშარი, და ინარჩუნებს იმავე აზრს – „მუქარის გამომხატველი სახის მიმიკა“ („უგრожაющая гимаса“).

ევროპულია კატალონებული ქრისტიანი მისტიკოსი მამაო ანსელმი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც განთქმული და განათლებული სუფიაბრძენი აბ-დულა ალ-ტარჯუმანი, რაც „განმმარტებელს“ ნიშნავს („Толкователь“).

ასევე ცნობილია ევროპული სუფია-ბრძენი სოლომონ ბენ გებილოლი (1021-1058), რომელსაც მუსულმანებმა სულეიმან იბნ იალია იბნ ჯიბრიოლი უწოდეს, ხოლო ქრისტიანებმა – ავიტებრონი...

როგორც აღვნიშნეთ, მგოსნები სუფიზმის ძირითადი გამავრცელებლები იყვნენ.

სპარსი სუფია ნიზამი წერდა: „პოეტის ენაშია ჩამალული იდუმალის გასაღებიო“ იდუმალი ენის საშუალებით იგი თავს იცავდა ვულგარული აზროვნებისაგან, აგრეთვე რელიგიური თავდასხებებისგან.

იდუმალი ენა თავის ყველაზე განვითარებულ ფორმაში ეყრდნობა სემიტურ ფესვებს, რომელიც მხოლოდ თანხმოვანი ასოებით შემოიფარგლება, რათა ავტორმა ჩამალის თავისი საოქმელი. დასავლეთის მეცნიერებმა დღესაც კი არ იციან, რომ პოპულარული ზღაპარი „1001 ღამე“ თავისი შინაარსით სუფიურ მოძღვრებას წარმოადგენს, და რომ ამ წიგნის არაბული სახელწოდებაა „ალფილიალია ვა ლიაილია“, რომელიც კოდირებულ ფრაზას წარმოადგენს და შეიცავს ამ ნაწარმოების იდუმალ არსესა და აზრს.

როგორ უყურებენ დროსთან შეფარდებით შექმნილ „გასართობ“ ნაწარმოებებს? ჩვეულებრივი ამ სახის „გასართობ“ ნაწარმოებებს სუფიები თვლიან დეგენერულად და ხელოვნების დაბალ ფორმად.

როგორც ითქვა, სუფიური ორდენი უძველესი სულიერი საძმოა, ხოლო მასონები დასაწყისში სუფიათა საზოგადოების წევრები იყვნენ. ინგლისში ასეთი საზოგადოებები გაჩნდა მეფე ატელ-სტანის (924-939) მეფობის დროს, ხოლო შემდეგ, პროფესიონალური გილდიის (тильдий) სახით ისინი გაჩნდნენ შოტლანდიაშიც, რაც ტამბლიერების მოღვაწეობასთან, მათი შრომით შექმნილი ხელოვნების ნიმუშებთანაა დაკავშირებული (ტამბლიერები – ამქართა, ხელოსანთა, მშენებელთა და არქიტექტორთა საზოგადოებაა, რომელსაც თავისი რიტუალები გააჩნდა). ტამბლიერები უმთავრესად არქიტექტორთა სამმო იყო.

„1001 ღამის“ მთარგმნელი რიჩარდ ბარტონი ასევე მასონი და სუფია იყო. მან პირველმა მიანიშნა ამ ორი საზოგადოების ახლო კავშირზე, მაგრამ იგი იმდენად წინწასული არ იყო და ვერ აღიქვა ის, რომ მასონთა საძმომ ოდესლაც არსებობა დაიწყო, როგორც სუფიათა საზოგადოებამ.

„ბუიზი“ ან „ბოაზი“ და „სოლომონი, შვილი დავითისა“, რომლებსაც მასონები თაყვანს სცემენ როგორც იერუსალიმში მეფე სოლომონის სასახლის მშენებლებს, არ იყვნენ ებრაელები და მეფე სოლომონის ქვეშემდგომები. ეს სუფია არქიტექტორებმა აბლ ალ-მალიკამ და მათმა მიმდევრებმა ააშენეს იგი. მათი ნამდვილი სახელები იყო: ტუბან აბდ-ალ-ფაიზი (იზი) და მისი უდიდესი შვილიშვილი მარუფი, დავიდ ტაი-ს შვილი (მოწაფე), რომლის სუფიური სახელი იყო – სოლომონი, რადგანაც იგი იყო „შვილი დავითისა“...

ესპანეთის მეფეების სამეფო მასხარა, თავის ხარის ტყავით და ჭრელი ტანსაცმლით, მამლის ბიბილოთი, წკრიალა ზარზულაკებით, ჩახუჭუჭებული სიბრძნითა და ავტორიტეტების მიმართ გულგრილობით – სუფიურ ფიგურას წარმოადგენს. მეფეები თვლიდნენ რომ, მის ხუმრობებში უფრო მეტი სიბრძნე იყო, ვიდრე მათი ბრძენი მრჩეველების რჩევებში...

სუფიათა გზის შეცნობა ინტელექტითა და ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურის კითხვით შეუძლებელია. მისი სწავლა სუფია მასწავლებლის რჩევებით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება. სუფიური სკოლის „დამთავრება“ შეუძლებელია, რადგან სუფიზმი ამოუწურავია.

„იდუმალ ტრადიციას“ ანუ სუფიურ მოძღვრებას არავითარი ძალა არ გააჩნია, თუ კი მას შხოლოდ გააცნობიერებთ და რაღაც განცენებულ სამყაროდ აღიქვამთ, მისი შეცნობა შეიძლება მხოლოდ სუფიური მეთოდებით.

სუფიები ახლაც აქტიურები არიან. მათ შეიძლება შეხვდეთ როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში; იგი შეიძლება იყოს გენერალიც, გლეხიც, ვაჭარიც, იურისტიც, სკოლის მასწავლებელიც, დიასახლისიც.

„Быть в миру, но не от мира», быть свободным от честолюбия, алчности, интеллектуальной спеси, слепого повиновения обычаю или благоговейного страха перед вышестоящими лицами“ – а耶това სუფიათა მსოფლმხედველობა.  
სუფიათა ცხოვრების წესი ნაჩვენებია უამრავ მხატვრულ ნაწარმოებში დაწყებული ჩვ. წ. აღ. II საუკუნიდან ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე.

# პირველი საუბარი სუფიაზე

## სუფიად მომზადება

ეზოპეს აქვს ერთი ასეთი იგავი: ერთი პატარა თხუნელა თავის დედასთან მივიდა და უთხრა, რომ იგი უკვე ხედავს (ყველამ ვიცით, რომ თხუნელებს მხედველობა არა აქვთ). დედამ მისი შემოწმება მოისურვა. წინ საკმევლის (მუშკის) ნაჭერი დაუდო და ჰქითხა, რა არის ეს?

— „ქვაა“, — უპასუხა პატარა თხუნელამ.

— „შენ არა მარტო ბრძა ხარ, არამედ ყნოსვის უნარიც დაგიკარგავს“, — უთხრა დედამ.

ამ პატარა იგავის ანალიზის შემდეგ ადვილია სუფიათა იღუმალი ენის გაგება: სიტყვა „თხუნელა“ („ხულდ“ ხლდ-ს ფესვიდან) არაბულად ისევე იწერება, როგორც სიტყვა „ხალად“, რაც კონტექსტთან დამოკიდებულებაში ნიშნავს — „მარადისობას“, „სამოთხეს“, „აზრს“, „გონებას“ ანდა „სულს“. არაბულ დამწერლობაში მხოლოდ თანხმოვნები გამოიყენება, ამიტომ კონტექსტის გარეშე შეუძლებელია იმის თქმა, თუ რომელ სიტყვას გულისხმობს ავტორი. თუ ამგვარად დამიტორული ტექსტის მთარგმნელმა არ იცის როგორ ტექსტთანა აქვს საქმე, სიტყვათა თამაში მას შეუმჩნეველი დარჩება.

იგავში საკმეველსა და ქვას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: სუფიური ტრადიცია გვასწავლის, რომ მოსებ (თავისი ხალხის ბელადმა) ქვა გადააქცია კეთილსურნელოვან მუშკიად (იოჩეიოში).

„მოსე“, განასახიერებს მიმართულ აზრს, რომელიც გადააქცია (გარდაქმნის) არასულიერს და უმოქმედოს რაიმე ისეთ „კეთილსურნელოვნად“ როგორიცაა მუშკი, ანუ იმად, რასაც შეიძლება უწოდო მისი სული (მუშკის კეთილსურნელებას სული წარმოადგენს).

ჩვენს იგავში საუბარია იმაზე, რომ „დედა“ (აზრი — მისი წყარო, საფუძველი, არსებითი მახა-სიათებელი) გვიჩვენებს აზრს — „საკმეველს“ (საკმეველი არის ნივთიერების აზრი, გამოცდილება, რომლის აღქმა ძალიან მნელია); არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც: დედა (აზრი) გვიჩვენებს გონების საკმეველს. თხუნელა (ადამიანი) ახდენს კონცენტრაციას „ხედვაზე“... ანდა გვიჩვენებს გონების „საკმეველს“. თხუნელა (ადამიანი) ახდენს კონცენტრაციას „ხედვაზე“ (ცდილობს განავითაროს თავისი ნიჭიერებები მცარი მიმართულებით), იგი მისთვის ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის გამოყენების საშუალებას კარგავს. თუ ადამიანი თავის ჭვრეტის, შემეცნების ნიჭიერებას ხარჯავს არასაჭირო საქმეებზე, იგი სამუდამოდ კარგავს ამ ნიჭიერებას.

სუფიების აზრით იმის მაგივრად, რომ ადამიანმა მოახდინოს კონცენტრაცია თავის შიდა სა-მყაროზე, და მიაღწიოს წარმატებას შიდა განვითარებაში, იგი ეძიებს გარეთ და გამოეკიდება ილუზ-იებს (არასწორად განვითარებულ მეტაფიზიკურ სისტემებს), რაც მისთვის საზიანოა.

მანც რა შიდა პოტენციური შესაძლებლობები აქვს თხუნელას? მოდით გავეცნოთ არაბულ სიტყვათა იმ ჯგუფს, რომლებსაც „ხლდ“ ფუძესთან აქვთ კავშირი:

ხალად (ხალად) = შეუცვლელი, ხანგრძლივი.

ხულდ (ხულდ) = მარადისობა, სამოთხე, ხანგრძლივობა.

ხულდ (ხულდ) = ვირთხა, მინდვრის თაგვი, ტოროლა.

ხალად (ხალად) = აზრი, გონება, სული.

ალ-ხავალიდ (ალ ხავალიდ) = მთები, კლდეები, საყრდენი.

სუფია თვლის, რომ სიტყვათა ეს ჯგუფი, შეიცავს თავის თავში ადამიანისათვის და მისი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვან მცნებებს. ამ სიტყვებს შეიძლება ვუწოდოთ სუფიზმის რუქა. სიტყვა „თხუნელა“ შეიძლება ავირჩიოთ გონების ანდა აზრის სიმბოლოდ. გონება თავისთავში შეიცავს მარადისობას, ხანგრძლივობას, საყრდენს. ერთგულება სხვა თვისებებთან ერთად წარმოადგენს ამ ამოცანის შესრულების არსებით ნაწილს.

ამრიგად, ეზოპის ამ იგავის აზრი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ „მნელი არაა თაღლითის გამომზეურება“, როგორც ამას ნაწილი გაიფიქრებს. მაგრამ იგავში საკმეველისა და თხუნელას გამოყენებით, ასევე სუფიზმის ტრადიციების მიხედვით მიგვანიშნებს იმაზე, რომ სიტყვებს გააჩნიათ მალული, იღუმალი აზრები და გვეხმარება მის ბოლომდე გაგებაში.

არაა აუცილებელი თვით არაბული ენის შესწავლა, ეს არაკი სემიტური ვერსიის წყაროებიდანაა აღისული, იქაა შექმნილი და შემდეგ არაბულადაა გადათარგმნილი.

მათემატიკური სტრუქტურისა და იმ მიზეზის გამო, რომ შეა საუკუნეებში არაბული ენა არჩეული იყო განსაკუთრებული ცოდნის გადაცემისათვის, იგი წარმოადგენს ამ მოძღვრებების (გამოკვლევების) შეულედურ ჯაჭვს.

ამასთან, არაბული ენა გამოირჩევა სიმარტივით, განსაკუთრებით იმათვის, ვინც მას არ იც-

ნობს.

სუფიას რომ გაუგო, საჭიროა გამოიყენო ინტუიტიური გონება, რომელსაც, ჩვეულებრივ, აქრობს ლოგიკური გონება.

აი რას ამბობენ სუფიაზე:

„იგი ლვინის გარეშე მთვრალია, საკვების გარეშე დაპურებული; ჭკუა დაპარგულია, დავიწყებული აქვს საკვები და ძილი; მეფე, რომელიც უბრალო ტანსაცმელშია გამოწყობილი; განბი აქვს ნანგრევებში; არც მიწისაა და არც ცისა, არც ცეცხლისაა და არც წყლისა. მას გააჩნია ასეულობით მთვარე და მზე. მისი სიბრძნე წიგნებიდან არაა აღებული, ჭეშმარიტებამ გადააქცია იგი ბრძენად“.

შეიძლება სუფიას რელიგიური ადამიანი ვუწოდოთ? არა, იგი უფრო მაღალია: „იგი რწმენასა და ურწმუნებაზე მაღლაა – მისთვის არაფერია დამსახურებები და ცოდვები. იგი მაღლულია – ეძებეთ იგი!“

სუფია უფრო ღრმადაა ჩამალული, ვიდრე სხვა ნებისმიერი მაღლული სკოლის მიმდევარი.

სუფიურ ორგანიზაციებს შეხვდებით როგორც არაბულ ქვეყნებში, ასევე თურქეთში, ირანში, ავღანეთში, ინდოეთში, მაღაზიაში...

ამბობენ რომ მსოფლიოში 20-დან 40 მილიონ ადამიანამდე მისდევს სუფიურ სკოლებში ამ მოძღვრებას.

სუფიური მოძღვრების ახსნა წააგავს „კოცნის გაგზავნას შუამავლის საშუალებით“.

გამარტივებული სუფიური მოძღვრება არ არსებობს.

სუფია მუშაობს და მთელ ძალისხმევას ახმარს იმას, რომ გონებაში გამოაღვიძოს განსაკუთრებული არეები და ეყრდნობა არა იღბალს, არამედ მეთოდს.

სუფიური მოძღვრება განკუთვნილია ადამიანის იმ განსაზღვრულ ნიჭიერებეათა წარმოჩენაზე, რომელებიც ჩამალულია მასში. მას გააჩნია როგორც „მკაცრი“, „ასევე „რბილი“ რეალობა, გახრწნა და ჰარმონია, გამოღვიძების ნათელი შუქი და ძილისაკენ მიმართული მოძრაობის რბილი სიბნელე.

არსებობს საშუალება, ალვიქვათ სუფიური მცნება და სული ლიტერატურული ნაწარმოებებიდანაც, თუ კი ამასთან არ დაგვავიწყდება ის, რომ მის აღქმას მუდმივი პრაქტიკა ესჭიროება და არა ეგოისტური მცდელობები.

ოკულტური და მეტაფიზიკური ძალები ყველაზე ხშირად თავს ავლენს შემთხვევითად.

სუფიური მოძღვრების დაუფლება შესაძლებელია არა შეერთების მეთოდით, არამედ შესწავლის მეთოდით.

სუფია ის ადამიანია, რომელსაც სჯერა, რომ ცხოვრებისაგან თანდათანობითი განცალკევებით თავისუფალი ხდება. იგი მისტიკოსია, რადგან სჯერა, რომ მიაღწევს ჰარმონიას ყოველ შემოქმედებით ქმედებასთან. მას შეიძლება ვუწოდოთ პრაქტიკული ადამიანიც, რადგან სჯერა, რომ ეს პროცესი წარმოებს უბრალოდ ურთიერთობების ჩარჩოებში. სუფია კაცობრიობას უნდა ემსახუროს, რადგან იგი მის ნაწილს წარმოადგენს.

სუფიური ცხოვრებით ცხოვრება შეიძლება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას, რადგან არც ცხოვრებიდან გაცლას არ ითხოვს, არც რომელიმე ჩამოყალიბებულ მოძრაობაში ჩაბმას ანდა დოგმების დაცვას. სუფიას ცხოვრება ეხმიანება მთელი კაცობრიობის ცხოვრებას, ამიტომ სუფიურ მოძღვრებას ვერ უწოდებ სუფთა აღმოსავლურ სისტემას. სუფიზმმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო აღმოსავლური, არამედ თვით დასავლურ ცივილიზაციის საფუძლებზეც, რომლის პირობებშიც ეხლა ვცხოვრობთ და რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული, იუდეური, მუსულმანური, ახლო აღმოსავლური და შუა ხმელთაშუაზღვისპირული მოძღვრებების ნარევს.

სუფიები თვლიან, რომ ადამიანები თავისუფალნი არიან უსასრულო სრულყოფისათვის. სრულყოფილება მოდის იმათან, რომლებიც აღწევენ ჰარმონიას ყოველივე არსებულთან. ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ფორმები ეხება ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორის მყარდება მთლიანი წონასწორობა. ის სისტემები, რომლებიც ცხოვრებიდან წასვლას მოითხოვს, არაბალანსირებულ სისტემებად ითვლება.

იდუმალი, საიდუმლოება თავისთავს იცავს – იფიქრე სულიერებაზე რამდენიც გინდა – იგი აგივლის გვერდს, თუ კი შენ არაფერი ხარ; წერე მის შესახებ, იამაყე მისით, განსაზღვრე იგი – არავითარ სარგებლობას არ მოგიტანს და გაგიქრება ხელიდან, მაგრამ თუკი დაინახავს შენს ჩაწერტებას, მას შეუძლია აღმოჩნდეს შენს ხელში, შეჩვეული ფრინველის მსგავსად; იგი ფარშევანგს წაგავს – უადგილო ადგილას არ დავდება.

გაივლის რა ამ გზას, სუფიას მხოლოდ მაშინ შეუძლია ლაპარაკი მის შესახებ. წინააღმდეგ

შემთხვევაში, იგი მას ხელიდან გაუსხლტდება.

ასეთი მოხეტიალე სუფია-მიმდევრები ჯოხებით ან ყავარჯინებით ხელში ხალხს თავს იდიოტ-ებად მოაჩვენებენ. სუფიათა წიგნი ასოთა სიშავეს კი არ წარმოადგენს, არამედ – სუფთა გულის სითეთრეს.

სუფიური მოძღვრებების ხელწერა იგრძნობა ყველაზე, ყველა კონტინენტსა და ყველა ცივილიზაციულ ქვეყანაში. მაგალითად, ევროპაში, ქალაქ ვენაში გამოფენილია მეფეთა საგვირგვინო მანტია, რომელსაც სიცილიის მეფე როჯერ II (1093-1154) იცმევდა, ხოლო შემდეგ რომის იმპერიის იმპერატორი ფრიდრიხ II (1194-1250). თუ ყურადღებით დაუკვირდებით ამ მანტიას, მის ცენტრში პალმის ხეს აღმოაჩნთ. პალმის ხე სუფიურ მოძღვრებაში წმინდა ხეს და სამყაროს ყოვლისმომცველ შემოქმედებას განასახიერებს. პალმის ხე მანტიაზე მაგიურ 9 ელემენტს შეიცავს და დაწყობილია დიაგრამებად. ევროპელი ისტორიკოსები ამ პალმის ხის სიბრძნეს სუფიის ცნობილ მოძღვარ გებერს (ჯაბირს) მიაწერენ, რომელიც ევროპაში მოღვაწეობდა და რომელსაც ერთნაირად თაყვანს სცემენ როგორც ლათინური ალქიმიკოსები, ისევე ჩინელი დაოსი ბერებიც.

ეს დიაგრამა შეიცავს ისეთ ელემენტს, რომლითაც სუფიის მიმდევრები „ბარაქას“ ანუ „სიუხვეს“ აღნიშნავენ (ასევე ქართულადაც – „ბარაქა“). ეს გამომდინარეობს პალმის ხის ხმოვნების ამოღებული ფუძიდან: პალმა არაბების წმინდა ხეა, რომელიც სიცოცხლესთანაა დაკავშირებული; პალმის ხე, ანუ არაბულად „ნახლ“, „ნხლ“, ასევე „ვაქიზ არს“ ანუ ბარაქას, ღვთიურ ელემენტს ნიშნავს. სხვა არაბული სიტყვა „ტარიკატი“-ც ასევე პალმას აღნიშნავს, სუფიურ ტექნიკურ ტერმინს განეკუთვნება და „გზაზე დადგომის“ მნიშვნელობა აქვს.

საგვირგვინო მანტიაზე გამოსახულ პალმაზე დახატული არის ვეფხვი და აქლემი – ვეფხვი (ანუ ვეფხი) თავს ესხმის აქლემს. საჭიროა გავიხსენოთ, რომ განდეგილი სუფია ბერები – აქლემის ტყავით მოსილნი დადიოდნენ. მაგალითად, იოანე ნათლისმცემელი, ხოლო ვეფხვის (ვეფხის) ტყავში კი იმოსებოდნენ მებრძოლი სუფიის ბერები, როგორც ტარიელი „ვეფხისტყაოსნიდან“.

ფუძე „ნგა“ არაბულში „ვეფხის“ მნიშვნელობას გადმოსცემს, ხოლო „ჯგლ“ – აქლემისას. „ჯგლ“ აღნიშნავს როგორც აქლემს, ასევე „გემოვნების სინატიუეს, დახვეწილობას“.

სიტყვა „სუფია“ შეიძლება როგორც „ბეწვიან ტანსაცმელში ჩაცმულად“, ანუ „ბეწვისტყაოსნად“ გადავთარგმნოთ. აქ უკვე თვალნათლივ ვხედავთ, რომ სუფიური მოძღვრების მიმდევარი ბეწვისტყაოსანი ანუ „ვეფხისტყაოსანი“ იყო!



მოხეტიალე დავრიში

## მეორე საუბარი სუფიაზე სუფიური მომზადება, რა არის სუფია?

„იმ ადამიანს, რომელსაც ადრე წყალი თვალით არ უნახავს, თვალებაზეულს წყალში უშვებენ, იგი იწყებს მის შეგრძნებას; როცა შემოსაკრავს ხსნიან, მაშინ იგებს, თუ რას წარმოადგენს წყალი. მანამდე, სანამ ეს მოხდებოდა, წყლის თაობაზე ის წარმოადგენა პქნდა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს იგი მასზე.“  
სუფიის მოძღვარი რუმი

სანამ უშუალოდ სუფიური მომზადების თაობაზე ვისაუბრებთ, გავიხსენოთ სამი ცნობილი სუფიური მოძღვრის მნიშვნელოვანი აფორიზმები:

„ჩვეულებრივი ადამიანი თავის ცოდვებს ინანიებს, რჩეული ადამიანი კი – თავის უყურადღებობას სხვებისადმი“ (მოძღვარი ზუინუნ მისრი);

კაცობრიობა, რომელიც უსარგებლო საქმეებითაა დაკავებული, თვლემს. იგი არ ცხოვრობს ამ სამყაროში. იმის რწმენა, რომ ამას თავს დააღწევს, ჩვევად, ჩვეულებად და ჩარჩოებში ჩასმულ რელიგიადაა გადაქცეული. ასეთი „რელიგია“ პროგრესული არაა...

იდუმალების გზაზე დამდგარი ადამიანების (გზის ადამიანების) წინაშე შეწყვიტეთ ყბედობა! თუ რეალობის მიმართ თავდაყირა დგახართ, თქვენი ცოდნა და რელიგია გამრუდებულია (დამახინჯებულია).

„ადამიანი საკუთარ თავს თავისსავე მიზნებში თვითონვე ხლართავს. ლომები (გზის ადამიანები) თავიანთ გალიას ნაწილებად ამსხვრევებ“ (სუფიური მოძღვარი სანაი, 1131 წ.).

„არსებობს კულტურის სამი ფორმა: საამქეფნო კულტურა, ანუ ინფორმაციის უბრალო დაგროვება, რელიგიური კულტურა, რომელიც დაწესებული კანონების შესრულებაში მდგომარეობს, და რჩეულთა კულტურა – რომელიც თვითგანვითარებას წარმოადგენს“ (სუფიური მოძღვარი ხურჯვირი).

სუფიურ მოძღვრებებზე მსოფლიოში უამრავი ლიტერატურა არსებობს, დასავლეთის მეცნიერებმა თარგმნეს უამრავი სუფიური ტექსტი, მაგრამ მათგან ცოტას თუ პქნდა სუფიური გამოცდილება, გააჩნდა სუფიების ენბრივი მემკვიდრეობა, ან სუფიური ტრადიციის შესაბამისი სიტყვათაწყობის ფილოსოფიის ის ელემენტარული ცოდნა, რომლითაც ხდებოდა სუფიური მასალების ფორმალური შესწავლა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ თარგმანს არ გააჩნია ფასეულობა! ისინი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა აღმოსავლეთმცოდნებისათვის.

ეს ყველაფერი იმ პროგინციული ტელეგრაფისტის საქმიანობას წააგავს, რომელიც ცენტრიდან სარელიო ხაზებით დამახინჯებულ ინფორმაციას თავისი ხელწერით ქაღალდზე გადაიტანს და შემდეგ ფოსტალიონის როლს შესარულებს. ადრესატი კი გაჭირვებით არკვევს მის ნაჯღაბნ ხელწერას. ამგვარ ლიტერატურას სჭირდება სუფიური კომენტარები.

სუფიური მოძღვრება უფრო ღრმა და უნივერსალურია, ვიდრე ჰგონიათ მის მხურვალე მომხრებსა და მიმდევრებს. მათ „სუფიური მოძღვრების ცოდნის ოკეანის დალევაში“, ასეული მზისა და მთვარის გაცილება მოუწევთ.

სუფიური მოძღვრების მიმდევარმა საკუთარ თავთან შიდა სიახლოვის (შიდა დაახლოების) ხელოვნება უნდა ისწავლოს, ეს კი გარე ანუ ფიზიკური არსებობის საშუალებებით შეუძლებელია. არც ისე ადვილია სუფიური მოძღვრების მიმდევარი პიროვნების სწრაფად ჩამოყალიბება.

სუფიზმის მიმდევართა შორის იყნენ როგორც ზოროასტრიული, ქრისტიანული, ბუდისტური, ასევე სხვა რელიგიის მიმდევარი სასულიერო პიროვნებები, განურჩევლად ეროვნებისა: სპარსელები, ბერძნები და არაბები, ეგვიპტელები, ესპანელები, ინგლისელები და ქართველები. მათ რიგებში ჩვენ ვხვდებით სუფია-ოსტატებს, რომლებიც იყვნენ თეოლოგებიც, მეფეებიც, ჯარისკაცებიც, მეკობრეებიც და ა. შ.

სუფია-ოსტატები წერდნენ სუფიურ შრომებს და მათში სუფიური მოძღვრებების რეალური მარცვლის პოვნა მხოლოდ და მხოლოდ სუფიზმის მიმდევრის მიერ შეძნილი ჩვევებითა და ხერხებით შეიძლება.

სუფიზმის მიმდევრები ამბობენ, რომ სუფიური მოძღვრება – რელიგიაა, მაგრამ ის არც ერთ რელიგიას არ წარმოადგენს, რადგან ყველა რელიგიის არსეს მოიცავს.

ადრე სუფიამის მიმდევრად ყოფნა წარმოადგენდა რეალობას სახელწოდების გარეშე, დღეს კი არსებობს მხოლოდ სახელწოდება რეალობის გარეშე.

ევროპაში პირველი და ყველაზე მძლავრი კლასიკური სუფიური მოძღვრების სკოლა დაარსდა ესპანეთში ათას წელზე მეტი წელი წინ. არაბულმა ცივილიზაციამ იგი ესპანეთში მისი დაპყრობის შემდეგ შეიტანა (711 წ.). ამ შემთხვევაში ისლამურმა რელიგიამ უბრალოდ დახმარება გაუწია სუფიური მოძღვრების გავრცელებას ესპანეთის მიწაზე.

საბედნიეროდ, სუფიური მოძღვრება თავის თავში თეოსოფიას წარმოადგენს და იგი ვლინდება იმ რელიგიური მიმდინარეობების იდეოლოგიებში, რომლებიც მან წარმოშვა.

სუფიური მოძღვრების თეოსოფიური თეორია ზუსტად ამ თვისებას თვლის თავის ტრადიციად და იფარვება მხოლოდ რელიგიური არით. მუჰამედს მიაწერენ ასეთ სიტყვებს: „ბრძენთა შორის უარესი ეწვევა მმართველს, ხოლო მმართველთა შორის უკეთესი ეწვევა ბრძენს“. არსებობს გად-მოცემა, რომ სუფიური მოძღვრება არსებობდა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში.

სუფიური მოძღვრება, როგორც ასეთი ისლამურ რელიგიამდე არსებობდა, მაგრამ სახელწოდება არ გააჩნდა. ინგლისური „სუფიზმი“ ლათინური „სუფიზმუსისაგანაა“ წარმოშობილი. 1821 წელს ერთი გერმანელი მეცნიერის მიერ იქნა ლათინურად გარდაქმნილი. მანამდე არსებობდა სიტყვა „ტასავუფი“, რომელიც სუფიური მოძღვრების პრაქტიკას ანდა მდგომარეობას გამოხატავდა. ეს პუნქტი შეიძლება არამნიშვნელოვნად მოგვეჩევნოს, მაგრამ სუფიური მოძღვრება მას სხვანაირად უდღება.

ზემო აღნიშნული მოვლენა სუფიური მოძღვრების მიმდევრებისათვის წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მიზეზს, რომლის გამოც სუფიური მოძღვრება თავისი არსის გამოხატვისათვის არ იყენებს ერთ-ერთ რომელიმე მუდმივ ტერმინს. სუფია-ოსტატები სუფიურ მოძღვრებას მეცნიერებას, ხელოვნებას, ცოდნას უწოდებენ. X საუკუნეში მას „ფისქოანტროპოლოგიას“ უწოდებდნენ, ხოლო თვითონ სუფიზმის მიმდევრები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

„ტარიკა სუფია“ სუფიურ გზას ნიშნავს. „ტარიკა“ გზასა და რაიმეს კეთების ხერხს აღნიშნავს, ასევე რაიმეს მიყოლას კონკრეტულ შემთხვევაში კი სუფიური გზის მიყოლას აღნიშნავს.

სუფიური მოძღვრებების მიმდევრებს სხვადასხვა სახელებს უწოდებენ: მაძიებლებს, გასხივო-სნებულებს, დათრობილ (გაბრუებულ, თავდაგიწყებულ) კეთილებს, მეგობრებს, ხალიბებს, დავრიშებს, ფაკირებს (მოთოკილი სულებით) ანდა კალანდარებს, შემმეცნებლებს (გნოსტიკებს), ბრძენებს, შეყვა-რებულებს, ეზოთერისტებს, ასევე „ქრისტიანულ სუფიებს“; ზოგიერთ ურთიერთობაში სუფიას ასევე „ეზოთერიკულ ქრისტიანსაც“ („მასიზი ბატიკი“) უწოდებენ.

ისტორიულად სუფიის მიმდევართა მოღვაწეობა დაკავშირებულია როგორც ბუდიზმთან, ქრისტიანობასთან, ასევე ისლამთან და ეს მხარე, რატომდაც ყველაზე უფრო ცნობილი ფაქტია მსოფლიოში. სუფიათა შორის იყო ძალიან ბევრი უდიდესი თეოლოგი, პოეტი, მეცნიერი. ისინი ემსრობოდნენ ევოლუციური მოძღვრების ატომურ თეორიას ჩ. დარვინამდე ჯერ კიდევ მრავალი საუკუნით ადრე. ისინი გვასწავლიდნენ რომ ყველაფრის საფუძველში ძევს ის პირველადი ჭეშმარიტება, რომელსაც რელიგიას უწოდებენ, ანუ მოძღვრების პირველ-მარცვლის გაგება. აღქმა რელიგიური თეოსოფიის მეშვეობით ხორციელდება და იგი მის საფუძვლად ითვლება.

წმინდა აღმოსავლური მისტიკოსებიდან სუფიები გარდაიქმნებიან ქრისტიანული მისტიკოსებისა და ფილოსოფოსების წინამორბედებად. მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი: ის ყავა, რომელსაც სვამთ, პირველად სუფიებმა გამოიყენეს ნათელი გონიერებისათვის. ჩვენ მათ ტანსაცმელს ვატარებთ (პერანგები, ქამრები, შარვლები); მათ მუსიკას ვუსმენთ (სასიყვარულო სიმღერები, რითმული მუსიკა, ანდალუზიური მელოდია); მათ ცეკვებს ვცეკვავთ (ვალსები, სახუმარო ცეკვები); მათ ნაწარმოებებს ვკითხულობთ (დანტე, „რობინზონ კრუზო“, „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“...); ვიყენებთ მათ ეზოთერიკულ ფრაზებს („ჭეშმარიტების მომენტი“, „ადამიანის სული“, „დეალური ადამიანი“) და მათ თამაშებს ვთამაშობთ (კარტი, მაგალითად „ტარო“); ხანდახან ადამიანები ხდებიან საზოგადოებიდან განცალკევებულები მასონები, ანდა ზოგიერთი რაინდული ორდენები. ეს ყველაფერი სუფიური ელ-ემენტებია და თანდათან გავეცნობით მათ.

სუფიის მიმდევარი შეიძლება იყოს სენაკში მჯდარი ბერიც, მთებში მყოფი ფაკირიც, დუქანში მჯდომი ვაჭარები, მონარქები, მაგრამ ის ჯერ სუფია არაა.

სუფიური მოძღვრება მთელი კაცობრიობის მოძღვრებათა საფუარია. იგი მათი შედედების დედაა. სუფიზმის მიმდევრები თვლიან, რომ სუფიური მოძღვრება რეალობის აღქმის შეგრძნების განცდას წარმოადგენს.

თუ სუფიური მოძღვრება განცდაა, მიზანი – ადამიანის სრულყოფილება და მისი მიღწევა ადა-მიანში რეალიზაციის, დანიშნულების, დასრულების უმაღლესი თვისების აღმოჩენაა და გამოღვიძებაა, მაშინ რატომაა ასე ძნელი მისი პოვნა, აღქმა და დროში განსაზღვრა? მისი მრავალსახიანობა იმით

აიხსნება, რომ სუფიური შემოქმედება ხორციელდება ნებისმიერ საზოგადოებაში და ნებისმიერ დროში და ეს მის ერთ-ერთ საიდუმლოს წარმოადგენს. სუფიზმის მიმდევარს მაინც და მაინც არ ესაჭიროება არც არაბული ენა, არც ფილოსოფიური წიგნები და არც სოციალური სტაბილურობა.

სუფია-ოსტატები თვლიან, რომ მთელი ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ ბრძოლა ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა მიმდინარეობდეს. ჩვეულებრივი ადამიანი ერთბაშად იბრძვის ბევრი რამის წინააღმდეგ. თუკი გზააბნეული და არასრულყოფილი ადამიანი მოიხვევს, დააგროვებს ბევრ ფულს ან მიაღწევს პროფესიონალურ წარმატებას, იგი ისევ გზააბნეული და არასრულყოფილი დარჩება.

სუფიას შესწავლა შეუძლებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ იუნგის გამონათქვამი, სადაც იგი აღიარებს, რომ დასავლური ფსიქოანალიზი აღმოსავლურთან შედარებით იმყოფება ჩანასახის მდგომარეობაში: „დასავლური ფსიქოანალიზი როგორც ასეთი, და ის აზრობრივი მიმართულებები, რომლებსაც იგი ბადებს, აღმოსავლურ უძველეს ხელოვნებებთან შედარებით ახალბედას მცდელობებს წააგავს (К. Юнг. Современный человек в исследовании души. Лондон, стр.. 250-251).

სუფიური მოძღვრება თვლის, რომ აზრობრივი გაგებით კაცობრიობა ვითარდება და მიისწრაფის განსაზღვრული მიზნებისაკენ. ჩვენ ყველა ვმონაწილეობთ ამ განვითარებაში. განსაკუთრებული თვისებების არსებობის სურვილის საპასუხოდ ასეთი თვისებები ჩნდება. ამ მოთხოვნილებების შესაბამისად ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს შესაბამისი ორგანოების ახალ კომპლექსებს, ანუ იხსნება შესაბამის ჯირკვალთა სისტემების ჯაჭვები, რომლებიც მომავალში უკვე უზრუნველყოფენ ამ ხსენებული თვისებების ამუშავებას გახსნილი ჯირკვლების ჩართვით.

ჩვენს დროში დროისა და სივრცის გადალახვაზე დიდი მოთხოვნაა. იმას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ტელეპატიურ ძალთა ცალკეულ და შემთხვევით გამოვლინებად თვლიან, სუფიური მოძღვრება ამ ორგანოების მიერ შეძენილი თვისებების გამოჩენის ნიშნად განიხილავს. გონიერი განვითარების ეს უძლელესი ფორმა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი. როგორ ვისწავლოთ ამ სამყაროში ცურვა? როგორ გავავითაროთ ეს მნიშვნელოვანი ორგანოები, ანუ შესაბამის ჯირკვალთა სისტემები?

როგორ გავიგოთ, რომ ვავითარებთ ზუსტად საჭირო ჯირკვალთა სისტემას? ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილების დახმარებით. სუფიური მოძღვრების სისტემებში არსებობს განვითარების უძრავი სტადია.

ამ სტადიების თანდაონობით გავლის დროს მაძიებელი გამოცდილებას ღებულობს გონების განვითარების პრაქტიკაში. იგი თანდათან ნაკლებ შეცდომებს უშვებს ცხოვრებაში, გონებრივი განვითარების თვალსაზრისით დიდ გამოცდილებას აგროვებს და მასში იმ ჯირკვალთა სისტემები იწყებს გააქტიურებას (გახსნას), რომლის დროსაც მოვარჯიშე სუფია-მიმდევარს არა მარტო თავს ზემოთ ასვლის საშუალება ეძლევა, არამედ უფრო შორს გასვლის თვისებებსაც იძენს.

სუფიის მიმდევარს სჯერა, რომ ადამიანის მცდელობებს მასში კოსმიურ ენერგიათა ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალათა თვისებების აღმოცენება ძალუშს. კოსმიური ენერგიის ამ ძალების გონივრული გამოყენება შესაძლებელს ხდის ღრმა სამყაროდან მსგავსი ძალების თავისკენ მიზიდვასა და მათთან შერწყმას. ამ ენერგიებთან ჩართვა კი ხსნის იმ „იღუმალი მითითებების“ აზრს, რომლებსაც სუფია-მასწავლებლები (მოძღვრები) კოსმისიდან ღებულობენ; სუფიური მოძღვრების მასწავლებლები გონებით მიემერთებიან ისეთი ადგილებისაკენ საიდანაც აღმოცენდება და მოედინება ეს ძალები, რათა უპასუხონ მათ ძახილს მსგავსი ძალით; ამავე დროს აძლიერებენ მარტოობაში დარჩენილ ძალებს.

სუფიური მოძღვრებების დევიზია: „თუ არ ეცდები, – ვერ გაიგებ“.

## მესამე საუბარი სუფიაზე

### „როდესაც ჭლვას მიუახლოვდები, შენაპალებზე საუბარი ტყდება“

სუფიური მოძღვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იდეა, და არა ადამიანი. სუფია პრაქტიკულ საქმიანობას წარმოადგენს. ის უარყოფს ჭეშმარიტების მიღწევას ფორმალური ინტელექტითა და შაბლონური აზროვნების საშუალებით. ასეთი შაბლონური აზროვნებით ადამიანი ვერ მოხვდება სხვა განზომილებებში. ამის მაგალითია სუფიური იგავი: „ერთ სუფიას ერთი პედანტი მეცნიერი გადაყავდა ადიდებულ მდინარეზე. საუბრის დროს პედანტს მოეჩვენა, რომ გამყოლმა დაუშვა გრამატიკული შეცდომა. — „განა შენ არასოდეს გისწავლია გრამატიკა?“ — ჰკითხა მეცნიერმა. — „არა“, — უპასუხა სუფიამ. — „მაშინ შენ ნახევარი სიცოცხლე დაგიკარგავს“, — წარმოთქვა მეცნიერმა. რამდენიმე წუთის შემდეგ სუფიამ მიმართა მეცნიერს: — „გისწავლიათ თუ არა როდესმე ცურვა?“ — „არა, რატომ მეცითხები?“ — ჰკითხა მეცნიერმა, — „ჩვენ ვიძირებით“, — უპასუხა სუფიამ.

იგივე იდეა უფრო მკაფიოდა გამოხატული ასეთ იგავში: „ჩაიხანაში“ (სუფიური ტერმინია და დარვიშების შეხვედრის ადგილს ნიშავს) ბერი შემოვიდა და განაცხადა: — ჩემმა მოძღვარმა დამავალა, რომ ადამიანებისათვის გადმომეცა შემდეგი: „კაცობრიობა მანამდე ვერ მიაღწევს სრულყოფილებას, სანამ უსამართლობა თანაბრად მიუღებელი არ გახდება იმათვის, ვინც ის განიცადა და იმათვისაც, ვისაც ის არ განუცდია.“

ამ სიტყვებმა ერთ წამს ყველა გააოგნა.

ამ დროს ერთმა სუფიის მიმდევარმა ასეთი პასუხი გასცა ამ მიმართვას: „ჩემმა მოძღვარმა კი მითხვა შემდეგი: არასოდეს შეუწევარებლად არ მოექცე არავის (არაფერს) მანამდე, სანამ იგი არ დარწმუნდება იმაში, რომ მოსალოდნელი უსამართლობა სინამდვილეში უსამართლობას წარმოადგენს და არა მაღულ კეთილშობილებასო“. ამ დროს ერთმა სუფიის მიმდევარმა ასეთი პასუხი გასცა ამ მიმართვას: „ჩემმა მოძღვარმა კი საავადმყოფოში მოხვდა. მას ერთ-ერთმა მოწაფემ ჰკითხა: — „მასწავლებელო, რა გაკვეთილი მიიღეთ ამ შემთხვევიდან?“. — „უარი თქვი გარდაუვალობის რწმენაზე, თუნდაც მიზეზი და შედეგი გარდაუვალი მოგეჩვენოს; თავი აარიდე მსგავს თეორიული კითხვებს: „მოიტეხს კისერს ადამიანი, რომელიც სახურავიდან ჩამოვარდება?“ ჩამოვარდა ის, კისერი კი მე მოვიტეხო“.

საყურადღებოა სუფიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ზეადამიანური გამოცდილება და მისტიური მიზანი ადამიანებთან უფრო ახლოს იმყოფება, ვიღრე მათ ჰკონიათ. ის აზრი, რომ ეზოთერული ან ტრანსცენდენტალური მანიცდამაინც შორეულია, ანდა მნელად აღსაქმელი, ცალკეულ ადამიანთა უმეცრების შედეგად აღმოცენდა.

პროგრესის მიღწევა შეუძლებელია, თუ კი ადამიანი შეფარდებით ჭეშმარიტებას არ შეიცნობს: „ერთმა მეფემ, რომლის სტუმარიც სუფია იყო, შესჩივლა მას, ჩემი ქვეშევრდომები მატყუარები არიანო. სუფიამ უთხრა: „თქვენ უდიდებულესობავ, ჭეშმარიტება მრავალია მანამდე, სანამ ადამიანები შესძლებენ შეფარდებითი ჭეშმარიტების გამოყენებას. მათ პრაქტიკულად ჯერ რეალური ჭეშმარიტება უნდა შეიცნონ, მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობენ ყველაფერი პირიქით გააკეთონ, რის შედეგადაც ადამიანები უცერემონიოდ გაყიდებიან თავისსავე ხელოვნურად შექმნილ ჭეშმარიტებებს და თანაც გრძნობენ, რომ ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა გამონაგონი ჭეშმარიტებაა“. ეს ყველაფერი მეფეს ძალიან რთულ თეორიად მოეჩვენა და განაცხადა: — „საგნები უნდა იყვნენ ან ჭეშმარიტი, ანდა მცდარი. მე ადამიანებს სიმართლის თქმას ვაძლევ, და ამის საშუალებით ისინი სამართლიან ადამიანებად ყოფნას შეეჩვევიან“. მეორე დღეს, ქალაქის მთავარი შესასვლელის წინ სახრჩობელა აღმართეს. მას კაპიტნის მეთაურობით მეფის გვარდიელები დარაჯობდნენ. გამოაცხადეს: — „თითოეული, რომელიც ქალაქში შემოვა, პირველ რიგში მოვალეა სიმართლე თქვას“. სუფია, რომელიც ქალაქვარეთ იყო, პირველი შემოვიდა ქალაქში. კაპიტანი შეეკითხა: — „საით მიდიხსარ? თქვე სიმართლე, თორემ ჩამოგახრჩობენ“. სუფიამ უპასუხა: — „მე იმიტომ შემოვდივარ ქალაქში, რომ ჩამოხრჩობილ ვიქნე ამ სახრობელაზე“. — „მე შენი არა მჯერა“, — უპასუხა კაპიტანმა. — „ძალიან კარგი, თუკი მე მოგატყეუ, მაშინ ჩამომახრჩვე“, — უპასუხა სუფიამ. — „მაგრამ ეს უკვე იმას ნიშავს, რომ შენ სიმართლე თქვი!“ — გაოცდა კაპიტანი. — „დიახ, ზუსტად ასეა, — თქვა

სუფიამ, — მე ვთქვი თქვენი სიმართლე“.

ადამიანი, რომელსაც სურს შეიცნოს სუფია, პირველ რიგში უნდა გაიგოს, რომ სიკეთესა და ბოროტებაზე წარმოდგენა პირობითია არა ობიექტური ფაქტებით, არამედ ცალკეული ან მთელი რიგი კრიტერიუმებით მათი შეფასებისას. მანამდე, სანამ იგი ამას შინაგანად არ შეიგრძნობს და ინტელექტუალურად არ მიიღებს, იგი სუფიას შიდა გაცემისათვის მზად არ იქნება. ამის შესანიშნავი მაგალითია შემდეგი იგავი: ერთ მეფეს სუფიათა საზოგადოება უყვარდა. დათვებზე ერთ-ერთი ნადირობისას მან სუფიაც თან გაიყოლა. სუფია თავზარდაცემული იყო. როდესაც იგი თავის სოფელში დაბრუნდა, ვიღაც შეეკითხა:

- „როგორ ჩაიარა ნადირობამ?“
- „მშვენივრად.“
- „რამდენი დათვი ნახე?“
- „არც ერთი“. — „მაშინ როგორდა ჩაიარა მშვენივრად ნადირობამ?“
- „თუ კი შენ, ჩემს ტყვაში მყოფი, ნადირობის დროს არც ერთ მათგანს არ შეხვდებოდი, ეს შენც მშვენივრად მოგეჩვენებოდა“.

შიდა გამოცდილების გადაცემა შეუძლებელია უსასრულო გამეორებებით, მისი მარაგი უნდა შეივსოს მუდმივად, ამ გამოცდილების წყაროდან.

სუფიები ისეთ მძაფრსა და ნატიფ აღქმებს ფლობენ, რომლებიც სხვა ადამიანებისათვის მიუწვდომელია.

ადამიანებმა არ იციან, თუ როგორ დაადგენენ გასხივოსნების გზას. ამიტომ ხშირად ხდება მათი რამე კულტით გატაცება და უამრავი თეორიით დაბნევა, ისე, რომ ისინი ვერ ხვდებიან ამას და დარწმუნებული არიან თავიანთი უნარის ჭეშმარიტებაში — გაარჩიონ კეთილი და ბოროტი. სწორედ ეს აზრია ჩადებული ქვემოთ მოცემულ იგავში: მუხლმოდრეკილი სუფია ეზოში რაღაცას ექცევა. მეზობელმა დაინახა და ჰკითხა:

- „რა დაკარგე, მეზობელო?“
- „ჩემი გასაღები“, — უპასუხა სუფიამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობელმა ისევ დაუსვა მსგავსი კითხვა: — „სად დაგივარდა იგი?“

- „სახლში“.
- „მაშინ აქ რატომ ექებ?“

— „იმიტომ, რომ აქ უფრო მეტი სინათლეა!“ ბევრი სუფია იყენებს ამ ცნობილ იგავს. მისი საშუალებით ხსნიან ისეთი ადამიანების ქცევებს, რომლებიც ექცევნ გასხივოსნების ეგზოტიკურ წყაროებს.

სხვა იგავი კი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აღწევენ სუფიები სპეციალური ტექნიკით სწორ შედეგებს, რაც განდობილებისათვის „არასწორ მეთოდს“ წარმოადგენს და კარგად ხსნის ზოგიერთი სუფიის წარმოსახვით ექცენტრულობას: „ერთი სუფია მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. მოვიდა ორი ადამიანი, ერთმა მათგანმა თქვა: — „ამ ადამიანმა ყურზე მიებინა და მე კომპენსაციას ვითხოვო“, მეორემ თქვა: — „მან თვითონ უკბინა თავის თავს“. სუფიამ გადასდო გარჩევა და თავის აპარტამენტებში განცალკევდა. იგი ნახევარი საათის მანძილზე ცდილობდა საკუთარი ყურისთვის ექცინა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ სუფია დაუცა და შებლი გაიტეხა. ამის შემდეგ იგი უკან დაბრუნდა.

— „ნაკბენყურიანი ადამიანი შეამოწმეთ, — ბრძანა სუფიამ, — თუ მას შებლი აქვს გატეხილი, მაშინ მან თვითონ უკბინა საკუთარ ყურს და ამით საქმე დამთავრებული იქნება. თუ ეს ასე არაა, მაშინ გამოდის, რომ მეორემ უკბინა და დაზიანებულს ზარალი უნდა აუნაზღაურდეს ვერცხლის სამი ზოდით“.

სწორი განაჩენი გამოტანილ იქნა, ერთი შეხედვით, არალოგიკური მეთოდის საშუალებით. მეორე იგავში (სუფიები მას „საყვედურის გზას“ უწოდებენ), სადაც სუფია ბრიყვის როლშია, ნათლად ჩანს, თუ რას წარმოადგენს ჩვეულებრივი ადამიანური აზროვნება:

ერთმა ადამიანმა სუფიას შესთავაზა გამოეცნო, თუ რა ეჭირა მას ხელში.

— „ერთი ნიშანი მაინც დამისახელე, — სთხოვა სუფიამ.

— „მე რამდენიმეს დაგისახელებ, — უპასუხა ხუმარამ, — ამ საგნის ფორმა და ზომა კვერცხს მოგვაგონებს, მას კვერცხის სუნი და გემო გააჩნია, შიგნით იგი თეთრია და ყვითელი, თხევადია, მაგრამ ხისტდება გათბობის დროს. გარდა ამისა, ეს საგანი ქათამმა დადო...“

— „ვიცი! — შეაწყვეტინა სუფიამ, — ეს, ალბათ, რომელიმე ნამცხვარია!“

სუფიები უარყოფენ ვარაუდებს იმის თაობაზე, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს შემეცნების უნარი. ადამიანი შეიძლება კლინიკურად ცოცხალი იყოს, მაგრამ ათვისების კუთხით — გარდაცვლილი. ასეთ პიროვნებას ვერც ლოგიკა და ვერც ფილოსოფია ვერ დაეხმარება ამ ნიჭიერების შექნაში. ამის მაგალითია ასეთი იგავი:

სუფია ხმამაღლა ფიქრობდა: „როგორ უნდა გავიგო მე ცოცხალი ვარ თუ უკვე გარდავიც-ვალე?“ მეუღლემ მიუგო: — „ნუ იქნები ასეთი ბრიყვი; როდესაც გარდაიცვლები შენი კიდურები გაცივდება“. ამ საუბრის შემდეგ, სულ მალე, სუფია შეშას ჩეხავდა ტყეში. იყო ზამთარი და მან იგრძნო, რომ ხელები და ფეხები ყინვისგან უცივდებოდა.

— „მე, რასაკვირველია, უკვე გარდავიცვალე, — გაიფიქრა მან, — ამიტომ მუშაობა უნდა შევწყვიტო, რადგანაც გარდაცვლილები არ მუშაობენ“. სუფიამ არა მარტო შეწყვიტა მუშაობა, არამედ მიწაზეც კი დაწვა, რადგან მან ისიც იცოდა, რომ გარდაცვლილები არ დაიარებიან.

სულ მალე მგლების ხროვა გამოჩნდა და მის ვირს თავს დაესხა.

— „იმით სარგებლობთ, რომ გარდაცვლილი ვარ, — გაიფიქრა სუფიამ და ადგილიდან არ დაიძრა, — მაგრამ მე რომ ცოცხალი ვყოფილიყვავი, ჩემი ვირის მიმართ ასეთ უმსგავსოებებს არ დაუშვებდიო“. სუფიურ მოძღვრებაში მისტიური მასწავლებლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, იგი ყველა იმ პირობებს ქმნის, რომ მომავალმა სუფიამ დაიწყოს რაიმეს კეთება. ამ „რაიმეს“ ქვეშ იგულისხმება „საკუთარ თავზე მუშაობა“, ვინმეს ხელმძღვანელობით, რაც სუფიური სისტემის მნიშვნელოვან განმასხვავებელ ხასიათს წარმოადგენს. ამ თემაზე შემდეგი იგავი: ერთხელ სუფიამ დუქანში შეიხედა.

— „ტყავი გაქვს?“ — შეეკითხა ის ვაჭარს.

— „მაქვს“. სუფიურ შემნებიც?

— „დიახ!“

— „საღებავიც?“

— „ესეც მაქვს!“

— „მაშინ რატომ არ შეიკერავ შენთვის ერთ წყვილ ფეხსაცმელს?“

სუფიური ძიების დამთავრება შეუსაბამო „კამპანიაში“ შეუძლებელია. არსებობს იგავი, რომელ-შიც არადროული მიპატიუებით ხაზს უსვამენ ამ ფაქტს:

„უკვე გვიანი იყო, მაგრამ სუფია ისევ საუბრობდა თავის მეგობრებთან ჩაიხანაში. იქიდან გამოსულებმა შიმშილი იგრძნეს. „ყველას ჩემთან გეპატიუებით ვახშამზე, — თქვა სუფიამ და გაიფიქრა მოსალოდნელ შედეგებზე. როდესაც „კამპანია“ თითქმის მიუახლოვდა მის სახლს, სუფიამ გაიფიქრა, კარგი იქნება თუ ამათ გავუსწრებ და მეუღლეს გავაფრთხილებ, რომ ვახშმისთვის თადარიგი დაიჭიროს. — „დამელოდეთ აქ, მე წავალ და ცოლს გავაფრთხილებ“, — უთხრა მან მეგობრებს.

სახლში მისულ სუფიას მეუღლებ აცნობა, რომ შინ არაფერი ჰქონდათ.

სუფია ავიდა ზევით და დაიმალა. რამდენიმე ხნის შემდეგ შიმშილმა მომლოდინე ადამიანებს სახლთან მისვლა და კაკუნი აიძულა.

სუფიას მეუღლებ უპასუხა: — „ჩემი მეუღლე სახლში არ არის!“

სტუმრებმა ყვირილი ატეხეს: — „ჩვენ ხომ თვითონ დავინახეთ, თუ როგორ შემოვიდა იგი ამ ჯარიდან!“

სუფიას მეუღლე დაიბნა და ვერაფერი უპასუხა სტუმრებს.

სუფია, რომელიც ფანჯრიდან უსმენდა ყველაფერს, გამოყო თავი და გადმოსძახა: „განა მე არ შემეძლო სახლიდან სხვა კარით გასვლა?“

ზოგი სუფიური იგავი ხაზს უსვამს საზოგადოებაში გავრცელებულ მცდარ რწმენას იმის თაობაზე, რომ ადამიანს სტაბილური ცნობიერება (შეგნება) გააჩნია. გარე და შიდა გამაღიზიანებლების გავლენით ადამიანის ქცევები იცვლება იმის შესაბამისად, თუ როგორ გუნება-განწყობილებაზეა და რა მდგომარეობაშია მისი ჯანმრთელობა.

მცირედ განვითარებული ადამიანი ნედლეულს წააგავს. ასეთ ადამიანს არც მუდმივი არსება, არც ცნობიერების (შეგნების) ერთიანობა არ გააჩნია. მის შიგნით ცხოვრობს ისეთი „არსება“, რომელიც მის მთლიანობასთან და მის პიროვნულობასთან არაა შეერთებული. ბოლოს და ბოლოს,

ავტომატურად არავის არ შეუძლია იცოდეს, თუ რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში, თუმცა მას შეიძლება შეექმნას საპირისპიროდ მცდარი წარმოდგენა საკუთარ თავზე. აი, ამის დამადასტურებელი სუფიური იგავი:

ერთხელ სუფია დუქანში შევიდა. პატრონი მისკენ გაეშურა.

სუფიამ უთხრა: – „პირველ რიგში, დაინახე თუ არა ყველაზე მათავარი – როგორ შემოვედი მე შენს დუქანში?“

– „რასაკვირველია“.

– „გინახივარ კი ოდესმე ადრე?“

– „არასოდეს“.

– „მაშინ საიდან იცი შენ, რომ ეს მე ვარ?“

ეს იგავი აღიქმება როგორც ხუმრობა, ზოგი ჩათვლის, რომ აქ ბრიყვია გამოყვანილი და ნაკლებად თუ შესძლებს ამ იგავიდან სარგებლობის შეძენას. თუ მაძიებელს ეს უბრალო ხუმრობად მოეჩვენა, მაშინ საჭიროა მან საკუთარ თავზე მუშაობა გააგრძელოს.

ბრიყვს ეხება იგავი მთვარის შესახებ:

– „ძველ მთვარეს რას უშვებია?“ – იკითხა ერთმა ბრიყვმა.

პასუხი კითხვის შესაბამისად გასცა სუფის მიმდევარმა: – „თითოეულ ძველ მთვარეს ახალ ორმოც ვარსკვლავად ჭრიან“.

სუფიურ მოძღვრებას მხოლოდ სუფია ასწავლის, და არა თეორეტიკოსი და ინტელექტუალი.

სუფიური გამოცდილების შედეგი განაცალკევებს სუფიას ჩვეულებრივი ცხოვრების რეალობისაგან. ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოყვენილი იგავი:

– „მე სიბნელეში ხედვა შემიძლია“, – თქვა სუფია-მოძღვარმა.

– „მშვენიერია, მაგრამ თუ ეს ასეა, ღამდამობით რატომ დადიხარ სანთლით ხელში?“

– „რათა სხვები არ დამეჯახონ“.

იმ სინათლეს, რომელსაც სუფია ატარებს, შეიძლება გარემო სინამდვილესთან მისი შეგუება კუწოდოთ, მისი დაბრუნებისა და უფრო ფაქიზი აღქმის ნიჭიერების შეძენის შემდეგ.

სუფიას შეუძლია წინასწარ გამოიცნოს მოვლენების შესაძლო განვითარებათა ჯაჭვი, რადგან ამა თუ იმ ცალკეულ მოვლენასთან მისი ურთიერთობა ყოველმხრივია და არა იზოლირებული. სუფიამ თქვა: – „მეფემ მითხრა, რომ ამ ცხენის შეკაზმვა ვერავინ შესძლო, მაგრამ მე მაინც შევჯერ მასზე. მერე რა? მეც არაფერი გამომივიდაო“. ეს საუბარი გვიჩვენებს რომ, თუ კი მოვლენას გავშლით მის შემადგენელ ნაწილებად, იგი აზრობრივად იცვლება.

სუფიები თვლიან, რომ აუცილებლობით გამოწვეულ ურთიერთობას ხელს ვერ შეუშლი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა რაიმე განსაკუთრებული ხერხი ექვებო.

ერთ-ერთ იგავში სუფია და იოგი გამოდიან ჩვეულებრივ ადამიანთა როლში, რომლებსაც ერთმანეთისათვის არაფერი აქვთ სათქმელი:

ერთხელ სუფიამ უცნაური სახის შენობა დაინახა, რომლის კართან აზრებში ჩაფლული იოგი იჯდა. სუფიამ ჩათვალა, რომ შეეძლო ამ შთამბეჭდავი პიროვნებისაგან რაიმეს სწავლა და მასთან საუბარი დაიწყო. ჰქითხა, თუ ვინ იყო იგი.

– „მე იოგი ვარ, – უპასუხა მან, – და მთელ დროს ყველა სულიერთან ჰარმონიის დამყარებას ვახმარ“. – „ეს საინტერესოა, – უთხრა სუფიამ, – რადგანაც ერთხელ ერთმა თევზმა სიკვდილს გადამარჩინა“.

იოგმა მას დარჩენა სთხოვა, რადგანაც დროის იმ მონაკვეთში, რაც მან ცოცხალ არსებებთან ჰარმონიის დამყარებას მოანდომა, იგი არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ისეთ ურთიერთობასთან, როგორსაც სუფიამ მიაღწია.

რამოდენიმე დღის შემდეგ იოგმა სუფიას სთხოვა მოეყოლა თევზის შესახებ, რომელმაც გადაარჩინა, და დაყოლა – „რადგანაც ახლა ჩვენ ერთმანეთს უკეთესად ვიცნობთო“.

– „ახლა, როდესაც უფრო უკეთესად გიცნობ – უთხრა სუფიამ, – მეტვება, მოგცემს თუ არა სარგებლობას ის, რასაც მოგიყვები“.

იოგმა ისევ სთხოვა. – „მაშ კარგი, – უთხრა სუფიამ, – თევზმა მართლაც სიკვდილს გადამარჩინა: სამი დღის განმავლობაში ვიშიშილე, თევზი რომ არ მეჭამა, შიმშილით ფეხებს გავფეხდი“.

როგორც კი მაძიებელი შეიძენს ირგვლივ მიმდინარე პროცესების არსები სულ მცირედი ჩახედვის ნიჭიერებას, იგი წყვეტს იმ კითხვების დასმას, რომლებიც თითქოსდა ეხებოდა გამოლიანებას. გარდა ამისა, მას შეუძლია დაინახოს და დააკავშიროს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გარედან

შექედვით არ გააჩნიათ არავითარი კავშირი შესაბამის სიტუაციასთან. ამაზეა საუბარი იგავში საბნის თაობაზე:

ერთხელ დამით სუფია და მისი მეუღლე წამოდგნენ ლოგინიდან და ფანჯრიდან გადახედეს ორ მამაკაცს, რომლებიც ფანჯრის ქვეშ ჩეუბობდნენ. ცოლმა ამბის გასაგებად ქმარი გააგზავნა. სუფიამ საბანი მოიფარა ტანზე და ქვევით ჩავიდა. როდესაც იგი იმ ადამიანებს მიუახლოვდა, ერთმა მათგანმა ხელი სტაცა მის ერთადერთ საბანს და ორივენი გაიქცნენ.

როდესაც სუფია სახლში დაბრუნდა, მეუღლემ ჰქითხა: – „რის გამო ჩეუბობდნენ?“

– „ალბათ ჩემი საბნის გამო: როგორც კი წამართვეს, იმწამსვე წავიდნენ“.

რადგან ადამიანთა ინტელექტუალური შემოქმედება, როგორც წესი, ზედაპირულ მსჯელობამ-დეა დაყვანილი, სუფიის მასწავლებლები თავის იგავებში ისევ და ისევ მიგვითითებენ ჩვეულებრივ მსჯელობათა შესაძლო სიყალეზე.

მაგალითისათვის გამოდგება ასეთი იგავი:

სუფიასთან მეზობელი მივიდა, ვირი სთხოვა, – „მე იგი უკვე სხვას ვათხოვეო“, – უთხრა სუფიამ.

ამ დროს სადგომიდან ვირის ყროფინი მოისმა.

– „კი მაგრამ, მე სადგომიდან ვირის ყროფინი მესმის“, – თქვა მეზობელმა.

– „შენ ვისი უფრო გვერა, ჩემი თუ ვირის?“ – ჰქითა სუფიამ.

სიტყვებსა და წიგნებში მისტიური გამოცდილების ჩადების მცდელობას არასდროს შედეგი, რადგანაც ამის მოთხოვნილება მცოდნებს არ გააჩნიათ, ხოლო არამცოდნეთათვის აუცილებელია „ხიდი“ (გაშიფრვა). სუფიური მოძღვრება გონებაში შეუჩვეველ განცდებს იწვევს და ამისათვის მომზადებაა საჭირო. მაგალითად მოვიყვანოთ ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის იგავი:

სუფიასთან ერთი ადამიანი მივიდა, რომელსაც მოწაფეობა სურდა. ბევრი ფათერაკების შემდეგ ამ ადამიანმა როგორც იქნა მიაღწია მთებში იმ ქოხს, რომელშიც სუფია ცხოვრობდა. ახალბედამ იცოდა, რომ განათლებული სუფიის თითოეულ ქცევას განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. მან სუფიას ჰქითხა, თუ რატომ უბერავდა იგი თავის ხელებს. – „იმიტომ, რომ გავთბე“ – უპასუხა სუფიამ.

ამის შემდეგ სუფიამ ორ ფიალაში დაასხა წვინანი და თავის თევზს შეუბერა, – „ოსტატო, ამას რატომ აკეთებ?“ – ჰქითხა მოწაფემ. – „იმისთვის, რომ წვინანი გავაციო“, – უპასუხა მასწავლებელმა.

ამის შემდეგ სუფიამ დატოვებ დატოვა მასწავლებელი, რადგანაც იგი არ ენდობოდა ადამიანს, რომელიც ერთი და იმავე საშუალებით სხვადასხვა შედეგებს ღებულობდა.

შეგირდობის დასაწყისში რაიმე წინასწარ განსაზღვრული წერტილიდან „მუშაობის“ დაწყება შეუძლებელია. მომავალმა შეგირდმა მოძღვარს მისი ხელმძღვანელობის ისეთი საშუალება უნდა მისცეს, როგორიც საჭიროდ მიაჩნია თვით მოძღვარს:

ერთი ყმაწვილი სუფიასთან მივიდა და ჰქითხა, თუ რამდენი ხანი დასჭირდებოდა სუფიად გახდომისათვის. სუფიამ იგი სოფელში წაიყვანა. – „სანამ შენ კითხვას ვუპასუხებდე, მინდა, რომ წამომყვე. მე მუსიკის მასწავლებლის მონახულება მინდა, რათა ბარბითზე (მულინაზე) დაკვრა ვისწავლოო“. მივიდა რა მასწავლებელთან, სუფიამ სწავლების ფასი ჰქითხა: – „პირველ თვეში სამი ვერცხლის მონეტა, შემდეგ – თითო ვერცხლის მონეტა თვეში“.

– „შესანიშნავია“, – წამოიძახა სუფიამ, – მაშინ ერთი თვის შემდეგ შემოგივლიო“.

როდესაც სუფიის მიმდევრის გონებას ინტუიცია ხელმძღვანელობს, იგი დამაჯერებლად ვეღარ ხსნის თავის ქმედებებს.

დღესდღეობით მცხოვრები ნებისმიერი სუფია წარსულისა და მომავლის სუფიას განსახიერებს.

კაცობრიობისათვის ინტუიციის ნიჭიერების დაშრეტა ქმნის თითქმის უიმედო სიტუაციას და ბევრი სუფიური იგავი ამტკიცებს ამ ფაქტს. ბრინჯიანი ტომრის იგავში სუფია გამოდის ჩვეულებრივ უხეშ პიროვნებად:

ერთხელ სუფია შეელაპარაკა იმ მონასტრის წინამძღვარს, სადაც იმ დროს ცხოვრობდა. ამ ამბის შემდეგ, საწყობიდან ერთი ბრინჯიანი ტომარა გაქრა. წინამძღვარმა მონასტრის ეზოში ყველას გამწკრივება უბრძანა. როცა ყველა შეგროვდა, მან თქვა: – „ქურდს ბრინჯის მარცვალი წვერში აქვს გაჩრილიო“. – „ეს ქურდის აღმოჩნის ძველი მეთოდია, რომელიც დამნაშავეს უნებლიერ საკუთარ წვერზე ხელის მოსმას აიძულებსო“, – გაიფიქრა ნამდვილმა ქურდმა და უძრავად დგომა გააგრძელა.

სუფიამ გაიფიქრა: – „წინამძღვარი ყველაფრისთვის მზადაა, რათა ჩემზე შერი იძიოს. ალბათ სპეცია-

ლურად ჩამიგდო ბრინჯის მარცვალი წვერშით“. შეეცადა შეუმჩნევლად ჩამოეგდო იგი წვერიდან.

როგორც კი მისი თითები წვერს შექმა მიხვდა, რომ ყველა მას უცქერდა.

— „ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან დამიჭერდა“, — თქვა სუფიამ.

რა შეიძლება დავასკვნათ? — ის, რასაც ზოგიერთი ადამიანი „წინათვრმნობას“ უწოდებს, ხშირად ნევროზისა და წარმოსახვის შედეგს წარმოადგენს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ მხოლოდ დასავლეთისთვისაა დამახასიათებელი მისტიკისადმი სკპტიკური მიღომა. აღმოსავლეთში საკმალ ფართოდაა დამკვიდრებული ის აზრი, რომ მისტიკური სკოლის შეგირდებს დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ. ხშირად სუფიები ყურადღებას არ აქცევენ ამგვარ შეხედულებას, რადგან ადამიანები, რომლებიც ამ აზრს იზიარებენ, თავად არიან ძალაუფლების ქვეშ მოქცეული.

სუფიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდები. ეს იმით აიხსნება, რომ სუფია აქტიურ ქმედებას წარმოადგენს. თუმცა ადამიანები მიაყურადებენ მას, ვისაც შეუძლია ჭეშმარიტების თქმა, მაგრამ ამ ჭეშმარიტების რეალობა, როგორც წესი, ვერ აღწევს მათი ზედაპირული შესაძლებლობის სიღრმეში.

სუფია მყისიერად ჩასწვდება ბევრ ისეთ საგანს, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია.

ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობები არაგულწრფელია და არასრულყოფილი. სუფიური ურთიერთობები ატარებენ სრულიად სხვა სახეს და სასიათს. უხეშობისა და არაადამიანური ქცევები, რომელიც ასე ჩვეულებრივია ყოფით ცხოვრებაში, მისტიკურ სამყაროში გამქრალია.

ის მისტიური გამოცდილება, რომელიც სიტყვებით გადაეცემა, თითქმის ყოველთვის წარმოადგენს ფაქტების უსარგებლო დამახინჯებას. გარდა ამისა, ამ დამახინჯებებს ისეთი დაბეჯითებით გადმოსცემენ, რომ იგი შეიძლება ღრმა მცნებებად მოგვეჩენოს, მაგრამ სინამდვილეში, მას არავითარი შემეცნებითი ფასეულობა არ გააჩნია. სუფიისათვის მისტიკიზმი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გაემართო სადღაც და გასხივოსნებას მიაღწიო, ხოლო შემდეგ ეცადო გამოავლინო მიღწევები. სუფია თვლის, რომ მისტიკიზმი დაკავშირებულია ადამიანის არსთან და ხელს უწყობს უმაღლესი გაგების ფორმებთან კონტაქტების დაჭრერაში.

სუფიის ერთ დიდ მოძღვარს ასეთი კითხვა დაუსვეს: — „სუფიას რა მეთოდები ესაჭიროება?“

მოძღვარმა ასე უპასუხა: — „სუფია არ არსებობს მთლიანობის გარეშე, სუფია არ არსებობს ყოფიერებისა და ჩამოყალიბების გარეშე, სუფია არ არსებობს ურთიერთკავშირის გარეშე“.

სუფიური გამოცდილება ოსტატთან ერთობლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია, როდესაც სიტყვას უკვე აღარ შეუძლია მოახდინოს რაიმე ზემოქმედება.

სუფიზმმა დაამტკიცა, რომ გასხივოსნებისკენ მიმავალი დაკანონებული გზა არ არსებობს.

ხანდახან სუფიები ერთმანეთს ნიშნების საშუალებით მიმართავენ, და მათი ურთიერთობის მეთოდები შეიძლება უცნობი და გაუგებარი იყოს იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ყველაფერს ჩვეულებრივი „არშინით“ ზომავენ.

ჩინელმა ბრძენმა სუფიას უთხრა: — „თითოეული ადამიანი ისე უნდა იქცეოდეს, როგორც იგი სხვებისაგან მოითხოვს. შენმა გულმა სხვას ის უნდა უსურვოს, რასაც უსურვებ შენს საკუთარ თავს“ (ეს არ არის ქრისტიანული რელიგიის ოქროს წესის ციტირება, თუმცა ეს სიტყვები აზრით ანალოგიურია. ეს ციტატა კონფუციდანაა ჩვ.წ.აღ-მდე 551 წ.). სუფიამ უპასუხა: — „ეს შენიშვნა გააოცებს ადამიანს, ვინც დაფიქრდება იმის თაობაზე, რომ თუკი ის, რასაც ადამიანი უსურვებს საკუთარ თავს, აღმოჩნდება არასასურველი მისთვის, რაღა უნდა უსურვოს მან თავის მტერს, მეგობარზე რომ აღარ ვიღაპარაკოთ“. ის, რაც მან უნდა უსურვოს სხვას, არ ემთხვევა საკუთარი თავისადმი გამიზნულ სურვილებს. არის საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ მისთვის, და ასევე არსებობს საგნები, რომლებიც სხვებისთვისაა გათვალისწინებული, ადამიანები ამას მხოლოდ შიდა ჭეშმარიტების შეცნობის დროს იგებენ.

სუფიის პასუხის მეორე ვერსია გამოიყურება უფრო მოკლედ: „ერთი ფრინველი შხამიან კენკრას კენკავდა, რომელიც მას ზიანს არ აყენებდა. ერთხელ მან შეაგროვა ამ კენკრის რამდენიმე მარცვალი და თავის მეგობარ ცხენს მიუტანა, რომელიც მოიწამლა და მოკვდა“.

სუფია მტკიცედ ითხოვს, რომ პირველადი ყურადღება რეალობას მიექცეს და არა ეთიკურ მოსაზრებებს, რომლებიც სინამდვილიდან დაცილებულია. მსგავს ეთიკურ ნორმებს ჩვეულებრივად მიაწერენ რაღაც უნივერსალურობას, მაგრამ მათი ზედაპირული გაცნობა გვიჩვენებს, რომ სინამდვილესთან კავშირი არ გააჩნიათ.

სუფიზმის სწავლება, მისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ყველა ადამიანისთვის შეუძლებელია. პიროვნება ამისათვის უნდა „მომწიფებეს“. იგი დაკავებული უნდა იყოს პრაქტიკული საქმიანობით და ოსტატნოა და სხვა სუფიებთან ურთიერთობით სარგებლობას ღებულობდეს. ყველაფერი სხვა შეიძლება მოკლედ განვსაზღვროთ, როგორც „კოცნის მცდელობა შუამავლის მეშვეობით“. ესეც, რასაკირველია, კოცნაა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც საჭიროა.

სუფიზმი ითვლება იმ მეთოდად, რომლის საშუალებითაც, რელიგიური მასწავლებლების აზრით, შეიძლება იპოვო შენი ჰეშმარიტი გამოხატულება, მაშინ მომავალმა სუფიამ აუცილებლად უნდა იპოვოს სწავლების წყარო, ანუ მასწავლებელი (მოძღვარი).

ახალბედა შევირდი ოდნავ თუ შესძლებს გაარჩიოს ჰეშმარიტი არაჰეშმარიტისაგან. სუფიური ანდაზა გვასწავლის: „ყალბი მონეტები იმიტომ არსებობენ, რომ არსებობს ნამდვილი ოქრო“. მაგრამ როგორ გაარჩიოს ნამდვილია იგი თუ ყალბი მან, ვინც ჯერ კიდევ მზად არ არის ამისათვის?

მიუხედავად ამისა, დამწყებს მაინც ვერ ვუწოდებთ ყველაფრის მიმართ მთლიანად უგრძნობელს, რადგანაც იგი ნაწილობრივ ავლენს ნამდვილი „ოქროსადმი“ რეაგირების შიდა ნიჭიერებას. მოძღვარი, რომელიც გრძნობს ამ არსებულ ნიჭიერებას, შეძლებისდაგვარად გამოიყენებს მას, როგორც სიგნალების აღქმის აპარატს. მასწავლებელი სხვადასხვა სტადიებზე მოახდენს საკუთარი სიგნალების სისტემატიზირებას ისეთნაირად, რომ შეგირდის მცირედეფექტურმა აპარატმა შესძლოს მათი აღქმა.

ეს მასწავლებლის მხრიდან ჯერ კიდევ ლოდინის ეტაპია, რასაც მოსამზადებელი პერიოდი ეწოდება. შეიძლება ამ დროს არსებული ურთიერთობები დისპარმონიულადაც კი მოგვეჩვენოს.

არანორმალური (ასე ჩანს გარედან) ქცევები მათ განმასხვავებელ სახეს წარმოადგენს. ეს ქცევები შეიძლება იყოს აუხსნელი და ბრიყულადაც კი შეფასდეს. ყველა სუფიური იგავში ხაზი ესმევა იმ თეზისს, რომ ყველაფრისთვის უნდა გადაგიხადოთ საზღაური, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს შევიძენთ.

საბოლოოდ, სუფია ყოველთვის წყლიდან მშრალი გამოდის, რადგან ცნობილია, რომ, თუმცა სუფიურ გზაზე მყოფი ადრეულ სტადიაში რაიმეს „კარგავს“, მაგრამ სინამდვილეში მაძიებელი არაფერს არ იხდის. ანუ იგი არაფრით იხდის. იგულისხმება ის, რასაც გააჩნია რეალური ფასეულობა.

სუფიათა მიღვიმა ფულისადმი განსაკუთრებულია, და მთლიანად განსხვავდება იმ ზედაპირული, ფილოსოფიური ანდა თეოლოგიური წარმოდგენებისაგან, რომელთა მიხედვითაც ფული ყველა უბედურების მიზეზია, ანდა რომ რწმენა და ფული ურთიერთსაპირისპირო მცნებებია.

ერთხელ სუფიამ ერთ მდიდარს ფული სთხოვა.

— „რისთვის გინდა ფული?“ — ჰყითხა მდიდარმა.

— „სპილოს ყიდვა მინდა“.

— „მაგრამ თუ ფული არ გექნება, როგორ გამოკვებავ მას?“.

— „მე ხომ მარტო ფული გთხოვე და არა რჩევა!“

ეს ისტორია დაკავშირებულია იდუმალ სპილოსთან. სუფიის მიმდევარს ფული მხოლოდ საკუთარი „შრომისათვის“ სჭირდება. სუფიის მიმდევარი ხვდება, რომ მდიდარი ვერ მიუხვდება ფულის ხარჯვის მიზნებს, რადგანაც მდიდრის გონება ხარჯთაღრიცხვითაა დაკავებული, ამიტომაც სუფიამ სუფიური მოძღვრების იდუმალი სიტყვა „სპილო“ გამოიყენა. ბუნებრივია, რომ მდიდარი ამას ვერ გაიგებდა.

სუფია ღარიბია, ხოლო ღარიბებს (ფაკირებს) სუფიები ადამიანებს უწოდებენ. ისინიც მათ რიცხვს ეკუთვნიან. სუფია იძენს ფულს და ისეთნაირად ანაწილებს, რომ მოაზროვნე ფორმალისტისათვის მთლიანად გაუგებარია.

ბევრი სუფიური იგავი და ისტორია აფორიზმად გარდაიქმნა. აი, რამდენიმე მათგანი:

„მე ყველა კითხვაზე არ ვპასუხობ, ვპასუხობ მხოლოდ იმ კითხვებზე, რომელებსაც ყოვლისმცოდნები ჩუმად უსვამენ ერთმანეთს“;

„ნიმუში ნიმუშია, მაგრამ ჩემს სახლს არავინ იყიდის, თუ გაიგებს რა აგურითაა იგი აშენებული“.

„ხალხი მთხოვს, რომ მე მათ ჩემი ძმარი გავასინჯო, მაგრამ თუ ყველას გავასინჯებ, იგი ხომ არ გახდება ორმოცი წლის, ასე არ არის?“

„იმისათვის, რომ ფული დამეზოგა, ჩემი ვირის ვაშიმშილე. სამწუხაროდ, ამ ცდას დიდი ხანის არსებობა ეწერა, რადგანაც ვირი მომიკვდა. ეს ზუსტად მაშინ მოხდა, როდესაც ის იყო შეეჩია უჭმელობას“;

„ადამიანები მოლაპარაკე თუთიყუშებს ძალიან დიდ ფასს ადებენ, მაგრამ არასოდეს ჩაფიქრებულან იმის თაობაზე, თუ რა საგანძურს წარმოადგენს მოაზროვნე თუთიყუში“.

## მეოთხე საუბარი სუფიაზე

„ის ვისაც გზაში ჩაეძინება,  
ან ქულს დაპარგავს, ან თავს“

დასავლეთში მიჩნეულია, რომ ეზოთერულ ცოდნას მათ თევზზე დადებულს მიარომევენ. სუფიური გზა განსაკუთრებული სახით თვითშემეცნებაა. ეს მოდის ადრე, ვიდრე ადამიანი მოძღვრის რჩევებისა და ცოდნის გაებას დაიწყებს: „თუ თქვენ საკუთარ თავს არ გაკიცხავთ, მაშინ სხვის მიერ თქვენ გაკიცხვას არ მიიღებთ“.

განდეგილური ცხოვრების წესი მაძიებლებში ძალიან დიდ ყურადღებას იპყრობს. სუფიური მოძღვრების შემსწავლელმა უნდა დააზუსტოს თავისთავში, თუ რა ფორმის განდეგილობა უნდა აირჩიოს. სუფიებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „მეგობრებს შორის ფეხებშეკრული (ფეხებგაბაწრული) ჯდომა და ურთიერთობა ჯობია თუ მშვენიერ ბაღში ფეხებშეკრული, მაგრამ უცხო ადამიანთან ცხოვრება?“ ამაზე ყველას თავისებური პასუხი გააჩნია. მაძიებელმა იფიქროს რომელი ჯობია. ცხოვრებისაგან გაქცევა და განდეგილობა მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია გამართლებული. ზედაპირული ცოდნის მქონე ე.წ. განდეგილებმა ყველას ის აზრი ჩაუდეს თავში, რომ მისტიკოსები მაინცდამაინც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მთებსა და უდაბნოში განდეგილად უნდა ცხოვრობდნენ. თუ სუფიურ მოძღვრებას მთელ ხალიჩას შევადარებთ, ამნაირმა „განდეგილება“ ამ ხალიჩის მხოლოდ და მხოლოდ ერთ პატარა ძაფს გამოკრეს ხელი ანუ „ძაფისოდენა“ ცოდნა მიიღეს მხოლოდ.

ერთი სუფია ხელგაშლილი ადამიანის სახლს ესტუმრა და იქ მწერალთა საზოგადოება აღმოაჩინა, რომლებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ინტელექტუალურ ვარჯიშებში. ვიღაცამ სუფიას საუბარში მონაწილეობა შესთავაზა. – „ჩემს განუვითარებელ გონებას მხოლოდ ერთი ორტაეპედის წარმოთქმა შეუძლია“, – თქვა სუფიამ. ყველამ ერთად სოხოვა მას წარმოეთქვა ეს ორტაეპედი. სუფიამ თქვა: „ვიტანჯები რა შიმშილით, იმდინ თვალით მაგიდას ისე შევცემრი,

როგორც უცოლო შეჰქერებს ქალთა აბანოს კარებს“.

ამ ორტაეპედით სუფიამ ერთი მხრივ მიანიშნა, რომ ჭამის დრო იყო და არა საუბრისაო, მეორე მხრივ კი მიანიშნა, რომ ინტელექტუალური ყბედობა რეალური გაგების მხოლოდ ფონს წარმოადგენს.

სახლის პატრონმა იმწუთშივე თქვა, რომ ხორცი მალე იქნებოდა მზად. – „მშიერი ადამიანისათვის უბრალო პური ხორცზე ნაკლები პროდუქტი როდიაო“, – უპასუხა სუფიამ.

სუფიები კიცხავენ მათ, კინც ცდილობს ძალიან სწრაფად დაიწყოს სწავლა, და არ ესმით ის, რომ მათი დღევანდელი ხისტი მდგომარეობა სუფიზმის შესწავლის საშუალებას არ მისცემს: – „შეუძლია კი მძინარემ მძინარე გააღვიძოს?“ – კითხულოს სუფია. თუ სწორია ის, რომ ადამიანის სიტყვა მის საქმეს უნდა შეესაბამებოდეს, მაშინ უფრო სწორია, რომ დამკვირვებელს უნდა შეეძლოს ამ საქმეების შეფასებაც. ადამიანთა უმრავლესობას ეს არ შეუძლია. – „ბრძნთა თათბირი ტანსაცმლით მოვაჭრეთა ბაზარს მოგვაგონებს. თუ ფულს არ გადაიხდით, ვერაფერს ვერ წაიღებთ ამ ბაზრიდან. თათბირიდან მხოლოდ იმის წაღებას შესძლებთ, რისი ნიჭიც გაგაჩნიათ“.

სუფია ასევე აღნიშნავს მომავალი შეგირდების ეგრისტურობას, რასაც ისინი საკუთარი განვითარებისა და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ავლენენ. საჭიროა მაძიებელმა მიაღწიოს პირად სურვილებსა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის პარმონიას: ერთ ბრძენს სუფიათა მალული საზოგადოების შესახებ შეეკითხნენ. მან უპასუხა: – „ამ საზოგადოების ყველაზე პატარა წარმომადგენელიც კი ანგარიშს უწევს სხვათა სურვილებს უფრო მეტად, ვიდრე საკუთარს. ბრძენმა თქვა: – „ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავითაა დაკავებული, ვერ ივარგებს ვერც ძმად და ვერც ნათესავად“.

საიდუმლოს არადროულ გახსნას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე სიკეთისა. სუფიების გააჩნია ისეთი საიდუმლოებანი, რომლის გაებაც მოძღვრებიდან მოწყვეტითაც შეიძლება. მოუმზადებელ ადამიანს შეუძლია არასწორად გაანაწილოს ენერგია და ამ ენერგიის შემნახველ საცავს სუფია წარმოადგენს: „ერთ კაცს უშნო ქალიშვილი ჰყავდა. მან იგი ბრმაზე გაათხოვა, რადგანაც სხვა არავინ წაიყვანდა ცოლად. შემდგომში ერთმა ექიმმა ბრმას ხედვის დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ სიმამრი უარზე იყო, ეშინოდა, როდესაც სიძე თვალს აახელდა, მის ქალიშვილს გაეყრებოდა“. სუფია ამ იგავის თაობაზე ასე ასკვნის: „უკეთესია, როდესაც ულამაზო ქალის ქმარი ბრმააო“.

თუ ადამიანი გულუხვობასა და სულგრძელობას (დიდსულოვნებას) სწორად და ენერგიულად

გამოიყენებს, იგი მისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცევა და მაძიებელს სუფიური მოძღვრების აღქმა ძალიან გაუადვილდება.

არსებობს მჭიდრო კავშირი დაუინებულობასა და ვაჟკაცობას შორის – ერთი მხრივ, და დაუინებულობასა და გულუხვობას შორის – მეორე მხრივ. სრულყოფილების სხვა სისტემებში დაუინებულობასა და ვაჟკაცობას შორის კავშირი ძალიან წაწეული და შემეცნებები ორთაბრძოლების საშუალებით ხორციელდება.

ამის თაობაზე სუფიური მოძღვრება ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთ აფორიზმში: „ერთი ადამიანი ბრძენთან მივიდა და ჰყითხა: – „რა უკეთესია: მამაცობა (გმირობა, სახელოვნება) თუ გულუხვობა?“ ბრძენმა უპასუხა: – „გულუხვისათვის მამაცად ყოფნა არაა აუცილებელი“. ეს წარმოადგენს სუფიური მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. აუცილებელია ასევე აღვნიშნოთ, რომ ის ფორმა, რომლითაც წარმოებს სწავლება, ბრძენის სუფიურ პასუხში ძევს: როდესაც გეკითხებიან – „რომელი ჯობია?“, არაა აუცილებელი უპასუხო, ზუსტად რომელი...

ნამდვილ სუფიას ისეთი შიდა თვისებები გააჩნია, რომელთა ფასი უფრო ნაკლებად განვითარებულ ადამიანებთან ურთიერთობის შემთხვევაშიც არ მცირდება:

მეფე სამეფო კარის წარმომადგენლებთან ერთად უდაბნოში ნადირობდა. უცებ ძლიერ აცივდა. მეფებ ბრძანა, რომ ღამე გლეხის ქოხში გაეტარებითათ. ქვეშევრდომებმა მეფეს იმის ახსნა დაუწყეს, რომ მისი, როგორც გვირგვინოსნის ღირსება, დამცირდებოდა. გლეხმა ასე უპასუხა: – „ამით მისი აღმატებულობის ღირსება არ დაეცემა, ჩემი ღირსება კი ბევრად მოიმატებს, თუ კი მეფე ასეთ პატივს დამდებს“. ამ სიტყვების გამო მეფემ იგი საპატიო ტანსაცმლით დააჯილდოვა.

## მას უთე საუბარი სუფიაზე

მაიმუნმა ბოთლში ალუბალი დაინახა და ამოღება სცადა. ხელი ბოთლში ჩაყო, ალუბლის მარცვალს წავლო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ თათს უკან ვერ ამოიღებდა. უცებ ის მონადირე გაჩნდა, რომელმაც ეს მახე დააგო და მაიმუნი დაიჭირა. – „ყოველ შემთხვევაში, ალუბალი ხომ მაინც მე დამრჩა“, – გაიფიქრა მაიმუნმა. ამ დროს მონადირემ მაიმუნს იდავყში დაარტყა, თათი ბოთლიდან ამოვიდა, ხოლო ალუბალი შიგ დარჩა. მონადირე ფლობდა ალუბალსაც, ბოთლსაც და მაიმუნსაც.

უარის თქმით რამეზე მხოლოდ იმის გამო, რომ სხვები ამას არასწორად გამოიყენებენ, სიბრიყეა. შეუძლებელია სუფიური ჭეშმარიტება დაიყვანო წესებამდე, ფორმულამდე და რიტუალამდე, თუმცა იგი ნაწილ-ნაწილ ყველგან არსებობს, რადგან იგი მრავლისმომცველია (შეიცავს წესებსაც, ფორმულებსაც და რიტუალებსაც).

ხიდრთა სუფიური ორდენი (ხიდრი ანუ წმინდა გიორგი) არა მარტო ქართველთა, არამედ სუფიის მიმდევართა მფარველიცაა და მათი იღუმალი ხელმძღვანელიც, მას ხშირად ილია წინასწარმეტყველთან აიგივებენ. ასე რომ, ქრისტიანული წმინდანების მფარველად ყოფნა ჩვეულებრივი მოვლენაა სუფიურ მოძღვრებაში.

ზღვას შეეკითხნენ, თუ რატომ ჩაიცვა მან მწუხრის ლურჯი ფერი და რატომ აღელდა, როგორც ალისაგან აღუღებული წყალი. ზღვამ უპასუხა, რომ ლურჯი საყვარელთან განშორების ფერია, „სიყვარულის ცეცხლი კი მაღუღებსო“.

ყვითელი ფერი – ოქროს ფერია – იმ სრულყოფილი ადამიანის ალქიმიაა, რომელიც იწმინდება მანამდე, სანამ იგი ოქროდ არ გადაიქცევა. ამ ორი ფერის შეხამება მწვანე ფერს იძლევა, რომელიც განდობის, სიცოცხლის, ჭეშმარიტებისა და უკვდავების ფერია.

შემოგთავაზებთ ნაწყვეტს სუფიური ნაწარმოებიდან „ფრინველთა პარლამენტი“:

ოფოფი (სუფია) თავს უყრის ფრინველებს, რომლებიც კაცობრიობას განასახიერებენ და მათ იღუმალი მეფის საძებრად გამგზავრებას შესთავაზებს.

1. პირველ ველს ძიების ველი ჰქვია. აქ მოგზაურებს მოელით ყველანაირი ხიფათი, მათ საკუთარ სურვილებზე უარი უნდა თქვან.

2. მეორე არის სიყვარულის ველი – ის უნაპირო ოკეანეს წარმოადგენს, სადაც მაძიებელი შეყვარებულის ძიების მისწავლებებშია მთლიანად ჩაფლული.

3. შემდეგ ინტუიციური ცოდნის ველი მოდის, სადაც გული აღიქვამს ჭეშმარიტებას, სინათლეს და ღმერთის შეცნობას იწყებს.

4. განცალკევების (გაყოფის) ველზე მოგზაური სურვილებისა და დამოკიდებულებებისაგან თვის სუფლდება.

ოფოფსა და ბულბულს შორის საუბარში ნაწარმოების ავტორი – ატარი ამბობს, რომ ეგზალტირებული მისტიციზმი არარაობაა, იგი მიმართულია რომანტიზმისკენ და სევდით აღაზნებს ადამიანს, რის შემდეგაც გარეგან განცდებს არასერიოზულად უდეგება და რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილია. მგზნებარე ბულბული წინ გაიჭრა, მისმა ჭიკჭიკმა ათასი საიდუმლო გაამჟღავნა, იგი ისე ენაწყლიანად საუბრობდა, რომ ყველა სხვა ფრინველი დადუმდა.

აი, რას ამბობდა ბულბული: – „მე სიყვარულის საიდუმლოება ვიცი. მთელი დამე სიყვარულს ვეძახი. ჩემი სიმღერა ფლეიტის ჩივილი და ბარბითის ტირილია. ჩემს გალობას მოჰყავს ვარდი მოძრაობაში და იწვევს მოსიყვარულეთა გულისცემას. მე უფროდაუფრო შევდივარ სიყვარულის საიდუმლოში, მაგრამ თითოეული მათგანი სევდით საგსე ზღვის ზვირთების მსგავსად, ისევ მე მეჯახება, ჩემი მსმენელი აღფრთოვანებისგან გონებას კარგავს. როდესაც ვარდი დიდი ხნით მტოვებს, მე ტირილს ვიწყებ. გაზაფხულზე ვარდი ისევ ჩნდება და მეც ბედნიერებას გულს ვუხსნი. ბევრმა არ იცის ჩემი საიდუმლო, მაგრამ ვარდმა მშვენივრად იცის იგი. მე მხოლოდ ვარდზე ვფიქრობ, ლალისფერი ვარდის გარდა არაფერი მინდა“.

მეფე სიმურგის პოვნა ჩემს ძალებს აღემატება – ბულბულისათვის ვარდის სიყვარული საკმარისია: – „იგი მხოლოდ ჩემთვის იფურჩქნება...“. შეძლებს კი ბულბული საყვარელის გარეშე თუნდაც ერთ დღეს იარსებოს?

ოფოფმა შესძახა: – „ო, მიუხვედრელო, შენ მხოლოდ ნამდვილი ჩრდილები გიზიდავენ! შენი გული ვარდის გარეგნობითაა მოჯადოებული და ამ სიყვარულის მონა გახდი. რა სილამაზის ვარდიც არ უნდა იყოს, სილამაზე მალე ქრება. ასეთი ცვალებადობისადმი სიყვარული სრულყოფილ ადამიანში სიძულვილს იწვევს.

ვარდის ღიმილი სევდის გაღვიძებასა და მის მუდმივ არსებობას იწვევს შენში. იგი ყოველ 21

გაზაფხულზე თავისი ღიმილით დაგცინის, სამაგიეროდ თვითონ არასდროს ტირის და არავითარი სევდიანი განცდა არ გააჩნია – უარი თქვი წითელ ვარდზე“.

განწმენდა მხოლოდ სიყვარულის ცეცხლს ძალუბს, რომელიც მუდმივია, იგი წვავს საფუძველს და ბირთვს სითეთრემდე ახურებს. ლითონი სცილდება ქანებს და ჩნდება სრულყოფილი ადამიანი, და იგი იმდენადაა სახეშეცვლილი, რომ მისი ცხოვრების თითოეული ასპექტი გაკეთილშობილებულია. გარეგნულად არ იცვლება, მაგრამ შინაგანად სრულყოფილია, მისი სულის ყველა სიმი გასუფთავებული და ახალ საფეხურზე ასულია, ამის შემდეგ მას უფრო მაღალი ნოტების აღება, ღრმად შეღწევა და სხვათა ყურადღების მიქცევა შეუძლია.

ამის გამო ადამიანთა ერთი ნაწილი მის მიმართ დიდ სიყვარულსა და აღფრთოვანებას გრძნობს, მეორე ნაწილი კი სიძულვილს, რაც სხვა ადამიანებისათვის შესამჩნევია. მათ ბედზე ზემოქმედება ძალუბთ, რადგან უსასრულო რწმენა შეიძინეს. ისინი უკვე არ რეაგირებენ იმ საგნებზე, რომლებიც ადრე მათზე ზემოქმედებდნენ და სევდას იწვევდნენ.

სუფიური მოძღვრება ამბობს, რომ ოფოფის აზრით მატერიალისტები არ დაინტერესდებიან და არც დაიჯერებენ, თეოლოგი მათ წინააღმდეგ გამოვა, მეოცნებე არ მიაქცევს ყურადღებას, ზედაპირულად მოაზროვნე თავს აარიდებს ეგზალტირებული მისტიკის უარყოფას, თეორეტიკოსი და მიმბამველი ოფოფის აზრს მიიღებენ, მაგრამ არასწორად გაიგებენ. ჩვენ კი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავიოთ; „სანამ მეხუთე ფიალით ვისიამოვნებთ, საჭიროა პირველი ოთხი ფიალის შესმაც, რომელ-თაგანაც თითოეული მოშიბლავია“.

მაძიებელს ესმის, რომ საგნებს მათი სიახლისა თუ სიძველის მოუხედავად, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. შეცნობილს ფასეულობა არ გააჩნია. მოგზაური თავიდან განიცდის ყველაფერს. იგი აცნობიერებს რეალობასა და ტრადიციების მიმართ ერთგულების განსხვავებას, რომელიც რეალობის ანარეკლს წარმოადგენს.

5. მეხუთე ველს – გაერთიანების ველს უწოდებენ. აქ მაძიებელი იმ ნივთებისა და იდეების ერთიანობას აღიქვამს, რომლებიც ადრე მას განცალკევებულად მიაჩნდა.

6. აღტაცების ველზე მოგზაურს ეუფლება სიყვარულთან განზავებული დაბნეულობა. იგი ცოდნისადმი უკვე სხვანაირადაა განწყობილი – ცოდნა სიყვარულმა შეცვალა.

7. მეშვიდე და საბოლოო ველს – გარდაცვალების ველი ეწოდება. ამ ველში მაძიებელი საიდუმლოს წვდება (აზრს იგებს), თუ როგორ შთანთქავს ოკეანე თითოეულ წვეთს და მოუხედავად ამისა, ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ყოველივე ამის შემეცნება იმას ნიშნავს, რომ მაძიებელმა თავისი „ადგილი“ იპოვა.

ამ ნაწარმოების ავტორია მსოფლიოში სახელვანთქმული მოძღვარი, სუფია სახელად – ატარი (Attar). ეს მისი ფსევდონიმია და თარგმნისას ვდებულობთ ქიმიკოსს, პარფიუმერს. სუფიური ტრადიციით ამ სახელში ჩადებულია იდუმალი აზრი. შევეცადოთ, მცირედ ავხადოთ ფარდა ამ იდუმალ სახელს. არაბული ან სპარსული ენების მცოდნეთათვის აბჯადის (Abjad) სისტემით გაშიფრით სიტყვა „Attar“-ის ასოები შეგვიძლია შევცვალოთ შემდეგი ციფრებით: A(აინ)=70; Ta=9; Ta=9, Алиф=1; Ra=200.

ეს ასოები უნდა მოვიყვანოთ იმ განსაზღვრული მიმდევრობით, რომელიც შეესაბამება სემიტური ორთოგრაფიის წესებს. არაბულ ენაში ასოებისა და ციფრების ჩასმის ჩვეულებრივ ხერხს (Хисаб-აль-Джамаль) წარმოადგენს Абџад-ის სისტემისათვის და რომელიც გამოიყენება მრავალი პოეტური ფსევდონიმისათვის. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, შევკრიბოთ ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობა:  $70+9+9+1+200=289$ . ახალი სამასოვანი „მალული“ არაბული ფესვის მისაღებად საჭიროა (ისევ და ისევ ჩვეულებრივი მეთოდების შესაბამისად) დავშალოთ ჯამი ათეულებად, ასეულებად და ერთეულებად:  $289=200+80+9$ .

ეს ციფრები შეესაბამება შემდეგ ასოებს:

200=P; 80=F; 9=T.

ახლა ლექსიკონის საშუალებით აუცილებელია ვიპოვოთ ის სიტყვები, რომლებიც ამ ასოების (სამი ასოს) რომელიმე კომბინაციით მიიღება. არაბული ლექსიკონი დგება ფესვის სისტემის მიხედვით და ამის შესრულება არაა ძნელი.

მიღებული სამი ასოდან შეიძლება შევადგინოთ შემდეგი ფესვები: РФТ, РТФ, ФРТ, ТФР და ТРФ.

ამ კომბინაციებიდან ერთადერთი ფესვი, რომელიც შეესაბამება ანდა დაკავშირებულია რელიგიასთან, შიდა ანდა იდუმალ საგნებთან, წარმოადგენს ФТР.

სიტყვა „Attar“ გაშიფრული სახით გადმოგვცემს ФТР-ის იმ აზრს, რომელიც Attar-ის

მოძღვრების მითითებებს წარმოადგენს.

Attap-ი იყო ერთ-ერთი უდიდესი სუფია-მოძღვარი. სანამ განვიხილავდეთ არაბული ფესვის ფTP-ის მნიშვნელობას, მოკლედ გავიხსენოთ Attap-ის იდეები: სუფია აზროვნების იმ ფორმას წარმოადგენს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ათარ და მისი მიმდევრები. იგი დაკავშირებულია კაცობრიობის ზრდასა და ორგანულ განვითარებასთან. აზროვნების ამ ფორმის ჩაწერის წარმოადგენს დამის შემდეგ დღის დადგომას, პურის ნატეხს ხანგრძლივი მარხვის შემდეგ, იმ მოულოდნელ და ინტენსურ ფსიქოლოგიურ და მენტალურ შემოქმედებას, რომელიც იწვევს ადამიანის ინტუიციურ მოთხოვნილებას.

ფესვი ფTP კი შეიცავს მითითებებს იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ქრისტიანებსა და ისლამის მიმდევრებს შორის (სუფიები თავიანთ თავს უწოდებენ ეზოთერულ ქრისტიანებს და ასევე მუსულმანებს, რადგანაც ამ ორივე რელიგიის ჩამოყალიბების „დედას“ სუფიზმი წარმოადგენს.)

სუფიურ მოძღვრებებში, მის ლექსებში და იგავებში ბევრჯერაა ნახსენები: ვენახი, ყურძენი და ღვინო, რომლებიც სუფიურ პოეტურ ანალოგიას წარმოადგენს ზეციური ძალებისა და მისი შეცნობის ხერხებთან. მათი შეცნობითა და ათვისებით სუფიის მიმდევარი შიდა გამოცდილებას ღებულობს, რის შემდეგაც მასში იხსნება ზებუნებრივი შემეცნების გზები.

დიახ, ყველა ეს მცნება გადმოიცემა იმ სიტყვებით, რომელთა ფესვი ფTP-ით წარმოიქმნება და ქმნის სუფიური ყოფის მოზაიკას. ახლა განვიხილოთ თვით ფესვი ფTP და მისი მნიშვნელობები:

ФaTaP= რაიმეს დაყოფა; გამოკვლევა, მისი დაწყება;

ФиTPaT= ბუნებრივი მიღრეკილება, რელიგიური გრძნობა, ღვთიურ ნებაზე დაქვემდებარება;

?????= შემოქმედი და ა. შ.

სუფიური მოძღვრის ატარის მიერ შემუშავებულ იქნა განსაკუთრებული სუფიური ვარჯიშის მეთოდი, რომელსაც შეიძლება „დროვ, წამით სდექ!“ ვუწოდოთ. იგი ცხოვრებისეული დროის მყისიერ შეჩერებას გულისხმობს. ეს ხდება მაშინ, როდესაც მოძღვარი თავის შეგირდებს ყოველგვარი მოძრაობების შეჩერებას თხოვს. ითვლება, რომ ყოველნაირი ფიზიკური ქმედების მოულოდნელი შეწყვეტა ადამიანის გონიერებას (ცნობიერებას) ეხმარება თავისი ინტელექტუალური განვითარების გზაზე განსაზღვრული ნაბიჯების გადადგმაში და ეს ხდება იმ ენერგიის მეშვეობით, რომელიც კუნთებს უნდა დაეხარჯათ მოძრაობისას.

ფესვი RTΦ-ი განსაზღვრული გარდაქმნების საშუალებით შეიძლება ფესვ KMM-ად გარდაიქმნას. აბაджად სისტემის გამოყენებით, ამ ფესვიდან, თავის მხრივ, შეიძლება მივიღოთ სიტყვა – КИФФ – „ღვთიური შეჩერებას“. ამ „შეჩერებას“ უწოდებენ ვარჯიშს „სდექ!“ მისი შესრულება მხოლოდ მოძღვრის ხელმძღვანელობითაა შესაძლებელი.

სიტყვა „Гриб“, ფესვ ფTP-ის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობაა და შეუძლია მიგვიყვანოს საინტერესო აზროვნებისაკენ (ფიქრებისაკენ):

ГaРaБ = თავისი სამშობლოს დატოვება, საზღვარგარეთ გამგზავრება;

ГaРuБ= უცხოელად გახდომა;

ГaРaБ= დასავლეთით წასვლა;

аГРaБ=ქვეყნის შიგნით ღრმად შესვლა.

ფესვ ფTP-ს სუფიები შიდა განცდების, შიდა „სიმთვრალის“ გამოსახატავად ხმარობენ და ეს მეორე დასკვნაა ფTP ფესვის შესახებ. ამ მეთოდს „ღვთინით შემთბარი დარვიშების საფეხურია: შემოქმედმა ყურძნის წვენი, ანუ ღვინო სიყვარულის შემმეცნებელთა ანუ სუფიის მიმდევართა საკვებად განაწესა. მას შემდეგ როდესაც სუფიის მიმდევარი შეიცნობს ვაზს, ყურძენს, მაჭარს, მაჭრის დადუღებასა და თვით ღვინოს, შემეცნების პროცესში ღვინო მისთვის ღვთიურ პროდუქტად (საკვებად) გადაიქცევა. ღვთიური სასმელის მიმართ „მწყურვალთა“ საიდუმლოების ხელოვნების შეცნობის შემდეგ ადვილად გასაგები ხდება სრულყოფილი ადამიანის მიერ ჭეშმარიტების შემოქმედებითი ძიების გზების რეალობა. იგი ღვთიურ სასმელს საკვების მიღების შემდეგ ღებულობს და ეს ღვინის სმის რიტუალი, ბრძნული სადღეგრძელების რიგითობა და ჭეშმარიტებების განსხასთან მათი კავშირი ღვინის სმის ხელოვნებას და არა ღრეობას, ლოთობასა და თავდავიწყებას გულისხმობს.

ვაზის სიდიადეზე მეორე სუფიური მოძღვარი მაუგი ასე გამოხატავს თავის აზრს: „არსებობს ისეთი განსაკუთრებული გრძნობები (შეგრძნებები), რომლებიც ჭეშმარიტ სიყვარულთან მიახლოების საშუალებებს იძლევა. ამის საშუალება უძველესი დროის სიღრმიდან მოდის. ჭეშმარიტ სიყვარულთან მიახლოება აუცილებელია კაცობრიობისათვის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ვაზისა და მისი ნაყოფის – ყურძნის საშუალებით. ამიტომ აირჩიეს სუფიზმის უძველესმა მიმდევრებმა სუფიური

მოძღვრების სიმბოლოდ „ვაზის ჯვარი“, ხოლო ქრისტიანულ რელიგიაში „ჯვარი (ვაზისა)“ გახდა რელიგიის სიმბოლო.

სუფიზმის მიმდევრებს უნდა ახსოვდეთ ისიც, რომ არსებობს სიყვარულთან მიახლოების ილუზიური შეგრძნებებიც, რომელიც ავხორცულ ვწებამდე დაიყვანება. ასეთი მიღობა სიყვარულისადმი იწვევს გონიერებისა და აზროვნების გათიშვას.

„ჭეშმარიტი გასხივოსნება მოდის ზუსტად აქედან, ამ წყაროდან, რომელსაც ჩვენ ღვინოს (!!!) ვეძახით და რომელიც ვაზიდან წარმოდგება, მტევნის ჭყლეტვითა და მაჭრის დაღულებით. დაღვინების პერიოდის შემდეგ, ღვინოს აცილებენ ქვევრს (კასრს) და მას უკვე შეძენილი აქვს ძალა. ეს კოსმიური ძალაა, ეს კოსმიური საკვებია და მას ფიზიკურ ნივთიერებათა სამყაროში ანალოგი არ გააჩნია!“ ეს ციტატა აღებულია უდიდესი სუფია შეის მაუქის მოთხოვნათა კრებულიდან – „დუსუდიდან“. მე კი, როგორც მეღვინე, ვფიქრობ, სასურველია მეღვინე იცნობდეს ან მიჰყებოდეს სუფიურ მოძღვრებას.

ზემოთმოყვანილი ნაწყვეტი, გვიხსნის იმას, თუ რას ცდილობდა და რას აკეთებდა „შემთბარი დერვიში (სუფია)“. ეს ნაწყვეტი სპარსულადაა დაწერილი და გამოყენებულია ისეთი სიტყვები, რომლებიც წარმოშობილია FTP-ის ფესვებიდან. არც ერთ თარგმანს არ ძალუდს შეინარჩუნოს ეს ლიტერატურული ილეთი. მნელია გადმოიცეს ის ძლიერი ამამაღლებელი და „შემათრობელი“ შეგრძნება, რომელსაც ავტორი FTP-ზე დაყრდნობით, ერთი და იმავე ხმოვნებით, მრავალ ფილოსოფიურ და იდუმალ აზრს ხსნის, ხსნის სამყაროს, ხსნის მის კანონებს.

როგორც ქართველმა, გავითავისე, რომ ჩვენი უდიდესი შოთა რუსთაველიც სუფიზმის იდუმალი მიმდევარი და ცვატა – ვახტანგ ბატონიშვილის იდუმალი სუფიური ორდენის წევრი იყო. ჩემი აზრით, მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ უდიდესი სუფიური ნაწარმოებია და შედგენილია ზემოთაღწერილი სუფიურ სიტყვათა კონის ფესვების გახსნის მეთოდით. პოემაში მოცემულ სიტყვათა ფუტების გახსნა-შეცნობა უნდა განხორციელდეს, რის შემდეგაც უამრავ საიდუმლოს აეხდება ფარდა.

მეფე-პოეტი ვახტანგ VI რუსთაველის პოემაზე ასე წერდა:

„ტკბილ-მოუბარისა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი,

სიბრძნის სწავლითა იგავნი – საცოლქმრო აშიკობანი.

ბგერად საჩხრეკი ვერ მიხვდენ, მიბაძეს ცუდი ხმობანი,

და საღმრთოდ წერილი საცრულო თქვეს და დაგვიგდეს გმობანი!“

დიახ, „საღმრთოდ წერილი სიბრძნის სწავლითა იგავნია“ „ვეფხისტყაოსანი“ და სწორედ ბგერად ჩხრეკა საჭირო მისი საიდუმლოს ამოსახსნელად!

## მემკვსე საუბარი სუფიაზე

გასხივოსნებული შეიძლება მას ვუწოდოთ, ვისი სიტყვები და საქმეები შეესაბამება ერთმანეთს, ვინც ჩვეულებრივი კავშირები გაწყვიტა ამ ქვეწიერებასთან.

თუ სუფიზმზე ვსაუბრობთ, ცოტა რამ უნდა ვიცოდეთ შუა საუკუნეების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოძღვარ ჯალალუდინ რუმის შესახებ.

მაულანი (პირდაპირი თარგმანით – ბატონი) ჯალალუდინ რუმი, რომელმაც „ბზრიალა დერვი-შების“ ორდენი დაარსა, XIII საუკუნის დასაწყისში დაიბადა. იგი დიდებულთა ოჯახის წევრი იყო, მაგრამ უარი თქვა იმ პერიოდში მცირე აზიაში აღმოცენებულ ოტომანური იმპერიის გვირგვინზე.

არაბეთის, ინდოეთის, პაკისტანისა და თითქმის მთელი მსოფლიოს სუფიის მიმდევრები ჯალალუდინ რუმის ერთ-ერთ უდიდეს მისტიურ მოძღვრად (მასწავლებლად) მიიჩნევენ.

რუმის გარდაცვალების (1273 წ.) ასი წლის შემდეგ მისმა მოძღვრებამ არნახული პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში.

რუმის სულიერი მამა იყო ატარა (AAttara) (1150-1229), რომელსაც წინა გასაუბრებაში შევხეთ.

რუმის მოძღვრების ერთ-ერთი ცნობილი ფრაზა: „ძალლის მიტყეპვით ლომიც ქცევის წეს სწავლობსო“. ეს „ბზრიალა დერვიშების“ იდუმალ ფრაზას წარმოადგენდა. მისი სწორი გაგება სიტყვათა თამაშის სწორ აღქმაზეა დამოკიდებული. იმის მაგივრად, რომ სუფიის მიმდევარმა წარმოსთქვას „ძალლი“, სუფია ამბოს „გულს“, ხოლო „ლომის“ მაგივრად – „უყურადღებო“. ახლა ფრაზის აზრიც იცვლება: „მიტყეპე გული (სუფიური ვარჯიში) და უყურადღებო (ნიჭიერებები) სწორად ქცევას იწყებსო“.

ამ მოწოდებით იწყება „გულის ტყეპვის“ ვარჯიშები, დერვიშების მოძრაობებსა და კონცენტრაციები.

მეორე საინტერესო მომენტს წარმოადგენს კავშირი „კენტერბერიულ მოთხრობებსა“, რომლებიც შიდა განვითარების აღეგორიას წარმოადგენს და ატარას „ფრინველთა პარლამენტს“ შორის. ორივე ნაწარმოებში 30 მოქმედი პირი მონაწილეობს.

სუფიურმა მოძღვარმა რუმიმ დასავლეთის ლიტერატურაზე მნიშვნელოვანი იდეური გავლენა იქნია. მის მოძღვრებათა უმრავლესობა თარგმნილია დასავლურ ენებზე, რითაც მათმა გავლენამ უფრო მეტად მოიმატა. რუმის ლექსების ჭეშმარიტი შეფასება, რომლებშიც მისი საკუთარი აზრებისა და იდეების უდიდესი მარაგია ჩადებული, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მათ ორიგინალში წაიკითხავს ადამიანი. ამის შემდეგ უფრო ძლიერ გრძნობ, თუ რა მნიშვნელოვანია ყოველი გონიერი ქართველი ადამიანისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალში წაკითხვა.

არსებობს სამი დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც რუმიმ შეიცნო გარე სამყარო. რუმის მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს „სულიერი ორტაპედები“ (საინტერესოა ქართველისათვის მისი არაბული სახელწოდება – „მასნავი-ი-მანავი“ – რა უცნაურია არა, ეს ახლობელი სიტყვა „მანავი“ ჩვენთვის?!). რუმი ამ წიგნს 43 წლის განმავლობაში წერდა. ეს ნაწარმოები შედგება ხუმრობებისაგან, იგავებისაგან, დიალოგებისაგან, აქ ნახავთ ცნობებს უფრო ადრეულ პერიოდში მოღვაწე მასწავლებლებზე. ამ ნაწარმოებთა მრავალპლანური ზემოქმედების მემვეობით თანდათან იხატება საერთო სურათი, თუ როგორ ხორციელდება სუფიური მოძღვრების ადამიანის გონებამდე მიტანა.

როგორც ყველა სუფიის მოძღვარი, რუმიც თავის მოძღვრებას იმ გარემოს უხამებს, რომელშიც იგი მუშაობს.

თავის სწავლების სისტემაში რუმი საუბრობს ინტელექტუალურ ვარჯიშებზე, აზროვნებასა და სხეულის ძდებარეობაზე; ქმედებასა და უმოქმედობას აკავშირებს მოძრაობასთან და მუსიკასთან. რუმი წერს: „ლოცვას ფორმა, ბერითი გამოხატულება და ფიზიკური რეალობა გააჩნია. ყველაფერს, რაც სიტყვასთანაა დაკავშირებული, ასევე გააჩნია ფიზიკური ექვივალენტი, ხოლო თითოეული აზრი შეესაბამება განსაზღვრულ ქმედებას“.

რუმის აზრით, ნებისმიერ ადამიანს გააჩნია თავისი სულიერი გამოხატულებისა და მის სიღრმეებში ჩაწვდომის რეალური შანსი (საშუალება).

რუმი თავის მსმენელებთან, პირველ რიგში, რელიგიის თაობაზე საუბრობდა. იგი ექმრობოდა ადრეული რელიგიური მასწავლებლების შეხედულებებს. რუმის აზრით, ჭეშმარიტ რელიგიას არაფერი აქვს საერთო ადამიანთა წარმოდგენებთან რელიგიის თაობაზე. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დოგმების ათვისებით ვერაფერს მივიღებთ. ამ სამყაროში არაფერი არ არსებობს იმის მსგავსი, რასაც ღვთის ტახტს, ანგელოზებსა და ა. შ. უწოდებენ. ამ შედარებების გამოყენება აუცილებლო-

ბითაა გამოწვეული და სრულიად სხვაგვარ საგნებზე მხოლოდ უხეშ წარმოდგენებს იძლევა.

რუმი თავის აზრებში და გამონათქამებში უფრო შორს მიდის იდეით: „მასში ისაა, რაც არის მასში“! ეს წარმოადგენს სუფიური მოძღვრების საფუძველს. იგი ამბობს, რომ ადამიანები განვითარების სამ სტადიას გადიან. პირველ სტადიაზე თაყვანს სცემენ კულტურულ უფლებების – მამაკაცს, ქალს, ფულს, ბაგშვებს, ქვებსა და ოქროს. აღწევენ რა ცოტაოდენ პროგრესს, ისინი ღმერთის თაყვანისცემას იწყებენ. ბოლოს და ბოლოს, ადამიანები უკვე აღარ ამბობენ: „ჩვენ ღმერთს თაყვანს ვცემთ“, ანდა, „ჩვენ ღმერთს თაყვანს არ ვცემთ“. ისინი ამ დროს განვითარების უკანასკნელ სტადიას აღწევენ.

იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ სუფიური გზის შეცნობას, მაძიებელმა აუცილებელია გაიგოს, რომ ძირითადად იგი წარმოადგენს გაქვავებული (გაყინული) იდეებისა და მსჯელობების, ხოლო ნაწილობრივ, სხვათა ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებულ ავტომატური რეაქციების ნაზავს. ადამიანს წარომეული აქვს თავისუფლება, მაგრამ ეჩვენება, რომ იგი მას ფლობს. პირველ რიგში, ადამიანმა უარი უნდა თქვას იმ რწმენაზე (მრწამსზე), რომ მას უკვე რაღაც გაეგება და შეეცადოს რეალურ რწმენებთან მიახლოებას. მაგრამ ადამიანს უკვე შთაუნერგეს ის, რომ მას ყველაფრის ერთი და იგივე ხერხით – ლოგიკური აზროვნების პროცესით – შეცნობა (გაგება) შეუძლია და ეს რწმენა მნიშვნელოვნად უშლის ხელს.

„თქვენ არალოგიკურობის მაგალითს იძლევით, თუკი იყენებთ იმავე მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც თქვენ გასწავლიდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თქვენ მეტკვიდრეობით გადმოგეცათ“.

რელიგიური ცოდნა და ის, რასაც უდიდესი რელიგიური მასწავლებლები გვასწავლიან, სუფიური მოძღვრების ნაწილს წარმოადგენს. იესო ჩვენს შიგნითაა, – წერს რუმი, – ეძებეთ მისი მხარდაჭერა. იესოს გზა მარტოობასთან ბრძოლის და გულისტქმის (ჟინის) გადალახვის გზა იყო. მუპამედის გზა უბრალო ადამიანთა შორის ცხოვრებას მოითხოვს. რუმი წერს: „დაადექ მუპამედის გზას, ხოლო თუ ეს არ შეგიძლია – დაადექ ქრისტიანობის გზას. ეს არადა არ ნიშნავს, რომ რუმი გვირჩევს არჩევანი გავაკეთოთ ამ რელიგიებს შორის. იგი მხოლოდ მიგვანიშნებს იმ მეთოდებზე, რისი საშუალებითაც მაძიებელს სრულყოფილების მიღწევა შეუძლია. ეს მომენტი მხოლოდ მაშინ დგება, როცა მაძიებელი მიხვდება იესოსა და მუპამედის გზებს შორის განსხვავებას. რუმი შენიშნავს, რომ ისინი, ვისაც რამე არ ესმის, აცხადებენ, რომ ეს ყველაფრი უსარგებლო მცდელობებია. სინამდვილეში კი ხელი და ინსტრუმენტი (ხელსაწყო, იარაღი) კაუისა და ფოლადის მსგავსია. შეეცადეთ კაუით დაარტყათ მიწას, განა ამით ნაპერწკალი დაიბადება?! ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, თუ რატომ არ ქადაგებენ სუფიის მოძღვრები (მასწავლებლები) საჯაროდ, არის ის, რომ განპირობებული აზროვნების ძქონე რელიგიური და მატერიალისტი პიროვნებები მათ ვერ გაუგებენ.

„სამეფო მიმინო სახლის ნანგრევებზე ჩამოჯდა, სადაც ბუები ცხოვრობდნენ. მათ გადაწყვიტეს, რომ მიმინო იმიტომ მოფრინდა აქ, რომ ისინი აქედან გააძევოს და თვითონ დაიკავოს მათი ადგილი. მიმინო უთხრა: – „ეს ნანგრევები თქვენთვის შეიძლება შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდეს, მე კი მეფის ხელზე ჯდომა უფრო მომწონს“. აქ რამდენიმე ბუმ დაიძახა: – „არ დაუჯეროთ, იტყუება, მას ჩვენი სახლის წარმევა სურსო!“.

სუფიები თვლიან, რომ იდეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ჩაკეტილ (განპირობებულ) გონებაში შეაღწიონ, თუკი ის ისე იქნება გამოზატული, რომ შეძლებს გვერდი აუქციოს განპირობებულობას.

„კაცობრიობა გრძნობს, რომ არ არის სრულყოფილი და გააჩნია დიდი სურვილი და მისწრაფება ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოს სრულყოფილებას, მაგრამ მხოლოდ სიყვარული თუ მოქმარება მას ამ მიზნის მიღწევაში. აქ რამდენიმე ბუმ დაიძახა: – „არ დაუჯეროთ, იტყუება, მას არა სახლის წარმევა სურსო!“.

სიყვარული თავისთავად ისეთ სერიოზულ საქმეს წარმოადგენს, რომელიც გასხვოსნებასთან უშუალოდ მჭიდრო კავშირში იმყოფება.

ნებისმიერი, ვინც მიაღწია განსაზღვრული დონის გაწაფულობას (დახელოვნებას), ფიქრობს, რომ დამოუკიდებლად შეძლებს გასხვოსნების გზის პოვნას. სუფიური მოძღვრება ამას უარყოფს და კითხულობს: როგორ შეძლებს ადამიანი იპოვოს რაიმე, თუ მან არ იცის, რა არის ეს? რუმი წერს: „ყველანი ოქროსმაძიებლები გახდნენ, მაგრამ ჩვეულებრივ ადამიანი იმ ოქროსაც ვერ ცნობს, რომელსაც პოულობს. თუ თქვენ ოქროს გამოცნობა არ შეგიძლიათ, ბრძენ ადამიანს შეუერთდით“.

ხშირად ჩვეულებრივი ადამიანი მხოლოდ გასხვოსნების ანარეკლს ხედავს, თუმცა ფიქრობს, რომ მისკენ მიმავალ გზაზე დგას.

იმისათვის, რომ საკმარისად მოვახდინოთ წყლის გათბობა, ცეცხლსა და წყალს შორის აუცილებლად შუამავალი (ჭურჭელი) უნდა არსებობდეს“.

როგორ შეუძლია მაძიებელს თავისი ამოცანის განხორციელება და როგორ შეუძლია მას დად-

გეს სწორ გზას? პირველ რიგში მან ამ ქვეყანაზე სიცოცხლეზე და სამუშაოზე უარი არ უნდა თქვას. სამუშაოს მიტოვება არაა აუცილებელი, რადგანაც „ის საგანძური, რომელსაც თქვენ ეძებთ, სწორედ მას შეუძლია მოგცეთ“. ყველა სუფიის მიმდევარი უნდა ფლობდეს რომელიმე შემოქმედებით ხელობას. ეს თავისთავში საკუთარ თავზე მუშაობასაც გულისხმობს და ასევე ალქიმიაში მუშაობასაც, რომლის დახმარებითაც ადამიანი სრულყოფილებას აღწევს: „მცოდნე ადამიანის არსებობით მატყლისაგან ხალიჩას ვღებულობთ, ხოლო დედამიწა სასახლედ გადაიქცევა. სულიერი ადამიანის არსებობის დროსაც მსგავსი გარდაქმნები ხორციელდება“.

როგორც ყველგან, ასევე სუფიზმი ყალბ მასწავლებლებსაც შეხვდებით. სუფიზმის ნამდვილ მიმდევარ მაძიებელს იგი მოუმზადებლად და ნაკლებ ნიჭიერად მოეჩვენება.

„ნუ თვლი, რომ შეგიძლია იმსჯელო სუფიის მიმდევრებზე მხოლოდ და მხოლოდ მათი გარე სახით. სუფია-მასწავლებლებს თავისი საიდუმლოებები გააჩნიათ, და შეგირდებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითონვე შეიცნონ ის. სუფიური მოძღვრება არის ის, რაც ადამიანთან ერთად მოდის და არა ის, რასაც მას მიართმევენ (უძღვნიან).“

„როდის განებებთ თავს დოქისადმი თაყვანისცემას და მის სიყვარულს? როდისდა მიაქცევთ ფურადღებას წყალს?!“

სუფიზმის მიმდევრებს ყოველთვის ახსოვთ თვითგანვითარების ყველა შემაღგენელი ნაწილი. სხვადასხვა პიროვნებები ვითარდებიან სხვადასხვა სიჩქარით. აღქმის ნიჭიერება ადამიანის სულიერი პროგრესის პარალელურად ვითარდება. სუფიები თვლიან, რომ ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ვხედავთ, ვგრძნობთ და განვიცდით, უდიადესი მთლიანობის მხოლოდ და მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სიცოცხლე ერთდროულად უნდა განიხილო როგორც ერთი მთლიანობა და როგორც რაღაც განცალკევებული ნაწილიც. მთლიანობასთან პარმონიის მიღწევა ანუ ყოველმხრივ შემოქმედებითი ცხოვრება (არსებობა) გასხივოსნების გზაზე მდგომისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

თანდათანობით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აგროვებს სუფიზმის მიმდევარი უფრო მეტ გამოცდილებას, მას თავისი აზროვნება მიჰყავს ამ მიმართულებით.

საერთოდ, ადამიანს მიაჩნია, რომ მას ცოდნისა და გასხივოსნების ოქროს გასაღებს მიართმევენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი შეგირდის განვითარება მაინც სწრაფად მიდის. შეგირდი ცოდნას შეუცნობლადაც ღებულობს. არის ერთად შეკრებისა და ასევე განშორების პერიოდები. ამ აზრს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ „გასხივოსნება უნდა მიმდინარეობდეს თანდათან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყველაფურის დაანგრევს“.

სუფიზმის მასწავლებელი გვახსენებს, რომ იუველირის ხელსაწყოები მეწაღის, ანდა ყასაბის ხელში იმ მარცვლებს წააგავს, რომლებიც „ქვიშაში ჩაფლეს, რათა კარგი მოსავალი მოგვცეს. ეს იგივეა, რაც ძალის კენკრა ან ვირს ძვლები შესთავაზოთ“.

ერთნი ადამიანებს ავად იხსენიებნ, მეორენი – კეთილად. ეს იმით აიხსენება, რომ ერთნი შეპყრობილნი არიან არანათელი იდეებით, ხოლო სხვათა გონება სიკეთის კონცეფციის დამუშავების იდეებითაა დაკავებული – „ან კესი და თევზი განუყრელნი არიან“.

სუფიზმის მიმდევრები განცალკევების მეცნიერებას იმიტომ ითვისებენ, რათა ის განიცადონ, რისკენაც ისწრაფვიან და არა მხოლოდ დასანახავად. სუფიის მოძღვარი მაძიებელთა ძიებას მიმართავს საჭირო მიმართულებით და ურჩევს მათ იფიქრონ შემდეგ სიტყვებზე: „როდესაც პურის ნატეხს მაძღარი და მშიერი უყურებს, ისინი სხვადასხვა რამებს ხედავენ“.

სუფიზმის მოძღვარი ყერადღებას აქცევს სრულყოფილ კონტროლს, გამოცდილებას, და არა ჩვეულებრივი სიკეთისა და ბოროტების ტერმინებს: „თავისთავად სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. თქვენ კარგად ხვდებით სტუმარს და მას რამდენიმე კეთილ სიტყვას ეუბნებით. იგი ბედნიერია. თუკი თქვენ სხვა ადამიანს ეტყვით უხეშ სიტყვებს, მას ეწყინება. შეუძლია კი რამოდენიმე სიტყვას სინამდვილეში გამოხატოს ბედნიერება და სევდა? ესენი მეორეხარისხოვანი ფაქტორებია და არა ძირითადი. ისინი მხოლოდ სუსტ ადამიანებზე მოქმედებენ.“

ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება ქვად მოეჩვენოს, მაძიებელი ისე განავითარებს ამ აზრს, რომ ეს ქვა მარგალიტის მარცვლად გადაიქცევა.

საიდუმლოება თავის თავს იცავს: „იფიქრე სულიერებაზე რამდენიც გინდა – იგი გვერდს აგივლის, თუკი შენ არაფერს არ წარმოადგენ. შეგიძლია წერო სულიერებაზე, იამაყო შენი სულიერებით, იკამათო სულიერებაზე – ეს შენ არავითარ სარგებლობას არ მოგიტანს და იგი (სულიერება) ხელიდან გაგისხლტება. მაგრამ თუკი სულიერებამ დაინახა შენი გონების თავმოყრა (ჩაწერტება),

შეიძლება მოშინაურებული ფრინველივით შენს ხელში აღმოჩნდეს. იგი ფარშევანგს წააგავს, რომელიც უადგილო ადგილას არ დაჯდება და არც ულამაზეს ფრთხებს გაშლის.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სუფიის მიმდევარი გაივლის ამ სტადიას, მას უკვე სხვებთან შეუძლია გზის თაობაზე საუბარი. თუკი მაძიებელი საუბარს უფრო ადრე დაიწყებს, სულიერება ხელიდან გაუსხლდება.

ამ საკითხში ასევე აუცილებელია მუდმივი წონასწორობის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კველა მცდელობა უსარგებლო იქნება. გონების ბადე ძალიან ფაქიზია. იგი ისეთ მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ, რომ მან საკუთარი ნადავლის შენარჩუნება შეძლოს. თუ თქვენ არ გაგიმართლათ, ბადე გაწყდება და გამოუსადეგარი გახდება. ბადე შეიძლება გაწყდეს როგორც დიდი სიყვარულის გამო, ასევე დიდი დაპირისპირების გამო, მაგრამ გონების ბადე გონებრივი პრაქტიკით არასოდეს წყდება.

ადამიანის შიდა ცხოვრების გამოღვიძებით მასში ხუთი შიდა შეგრძნების ორგანოც იწყებს გამოღვიძებას. უხილავი იდუმალი საკვები ნიკიერებებს იძლევა. შიდა გრძნობები რამდენად-მე ფიზიკურ გრძნობა წააგავს, მაგრამ იმდენად, „რამდენადაც სპილენძი წააგავს ოქროს“. რადგანაც სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა ნიჭიერება გააჩნია, სუფიზმის მიმდევარი ამ სტადიაში ზოგიერთ ურთიერთობებში უკვე განვითარებული პიროვნებაა, ზოგიერთებში კი – არა. ზოგიერთებისათვის შიდა ნიჭიერება და განსაკუთრებული თვისებები მათი ჰარმონიულობის პარალელურად ვითარდება. ეს მათ ემოციურ ცვლილებებს იწვევს, მაგრამ ამ ცვლილებებს არავითარი კავშირი არა აქვთ განუვითარებელი ადამიანების ემოციურ ცვლილებებთან. ემოციური მდგომარეობა რეალური პიროვნების შემადგენელ ნაწილად იქცევა; ჩვეულებრივი უხეში ემოციების მაგივრად მოდის უმაღლესი ხარისხის ემოციები, უმდაბლესი ემოციები ამ დროს მათ ანარეკლად ითვლება.

სიბრძნისა და უმეცრების სუფიური კონცეფცია ახლა უკვე იცვლება შემდეგნაირად: „თუკი ადამიანი ჭეშმარიტრად ბრძნია და უმეცრებისაგან მთლიანად განთავისუფლებული, მაშინ ასეთი სიბრძნე მას დაანგრევს. შესაბამისად, უკიცობა (უმეცრება) საქებარია. უკიცობა მონაცვლეობს რა სიბრძნესთან, ისე ეხმარება სიბრძნეს, როგორც ეხმარებიან ერთმანეთს დღე და ღამე.“

ურთიერთსაპირისპიროთა ერთობლივი მუშაობა ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რომელზეც სუფიური მოძღვრება ამახვილებს ყურადღებას.

სუფიური მოძღვრება ჩვენ კიდევ გვახსენებს, რომ „სუფიათა წიგნი – ასოთა სიშავე კი არაა, არამედ სუფიათა გულის სითეთრე“.

როცა სუფიზმის მიმდევარი მიაღწევს იმ განსაზღვრულ გამჭრიახობას, რომელიც უშეცდომოდ ინტიუციასთან იგვიდება, იგი ცოდნის შეგრძნებას დაიწყებს, რაც მას ზემერძნობიარობის საშუალებას მისცემს. მაგალითად, წიგნის კითხვის დროს იგი ჭეშმარიტებას მონაგონისაგან (შეთხზულისაგან), ავტორის რეალურ ჩანაფიქრს სხვა ელემენტებისაგან თავისუფლად გაარჩევს. თუ სწავლებამ შესაბამის სტადიას მიაღწია და სუფიის მიმდევარი ცოდნის მატარებელი გახდა, იგი იმ არხს ემსგავსება, რომელიც თვითონ არ სვამს და მხოლოდ მწყურვალო აღევინებს წყალს“.

აუხსნელ მოვლენათა ჭეშმარიტი შეცნობა წარმოადგენს სუფიური განვითარების კიდევ ერთ შედეგს. მაგალითად, რატომ ხდება, რომ მისტიური მომზადების განსაზღვრული ფაზები ადამიანთა ერთი ჯვეუფისათვის ხანგრძლივია, მეორე ჯვეუფისთვის კი ხანმოკლე? ამის შესახებ ერთი სუფიური იგავი არსებობს: „სახლის კარებს ორი მათხოვარი მიუხსლოვდა, ერთ მათგანს იმ წამსვე მისცეს პურის ნატეხი და იგი წავიდა. მეორეს დალოდება სთხოვეს. რატომ? სახლის პატრონებს პირველი მათხოვარი არ მოეწონათ და ამიტომაც მან გამხმარი პურის ნატეხი დაიმსახურა. მეორე მათხოვარს იმიტომ სთხოვეს დალოდება, რომ მისთვის ახალი პურის გამოცხობა მოისურვეს“.

ეს იგავი იმ აზრს გამოხატავს, რომელსაც ძალიან ხშირად უბრუნდება სუფიური მოძღვრება. აზრი ასეთია: ნებისმიერ მოვლენაში ჩვენთვის უცნობი ერთი მომენტი მაინც არსებობს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვიღებთ დასკვნებს არასრულყოფილი მასალების საფუძვლებზე, ამიტომაც არაა გასაკვირი, გაუნდობელი ადამიანები ცალმხრივად რომ ვითარდებიან და დაკავებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ თვითდამტკიცებით.

სუფიზმის მიმდევარის ადამიანური მდგომარეობა შემდეგია: მას ამ სამყაროს საქმეების შემეცნებაში დიდ გამჭრიახობა გააჩნია, იგი უფრო ნათლად ხედავს მთლიანობას, მის წინ გახსნილია ძლევამოსილებით უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები, მაგრამ ამ ძლევამოსილების (ძლიერების) გამოყენება მხოლოდ სხვა დანარჩენ შემოქმედებთან და პირველ რიგში, სუფიზმის სხვა მიმდევრებთან, შემდეგ – კაცობრიობასთან, და ბოლოს, ყველა ქმნილებებთან მჭიდრო კავშირში ყოფნით შეუძლია.

ბრძენთან სტუმრობა განიხილება „მასწავლეთ რაიმეს“ გაგებით. შიძშილი უბიძგებს ადამიანებს ქმედებებისკენ, თხოვნისკენ: „დამაპურეთ!“. ჭამისაგან თავშეკავება შეიძლება იყოს პასუხი, თანაც უარყოფითი. მოძღვარი რუმი ამ ნაწყვეტს ასე ამთავრებს: „ბრიყვისადმი პასუხის გაცემა მდუმარებას (დუმილს) წარმოადგენს“.

მოძღვარს შეუძლია გადასცეს თავისი მისტიური გამოცდილება განსაზღვრულ ადამიანებს, იმ ცალკეულ შეგირდებს, რომელთაც უკვე გააჩნიათ ისეთი გამოცდილება, რომ ასეთი ახალი განვითარებისათვის უკვე მზად არიან. ხანდახან ეს ხორციელდება ერთობლივი ჩაწერტების ვარჯიშებით (არაბულად „ტაჯალი“), რომლის გამოყენების შემდეგ ვითარდება ნამდვილი მისტიური გამოცდილება: „გასხივოსნება ჯერ ადეპტებისაგან მოდის. ეს იმიტაციაა, მაგრამ როდესაც იგი ხშირად იწყებს მოსვლას, ეს უკვე ჭეშმარიტებაში ჩაწერომაა“. სუფიზმის მიმდევარი სიტუაციის ჭეშმარიტ აზრს ხედავს და იგი მოქმედებს საკუთარი პრინციპებით, თუმცა მას ყოველთვის არ შეუძლია ახსნას თავისი ქცევები და სიტყვები.

შეუძლებელია ადამიანის ევოლუციის პროცესის შეჩერება, ისევე როგორც დამწიფებული, ჩაშაქრული და „წითლად შებრაწული“ უურძენი მკვახე მტევნად ვერ გადაიქცევა. ერთი მხრივ, ამ პროცესის მართვა შესაძლებელია, მეორე მხრივ ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუშალონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც არ ფლობენ ჭეშმარიტ ინტუიციას. ამგვარად, შეიძლება მოხდეს სუფიური მოძღვრების დამახინჯების მცდელობებიც. ადეპტებს ამის ხელის შეშლა შეუძლიათ, თუკი ისინი განდობლებისათვის ხელმისაწვდომი იქნება, ხოლო რაც შეეხება სუფიზმის მიმდევრების ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, სუფის მასწავლებლები თითქმის ყველას იწვევენ თავისთან: – „სანამ ჩვენს შიგნით ძვირფასი ქვებით შელამაზებული ლამპარი ჯერ კიდევ ანთია, იჩქარე პატრუქის ამოწევა და მისი ზეთით გაუღენთვა“.

სუფიური მოძღვრების მასწავლებელი მოძღვრების თაობაზე ნებისმიერ შემსვედრს არ ესაუბრება: – „ცხენები იქითკენ გაგზავნეთ, სადაც არაა ბალახი და ისინი მის თხოვნას დაიწყებენ“.

სუფიზმის მიმდევრები ინტელექტუალური და დაკანონებული ფილოსოფიის წინააღმდეგნი არიან, რადგანაც გონების მომზადების მათეულ შეზღუდულ მეთოდებს საზიანოდ თვლიან არა მარტო ამ მეთოდების მიმდევრებისათვის, ასევე ამ მეთოდების უბრალოდ წამკითხველთათვისაც. სუფიური მოძღვრება მკაცრად აკრიტიკებს მათ, ვინც ყველა მოვლენის რეალობას (წარმოშობას) ინტუიციის ანდა ასკეტური მომზადების შედეგად ასაღებენ. სუფის მიმდევრები დაჟინებით ითხოვენ იმის გათავისებას, რომ ადამიანის ყველა ნიჭიერება ადამიანში პარმონიულ წონასწორობაში იმყოფება.

ინტელექტისა და ინტუიციის ერთიანობისკენაა მიმართული სუფიზმის მიმდევრების მცდელობები და ეს ყველაფერი სიყვარულს ეფუძნება. ინტელექტუალური მოძღვრება ნივთების მხოლოდ ხელშესახებ (საგრძნობ) ხელოვნებებს ეფუძნება. სუფიური მოძღვრება კი, როგორც შიდა, ეფუძნება ასევე იმ ხელოვნებებსაც, რომლებიც აღქმის ხელმძღვანელობას ექვემდებარება. იმ დროს, როდესაც მეცნიერება და ინტუიციური ფილოსოფია ჩარჩოებში, მარწუხებში აგდებს, ვიწრო გზისკენ მიმართავს შემეცნების ფართო სივრცეებს, სუფიური მოძღვრება აფართოებს ყველაფერს და იგი თავისთავში მოიცავს უდიადესის იმ ფართო საზღვრებს, რომლებიც ყველა ჭეშმარიტების საფუძველში ძევს.

ასიმილაციისა და სიმბოლიკების, იგავებისა და აზროვნების გამოხატვის ეს ნიჭიერებები წარმოადგენენ სუფიური მოძღვრების იდეალ (მალულ) ასპექტებს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სუფიური მოძღვრების შემეცნების ამ მეთოდებმა მრავალთა (მათ შორის აღმოსავლეთშიც) მხრიდან კრიტიკა გამოიწვია. ისინი აცხადებენ, რომ სუფიურ მოძღვრებებში იგავები ინდოელებისგან, იდეები ბერძნებისაგან, ხოლო ვარჯიშთა მეთოდები – შამანებისაგანაა გადმოღებული.

ვინც ღრმად გაერკევა სუფიურ მოძღვრებებში, იგი იმწამსვე იგრძნობს სუფიური სკოლის შეუდარებელ, თავისთავად და უნიკალურ თავისებურებებსა და გარემოებებს. მაგრამ ზოგიერთი ზედაპირული შემეცნების მქონე მეცნიერები და ფილოსოფოსები თვლიან, რომ სუფიური ნაწარმოებები ადამიანს აბნევს, რომ ეს ნაწარმოებები ძალიან თავისუფლადაა დაწერილი.

საჭიროა ავლინშოთ, რომ სუფიური ნაწარმოებები სახელმძღვანელოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ისინი უწყვეტადაა დაკავშირებული ცოცხალ სუფიურ მოძღვრებასთან და მის პრაქტიკასთან – მუშაობასთან, აზროვნებასთან, ცხოვრების წესთან და ხელოვნებასთან.

სუფიათა ლექსები უხვად შეიცავს საწყის ტერმინთა როგორც ნაცნობ, ასევე განსაკუთრებულ ვარიანტებს: „შეუერთდი მმობას, გახდი მისი მსგავსი – ამის საშუალებით რეალური ცხოვრების ბედნიერებას იგრძნობ. გაიარე დანგრეულ ქუჩაზე და შეხედე შშფოთვარებას (აფორიაქებულებს) („ნანგრევების“ მფლობელებს). შესვი მღელვარების თასი, რადგანაც შენ თვითშეგნების სირცხვილს

არ გრძნობ, ორივე თვალი დახუჭე, რათა შიდა მზერით ხედვა ისწავლო. თუ გულში ჩახუტებას ექი, გახსენი შენი სული. თუ გსურს ზეციურ ღვთაებათა სახის დანახვა, დაამსხვრიე მიწიერი კერპი. მდიდარი მზითვის გამო რატომ უნდა დაქორწინდე მოხუცებულ ქალზე. რატომ აქცევ თავს მონად სამი ნატეხი პურის გამო, რატომ?

მეგობარი ღამით დაგიბრუნდება, საღამოს ნუ ივახშმებ და ნუ დალევ; კეთილი სუფრაჯის (ძველად სამეფო კარზე) საზოგადოებაში იტრიალე! შედი მათ წრეში. დიდხანს კი იტრიალებ ყოველივე ამის გარშემო? შენ გთავაზობენ, რომ ეს ცხოვრება დაივიწყო და მოძღვრის (მწყემსის) სიკეთეს ანდო... იფიქრე მხოლოდ აზრის შემქმნელზე (მშობელზე), დანარჩენი დაივიწყე. სიცოცხლეზე ფიქრი პურზე ფიქრზე უკეთესია. რატომ გძინავს ციხეში იმ დროს, როდესაც შენს ირგვლივ ღვთიური მიწების უკიდეგანო სიგრცეა? თუ შეძლებ არეული აზრების უკუგდებას, იდუმალ პასუხს დაინახავ. დადუმდი და უკვდავების ენას აითვისებ. თუ ცხოვრებასა და სამყაროს დაივიწყებ – სამყაროს ცხოვრებას დაინახავ“.

ცოდნა სხვებთან კონტაქტისა და საერთო შემოქმედებაში მონაწილეობის მოდის. ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური აზროვნება და შემოქმედება. ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მხოლოდ იმის შემდეგ მოდის, როდესაც აზროვნების განსაზღვრული ხერხები (ნიჭიერებები) საჭირო კალაპოტში იქნება მიმართული. მაბიუბელმა სულის კარიბჭე უნდა ფართოდ გაულოს გულში ჩაკონებას. „მოხუცებული ქალი“ – ამ სამყაროს იმ განცდათა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც უმაღლესი რეალობის მხოლოდ ანარეკლს წარმოადგენს და რომელიც ვერ შეედრება იმას, რაც ჩვენ ჭეშმარიტებად გვეჩენება, ადამიანები თავიანთ პოტენციალურ შესაძლებლობებს ჩვეულებრივი ცხოვრებით “სამ პურის ნაჭერზე“ ჰყიდიან.

მეგობარი ღამით დაგიბრუნდება, მაშინ, როდესაც ყველა დაშოშმინდება, დაწყნარდება და ადამიანს ავტომატური აზროვნება უკვე აღარ აღაგზნებს. სუფია-მოძღვრებისათვის საჭმელი განსაკუთრებულ საკვებს წარმოადგენს, რომელიც ჩვეულებრივი საკვებისაგან განსხვავდება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კაცობრიობა რეალობის გარშემო ტრიალებს, მაგრამ იმ სისტემას, რომელსაც იგი ხმარობს, რეალურს ვერ ვუწოდებთ. იმისათვის, რომ მის პერიმეტრზე ვიაროთ, აუცილებელია წრის შიგნით შესვლა. ჭეშმარიტი შემეცნების ფასი გაცილებით უფრო ძვირფასია იმაზე, რასაც ჩვენ შემეცნებად მივიჩნევთ. ჩვენთვის ცნობილი ისეთი თვისებები, როგორიცაა მტაცებლობა, ეგოიზმი და სხვა, რომლებიც ჩვენს განვითარებას ამუხრუჭებენ, წინააღმდეგობას უწევენ, აუცილებლად სინაზითა და გულმოწყალებით, ლომბიერებით, კეთილმოწყალებით უნდა იყოს ნეიტრალიზებული.

აზროვნება (არა ცალმხრივი) საჭირო მეთოდს წარმოადგენს. საჭიროა მთელ ცხოვრებაზე, როგორც ერთ მთლიანობაზე ფიქრი და არა მის მცირე ასპექტებზე.

მდუმარება, დუმილი – ეს მეტყველებისათვის, რეალური მეტყველებისათვის მომზადებაა.

რუმი დაიბადა 1207 წელს.

1273 წელს მოძღვარი რუმი გარდაიცვალა და მევლენის სუფიური ორდენის თავი მისი შვილი – ბახაუდინი გახდა. რუმის სიცოცხლის პერიოდში გარს სხვადასხვა რელიგიისა და რჯულის წარმომადგენელი ეხვია და მის დაკრძალვას ყველა ეს წარმომადგენელი ესწრებოდა.

ერთ ქრისტიანს ჰქითხეს, თუ რატომ ქვითინებდა ასე მწარედ მუსულმანი მოძღვარი რუმის დაკრძალვის დროს. ამ ქრისტიანის პასუხი სუფიური იდეის გამომსატველია: „ჩვენ რუმის ჩვენი დროის მოსესავით, დავითისავით და იესოსავით ვცემთ პატივს. ჩვენ ყველა მისი მიმდევარი და შეგირდები ვართ“.

რუმის ცხოვრება პირადი ცოდნისა და გადაცემული მოძღვრების შეხამებაა, სინთეზია და ეს სუფიური მოძღვრების ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სასიქაღულო პოეტი შოთა რუსთაველი და მისი გვარი მისტიურობითაა მოცული. ის იდუმალი სუფიური ორდენის წევრი იყო (ვარძია, ცვატა ბატონიშვილის ორდენიანი აკადემია). დავუკვირდეთ მის გვარს – რუსთაველი – რუმი. რუ – სუფიურ მოძღვრებაში მაღალი დონისა და განათლებულობის ხანას აღნიშნავს...

რუმი ორმოცი წლის იყო, როდესაც თავისი მისტიური მოძღვრების ნახევრად ღია ქადაგება დაიწყო. (მან სიტყვა რუმი ფსევდონიმად აირჩია, რადგანაც ამ სიტყვის ასოთა რიცხობრივ ექვივალენტთა ჯამი 256-ს შეადგენდა (РУМИ), რაც ფესვ HYP-ის შეესაბამება. სპარსულად და არაბულად ეს ფესვი “სინათლის“ (CBET) მნიშვნელობას გადმოგცემს...

რუმი იყო პოეტი, მგოსანი (მგოსანი – გუზანი!) და ბევრ ლექსებსა და პოემებს წერდა (როგორც ჩვენი რუსთაველი). თუმცა რუმის უდიადეს სპარსულ პოეტად აღიარებენ, მაგრამ მისთვის პოეზია მხოლოდ არაძირითად (არამთავარ, დანამატ) პროდუქტად ითვლებოდა. იგი მას მხოლოდ

იმ უსაზღვრო შიდა რეალობის ანარეკლად მიიჩნევდა, რომელსაც ჭეშმარიტება წარმოადგენს და რომელსაც სიყვარულს უწოდებს. ჭეშმარიტი სიყვარული მდუმარეა და მისი სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია: „ბოლოს და ბოლოს, რა მესაქმება მე ლექსებთან?“ ამბობდა იგი იმისათვის, რომ ადამიანთა გონებამდე თავისი ეპისტოლე (წერილი) მიეტანა. იგი კატეგორიულად აცხადებდა, რომ როდესაც ჭეშმარიტ რეალობებზე ფიქრობდა, პოეზიისათვის დრო აღარ რჩებოდა. ამის თქმას მხოლოდ ისეთი პოეტი გაბედავდა, რომელსაც თავის თანამედროვეებთან უდიდესი ავტორიტეტი გააჩნდა.

სუფიზმის მიმდევარი არასოდეს უნდა შეეგულს არსებულ წინააღმდეგობებს მოძღვარსა და შეგირდს შორის, რაც მის სწავლებას შეეხება. ის რაც მოძღვარს სურს გადასცეს, პოეზიაზე მაღლაა. დერვიშების შეკრებების დროს გამოიყენებოდა ცეკვები, ლექსები და მუსიკა. მოძღვარ რუმის შემოქმედებას ჰარმონიის მეშვეობით ჰარმონიული განვითარება შეიძლება ვუწოდოთ.

რუმი ყველა ძველ და ახალ რელიგიათა ფორმებს იკვლევდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭეშმარიტება თვით ადამიანის ცნობიერებაშია. როგორც სუფიის მიმდევრები თვლიან, არსებულ რელიგიათა „გამოკვლევა“ ხორციელდება განსაკუთრებული სახით. სუფიის მიმდევარს არ ესაჭიროება სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა, რათა სხვადასხვა რელიგია შეისწავლოს და აიღოს ის, რაც მას ესაჭიროება. ასევე თეოლოგიური და ახსნა-განმარტებითი ლიტერატურის კითხვა, რათა ისინი ერთმანეთს შეადაროს, რადგან თვით მასში მიმდინარეობს იდეათა ათვისების ეს „მოგზაურობები“ და „გამოკვლევები“. სუფიის მიმდევრისათვის წიგნი და მისი ავტორი კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის რეალობა, რასაც ამბობს ადამიანი და გვასწავლის წიგნი. იმისათვის, რათა მოხდეს ადამიანისა და მისი იდეის შეფასება, სუფიის მიმდევარი მხოლოდ ნიმუშს იყენებს. ოღონდ ეს ნიმუში ზუსტი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უნდა განახორციელოს კავშირი ამ მოძღვრების არსთან.

ქვემოთ მოყვანილ რუმის ლექსში ნაჩენებია ის კავშირი, რომელიც მან სხვადასხვა რელიგიების გამოკვლევების დროს აღმოაჩინა:

„მე მთლიანად შევისწავლე ქრისტიანული ჯვარი და ქრისტიანობა. ქრისტე მე ჯვარზე ვერ ვიპოვნე. იგი არ იყო იქ. მე ვიყავი ინდუისტურ ტაძრებსა და უძველეს პაგოდას მიწებზე, მაგრამ იქაც არ იყო მისი კვალი. მე მივაღწიე გერტსა და ყანდაგარას, მე ვეძებდი, იგი არც ზემოთ იყო და არც ქვემოთ. გადავწყვიტე კაფის მთამდე მიღწევა, მაგრამ იქ მარტო ფრინველი ანკაი იყო. მე ქააბისკენ გავემართე. იგი არც იქ იყო. მის თაობაზე იბია სინუს კითხე, მაგრამ იგი ავიცენას ფილოსოფიაზე მაღლა იდგა... მე ჩემს გულში ჩავიჩედე. ჩემს გულში დავინახე იგი, ის ჩემი გულის გარდა არსად იყო...“

სიტყვა „ის“ („იგი“) ჭეშმარიტ რეალობას აღნიშნავს. სუფიური მოძღვრება მარადიულია და ის, რომ იგი ისეთ სიტყვებს იყენებს, როგორიცაა „თავდავიწყება“, „დათორობა“, „ყურძენი“ ან „გული“, აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ იმდენად მიახლოებულს, რომ პაროდიად გამოიყურება. როგორ იყენებს რუმი ამ სიტყვებს:

„სანამ ამ ქვეყნაზე ვენახი, ვაზი და ყურძენი გაჩნდებოდა, ჩვენი სულები უკვდავების ღვინით უკვე „თავდავიწყებული“ („დათორობი“) იყენებ“. სუფიის მიმდევრები აღმოაჩინა.

სუფიის მიმდევრების სწავლების ადრეულ პერიოდში ცოდნის გადაცემის დროს ნაცნობი შედარებების გამოყენება უხდებოდათ, მაგრამ რუმი სტანდარტულ სუფიურ ფორმულას ძალიან მკაცრად მიჰყვებოდა. თუ ავადმყოფს დამოუკიდებლად სიარულის სწავლა სურს, მან ყავარჯნები უნდა მოიშოროს.

მაძიებელთათვის რუმის გადმოცემის ხერხის ფასი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველაფერს ძალიან გასაგები და ნათელი სახით გადმოსცემს, ვიდრე ის მასალები და სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოიცემა არა სუფიური სკოლების მიერ.

## მეშვიდე საუბარი სუფიაზე

„ცოდვილსა და უზნეოს (ბიწიერს) მე, ალბათ, ბოროტად (ავად),  
ხოლო კეთილ ადამიანებს – გულმოწყალედ (კეთილმოწყალედ) მოვეჩვენები“.

მსოფლიოში კიდევ ერთი უდიადესი სუფიური მოძღვარი იბნ ალ-არაბია.

1164 წელს ქ. მურსიაში (ესპანეთი) დაიბადა იბნ ალ-არაბი. ესპანეთი უკვე 400 წლის განმავლობაში არაბთა ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა. იბნ ალ-არაბს ანდალუზიელსაც უწოდებენ და თამამად შეიძლება ითქვას რომ იგი ყველა დროის ერთ-ერთ უდიადეს ესპანელად ითვლება.

ბიოგრაფია ამტკიცებენ, რომ მის სუფიურ მომზადებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მამამისს მჭიდრო კავშირი ჰქონდა აბდლ-ალ-კადირ ჯილანთან – მეგობრობის სულთანთან (1077-1166).

ალ-არაბმა ისეთი ინტელექტუალური ნიჭიერება გამოავლინა, რომელიც რამდენიმეჯერ აღე-მატებოდა მის თანამედროვეებს.

გარკვეული მოსაზრებით ალ-არაბი ალ-გაბალის (1058-1111) წააგავდა. გაბალიმ სუფიური მოძღვრება ისლამთან შეათავსა (შეარიგა), და დაამტკიცა რომ სუფიური მოძღვრება წარმოადგენს არა აბდაუბდას (მონაქმახს), არამედ რელიგიის შიდა მნიშვნელობას.

ალ-არაბის შემოქმედებას ასეთ კომენტარს აძლევენ მსოფლიოს ცნობილი სუფიები: „მის ზოგიერთ ლექს ჩვეულებრივი სასიყვარულო ლექსისგან ვერც კი გაარჩევ, ხოლო მეორე მხრივ, იგი ძლიერი მისტერიული შემცველობის ნაშრომია, რომელიც ხსნის დანარჩენი სამყაროს საიდუმლოებებს... ახსნის გარეშე მისდამი კეთილგანწყობილი მკითხველიც კი ვერ შეამჩნევდა იმ მალულ ზეაზრს, რომელსაც მისი ფანტასტიკური გამომგონებლობა დებდა არაბულ სიტყვებში“.

ისინი, ვისაც არავითარი კავშირი არ გააჩნია სუფიურ მოძღვრებასთან, დღესაც დიდი მოწიწებით ეპყრობით მის ნაწარმოებებს. ალ-არაბს გააჩნია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული და იმ ადამიანთა გამკვალავ გზას წარმოადგენს, რომლებიც უშაუალოდ ქრისტიანულ წრეში არიან აღზრდილნი. ალ-არაბს გააჩნია ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც იგი სასიყვარულო პოეზიის მეშვეობით სუფიურ გზას აცნობს ადამიანებს, და რასაკვირველია, მისი შემოქმედების ეზოთერული მხარე გვაფიქრებინებს იმასაც, რომ მის სუფიურ სახელს ღრმა მნიშვნელობაც გააჩნია.

სუფიური მოძღვრების ტრადიციის მიხედვით ალ-არაბის მისა თანამედროვე სამყაროში სუფიური მოძღვრების გავრცელებასა და მის არაბულ ტრადიციებთან დაკავშირებას შეადგენდა (არაბულად „Нашп“–НШР ფესვიდან). რადგანაც გავრცელების იდეის გადამცემის (გამვრცელებლის) სუფიური ტერმინი (НШР), იმ დროს ფართოდ გამოიყენებოდა. იბნ ალ-არაბიმ საპირისპირო აზრის სიტყვა გამოიყენა. ესპანეთში მას იბნ სარაკას უწოდებდნენ, „პატარა მხერხავის შვილი“. სიტყვა „Сарака“ რომელიც СРК-ს ფესვიდან წარმოიქმნება. ფესვ НШР-ს ყველაზე გავრცელებულ მნიშვნელობას „ჰუბლიკაცია, გავრცელება“ წარმოადგენს ასევე „მხერხავსაც“. მუხიდინი არაბის საკუთარი სახელია, რომელიც „რწმენის აღმდგენელს“ ნიშავს.

ფესვი НШР –ის მნიშვნელობისადმი ფორმალური მიდგომით, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ალ-არაბის მამა ხარაზი იყო. იგი „ხარაზი“ მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იყო, რადგან სუფიები თავიანთი შეხვედრების აღმნიშვნელად განსაზღვრულ პროფესიულ ტერმინებს ირჩევდნენ. ისინი ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ სხვა პირებისათვის ერთ ადგილზე მრავალი ხალხის შეკრების მიზეზი აეხსნათ, რადგან არ სურდათ, რომ მათი შეხვედრები მეამბოხეთა შეკრებებისთვის მიემსგავსებინათ.

ალ-არაბის ზოგიერთი განცხადების ჭეშმარიტი აზრის გაგება გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ნაშრომში „სიბრძნის მიჯნა“ იგი წერს: ღმერთის დანახვას ნუ ვცდილობთ რომელიმე არა-მატერიალურ ფორმაში. „ღმერთის ქალაში დანახვა წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ ფორმას“. სუფიური მოძღვრება თვლის რომ, როგორც სასიყვარულო პოეზიას, ასევე ბევრ სხვა რამეს ძალუს გამოხატოს ღვთიური შემეცნების სრულყოფილი და თანმიმდევრული გზა და იგი იმავდროულად ბევრ სხვა ფუნქციასაც ასრულებს. თითოეული სუფიური განცდა თავისი უსაზღვრო სიღრმითა და ხარისხობრივი ნაირფეროვნებით გამოირჩევა.

მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანები თვლიან, რომ ჩვენს მიერ წარმოთქმული სიტყვა ერთ-გვაროვანია და მასში ვერ ამჩნევენ ეფექტური და მიზანდასახული შესაძლებლობების ანარეკლსაც კი.

იბნ ალ-არაბი აღზარდა ესპანელმა ქალმა–სუფიამ ფატიმა ბინტ ვალიამ. ალ-არაბიმ

უეჭველად მიაღწია ისეთ განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს, რომლის სრულყოფაზეც მუშაობენ სუფიები. ალ-არაბს ზოგიერთი ნაშრომი ტრანსის მდგომარეობაში აქვს შექმნილი.

ინ ალ-არაბი წერდა: „ადამიანმა თავისი აზროვნება სიზმარშიაც უნდა აკონტროლოს. ასეთი სახის სიფხიზლის განვითარება ადამიანს შუალედურ მდგომარეობებთან აკავშირებს და მოვარჯიშისათვის ძალიან სასარგებლოცაა. სუფიური მოძღვრების თითოეულმა მიმდევარმა თავგამოდებით უნდა აითვისოს ეს საგანგებოდ მნიშვნელოვანი ნიჭიერება“.

ინ ალ-არაბის ზოგიერთი ლექსი თითქოსდა ერთმანეთში გადადის: იგი ერთ ლექსში რომელიმე თემის განვითარებას იწყებს, ხოლო მეორეში ამთავრებს. იგი ამას გამიზნულად აკეთებს; ამით მკითხველს ავტომატური ასოციაციური პროცესებისაგან ათავისუფლებს და ჩვეულებრივ სიამოვნებას ანიჭებს. ალ-არაბი ადამიანებს კი არ ართობდა, არამედ ასწავლიდა.

როგორც ყველა სუფია, ალ-არაბიც ბეჯითად თავს არიდებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ ისტორიული მიღვომის იმ მახებს, რომლებსაც ხმარობენ ცოდნის შიდა წყაროს არმქონენი და რომლებიც იძულებულნი არიან ფორმალურ და ზედაპირულ ძიებას მისდიონ.

ინ ალ-არაბი რელიგიაში კონფორმისტი იყო, როგორც მას ორთოდოქსალურ წრეებში უწოდებდნენ და ამავე დროს, შიდა ცხოვრებაში ეზოთერისტად რჩებოდა.

სუფია გაზალის მსგავსად, ალ-არაბს გააჩნდა ისეთი ინტელექტუალური ნიჭიერებები, რომლებიც რამდენამდე აღემატებოდა მის ჩვეულებრივ თანამედროვეებს. იმის ნაცვლად, რომ მას ეს ნიჭიერება მეცნიერულ წრეებში მაღალი ადგილის მოსაპოვებლად გამოეყენებინა, ალ-არაბი, როგორც სხვა სუფიები, აცხადებდა შემდეგს: „თუ ადამიანს ძლიერი ინტელექტი გააჩნია, მაშინ ამ ინტელექტის ძირითადი ფუნქცია იმის ჩვენებაა, რომ იგი რამეს შემცენებისკენ სვლის მხლობ პირველ ნაბიჯს (სტადიას) წარმოადგენს. თუ თქვენ ცხოვრებაში ასეთ ადამიანს ვერ შეხვდით და საქმეში მათ მოკრძალებაში არ დარწმუნდით, ასეთი თვალსაზრისი (თვალთაზედვა) ქედმაღლობად (ამპარტავნობად) შეიძლება მოგეჩვენოთ“.

იყო ასეთი შემთხვევა: მსოფლიოში ცნობილი მოძღვარი იზედინი თავის შეგირდებთან აუარებდა მეცადინეობას რელიგიურ უფლებებზე. დისკუსიის დროს შეგირდებმა კამათი გამართეს იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს პირმოონე (ფარისეველ) ერეტიკოსად. ერთ-ერთმა დამსწრე შეგირდმა – მეცნიერმა – მკაფიო მაგალითად ინ ალ-არაბი დაასახელა. მოძღვარს ამ მტკიცების უარყოფა არც კი უცდია. მოგვიანებით, ერთ-ერთი შეგირდი მოძღვარ იზედინთან სადილობდა. – „თქვენი აზრით ვინაა საუკუნის უდიადესი ბრძენი?“ – ჰკითხა მოძღვარს. მან უპასუხა: – „რა საქმე გაქვს მასთან? გააგრძელე სადილობა“. შეგირდი მიხვდა, რომ მოძღვარს განსაკუთრებული აზრი გააჩნდა ამის თაობაზე, სადილს თავი დაანება და ღვთის სახელით სთხოვა დაესახელებინა ეს ადამიანი.

მოძღვარმა გაიღიმა და თქვა: – „ეს ინ ალ-არაბია“. შეგირდი გაოგნებული შეჰქურებდა მას და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. მოძღვარი შეეკითხა, თუ რა მოუვიდა. მან უპასუხა: – „მე იმიტომ ვარ გაკვირვებული, რომ დღეს დილით ერთმა ადამიანმა მას ერეტიკი უწოდა, თქვენ ამაზე არაფერი უპასუხეთ, ხოლო ახლა კი ალ-არაბი საუკუნის მსოფლიოს უდიადეს ადამიანად, მასწავლებლად, ბრძენად დაასახელეთ“.

მოძღვარმა უპასუხა: – „ეს ხომ მხოლოდ სამართლისმცოდნე მეცნიერებთან შეხვედრის დროს მოხდა“. მოძღვარმა განცდები გამოხატულია იმ ლექსებშიც, რომლებიც ერთი შშვენიერი ქალიშვილისადმია მიძღვნილი. მას ნიზამი ერქვა. ინ ალ-არაბის ესმოდა, რომ ადამიანის სილამაზე დაკავშირებულია ღვთიურ რეალობასთან და ამიტომაც მან შესძლო ისეთი ლექსების შექმნა, სადაც ამ ქალიშვილის არამარტო სრულყოფილებას ასხამს ხოტბას, ასევე შესაბამისი სახით გადმოგვცემს უმაღლესი რეალობის იდეასაც. (1202 წ.). ცოტას თუ ესმოდა (ძველ დროშიც და ახლაც) რომ, ერთსა და იმავე ფაქტორს შეიძლება ძალიან ბევრი სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნდეს. უკეთეს შემთხვევაში ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია დაუშვას, რომ „მშვენიერი ქალი“ – ხელოვნების ღვთიური ნაწარმოებია. მას არ ძალუშს ერთდროულად აღიქვას ქალის სილამაზე და ღვთაებრიობა. ამაში მდგომარეობს სუფიათა თვალსაზრისის პრობლემების არსი.

სასიყვრულო ლექსების გამო მუსულმანი ღვთისმეტყველები ალ-არაბის უბრალოდ ისეთ ცრუს (მატყუარას) უწოდებნ, რომელიც „თავისი ეროტიკული პოეზიის“ უფრო ხელსაყრელი სახით გამოჩენას ცდილობდა და ამისთვის მას მიაწერდა რაღაც მაღლუ აზრებს. ალ-არაბიმ ამის თაობაზე დაიწყო თავისი ნაწარმოებების კომენტარების წერა. შედეგად მეცნიერები სრულიად კმაყოფილები დარჩენ, რადგანაც ავტორმა მათ დიდი სამსახური გაუწია და საკუთარი ახსნა-განმარტებებით

მიეხმარა, რათა მათი რელიგიური უფლებები განემტკიცებინა მათივე თვალსაზრისების შესაბამისად: მაგრამ სუფიათა მიმდევრები აღ-არაბის ამ ნაწარმოებში „განმარტებელი“ მესამე მნიშვნელობას ხედავენ. აღ-არაბი, იყენებს რა ნაცნობ ტერმინოლოგიას, უხსნის მათ, რომ ზედაპირული საგნებიც შეიძლება ჭეშმარიტი იყოს და ადამიანის სიყვარულიც შეიძლება აღმოჩნდეს ძლიერ ქმედითი, მაგრამ სინამდვილეში ეს რეალური ჭეშმარიტების ფარდას წარმოადგენს ანდა მის რაიმე დანართს.

ეს ზუსტად ის შიდა რეალობაა, რომელზედაც აღ-არაბი მიგვანიშნებს და ეთანხმება ფორმალიზმის ყველა გამოვლინებას, მაგრმ ამავე დროს აცხადებს, რომ ჭეშმარიტება ყველა ამ გამოვლინებებსა და ზეგამოვლინებებს მიღმაა. აი, ერთ-ერთი მისი ლექსთაგანი (ტექსტი რუსულად თარგმნილია პროფ. ნიკოლსონის მიერ):

Мое сердце может принять любую форму,  
Для монаха оно станет монастырем, для идолов- храмом,  
Для газелей-пастбищем, для правоверного-каабой,  
Моя вера – любовь, куда бы не сварачивали ее верблюды,  
Любовь остается моей религией и верой.

რომანტიკულად განწყობილ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აქ საუბარია მისთვის ცნობილ განსაზღვრებას დაქვემდებარებულ სიყვარულზე, რომელთანაც გონება ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ ავტომატურად დააკავშირებს მას და ჩათვლის, რომ უდიადესი სუფია-მოძღვარი აქ ჩვეულებრივ სიყვარულზე საუბრობს. სუფიზმის მიმდევრისთვის კი ეს ლექსი სუფიურ მოძღვრებას წარმოადგენს და ჩვეულებრივი „სიყვარული“ (მიჯნურობა) მხოლოდ და მხოლოდ მის შეზღუდულ, შემოფარგლულ ნაწილს წარმოადგენს, რომლის საზღვრებს მიღმა ჩვეულებრივი ადამიანი ჩვეულებრივ გარემოებებში ვერასდროს გადის.

## მერვე საუბარი სუფიაზე

რას წარმოადგენს სუფიური ორდენი  
და რა სულიმრი პრინცი პეტე გააჩნდა მას?

„რაზეც არ უნდა ფიქრობდე — დაივიწყე,  
რაც არ უნდა გქონდეს ხელში — გაეცი,  
როგორი ბედიც არ უნდა გქონდეს  
— წარსდექ მის წინაშე!“

სუფიური მოძღვრება (სუფიზმი) — არაბულად — at-Tacavvuyf — სულიერი სრულყოფის უძველესი მისტიური ტრადიციაა, რომელიც შუა აღმოსავლეთში აღმოცენდა, ახლა კი გავრცელებულია ყველანა.

სუფიური მოძღვრების იდეა, მისი მიმღევრები, სუფიური ორდენები და სამმოები ახლაც არსებობს აზიასა და აფრიკაში, ევროპასა და ამერიკაში, ჩინეთსა თუ ინდოეთში და ახლაც საქმარისად მდიდარია თავისი რელიგიური ტრადიციებით. ასევე ძალიან ძლიერი და მდიდარი ტრადიციების სუფიური ორდენები არსებობდა საქართველოში როგორც შუა საუკუნეებში, (მაგ. ცვატა ბატონიშვილის თრდენი და სხვა) ასევე XVIII-XIX საუკუნეებში. (ძველი თბილისის ამქრები, ყარაჩოლელები, ქართველი რაინდები და სხვა).

სუფია-მასწავლებლების — შეიხების (პისები, მურშიდები) აზრით სუფიური მოძღვრება არ შეიძლება შევზღუდოთ რომელიმე განსაზღვრული რელიგიით, არც კონკრეტული ისტორიული პერიოდით, არც რომელიმე განსაზღვრული საზოგადოებით თუ ენით. ისინი სუფიურ მოძღვრებას „ყველა რელიგიათა წმინდა არსე“ უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ იგი არსებობდა ყოველთვის და მხოლოდ მისი გარეგნული სახე იცვლებოდა ამა თუ იმ კულტურულ-ისტორიული შრის შესაბამისად.

სუფიური მოძღვრება დადებით დამოკიდებულებაშია ყველა რელიგიასა და რწმენასთან, რადგან თვლის, რომ თავისი საფუძვლით ყველა ერთიანია. სუფიურ მეთოდებს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ შეცვლა და ჩამოყალიბება, როგორც დამოუკიდებელი ლოკალური მოძღვრება. სუფიური ტრადიციის აქტიურობის ეს „დროებითი ფაზები“ სულიერ ზემოქმედებას ახდენდა კაცობრიობის განსაზღვრულ ნაწილზე, რაც ასტიმულირებდა მათ სულიერ ძიებას. შემდგომში ისინი უფრო კონკრეტულ მოძღვრებას უყრიდნენ საფუძველს. ერთ-ერთ ასეთ მოძღვრებსა წარმოადგენს გიორგი გურჯაევის კონცეფცია, რომელიც გავრცელდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

სუფიის მიმღევრები საკუთარ თავს „ახლა-ხაკიკა“-ს ანუ „ჭეშმარიტი ყოფის ადამიანებს“ უწოდებდნენ და მათ საუკუნიდან საუკუნემდე მსოფლიო საგანძურში საკუთარ მოძღვრებასთან ერთად ასევე თავისი ხელოვნებაც შეჰქონდათ. მაგალითისათვის ავიღოთ ირანულ-სპარსული კლასიკური პოეზია, მან მსოფლიო აღიარება მოიპოვა, იგი სუფიური მოძღვრების სახელმძღვანელოსაც წარმოადგენს. ქრესტომათიად იქცნენ შემდეგი პოეტი სუფიების სახელები: სანაი, რუმი, ჰაფიზა, ჯამი, ნიზამი. იგივე ითქმის არაბულ, თურქულ და შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურასა თუ პოეზიაზე.

კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა „რას წარმოადგენს სუფიური მოძღვრება?“

ტერმინი „სუფია“ არაბული „სუფი“-დანაა წარმომობილი და სიტყვა-სიტყვით „ბეწვემოსილს“ ანუ „ტყაოსანს“ შეესაბამება და სულიერი მოძღვრების მისტიკოსებს გულისხმობს, რომლებიც კონკრეტულ სულიერ ტრადიციებს მისდევდნენ და ტანზე განსაკუთრებული სახის ბეწვიანი სამოსი ემოსათ. სუფიურ სამყაროში სამოსელი სულიერ განვითარებაში წინწასულობას განსაზღვრავდა. ფესვს „სუფი“ კიდევ ერთი მნიშვნელობაც გააჩნდა — „წმინდა“, რაც ასევე სუფიურ არსეს და მის საუკეთესო წარმომადგენელთა სულიერ სახეს შეესაბამებოდა. მოძღვრების ჭეშმარიტი მასწავლებლები, ნამდვილი სუფიები სინამდვილეში დოგმატიზმისა და ფანატიზმისგან შორს იდგნენ. მათვის დამახასიათებელი იყო ეთიკური სიწმინდისკენ ძლიერი სწრაფვა, მათ „წმინდა რაინდებს“ ან „სიწმინდისათვის მებრძოლ რაინდებს“ (Сахабა-ი-Сაფა) უწოდებდნენ. ასე რომ, სუფიური მოძღვრება წარმოადგენს მისტიურ ტრადიციას, რომლის მიზანს სულიერი გარდასახვა და სრულყოფილება შეადგენს. მისი იდეები უნივერსალურია, ყველა სულიერ მოძღვრებასა და რელიგიებში შესამჩნევი. ეს ის გზა, რომელსაც მაძიებელი რეალობისკენ მიჰყავს. იგი მრავალსახაა, ისევე როგორც სიცოცხლე და თითოეულ ადამიანს საკუთრივ გააჩნია, თუმცა ყველას მიზანი ერთია.

განვიხილოთ ერთ-ერთი სუფიური ორდენი და ოდნავ შევეხოთ ორდენის სულიერ პრიციპებს.

სუფიური ორდენი მოძღვრების საფუძველში სიყვარულსა და ერთგულებას წედავს. მხოლოდ სიყვარულს ძალუშს ადამიანს საკუთარ ეგოზე უარი ათქმევინოს. იგი ხომ რეალურად ჭეშმარიტების შეცნობისათვის ფარდას წარმოადგენს. როდესაც ადამიანი ეგოისტურ მე-ს სამოსელს მოიშორებს, თვით ამ პიროვნების ღვთიური მე-ს იხსნება.

სუფიური მოძღვრების არსებ ჭეშმარიტება შეადგენს, ხოლო თვით სუფიური მოძღვრება – ჭეშმარიტების შეცნობაა.

სუფიური მოძღვრების პრაქტიკა ჭეშმარიტებისკენ მოძრაობას შეადგენს, იგი სიყვარულითა და ერთგულებით ხორციელდება. ამ მოძრაობას ღვთისკენ მიმავალ გზას (Тарикат) უწოდებენ.

სუფიურ მოძღვრებაში წერია შემდეგი: „Те, кто стремится к Вечной жизни, не могут уделять внимания бренному миру. Точно так же те, кто погружен в материальный мир, не заботятся о том, что будет после. Суфий же из-за любовного рвения не может служить ни этому миру, ни другому”.

ამის გამო სუფიის მიმდევრები ამბობენ შემდეგს: „ის, ვინც მატერიალური სამყაროს სიყვარულით კვდება, ფარისევლად (პიროთნედ, თვალთმაცევად) კვდება. ის, ვინც იმქვეყნიური (საიქო) სამყაროს სიყვარულით კვდება, ასკეტად კვდება (გარდაიცვლება)“.

სუფიური მოძღვრება ღვთიური ეთიკის ცხოვრებაში დანერგვას წარმოადგენს. მას გასხივოსნებულ გულთან აქვს საქმე და არა ინტელექტუალურ, ზემთაგონებულ მტკიცებებთან და ლოგიკასთან. თუ ჩვენ ეტიკეტზე ვსაუბრობთ, მაშინ ეს საზოგადოებრივი ხელშეკრულებების ეტიკეტი კი არაა, არამედ ღვთიური ხარისხისა, რასაც არც სოციალურ პირობითობებთან, არც რაიმე კერპებთან არა აქვს საერთო. ჭეშმარიტების გამოხატვა უაღრესად მნელი ამოცანაა. სიტყვებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ, აბსოლუტის, უსაზღვრობის საჭირო სახით ახსნა არ ძალუში. ამრიგად, მათვის, ვინც სრულყოფილნი არ არიან, სიტყვები ეჭვებსა და გაუგებრობებს ბადებენ. და მაინც: „თუმცა მთელი ოკეანის შესმა შეუძლებელია მისი სმა საკუთარი შესაძლებლობების ზღვრამდეა საჭირო“.

მეცნიერების მიერ ჭეშმარიტების შესახებ შექმნილი ნაშრომები უტყუარია (სარწმუნოა) მაგრამ არასაკმარისი. სუფიური მოძღვრების სრულყოფილებას მიღწეული სუფიის აზრით ფილოსოფია აბსოლუტის სრულყოფილობას ვიწრო პერსპექტივით ხედავენ, ისინი აბსოლუტის მხოლოდ ნაწილს ხედავენ და არა მის მთლიანობის უსასრულობას. ის, რასაც ფილოსოფოსები ჭვრეტენ, სწორია, და მაინც – იგი მთლიანის მხოლოდ ნაწილია.


სუფიზმის მოძღვარი რუმი თავის „მასანაკში“ ასეთ ისტორიას ჰყვება: „ერთხელ ბნელ ღამეს რამდენიმე ამერიკელი ინდიელი, რომლებსაც ადრე სპილო არ ენახაო, იმ ადგილზე შეიკრიბნენ, სადაც სპილო იმყოფებოდა. ისინი მიუახლოვდნენ მას და ხელით მოსინჯვა დაუწყეს. ამის შემდეგ თითოეულმა მათგანმა თავისი შეგრძნების შესაბამისად დაიწყო მისი აღწერა. მათი აღწერები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა. ის, ვინც სპილოს ფეხი მოსინჯვა, სპილო სვეტის სახით წარმოსახა, მეორემ, რომელიც სპილოს ზურგიდან მიუდგა – გლუვ ფიცარს მიამსგავსა იგი. მესამემ, სპილოს ფერი მოსინჯვა, დიდ მარაოდ წარმოსახა და ა. შ. სპილოს აღწერილობა არასწორი იყო, თუმცა მათი ცალკეული ნაწილების აღქმა პასუხობდა ჭეშმარიტებას“. მოულავი რუმი უმატებს: „თუ ეს ადამიანები ხელში სანთელს დაიჭერდნენ, აზრთა ნაირსახეობა არ დაიბადებოდა. სანთლის სინათლე სპილოს მთლიანობაში გამოიჩნდა. ჩვენ ვამბობთ რომ ჭეშმარიტების შესაცნობად არსებობს მხოლოდ ის სანთელი, რომელსაც სიბრძნის ტარიკატა (ანუ ღვთისკენ მიმავალი გზა) და სტეზი ეწოდება“.

სუფიის მიმდევარი ამბობს, რომ ადამიანი სრულყოფილი უნდა გახდეს და ამის შემდეგ მას შეეძლება შიდა ხედვით აბსოლუტის სრულყოფილების დანახვა. თუ მთლიანობას ოკეანეს მივამსგავსებთ, ხოლო მის ნაწილს – წვეთს, როგორც სუფიის მასწავლებლები გვასწავლიან, წვეთისოდენა თვალებით შეუძლებელია ოკეანის დამოწმება (დადასტურება). წვეთი ოკეანეს უნდა შეუერთდეს და ოკეანე მან ოკეანის თვალებით უნდა დაინახოს.

სუფიური ორდენის ღრმად გასაგებად განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად სუფიური ორდენი სახელად „ნიმატულახი“ როგორც სხვა სუფიური ორდენები, ეს ორდენიც მსოფლიოს სულიერი განვითარების ერთ-ერთ ჯაჭვს წარმოადგენს. სახელწოდება წარმოსდგება შაჰ ნიმატული ვალისაგან, რომელმაც ეს ორდენი დააარსა XIV საუკუნის ბოლოს და ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა ირანელ სუფიის ოსტატებს შორის.

სუფიური ორდენი „ნიმატულახი“-ს ემბლემა შემდეგია:

ორი გადაჯვარედინებული დარვიშული ნაჯახი (ცული) შიდა მე-ს სიმბოლურ მოკვეთას



### სუფიური ორდენი „ნიმატულახი“-ს ემბლემა

- ა) ორი გადაჯვარედინებული დერვიშული ცული (არაბ. “табарзины”) - ისინი საამქეყნო (ამქეყნიური) სურვილებისა და თვითშეგნებისაგან ნებაყოფლობით მოკვეთასა და (არაბ. “нафса”) და უარის თქმასა და განდეგილი სუფიის - დერვიშის გზაზე დადგომას განასახიერებს;
- ბ) ნაჯახებზე ჩამოკიდებული საფულე (ქისა) - (მოწყადლების თანხა) - იგი მოხეტიალე დერვიშის სულიერ სიღარიბეს (არაბ. “факр”) გამოხატავს;
- გ) ქვევით სალოცავი კრიალოსანი იგი უზენაესის წინაშე მორჩილებას გამოხატავს;
- დ) ცულებს შორის წარწერა არა-ბულ ენაზე “ის (იგი)” (არაბ. ”Ху“) ტრდიციული მინიშნება უზენაესისადმი

განასახიერებს, ესაა სუფიის მიმდევრის ამქეყნიური სურვილების ნებაყოფლობითი დათმობა და დარვიშობის გზაზე დადგომა.

ნაჯახებზე ჩამოკიდებულ ცარიელ ქისას (საფულეს) (кашкуль) მოხეტიალე სუფიები-დარვიშები ყოველთვის თან ატარებდნენ, რაც სულიერი სიღატაკის (ფაკრ) სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს; სალოცავი კრიალოსანი ქვემოთ – ღმერთის, უზენაესის წინაშე მორჩილებას (თავმდაბლობას) გამოხატავს.

ნაჯახებს ზემოთ არაბულ ენაზე წარწერა „ის“ (იგი) (Ху) ტრადიციული მინიშნებაა ღმერთის მიმართ.

ამ ორდენის დამაარსებელი შაპ ნიმატელი დაიბადა 1330 წელს სირიაში.

შაპ ნიმატელი აღმოსავლეთ ქვეყნებსა და აზიაში მოგზაურობდა და ხვდებოდა სუფიური მოძღვრების ბევრ მასწავლებელს. იგი ეწაფებოდა იმდროინდელი აზროვნების მნიშვნელოვან მიღწევებს. მას განსაკუთრებით ალ-არაბის ფილოსოფიური მოძღვრებები იტაცებდა. მან ყურადღებით შეისწავლა ალ-არაბის „სიბრძნის გაკვეთილები“ (ფიცისალ-ხიკამ) და მოგვიანებით ამ წიგნის თაობაზე კომენტარებიც კი დაწერა.

პირველი მოგზაურობის დასასრულს იგი სუფიის დიდ მასწავლებელს შეიხ-აბდულს შეხვდა და მის შეგირდად იქცა. შეიდი წლის შეგირდობის შემდეგ შაპ-ნიმატელმა მეორე მოგზაურობა დაიწყო აღმოსავლეთში, მაგრამ უკვე არა როგორც ცოდნის მაძიებელმა, არამედ როგორც სუფიზმის სრულყოფილმა მოძღვარმა და ოსტყატმა, რომელსაც უკვე სხვების დაპურება შეეძლო. მეორე მოგზაურობის დროს იგი უდიდეს დამპყრობელს ტამერლანს შეხვდა, რომელზედაც მან დიდი გავლენა მოახდინა. შაპ-ნიმატელმა ას წლამდე იცოცხება. იგი 1431 წელს გარდაიცვალა და მეხანშია დაკრძალული.

როგორც იმ დროინდელი ყველა სუფიური ორდენი, ასევე ნიმატულახის ორდენიც ნებისმიერი ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელს უაღრესად დიდ პატივს სცემდა. ისინი მოღვაწეობას თავისი მიმდევრების მიმართ აგებდნენ იმ პრინციპით, რომ სუფიის მიმდევრის სულიერი ცხოვრება რელიგიურ სჯულდებებს არ გამოყოფილია, რადგანაც თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტება (Хакикат) ამ ორის უეჭველი შეერთებით ხორციელდებოდა.

### სუფიური ორდენის „ნიმატულახის“ სულიერი

#### პრინციპები

ამ ორდენის სულიერი მეთოდიკა მთლიანობაში ეფუძნება უზენაესის (ღმერთის) მიმართ, ვედრებასა და მოგონებას (ვაკრ), ფიქრს (ფეკრ), თვითანალიზს (мохасебა), მდუმარებასა (მორაქება) და კვებას (ვირდ). ამასთან ერთად, სხვა წესებისა და მითითებების გარდა, ორდენის სოციალური და ეთიკური ასპექტები ეხებოდნენ სულიერი ცენტრების (ханакი) მართვას შემდეგი სახით:

1) განდეგილობაზე (კარჩაკეტილობაზე) უარის თქმა და სხვებთან ერთად განცალკევებულად არსებობა. მთებედავად ამისა, არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, როდესაც განდეგილობა ინდივიდუალურ თერაპიულ საშუალებად გამოიყენება, ამ დროს ფიქოლოგიური ჯანმრთელობა კაჟდება;

2) მკაცრად იკიცხება პაშიშისა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ჩვევად იქცევა და გონების გამოფიტვასა იწვევს;

3) ჩვეულებრივი ტანსაცმლის ტარება – რათა სუფიის მიმდევარი არ გახდეს მომეტებული ყურადღების ობიექტი და არ გამოუშავდეს უზნეო (ბიწიერი, მანკიერი) ჩვევები;

4) ნებისმიერი რელიგიისა და ეთნიკური წარმოშობის ადამიანებისადმი გულითადი დამოკიდებულება;

5) სუფიური ორდენის შეიხები და მასწავლებლები ყველა ღირსეულ მაძიებელს მოძღვრავენ და განდობილს ხდიან და არავის უარყოფენ;

6) აუცილებელია ორდენის სუფიათა მშვიდობის, ძმობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა. კერძოდ, არაა განსხვავება კაცსა და ქალს შორის;

7) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად ოსტატთან ან შეიხთან ერთად სუფრა ან მათთან ერთად მოგზაურობა, მომსახურებისთვის განსაზღვრული ადამიანები შეირჩეოდა. შერჩევის კრიტერიუმს მათი სუფიური შემეცნების გზაზე წინწასულობის ხარისხი წარმოადგენდა. ნიმატულაბის ორდენის დარვიშები ადამიანების მომსახურებაში სულიერი სრულყოფილების მიღწევას ხედავენ;

8) როდესაც სუფიის მიმდევრები ერთად ცხოვრობენ ან იკრიბებიან, მათი ურთიერთობა თანასწორუფლებიანობას ეფუძნება. კერძოდ, სუფიის მიმდევარს არა აქვს უფლება უბრძანოს რაიმე სუფიის სხვა მიმდევარს. თითოეულის ანაბარი საკუთარი შესაძლებლობიდანაა გამომდინარე.

რას წარმოადგენს სიყვარული ორდენის წევრებისათვის?

– იგი ჭეშმარიტი და ამქვეყნიურია.

ამქვეყნიური სიყვარული წარმავალ ფორმათა სილამაზიდან აღმოცენდება. როგორც ფორმა, აგრეთვე სილამაზეც წარმავალია. ერთადერთ მის შედეგს – გვარის გაგრძელება წარმოადგენს. იგი სექსუალური სურვილების სუბლიმაციის (დაკმაყოფილების) შედეგად ჩნდება. ჭეშმარიტი, ანუ ღვთიური სიყვარული ეს ის სიმდიდრე და ექსტაზია, რომელიც აბსოლუტური საყვარლისადმი შეყვარებულის მიერ გულიდან გამოფრქვეული ნაპერწკლებით გაიგზავნება. ეს შეყვარებული იმ ფარვანას წააგავს, რომელიც აბსოლუტის მოლაპლაპე სანთლის გარშემო ფარფატებს და მის ცეცხლში ამქვეყნიურ არსებობას წვავს. შეყვარებული საკუთარ „მე“-ს უარყოფს და იღუპება. როდესაც შეყვარებული საკუთარ თავს დააცარიელებს და არაფრად იქცევა – იგი მუდმივ სიცოცხლეს იძენს.

ზოგიერთი სუფია შეიხები თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ამქვეყნიური სიყვარულის გან აღმოცენდება, და სინამდვილეში დროებითი სიყვარული ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინების ჭურჭლად შეიძლება ჩაითვალოს. რუმის სიტყვებით რომ ვთქათ: „მის მიზანს ფორმა წარმოადგენდა, მაგრამ მისი საშუალებით, მან საბოლოოდ ღმერთი აღმოაჩინა.“

ჭეშმარიტ და ამქვეყნიურ სიყვარულს შორის განსხვავებას რუმი ასე განსაზღვრავს:

„Эй, Выпей жгучего прекрасного вина этих языков огня,  
Опьянись им так, чтобы не проснуться во время страшного суда,  
В том божественном вине ты обретешь дух свой молодой,  
В пламени инстинкта никогда не найдешь ты верности такой!“

ხოლო ირანელი სუფია პოეტი-მისტიკოსი ფაჰ-რადინ ირაყი (1213) ასე წერდა:

„სიყვარულია მოყვარულთან განუყოფელი  
თვით სიცოცხლეა მთლად მიჯნურის ოხვრა ყოველი.  
თუნდ ერთი წამი, მეგობართან გატარებული –  
თუ გავსჯით სწორად, არის მთელი წუთისოფელი.  
სიყვარულით დაღუპულებს ჩვენ რა გვესმის აბა მისი?  
ვნება კვალსაც არა სტოვებს, სალმობაა ნება მისი.  
გული დიდხანს აკვირდება ორ სამყაროს სრულყოფილსა –  
სიყვარულს ვერ შეედრება სხვა რამ ძალა ვერავისი.“

ადამიანის სიყვარული – ეს ღვთის სიყვარულის შედეგია. სიყვარული – ღვთიური ნების ატრიბუტია, მაშინ, როდესაც ნება (ნებისყოფა) – ღვთიური არსის ატრიბუტს წარმოადგენს. როდე-  
38

საც სიყვარული ადამიანზე ზემოქმედებს, მას ნებას უწოდებენ, ცოცხალ არსებათა შექმნა კი ამ შემოქმედების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

თუ სიყვარული ღმერთის მიერ შერჩეულ ადამიანს დაუუფლება, მას წყალობა ეწოდება. როცა სიყვარული რჩეულთა შორის რჩეულს დაუუფლება, მას მადლი ეწოდება. კაცობრიობას მხოლოდ მადლი ეძლევა.

როგორც სუფიურ მოძღვრებებში წერია: „მე დავასრულე (დავაგვირგვინე) ჩემი მადლი (სიუხვე) ჩემს მიმართ“. ეს ლექსი იმავე მადლსა და კეთილგანწყობას გულისხმობს, რომელსაც სიწმინდეს უწოდებენ. (არაბულად ვალაით). ამ წყალობის (კეთილგანწყობის) შედეგად ღმერთს აჰყავს შეყვარებულობის არსებობა შეყვარებულობის ხარისხამდე და შეყვარებული შიდა „მე“-ს გაქრობის მდგომარეობამდე მიჰყავს (არაბულად – ფანა).

შემდეგ, გასხივოსნების მეშვეობით, რომლის დროსაც ვლინდება შეყვარებულობის ღვთიური ატრიბუტები, შეყვარებული გადადის „ფანა“-ს, ანუ შიდა „მე“-ს გაქრობის მდგომარეობიდან „ბანა“-ს, ანუ მუდმივად შეყვარებულობის მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში კი უკვე შეყვარებულობის ფარდობითი არსებობა სრულად ქრება და ჩნდება აბსოლუტური არსებობა. აქ, ღვთიური სინათლის ქვეშ, რეალობა უკვე ისე აღიქმება, როგორიც არის იგი. ამ აზრითაა ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „ღმერთო ჩემო, ყოველი არსი მიჩვენე ისე, როგორიც არის იგი სინამდვილეში“.

წმინდა სუფიზმის მოძღვარმა, შეის რუზბახანმა თქვა: „სიყვარული ეს ის მახვილია, რომელიც კვეთს დროებითს, წარმავალ სიყვარულს და ეს ის სრულყოფილებაა, რომელიც ღვთიურ სიყვარულს წააგავს. როდესაც იგი შეყვარებულობაში შეერევა, იგი უბრალო მონა აღარაა და დროებით სამყაროში უკვე აღარ იქნება ჩაფლული. გარეგნულად იგი ღვთიურ სიდიადეს გამოავლენს, ხოლო შინაგანად ბატონობის (გამგებლობის) დონეს მიაღწევს. მის შესახებ უკვე ვეღარ იტყვის, რომ იგი გარდაიცვალა, რადგანაც სიკვდილს მათ მიმართ, ვინც ღვთიური სიყვარულით ცოცხლობს, ძალაუფლება აღარ გააჩნია“.

სუფიურ მოძღვრებაში სიყვარული აბსოლუტურ ერთიანობის არსად ითვლება.

გამოჩენილი სპარსელი პოეტი, სუფიური პოეზიის დიდოსტატი, აბუ საიდ მოჰამედი (957–1049) ასე წერდა ღვთიურ სიყვარულზე:

„თუ მიყვარს, თვით მაქვს ედემი გულში,  
კხარობ, ვითარცა პატარა ბავშვი,  
ქუდიც შემიგდონ, უშენოდ ფეხსაც  
არ შევადგამდი ედემის ბაღში.  
ყოფნა არყოფნის საიდუმლო აუხსნელია, —  
ეს მარგალიტი კაცის ხელით აუხსნელია;  
ბევრი რამ თქმულა, რომ აეხსნათ გონების ძალა,  
მთავარი მაინც დაფარული და უთქმელია“.

### გული და სიყვარული

სული თავის თავში ჭანს შეიცავს, გული კი – სულსაც და ჭანსაც უუფლება, ხოლო სიყვარული – გულს მართავს. სუფიურ მოძღვრებაში წერია: „გულის სადგომი (სახლი) უცხო საგნისაგან უნდა განთავისუფლდეს, რათა შესძლოს სიყვარულმა იქ დასახლება“. ეს ინტელექტუალური ამოცანაა, რადგან, როდესაც სიყვარული მოდის, შეყვარებულობის გარდა ყველაფერს წვავს. ამრიგად, სიყვარული თვითონ ასუფთავებს საკუთარ სადგომს.

### გონება და სიყვარული

როდესაც სუფიურ მოძღვრებებში განიხილავენ გონებასა და სიყვარულს, გონებაში ყოველთვის რაღაც პირადი, ინდივიდიალური გონება იგულისხმება. მაგრამ სინამდვილეში ღვთიური სიყვარულის სრულყოფილება თავს ავლენს როგორც სამყარისეული გონება; სიყვარულის სრულყოფილება იგივეა, რაც სამყაროსეული გონება.

გონება ამბობს: „არსებობს მხოლოდ სამი განზომილება, განზომილების მეტი რიცხვის არსებობა შეუძლებელია“. სიყვარული კი მას პასუხობს: „მათზე მაღლა არსებობს გზა და მე იქ მრავალჯერ კყოფილვარ“.

სუფიის თვალსაჩინო მოძღვარი რუმი გვასწავლის (1207-1272):

„რა არის სიყვარული? – არარსებობის ოკეანეა იგი.

გზა მისკენ კი – გონების მსხვრევას წრმოადგენს.

ვარ დაბნეული, აღარ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ –

სული, სხეული თუ გონება – ვინ ვარ და რა ვარ?“

გონება ყოველთვის რაიმეთია დაკავებული, სიყვარული კი განისვენებს და ამ წარმოსახვითი შემოქმედებისგან თავისუფალია.

გონებას ცოდნა გააჩნია და მჭერმეტყველია, სიყვარული კი ამ ორ სამყაროსგანაც თავისუფალია. გონება ამბობს: – „მე მშვენიერ ნივთთა მოწყობის საიდუმლოს ვფლობ“. – „შეყვარებულობის გარეშე, ყველაფერი ის, რასაც შენ ფლობ, ჰაერის შერხევაა მხოლოდ“, – პასუხობს სიყვარული.

სუფიები გონებას წყალს ადარებენ, სიყვარულს კი – ცეცხლს და ამბობენ: – „გონება მარადი-ულობის სამყაროში მოგზაურობს და საითკენაც არ უნდა გაემგზავროს, წყლის თვისებები გააჩნია. იგი რწყავს და ორივე სამყარო ხარობს. ხოლო სიყვარულს ცეცხლის თვისებები გააჩნია და არმყოფობის სამყაროში მოგზაურობს. საითკენაც არ უნდა გაემართოს ის, რასაც იგი ეხება, ქრება – წვავს“.

განსაზღვრულ ვითარებაში ამ სამყაროს გონება და სიყვარული შეიძლება წააგავდნენ როგორც წყალს, ასევე ცეცხლსაც. როდესაც გონება დადებით ემოციებს იყენებს, იგიწყლის თვისებებს იძენს და კაცობრიობის აყვავებას ემსახურება.

მეორე მხრივ, როდესაც გონება დადებითი ემოციების გარეშე მოქმედებს და იმ ბრძოლის ველისკენ მიემართება, რომელსაც სიცოხლე ეწოდება, გონება ცეცხლის ატრიბუტებს იძენს, სპობს კაცობრიობას და კონფლიქტებსა და ომებს იწყებს.

თუ კი დადებით ემოციებს ძალუბს მოთოკოს გონება, – წყლის თვისებიანი სიყვარული აღმოცენდება. ეს სიყვარული თავგამოდებით ემსახურება ყველას. ისევე, როგორც ღრუბელი მაცოცხლებელ წვიმად მოევლინება შემოქმედების მინდორს. თუ ამ დადებით გრძნობებს გონება ყურად არ იღებს ან ვერ გამოიყენებს და ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილი აღმოჩნდება (მხოლოდ ეგოისტური სურვილებით), ცეცხლოვან თვისებიანი სიყვარული აღმოცენდება. საკუთარი თავისადმი ასეთი სიყვარული ეგოისტური სურვილების დასაკმაყოფილებლად ყველაფერს წვავს, იგი სხვებს ანგრევს.

ამრიგად, გონებასა და დადებით ემოციებს შორის სხვადასხვანაირი მდგომარეობებისა და სახეების ურთიერთობების დროს ვლინდება სიყვარულისა და გონების მრავალნაირი სახე. იმ უმაღლესი მდგომარეობის დროს, როდესაც ღვთიური სიყვარული სრულყოფილი გონებით სარგებლობს, იბადება ჭეშმარიტი სიყვარული. სუფიურ მოძღვრებებში ასე წერია: „მე (ღმერთმა) დავასრულე საკუთარი თავისადმი ჩემს სიმღიდრეთა და ლოცვა-კურთხევის გამომჟღავნება“.

### როგორ შეიძლება გახდე სრულყოფილი?

როგორც სუფის მიმღევრები თვლიან, აღამიანი მიჯაჭვულია საკუთარ ვნებებს და იგი მორალურად დასხეულებულია. ამ სნეულების გამო მისი გრძნობები დაზარალებულია, ხოლო აზრები და აღქმები არაჯანსაღნი ხდებიან. ამის შედეგად ადამიანის მიერ ჭეშმარიტების გაგება და აღქმა რეალობისგან ძალიან შორს მიღის. სუფის მიმღევრები ამბობენ რომ, ჯერ ავადმყოფური აზროვნების მკურნალობა, ვნებების მორალურ საწყისებზე გარდაქმნაა საჭირო. და მხოლოდ მაშინ როდესაც აზრები ჯანმრთელნი გახდებიან, ჭეშმარიტების სწორად გაგების შესაძლებლობა მოგვეცემა. ეს სულიერი გზა სულიერი სიღარიბის ერთგულებისა და ღმერთის მუდმივი წსენებისაგან შედგება. ასეთი მოღვაწეობის (არსებობის) შედეგად ადამიანი ჭეშმარიტების ისეთნაირად აღქმას იწყებს, როგორიც იგი სინამდვილეში არის.

### ასკეტიზმი და თავშეკავება სუფიურ მოძღვრებაში

იმისათვის, რომ სუფიური მოძღვრებების გზას დაადგეს მიმღევარი, მას ძალა ესაჭიროება. ამ ძალას საკვები აძლევს. ამიტომ ამბობენ – ის, რასაც სუფის მიმღევარი ღებულობს, სულიერ თვისებებად და სინათლედ გარდაიქმნება. ამავე დროს სხვათა საკვები მხოლოდ საკუთარ ვნებებს, სიხარებსა და შურიანობას ემსახურება. ამის თაობაზე რუმი ასე ამბობს:

„ეს ჭამს – და მხოლოდ სიხარებსა და შურიანობას ბადებს,

ის ჭამს – და ერთიანი სინათლის გარდა არაფერს ბადებს.

ეს ჭამს – და მხოლოდ უწმინდურობა იბადება,

ის ჭამს – და ყველაფერი ღვთიური სინათლით იქლინთება“.

თვალნათლივია, რომ სუფიური მოძღვრება ისეთ ასკეტიკას არ ეფუძნება, როგორიცაა საკვებისაგან თავშეკავება. სუფიის ამ ორდენის მიმდევრები საკვებისაგან მხოლოდ მაშინ იკავებენ თავს, როდესაც ავადმყოფობები ან ღრმა გრძნობებში არიან ჩაფლული. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ან სულიერი მოძღვარი, ხანძოკლე ღროის განმავლობაში უკრძალავს მოსწავლეს კვებას და ურჩევს, რომ სულიერ ვარჯიშებზე მოახდინოს ჩაწერტება. ამ დროს, მიმდევარი ვნებებისგან თავისუფლდება და გზის გაგრძელება შეუძლია.

ინდური ფილოსოფიის მიხედვით განწმენდისათვის აუცილებელი ძალის შეძენა შესაძლებელია მარხვით. სუფიურ მოძღვრებებში კი განწმენდისთვის არაა საკმარისი საკვებისაგან თავის შეკავება. მართლაც, ასკეტიზმი და თავშეკავება ადამიანს განსაზღვრულ სულიერ მდგომარეობას აძლევს და მაშინ აღქმაც ძალიან იწმინდება, მაგრამ თუ შიდა „მე“-ს იმ გველებას მივამსგავსებთ, რომელიც მარხვის შედეგად ძალაგამოცლილი ხდება, ასევე თვალნათლივია ისიც, რომ მარხვის დამთავრების შედეგ იგი კვლავ საგმარის საკვებს მიიღებს და უფრო მეტი ძალისხმევით ეცდება თავისი სურვილების დაკმაყოფილებას.

სუფიურ მოძღვრებაში სულიერების გზის (Тариката) საშუალებით ხდება შიდა გარდაქმნა: შიდა „მე“ თანდათან იწმინდება და გარდაიქმნება ღვთიურ ატრიბუტად მანამდე, სანამ მასში განწმენდის შემდეგრამე ცხოველური კვლავ გაჩნდება. ის ყველაფერი, რაც მასში დარჩება, უკვე სრულყოფილია, ღვთიური „მე“-ა. ამ ყოვლისმომცველ და ზუსტი მუშაობისათვის ასკეტიზმი და თავშეკავება პრაქტიკულად უსარგებლოა.

### სულიერი გზა (Тарикат)

სულიერი გზის მეშვეობით სუფიის მიმდევარი ღვთიურ ბუნებასთან მოდის ჰარმონიაში. როგორც უკვე ვთქვით, ეს გზა სულიერი სიღატაკის (Факр), ერთგულებისა და ღვთის მუდმივი ხსენებისაგან შედგება. მოხეტიალე სუფიის მიმდევარი ანუ დარვიშები განასახიერებენ ამ სახეს (Хырка).

### 1. სულიერი სიღატაკე (Оакр)

ეს, ერთი მხრივ, არასრულყოფილებისა და ხელმოკლეობის (გასაჭირის) და, მეორე მხრივ, სრულყოფილების დაუფლების სურვილის შეგრძებას იწვევს. სუფიურ მოძღვრებაში ნათქვამია: „ჩემი დღება – ჩემს სულიერ სიღატაკეშიაო. როგორც ამ გამონათქამიდან გამომდინარეობს, დედამიწაზე ყველა უდიადესი ადამიანისათვის აუცილებელი იყო საკუთარი სიღატაკის შეგრძება რათა მათ ღვთაების არსში ჩაწვდომა შესძლებოდათ“.

### 2. სუფიის მოხეტიალე მიმდევრების ანუ დარვიშების (Хырка) ძონბი (კონკი)

დარვიშებს უბრალო ტანსაცმელი ეცვათ, რაც ძალიან საპატიო იყო მათოვის. იგი ღვთიურ ზნეობასა და ატრიბუტს განასახიერებდა. საერთოდ ადამიანმა ისეთი ტანსაცმელი უნდა ატაროს, რომელიც მოსწონს, უნდა ეცადოს ჰარმონიაში იყოს მასთან რაც, მისთვის სოციალურადაა მისაღები. დარვიშები ამბობენ: „ისეთი ტანსაცმელი ატარე, რომ მის გამო შენზე თითო არ გამოიშვირონ, ასევე არც აღფრთოვანდნენ და არც შეშურდეთ“. თითოეულმა უნდა ჩაიცვას ის რაც მას მოსწონს, მაგრამ სუფიური მოძღვრება ადამიანში ზნესა და ცხოვრების წესს სიბრძის საბურველში ახვევს. სუფიის მოძღვარი საადი (1210-1292) დიდი სპარსელი პოეტი და მოაზროვნე ამის თაობაზე გვასწავლის:

„იჯექ თუნდაც მეფის ტახტზე,  
მაგრამ იყავ დარვიში  
და ზრახვებით წმინდა“.

ან კიდევ:

„ქეყნად ყველა როდი სცოდავს – რომ ჩაიცვამს ფარჩის კაბას,  
ქედმაღლობით დათვრება და მდიდრებს შორის თვალებს ნაბავს.  
მუხანათი ის კაცია, ვინც სიმდიდრე მოიხვეჭა,  
ერცხვინება მეგობრისა – ვინც ძონბებში სულსა პლაფავს“.

ძონბის (კონკის) შესაკერად ორი ძირითადი ელემენტია საჭირო: ერთგულების ნემსი და ღმერთის თავგამოდებული ხსენებისა და პირად სიკეთეზე უარის თქმის ძაფი. ის, ვისაც სურს, რომ ამ ძონბისა და სიღატაკის გამო პატივი სცენ, უნდა დაექვემდებაროს სულიერ მატარებელს

და მისი ერთგული იყოს. ჭეშმარიტი ერთგულება შეყვარებულის გულს მართავს. იგი საკუთარ თავში სიმშვიდესა და ყურადღებას გამორიცხავს და მუდმივად ღმერთისკენაა მიმართული. მგზავრი კითხვებს არ იძლევა, იგი სუფიის მოძღვარს – შეიხს ემორჩილება. სუფიის მოძღვარი, იყენებს რა თავის სულიერ ძალას, მგზავრის სულის სიღრმეებს აღწევს, გარდაქმნის მის უარყოფით თვისებებს და მის უწმინდურობებს არარაობად გადააქცევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუფიის მოძღვარი მოგზაურის ან შეგირდის ხელიდან ერთგულების ნემსს იღებს და კეთილდღეობებზე უარის თქმისა და ღმერთის მუდმივად ხსენების ძაფისგან შეგირდ ს ძონბს (კონკს) უკერავს (რომელიც ღმერთის ატრიბუტებისა და სახელისაგან შედგება), რათა შეგირდი სრულყოფილ ადამიანად იქცეს.

### 3. ღმერთის თავგამოდებული ხსენება (ვაკერ)

აბსოლუტურ, უსასრულო ერთიანობაში ისეთი ძალები და ემანაციებია ჩადებული, რომლებიც შექმნილი არსებებივით გამოვლინდებიან. თითოეული არსება, თავისი ბუნების შესაბამისად, ამ ძალთა მადლს (წყალობას) ღებულობს. ამ ძალთა ანდა ჭეშმარიტებათა სიტყვების სფეროში გამოვლენა ღვთიური სახელებით ხორციელდება. მაგ. ნამდვილად ჭეშმარიტი (Вечнoscущий) – ნიშნავს, რომ შემოქმედებითი ცხოვრება უმუალოდ მასთან ანუ უზენაესთანაა დაკავშირებული.

შეგირდის ენერგიათა წყაროს ღმერთთან მისი ერთგულება წარმოადგენს. ერთგულების ეს ფენომენი მაძიებელში ცვლის შიდა „მე“-ს ყველა სურვილსა და საშიშროებას. შეგირდის შიდა „მე“ თანდათან ქრება და მასში ღვთიური ბუნება იბადება. მხოლოდ მაშინ ხდება შეგირდი სუფიური ძონბის ჭეშმარიტად მატარებელი, ხოლო მისი გული და სული ღვთიური მადლით გასხივოსნებულნი ხდებიან. ამ მომენტიდან დაწყებული შეგირდი სუფიათა სულიერ დღესასწაულთან შეერთების ღირსი ხდება, რომლებიც უბრალო ჩაიხანებში (Харабат) მიმდინარეობს. ეს შიდა „მე“-ს სულიერი ამაღლების მდგომარეობაა. აქ სუფიები ჭეშმარიტების საიდუმლოებებს უკვე ისე აღიქვამენ, როგორც რეალობას. ასეთი „განწენდილნი“ სუფიურ მოძღვრებებში – სრულყოფილ პიროვნებებადაა ცნობილი.

რათა ოდნავ მაინც გვქონდეს წარმოდგენა, თუ როგორ ხორციელდება სუფიათა მიმდევრებში ღმერთის, უზენაესის გახსენება, ჰატარა მაგალითი მოვიყვანოთ, რომელშიც ხორციელდება რიტუალი „მწამს ერთი ღმერთი“ ქრისტიან სუფიის მიმდევრებში, ან „La Аллах ил Аллах“ (რაც იმასვე ნიშნავს არაბულად) – ისლამური სუფიის მიმდევრებში:

სუფიის მიმდევარი ზის ფეხებგადაჯვარედინებული ან მუხლმოდრეკილი. მარჯვენა ხელი მარცხენა თეძმზეა, ხოლო მარცხენა ხელი მარჯვენა მაჯაზეა ჩავლებული. ამ პოზაში სუფიას ხელები და ფეხები გამოხატავენ „სიცარიელის“ პოზას (ქრისტიანებთან) ან „La“ მდგომარეობას (მაკმადიანებთან) და ეს პოზა შეყვარებულთან არარსებობას აღნიშნავს. ამ მდგომარეობაში სუფიის მიმდევარმა ამ ქვეყნიერებასა და საკუთარი თავის მიმართ ყურადღებაზე უარი უნდა თქვას.

სუფიის მიმდევრის ხელების „სიცარიელე“ ანუ „La“ – მდგომარეობა ჭიპიდან იწყება და კისრამდე გრძელდება. ეს იმ მაკრატელს განასახიერებს, რომელიც სიმბოლურად საკუთარ „მე“-ს კვეთს და შეზღუდული არსებობისადმი უარის თქმას გამოხატავს.

შემდეგ თავის წრიული მოძრაობით მარჯვნივ და მარცხნივ ნახევარწრეს შემოხაზავენ სიტყვებით „მწამს ერთი ღმერთი“ ან არაბულად „Иллах ил Аллах“. ამ მოძრაობებით სუფიურ მოძღვრებაში გამოიხატება იმ რეალური რწმენისადმი უარის თქმა (უარყოფა) რომელიც გარდამავალია, შეზღუდულია და არსებობის ფორმებით შემოსაზღვრული. ადამიანები ღმერთის მარადისობის, ყოვლისმომცველობის, აუცილებლობისა და აბსოლუტური რეალობის მაგივრად ემსახურებიან გარდამავალ, შეზღუდულ და შემოსაზღვრულ ფორმებს. ბოლოს სრულდება თავის ისეთი მოძრაობები და წარმოითქმება სიტყვები რომელიც რეალურ ყოვლისმომცველ, აბსოლუტურ და მუდმივ ღმერთთან შეერთების აუცილებლობას გამოხატავს.

### მუსიკა სუფიურ მოძღვრებაში

სუფიის მიმდევართა სიმღერებითა და მუსიკით შეფასებას არაბულად „Сэма“ ეწოდება. სუფიის მიმდევარი, რომელიც სულიერ ექსტაზში იმყოფება, გულისყურს შეყვარებულისკენ მიმართავს. ასრულებს რა განსაზღვრულ მოძრაობებს რითომული მუსიკის ქვეშ, იგი ღმერთს ღრმა შემეცნებით ხასიათს აძლევს. ამ მდგომარეობაში სუფიის მიმდევარი გაბრუების, სულიერი აღმაფრენის, დიდი სიყვარულით დათრობის მწვერვალზე იმყოფება. ღმერთის გარდა აღარაფერი ახსოვს. იგი მთელი თავისი გრძნობითა და გონებით შეყვარებულშია ჩაწერტებული, მან მთლიანად უარი თქვა საკუთარ თავზე და დაივიწყა კიდევ იგი.

„Сэма“-ში ყველა შეგირდი ვერ ღებულობს მონაწილეობას. იგი, როგორც ვარჯიში ეძლევათ იმ შეგირდებს, რომლებსაც ნებას დართავს მოძღვარი სუფია. იგი საზღვრავს, აუცილებელია ამა

თუ იმ შეგირდისათვის ასეთი მიღობა. „Сема” იმ წამალს წააგავს, რომელსაც ექიმი ხან უნიშნავს პაციენტს, ხან კი უკრძალავს.

### სიწმინდე (წმინდანობა)

ადრე ვთქვით, რომ სუფიური მოძღვრების მიზანი ისეთი სრულყოფილი ადამიანების არსებობაა, რომლებიც ღვთიური სახელებისა და მათ საქმეთა სარკეებს, ანარეკლს წარმოადგენენ. სრულყოფილ ადამიანს არაბულად „Вали“ (წმინდანი) უწოდებენ; ხოლო სიტყვა-სიტყვით კი – „ერთგული მეგობარი“. დედამიწაზე ყველა წინასწარმეტყველი ასევე წმინდანიც იყო. შინაგანი ყოფიერების მდგომარეობა სიწმინდის სულიერების ხარისხიდან გამომდინარეობს და ამავე დროს წინასწარმტყველების რანგი გამოხატავს ღმერთის მიერ წარგზავნილი ადამიანის მისიას.

ადამიანთა უმრავლესობას არ გააჩნია ის საქმარისი მოთმინება, რომელიც წმინდანთა შეცნობისთვისაა აუცილებელი. ვინც რამეთია მოცული, ვერ შესძლებს იმის გაგებას, თუ რითა იგი მოცული. წმინდანთა ჭეშმარიტი ცოდნა მათ უკან მდგომი ადამიანის შიდა ყოფიერების რეალური გამოვლინებით ხორციელდება. სრულყოფილი მორწმუნის ღვთიური ცოდნა ადამიანთა უმეტესობის აზროვნების დონის საზღვრებს მიღმა იმყოფება. ისინი, ვისაც ესმით ასეთი სრულყოფილი არსების სიტყვა, მას ურწმუნოს უწოდებენ.

ჭეშმარიტად მორწმუნე სუფიის მიმღევარმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროს, მან უნდა მომართოს იგი და იქცეს იმ ინსტრუმენტად, რომლის სამუალებითაც საზოგადოება მადლს (სიუხვეს) ღებულობს.

საზოგადოებაში თანხმობითი და ჰარმონიული არსებობა, ყველასთან მშვიდობით ცხოვრება სრულყოფილი არსების აუცილებელ თვისებას წარმოადგენს.

განწმენდა და მისი საფეხურები  
განწმენდის საფეხურები შემდეგია:

1. მგზავრის „მე“ დაცარიელებული და ყველა ატრიბუტს მოკლებული ხდება.
2. ღმერთის თითოეული ხსენების დროს გულის სარკეს უნგი სცილდება.
3. გული ღმერთის ატრიბუტებით ივსება.
4. მგზავრის „მე“ მთლიანად ისპობა და მას არაბულად „Фана“ ეწოდება:

„Я думал о тебе так часто, что превратился в Тебя,

То ты понемногу приближался, то тихо уходил“.

შეგირდი, გადის რა განწმენდის ამ საფეხურებს, შიდა გზაზე მოგზაურობს, მაშინ როდესაც როგორც ბიბლია ქრისტიანებისათვის და შარიათი – მუსულმანებისათვის – ეს მხოლოდ მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს. გაივლის რა ამ გზას, სრულყოფილი ადამიანი ჭეშმარიტების კარიბჭეს (არაბულად – ხაკიკათ) მიაღება. წინასწარმეტყველები ასე ამბობენ: „ბიბლია და შარიათი – ეს მეტყველებაა, „თარიკათ“-ი ეს ქმედებაა, „ხაკიკათ“ კი მდგომარეობაა“.

ეს უკანასკნელი შეიძლება „ხაკიკათ“-ში მოგზაურობას მივამსგავსოთ, ხოლო ღვთიურ უნივერსიტეტში ჭეშმარიტების სწავლება კი „Харабათ“-ს ანუ „დუქანს“ (საჩაიეს, ჩაიხანას) ნანგრევებში“. უმაღლესი განათლების ამ ჭეშმარიტ ცენტრში პროფესორები და დოცენტები არ არიან, იქ ერთადერთი დამრიგებელია – აბსოლუტური სიწმინდე და სრულყოფილი სიყვარული. იქ მხოლოდ ერთი მასწავლებელია – სიყვარული, სახელმძღვანელოების მაგიერ – სიყვარული, და თვით სრულყოფილი ადამიანი, რომელიც ასევე სიყვარულია.

რაღაც მხოლოდ სრულყოფილი ადამიანი შედის ამ უნივერსიტეტში, მის მიმართ ვერაფერს იტყვი, რაღაც იგი უკვე სიტყვებს მიღმა სფეროში იმყოფება. ამის თაობაზე მოულავი რუმი ასე ამბობს:

„ფეხთა ნაკვალევი ოკეანის ნაპირებამდე მიდის,

შემდგომ კი ყოველგვარი ნაკვალევი ქრება“,

ან

„...აღარ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ – სული,

სხეული თუ გონება – ვინ ვარ და რა ვარ?“

თუ ასეთი ადამიანს სახელით მიმართავ, იგი ასე გიპასუხებს: „მე ჩემი სახელი მრავალი წლის წინ დავკარგე. რაც უფრო მეტად ვეძებ მას, მით ნაკლებად ვპოულობ“. თუ მას რელიგიის თაობაზე შეეკითხები, მოძღვარი მოულავის სიტყვებით გიპასუხებს:

„შეყვარებულის რელიგიას – ღვთის რელიგია წარმოადგენს,

შეყვარებულის რელიგიას და სამშობლოს – ღმერთი წარმოადგენს“.

თუ მას სიცოცხლეზე დაუწყებ საუბარს, იგი ასე გიპასუხებს: – „ჩემს ძონძებს ქვეშ ღმერთის გარდა არაფერია“.

თუ ამ სრულყოფილ ადამიანს მოუსმენთ, იგი მღერის: „მე ვარ ჭეშმარიტება“.

ასეთ სიტყვებს მხოლოდ სრულყოფილი ადამიანები წარმოსოქვამენ, ისინი, ვისაც საკუთარი „მე“ აღარ გააჩნიათ და ღვთიური ბუნებისა და ღვთიური საიდუმლოების განსაზიერებას წარმოადგენს. მათი „მე“ გაქრა, დარჩა მხოლოდ ღმერთი.

## მეცნიერება საუბარი სუფიაზე

### „იდიოტის“ სიპრძე

„ჭკვიანები სიბრძნედ იმას ღებულობენ,  
რაც სუფიებს სიბრიყვედ ეჩვენებათ  
და ამიტომ ხანდახან სუფიები  
თავიანთ თავს იდიოტებს უწოდებენ...  
უდიადესი სუფიები იდიოტებად გამოიყურებან“.  
იდრის შახი

იმ მოაზროვნეთა პრაქტიკული ფილოსოფია, რომლებიც საკუთარ თავს „იდიოტს“ უწოდებენ, თვითდაჯერებულ „ბრძნები სიბრძნის“ საპირისპიროა და საკუთარ თავზე ჭეშმარიტების გაგებაში გვეხმარება. იგი ასევე ჩაგვაფიქრებს ცხოვრების არსზე.



“იდიოტის“ პორტრეტი

„იდიოტის“ პორტრეტი სიტყვა მაინც ერთი ხატის ფორმით აღიმება. ამიტომაც ეჩოთირებათ მათ სუფიათა ეს ფსევდონიმი. მაგრამ სხვაგვარად აზროვნებენ სუფის მიმდევრები. ისინი სხვა სიბრტყეში იმყოფებიან, ვიდრე თქვენ ან მე...

კულტურა ქაოსის ანტონიმია. და პირობაა კაცობრიობის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი არსებობისა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც იგი ტრადიციებისა და კლიშეების, ტაბუების, კანონების ფორმით იქმნება, თავის არსშივე რიგიდული და დოგმატურია და სწორედ ეს რიგიდული ნაწილი კულტურისა არის არანაკლებ საშიში, ვიდრე ტოტალური ქაოსი. ეს ნაწილი შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან, დაივიწყოს თავისი დანიშნულება და გახდეს სრულიად დესტრუქციული. ამ დროს იგი ინარჩუნებს თავის პრო-სახეს, მაგრამ უკვე არა იდეალებს, არამედ თავის თავს ემსახურება. ასეთი იყო ინკვიზიცია, ნაციზმი, კომუნიზმი, ნაციონალიზმი და ა. შ. მიზანდაკარგული იდეოლოგის ცოცხალ მაგალითებს ლოკალურად საქართველოშიც ვხედავთ. მაგალითად, ეროვნულობის დაცვის ყალბი ლოზუნგებით ბრძოლა პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ, ვითომ ქრისტიანობის დროშით გალაშქრება თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ და სხვა.

აი, სწორედ ამ სენის თავიდან ასაცილებლად, განვითარებულ სულიერ კულტურებში არსებობდა ფენომენი კონტრკულტურისა, როგორც მეხამრიდი და განმწმენდი ჩვენი ყოფისა. ვინ არიან კონტრკულტურის წარმომადგენლები? – ისინი არიან რჩეულნი, რომელნიც ხშირად ზვარაკად ედებიან ჩვენს არსებობას და თავს სწირავენ, რათა ჩვენ არ გადავიქცეთ მხეცებად.

ასეთი იყო ქრისტე. ქრისტე ტრადიციული იუდეური კულტურის მნგრეველად მოევლინა ქვეყანას. ათი მცნების შიგნით მან თვალთმაქცობა გაწმინდა და ახალი ტაძარი ააგო. ქრისტე ერთდროულად ქადაგებდა ცეცხლსა და მახვილს, უაღრეს შებრალებასა და მიტევებას. იგი

იყო ერთდროულად ტრადიციის დამანგრეველი და კულტურის შემოქმედიც.

ასეთები არიან ძენ-ბუდიზმის მიმდევრები. ძენში საგანგებოდ გამოიყოფა ტრადიცია სიწმინდეების შერყვნისა და ბუდას სახელის ძაგებისა. ძენის მოძღვარნი საჯაროდ ლანძღავენ ბუდას სახელს და მას უწმაწურ სიტყვებს უწოდებენ. აქ ლაპარაკია არა ფსევდონიმზე „იდიოტი“, არამედ ლვთაების უაღრეს შეურაცხოფაზე და ეს საგანგებოდ კეთდება იმისათვის, რომ ადამიანმა არ დაიკიტყოს ღმერთი იმისათვის, რომ ღმერთის სახელი არ გახევდეს და არ გაუბრალოვდეს.

ასეთები არიან სუფისტები, ანუ მოხეტიალე დევრიშებიც, რომლებიც იოანე ნათლისმცემელი-ვით მარტივი მოსასხამით შემოსილი ირანში, საქართველოსა და ინდოეთში მოძღვრავდნენ ხალხს. მიჯნურთა და ხელთა იერით ისინი ეძიებდნენ ღმერთს და სასიყარულო ლირიკის ექსტაზში შესულნი უერთდებოდნენ თავიანთი ტრფობის ობიექტს. როგორც ფარვანა სანთლის შუქის ირგვლივ მოფარფატე, იწვებოდნენ და უერთდებოდნენ პირველ საწყისს.

ასეთი იყო მისტერ ეკჰარტი, რომელმაც ღმერთის განსაზღვრებისა და რელიგიური ერთგულების უნიკალური მაგალითი მოგვცა: „მე მირჩევნია ვიყო ჯოჯოხეთში ღმერთთან ერთად, ვიდრე ცათა სასუფეველში მის გარეშე“.

ასეთი იყო ლაო-ძი, რომელმაც მთელი ცხოვრება ბავშვის თვალებით უფრო სამყაროს და შექმნა „დაო დე ძინი“ – ნააზრევი, ლოდი საკიდური ჩინური კულტურისა. გავიხსენოთ, რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონეს არ სცილდება მოზრდილ ასაკში – „ოლიგოფრენია – თანშობილი ან ჩვილ ასაკში შეძნილი განუვითარებლობა ფსიქიკური უნარებისა. გამოირჩევა ოლიგოფრენიის სამი ხარისხი – დებილიზმი, იმბეცილობა და იდიოტია“. ტრადიცია და მიღებული წესი სიტყვებს „დებილი“ და „იდიოტი“ სალანდღვად იყენებს. უფრო რბილად, შეიძლება ვინმეზე ვთქვათ: „ბავშვივით აზროვნებს“, „ბავშვობიდან ვერ გამოვიდა“, და ტონი ამ გამოთქმათა არის დაცინვითი, ან უკეთეს შემთხვევაში, კნინობითი. მაგრამ გვახსოვდეს, რომ ეს ის მდგომარეობაა, რომელსაც ქადაგებდა ქრისტე, როგორიც იყო ლაო-ძი, რისკენაც მიიღოვანიან მისტიკოსები, ისეთი კი, ვინც „გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან“ და „დალაგბული აზროვნება აქვს“, მოიძენება მილიარ-დობით.

ყოველივე ეს საფუძველი და ლოგიკა იმ სულიერი მიმდინარეობისა, რომელსაც კონტრკულტურა ეწოდება. კონტრკულტურაა მისტიკიზმი, სუფიზმი, ძენი – ესაა ის დვრიტა ჩვენი ცივილიზაციის შიგნით, რომელმაც უნდა გამოგვაფხიზლოს და არ გადაგვაქციოს ინკვიტორებად თუ ნაცისტებად.

კონტრკულტურაა, როდესაც ბრძენს იდიოტი ჰქვია და წმინდანს – შლეგი.

კონტრკულტურის გარეშე დაიღუპება ის, რასაც ცივილიზაცია ჰქვია.

დარწმუნებული ვარ, ბანქოს დასტა უცხო არა ჩვენი მკითხველისათვის, ჯოკერიც გითამაშიათ. „ჯოკერი“ – მასხარა ყველაზე მაღლა დგას ბანქოს იერარქიაში. რატომ? გასაოცარი არაა ჯოკერი სჯობნიდეს მეფესა და დედოფალს? ჯოკერი ხომ იდიოტია? მაგრამ ასეთია ბანქოს ლოგიკა, ბანქოსი, რომლის ფესვებიც ძალზე ღრმად – ტაროს ტრადიციაში იმაღლება, რომელიც, მკვლევართა აზრით, ეგვიპტელ ქურუმთა მიერ კოდირებული მისტიური ცოდნის მოდელია.

ტაროს დასტაში ჯოკერს სხვაგვარად სულელი ეწოდება. ამ ფიგურის სიმბოლიკის ინტერპრეტაცია, მოკლედ, შემდეგა:

„როდესაც მოდის დრო, და ეს ყოველთვის ასე ხდება, როდესაც ბეველი წესები, სააზროვნო სტრუქტურები, რწმენა და ცრურწმენები კარგავენ ძალას და ვეღარ ასრულებენ თავის სამსახურს, მაშინაა საჭირო წმინდა სულელი. იგი ცხოვრობს თავის შიდა სამყაროში და, ამდენად, არაა შეზღუდული იმ საერთო შეთანხმებებით ან საზოგადოების ნირმებით. ღმერთები ან ბრძა შემთხვევა არჩევენ იდიოტს, რომელიც გადაარჩენს და გარდაქმნის საზოგადოებას. ხანმოკლე დროით იგი ხდება მეფე (რადგან მხოლოდ ხანმოკლე სიგიურა მისაღები) და ბევრი ცვლილების მერე, თუ ბედი სწყალობს, ააღორძინებს სამყაროს.

არის ხოლმე მომენტები ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ჩვეული აზროვნება დრომოჭმულია. მაშინ დეგება დრო წმინდა სიგიურისა (მანის). აქ არ არსებობს კანონები, რადგან სწორედ კანონებია ის, რაც გაუფასურდა. ერთადერთი გამოსავალი უფსკრულში გახელვბული ნახტომია. ჩვენ შესაძლოა, გადარჩენის იმედი გვქონდეს, მაგრამ ამისი გარანტია არ არსებობს.

იდიოტი წარმოადგენს დაუთრგუველ სიცოცხლის სულს, რომელმაც გადმოლახა ჯებირები, ბობოქრად მოედო არემარეს და ახალი კალაპოტი გაჭრა“.

# მეათე საუბარი სუფიაზე

## „იდიოტის“ იგავები

### 1. ზეციური ნაყოფი

ერთმა ქალმა შეიტყო რა ზეციური ნაყოფის შესახებ, მოისურვა მისი შეძენა.  
მან ერთ მოხეტიალე სუფიას – დავრიშს მიმართა:

- როგორ მოვიპოვო ზეციური ხის ნაყოფი, რომელიც მყისიერ გასხივოსნებსა მომიტანს?
- იქნებ სჯობს ერთად ვიმუშაოთ მის შესაცნობად, – უპასუხა დავრიშმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ქვეყნიერებაზე უსასრულო ხეტიალისათვის იყო განწირული.

ქალი წავიდა და მოძებნა მეორე დავრიში, შემდეგ მესამე, მეოთხე და ასე მოინახულა ბევრი სხვა დავრიში.

ამ ძიებაში ოცდაათი წელი მიიწურა.

ბოლოს და ბოლოს, იგი ერთ ბაღში აღმოჩნდა, სწორედ იქ ხარობდა ზეციური ხე, ხოლო მის ტოტებს შორის მოკაშკაშე ზეციური ნაყოფი ელვარებდა. ხის ძირას კი ის პირველი დავრიში იდგა.

– რატომ თავიდანვე არ მითხარი, რომ ამ ზეციური ნაყოფის მცველი ბრძანდებოდი? – ჰკითხა ქალმა.

– შენ მაინც არ დაიჯერებდი. და კიდევ ერთიც: ეს ხე ნაყოფს მხოლოდ ოცდაათ წელსა და ოცდაათ დღეში ერთხელ ისხამს.

### 2. სუფიის მოძღვარი და მაწანწალა

ერთხელ სუფიის მოძღვარი მოედანზე თანამოძმეს შეხვდა. შემსვედრი მოხეტიალე დავრიში იყო. მაშინვე გარშემო სუფიის მოძღვრის შეგირდები შემოეხვივნენ.

- საიდან მოდიხარ? – სუფიებში მიღებული კითხვით შეეგება მაწანწალას მოძღვარი.
- წარმოდგენა არა მაქვს, – უპასუხა მოხეტიალემ და ბრიყვულად გაიღიმა.
- შეგირდებმა ჩურჩული დაიწყეს, ისინი უკმაყოფილონი დარჩნენ ამ პასუხით.
- საითქენ მიემართები? – გააგრძელა სუფიის მოძღვარმა.
- არ ვიცი! – წარმოსთქვა დავრიშმა.
- რა არის სიკეთე?
- არ ვიცი.

ამ დროისთვის მათ გარშემო ადამიანთა დიდი ჯგუფი იყო უკვე შექრებილი.

– რა არის ბოროტება?

– წარმოდგენა არა მაქვს.

– რა არის კეთილდღეობა?

– ის, რაც ჩემთვისაა კარგი.

– რა არის ცუდი?

– ყველაფერი ის, რაც მავნებს მე.

აქ კი შეგროვილმა ხალხმა უკვე ყოველგვარი მოთმინება დაკარგა. მათზე დავრიშის პასუხებმა ისე იმოქმედა, რომ გააძევეს იგი.

ის კი მიზანდასახულად გაუდგა გზას, რომელიც ყველამ იცოდა რომ არაფრისკენ მიღიოდა.

– ბრიყვებო! – წარმოსთქვა სუფიის მოძღვარმა, – ამ მაწანწალამ თქვენს წინაშე ჩვეულებრივი ადამიანის როლი გაითამაშა. თქვენ მისდამი სიძულვილით განეწყეთ, მან კი თავი მოისულელა. იგი სპეციალურად გიჩვენებდათ იმ უჭირობას (უთავობას), რომელსაც თქვენ გაუცნობიერებლად ავლენთ ერთმანეთისაღმი ყოველდღე.

### 3. ღარიბები და ხელოსნები

ერთხელ სუფიის მოძღვარს ალ-არაბის შეეკითხნენ:

– შენი შეგირდთა წრე ძირითადად დარიბების, მიწათმოქმედების და ხელოსნებისაგან შედგება. ნუთუ არ შეგიძლია იპოვო ისეთი ჭკვიანი შეგირდები, რომლებიც შენ გამოგყვებიან? მაშინ ხომ შენს ცოდნას ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებები მიაქცევენ ყურადღებას!

მან უპასუხა:

- წარლვნის დღე უფრო ადრე დადგება, ვიდრე გავლენიანი პირები და მეცნიერნი, რომლებიც

მე დითირამბებს მიმღერებენ, ჩემი შეგირდები გახდებიან. უეჭველია, ისინი ამას საკუთარი გამორჩენისათვის და არა ჩვენი საქმის სასიკეთოდ გააკეთებენ.

#### 4. მათხოვრის თასი

ერთხელ ქუჩაში მიმავალ მეფეს მაწანწალა დავრიშმა გზა გადაუკვეთა.

განრისხებულმა მეფემ ბრძანა:

— შენ, უბედურო მათხოვარო, როგორ ბედავ გვირგვინოსან მეუფეს გზა გადაუკვეთო!

დავრიშმა უპასუხა:

— აბა რა მბრძანებელი ხარ შენ, თუ ჩემი სამათხოვრო თასის შევსებაც კი არ შეგიძლია?

მან თავისი თასი გაუწოდა, და მეფემაც მისი ოქროთი პირამდე შევსება ბრძანა. მაგრამ როგორც კი თასს ოქროს მონეტებით ავსებდნენ, ისინი ქრებოდნენ და თასი კვლავ ცარიელი რჩებოდა.

ოქროთი სავსე ტომარა ტომარაზე იცლებოდა, მაგრამ ეს საოცარი თასი გაუმაძღარი აღმოჩნდა.

— საკმარისია,— შეჰყვირა მეფემ,— წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მატყუარა მთელ ჩემს ხაზინაში ერთ ოქროსაც არ დატოვებს!

— შენი აზრით, მე სამეფო ხაზინას კვლი, — თქვა დავრიშმა, — სხვებს კი — ჭეშმარიტებას კუხსნი.

— მაინც რა ჭეშმარიტებას? — პკითხა მეფემ.

— თასი ადამიანის სურვილებს წარმოადგენს, ხოლო ოქრო არის ის, რაც ეძლევა ადამიანს. ადამიანის შთანთქმის უნარს არა აქვს ზღვარი, თანაც ეს მას სრულებითაც არ ცვლის. შეხედე, თასმა თითქმის მთელი შენი სიმდიდრე შთანთქა, მაგრამ ის კვლავ ზღვის ტალღების მიერ გაცვეთილი ქოქრის კაპლის ნაჭუჭად დარჩა და მასში ოქროსი არაფერია. თუ შენ მათხოვრის ამ თასში მოხვდები, — გააგრძელა დავრიშმა, — შენც გშთანთქავს. და რატომ გიჭირავს თავი შენ — გვირგვინოსანს ისე, თითქოს სხვა ცომისგან ხარ მოზელილი?

#### 5. ძროხა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძროხა. ქვეყნიერებაზე არ არსებობდა მისი მსგავსი, რადგან იგი იწველიდა შეუდარებელ და საოცრად დიდი რაოდენობით რძეს.

ადამიანები შორი ქვეყნებიდან მოდიოდნენ ამ საოცარი ცხოველის სანახავად. ყველა მის ქებაში იყო.

მამები შვილებს უხსნიდნენ, რომ ძროხა ერთგულია თავისი დანიშნულების.

რელიგიური იერარქები — მორწმუნებებს მისი მაგალითის მიბაძვას უქადაგებდნენ.

სახელმწიფო მოხელეები ამ ძროხას საზოგადოებისათვის სამაგალითო, გეგმაზომიერ მწარმოებლად ასახელებდნენ.

ერთი სიტყვით, ყველანი თუ ცალკეული ძროხის მაგალითზე, სასიკეთოს სწავლებას ცდილობდა.

მაგრამ, ამ უამრავ ადამიანს, რომელიც საქონლის ღირსებებით იყო დაკავებული, მხედველობიდან ერთი პატარა დეტალი გამორჩა. ძროხას კი ასეთი ჩვევაც გააჩნდა: როგორც კი სარძევეს რძით ავსებდა, წინ უპასუხადა და გადააყირავებდა მას.

#### 6. ყოფილი მეფისნაცვლის საოცრება

ერთი წინწასული სუფიის მოძღვარი ტყის პირას ისვენებდა. მას ორი მოხეტიალე დავრიშმი მიუახლოვდა. სუფიის მოძღვარმა მათ ჩამოჯდომა შესთავაზა და დრო სიბნელის დადგომამდე ნატიფ საგნებზე საუბარში გაატარეს.

როცა დაღამდა, სუფიის მოძღვარმა სტუმრებს ვახშმობა შესთავაზა. ისინიც დათანხმდნენ და მათ წინ მშვენიერი სუფრა გაჩნდა.

— დიდი ხანია, რაც თქვენ დავრიში ბრძანდებით? — იკითხა ერთ-ერთმა მოხეტიალე დავრიშმა.

— ორი წელი, — უპასუხა მოძღვარმა.

— მე სუფიათა გზას უკვე ოცდაათი წელია მივსდევ, მგარამ ის განსწავლულობა, რომელიც ჩვენთან საუბარში გამოამყდავნეთ, ჯერ ჩემთვის მიუღწეველია, — გაკვირვებით აღიარა მგზავრმა.

სუფიის მოძღვარმა მას მდუმარებით უპასუხა.

ვახშმობა უკვე დამთავრების პირას იყო, როდესაც მწვანე სამოსელში გახვეული უცნობი გა-

მოჩნდა, ყველამ ინტუიციურად იგრძნო, რომ ეს უცხო პიროვნება ღრმად განსწავლული, განდევილი სუფია იყო. იგი მათ მიუახლოვდა და მათთან ერთად სავახშმოდ დაჯდა. დამხვდურნი იმედით აღივსნენ, რომ სუფია თავისი სიბრძნის მცირედ ნაწილს მაინც გაუზიარებდა მათ.

გახშმის შემდეგ, როდესაც ყველანი წასასვლელად მოემზადნენ, განდევილმა წარმოსთქვა:

— თქვენ ორივეს სუფიის მოძღვრის წარმატება გაგიკვირდათ. თქვენ რა შესწირეთ იმისათვის, რომ სუფიზმის შემეცნების გზას დასდგომოდით? თქვენ უარი თქვით მხოლოდ ჩვეულებლრივ, ცხოვრებისეულ კეთილდღეობაზე. ჩვენი მასპინძელი კი უდიადესი დიდებული, მეფისნაცვალი გახლდათ. იმისათვის, რომ სუფია გამხდარიყო, მან თავისი ტახტი დათმო. აი, ამიტომ გაგასწროთ მან. და კიდევ, ეს ოცდაათი წელი თქვენ კეთილდღეობაზე უარის თქმით გამოწვეული სიამოვნებით ცხოვრობდით — და ეს იყო თქვენი ჯილდო. იგი კი ყოველთვის თავს იკავებდა მიწიერი ცხოვრების დათმობისათვის შესაბამის ჯილდოსაგან, — თქვა ეს განდევილმა და გაქრა.

## 7. აღქმა (ამთვისებლობა)

ერთმა მეცნიერმა უდიდეს ფილოსოფოსს საადის შესჩივლა:

- მე მსურს, ისე ვფლობდე ნატიფი აღქმის უნარს, რომ ბოლოს და ბოლოს, ბრძენი გავხდე! საადიმ უპასუხა:
- აღქმის სინატიფე სიბრძნის გარეშე უფრო უარესია, ვიდრე მისი არქონა.
- ვითომ რატომ? — იკითხა მეცნიერმა.

საადიმ აუხსნა:

— მოგითხობ, ორბისა და ძერას ამბავს, რომელიც ამის შეცნობაში მოგეხმარება. ორბმა ძერას უთხრა: ჩემი თვალმახვილობა შენსას სჯობს. აქედან, ამ სიმაღლიდან მიწაზე — იქ, სადაც შენ ვერაფერს ხედავ, მე ხორბლის მარცვალსაც კი ვამჩნევ.

ორივე ფრინველმა დაშვება დაიწყო, იმ ხორბლის მარცვლის მოსაძებნად, რომელიც ორბმა დაინახა და ძერამ ვერ შეამჩნია. ორბი დაფრინდა მიწაზე და გადაყლაპა რა ხორბლის მარცვალი, უსულოდ დაეცა — მარცვალი მოწამლული აღმოჩნდა.

## 8. დანა

ერთმა მოხეტიალე დაგრიშმა ღრმა მდუმარებაში მყოფ სუფიის მოძღვართან მიირბინა:

- ჩქარა მოძღვარო! რაღაც უნდა ვიღონოთ! მაიმუნმა დანა გაიტაცა!
- სანერვიულო არაფერია, — თქვა სუფიის მოძღვარმა, — იგი ხომ ადამიანი არ არის. მართლაც, დავრიშმი მყისვე დარწმუნდა მოძღვრის სიტყვების სიმართლეში — მაიმუნმა დანა მალევე გადააგდო.

## 9. ერთგულება

ერთმა სუფიის მოძღვარმა ერთ-ერთ თავის შეგირდს შემდეგი სიტყვებით უარი უთხრა სწავლის გაგრძელებაზე:

— მე გამოვცალე შენი ერთგულება. იგი ისეთი შეუგალია და მტკიცე, რომ შენ მე უნდა დამტოვო.

შეგირდმა თქვა:

— კარგი, მოძღვარო, მე წავალ, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ უნდა იყოს ერთგულება შემდგომ სწავლებაზე უარის მიზეზი?

მოძღვარმა უპასუხა;

— სამი წლის განმავლობაში მე მას ვერ მოგვიანები მიმართ, — შეუთავსებელია. აი, ამიტომ უნდა წახვიდე.

## 10. აზრი

მეცნიერი, რომელმაც მრავალი წელი გამონათქვამთა აზრობრივი მნიშვნელობის შემეცნებაზე დახარჯა, სუფიის მოძღვართან მივიდა და თავის გამოკვლევებზე უამბო.

სუფიამ უპასუხა:

— მაშინ წადი და ასეთ ასოთწყობაზე იფიქრე: „იხ მნ“.

მეცნიერი წავიდა.

როდესაც იგი დაბრუნდა, სუფია უკვე გარდაცვლილი დახვდა.

— ახლა მე სიმართლეს ვეღარასოდეს გავიგე! — წამოიძახა გაოგნებულმა მეცნიერმა.

ამ დროს სუფიის უფროსი შეგირდი გამოჩნდა.

— თუ შენ ასოთწყობა „იხმნ“-ს საიდუმლოს განიცდი, მე გაგიხსნი მას, — უთხრა მან, — ეს ასოები არაბული ფრაზის საწყისი თანხმოვნებია „ინ ხურუფ მაანი ნადარანდ“ — და ნიშნავს შემდეგს: „ეს ასოთწყობა უაზრობაა“.

— მაგრამ რატომ მომცა მოძღვარმა ასეთი დავალება? — წამოიძახა გულმოკლულმა მეცნიერმა.

— როდესაც შენთან ვირი მოდის, შენ მას კომბოსტოს აძლევ. კომბოსტო — ეს უბრალოდ მისი საკვებია, როგორც არ უნდა უწოდებდეს იგი მას. შესაძლებელია, ვირები ფიქრობენ, რომ დაკავებულნი არიან რიამე უფრო მნიშვნელოვანით, ვიდრე კომბოსტოს ჭამაა.

## 11. საცერი

ო, ასოკირკიტავ, მთელი შენი ცხოვრება ბრძენთა მოძღვრებებისა და გამონათქვამების გაცხრილ-გაში გაატარე, — მაგრამ გაითვალისწინე ისიც, რომ შენს საცერში მოძღვრებებისა და გამონათქვამების ნარჩენები (ქატო) რჩება, ხოლო ხორბლის მკვებავი ნაწილი იცხრილება და გტოვებს შენ.

## 12. სრულყოფილი ოსტატი

ერთმა ადამიანმა სრულყოფილი ოსტატის საძებრად წასვლა გადაწყვიტა. მან უამრავი წიგნი გადაიკითხა, მრავალ ბრძენ ადამიანს შეხვდა, უსმენდა მათ, კამათობდა და პრაქტიკას გადიოდა, მაგრამ ეჭვები და ურწმუნოება მაინც არ სტოვებდა.

ასე გავიდა ოცი წელი. და აი, იგი შეხვდა ისეთ ადამიანს, რომლის თითოეული სიტყვა, მოქმედება მის მიერ წარმოსახული ოსტატის სახეს შეესაბამებოდა.

მაძიებლმა დრო აღარ დაკარგა:

— თქვენ, ჩემი წარმოდგენით, სრულყოფილი ოსტატი ბრძანდებით. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ჩემი ძიება დამთავრებულია.

— სინამდვილეში მართლაც ასე მეძახიან, — უპასუხა ოსტატმა.

— მაშინ გემუდარებით, ამიყვანეთ შეგირდად.

— არა, არ შემიძლია, — თქვა ოსტატმა, — შენ სრულყოფილი ოსტატი გჭირდება, მე კი სრულყოფილი შეგირდი.

## 13. საშუალება

საპატივცემულო ადამიანის ბაგილან წარმოთქმული — „თქვენგან შეიძლება რაიმე დადგეს“ — უფრო ფასეულია, ვიდრე ბრიყვის მიერ ასჯერ ნათქვამი — „თქვენ უდიადესი ადამიანი ბრძანდებით“.

## 14. მოწმეები

ერთი ადამიანი საჩაეში თავის მეგობრებს უყვებოდა:

— ჩემს ნაცნობს ვერცხლის მონეტა ვასესხე, მოწმეები კი არ მყავს. ახლა მეშინა, რომ იგი ყველაფერს უარყოფს.

მეგობრებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს მას, ხოლო სუფიამ, რომელიც კუთხეში იჯდა, შეს-თავაზა:

— დაპატიუე იგი აქ და მეგობრებთან ერთად გაიხსნე, რომ შენ მას ოცი ოქროს მონეტა ასესხე.

— კი მაგრამ, მე ხომ მას მხოლოდ ერთი ვერცხლის მონეტა ვასესხე!

— ზუსტად ამას წამოიძახებს ისიც, — თქვა სუფიამ — და თითოეული თქვენგანი ამას მოისმენს. შენ ხომ მოწმეები გჭირდებოდა, ასე არაა?

## 15. დღე და ღამე

მეცნიერი სუფიას შეეკითხა:

— თქვენ, სუფიები, ხშირად ამბობთ, რომ ჩვენი რაციონალურ-ლოგიკური მიღვომა თქვენთვის მიუღებელია. მოგვიყვანეთ მაგალითი, თუ რატომ ფიქრობთ ასე?

სუფიამ უპასუხა:

— სიამოვნებით. ერთხელ მატარებლით ვმგზავრობიდ, და ჩვენ შვილი გვირაბი გავიარეთ. ჩემს წინ ერთი გლეხი იჯდა, ეტყობოდა, რომ პირველად იყო მატარებელში.

მეშვიდე გვირაბის გავლის შემდეგ იგი ჩემს მუხლს შეეხო და მითხრა:

— ეს მატარებელი რაღაც გაუგებარი რამეა. მე ვირზე შემჯდარი ჩემს სოფლამდე ერთ დღეში ჩავდივარ, ხოლო ეს მატარებელი, რომელიც შესაძლოა უფრო სწრაფად მოძრაობს, ვერა და ვერ აღწევს ჩემს სოფლამდე, თუმცა მზე უკვე შვიდჯერ ამოვიდა და ჩავიდა.

## 16. ეტაპები

დასაწყისში მე მეგონა, რომ ჩემი მასწავლებელი ყველაფერში მართალია.

შემდეგ მე გადავწყვიტე, რომ ჩემი მასწავლებელი ბევრ რამეში არ არის მართალი.

მერე მე გავაცნობიერე, რა იყო სწორი და რა — არა.

არასწორი იყო პირველ ორ მდგომარეობაში დარჩენა.

სწორი იყო ამ ყველაფრის სხვისთვის გახსნა.

## 17. გონების ძალის სახეობანი

ერთ დავრიშს, რომელიც სუფიის უდიდეს მოძღვართან სწავლობდა, მასწავლებელმა ურჩია ცოდნის გასაღრმავებლად დაუფლებოდა გრძნობებთან მუშაობის ხელოვნებას. ხოლო შემდეგ დაბრუნებოდა მოძღვარს, და შეესრულებინა მისი შემდგომი დარიგებანი.

დავრიში ტყეში განმარტოვდა, იგი დაუღალვად მუშაობდა შიდა ჭკრეტით ხელოვნების სრულყოფაზე და ბოლოს და ბოლოს, ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომ მისი მწყობრიდან გამოყვანა, თთქმის აღარაფერს შეეძლო. თუმცა, იგი არასაკმარისად მუშაობდა გულში წარმოშობილი მისწრაფებების გასაწონასწორებლად.

ისე მოხდა, რომ შიდა „მე“-ზე კონცენტრირების დროს, მისი გულისყური ძლივს გასაგონმა ხმამ მიიჰყო. უკმაყოფილო დავრიშმა ზევით აიხედა და ხის წვერზე ჩიტი დაინახა. მან გაიფიქრა, რომ უბრალო ჩიტს არა აქვს უფლება დაურღვიოს მყუდროება საქმისადმი ასეთ ერთგულ ადამიანს. ამ აზრის შეცნობა და ჩიტის მიწაზე უსულოდ დანარცხება — ერთი იყო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დავრიში იმდენად არ იყო წინწასული სუფიზმის შეცნობის გზაზე, რომ მიმხვდარიყო — ეს გზა წინააღმდეგობებით არის მოფენილი. ამ წუთისთვის მხოლოდ ის შეიგნო, რომ შეიძინა გონების ისეთი ძალა, რომელიც ადრე არასოდეს ჰქონდა, ამ ძალით მას შეეძლო ცოცხალი არსების მოკვლა. ან შესაძლოა ჩიტი უხილავმა ზედალამ დასაჯა, რადგან მან მოისურვა მისი მდუმარების დარღვევა.

— „შესაძლოა, მე უკვე უდიდესი სუფია ვარ“, — გაიფიქრა დავრიშმა და ახლომდებარე ქალაქ-ისკენ გაემართა. იქ ერთ-ერთ კარგად მოვლილ სახლში მოწყალების თხოვნა გადაწყვიტა. კარი ქალმა გაუღო და დავრიშმა თხოვნით მიმართა:

— ქალბატონო, გთხოვ, გაუმასპინძლდე დავრიშს, რომელიც უკვე სუფიის შეცნობის გზის ბოლოსაა. ეს ხომ დიდი პატივია — დააპურო შემეცნების გზაზე მყოფი პიროვნება.

— რაც შემიძლია სწრაფად მოგემსახურები, უდიდესო ბრძნო, — უპასუხა ქალმა და ოთახში გაუჩინარდა.

საკმარისზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ ქალი არ ჩანდა. დავრიშს მოუთმენლობა იპყრობდა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მასპინძელი დაბრუნდა, მან უთხრა:

— ჩათვალე, რომ გაგიმართლა, რადგან დავრიშის რისხვა აგცდა, განა ყველამ არ იცის, რომ რჩეულთა დაუმორჩილებლობა უბედურების მოტანია?

— უბედურება ადამიანს მართლაც დაატყდება თავს, თუ შეწინააღმდეგებას ვერ შეძლებს, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— როგორ ბედავ! — დაიყვირა დავრიშმა — რას ნიშნავს ეს?!

— ეს ნიშნავს იმას, რომ მე ბელურა ჩიტი არ გახლავარ.

გაოგნებული დავრიში გაქვავდა.

— შენ არ ემორჩილები ჩემს რისხვას, ჩემი აზრების კითხვაც შეგიძლია, — წაილუდლუდა მან,

— გთხოვ, გახდი ჩემი მოძღვარი.

— შენ არ უერთოვულე პირველ მასწავლებელს და ალბათ, მეც მიღალატებ, — უპასუხა ქალმა.

— მაშინ ის მაინც მასწავლე, როგორ მიაღწიე შეცნობის ჩემზე ბევრად აღმატებულ დონეს?

— სთხოვა დავრიშმა.

— როგორ? მასწავლებლისადმი მორჩილებით. როდესაც თავისთან მეძახდა, მის შეკრებებსა და მეცადინეობებს ვესწრებოდი, დანარჩენ დროს კი ცხოვრებისეული ამოცანები — სავარჯიშო მეთოდად უნდა აღმექვა. თუმცა მრავალი წელია მასწავლებელს ვერ ვუსმენ, ჩემი შიდა განზომილება განუწყვეტლივ ფართოვდება და მჩუქნის ისეთ თვისებებს, რომლებიც შენ შეამჩნიე და კიდევ ბევრ

სხვასაც.

დავრიში თავისი მოძღვრის სამყოფელს დაუბრუნდა, რათა მისი ხელმძღვანელობით სწავლება გაე-გრძელებინა. როდესაც მასწავლებლის წინაშე წარსდგა, ყოველგვარი საუბრის გარეშე მან უთხრა:

— ამა და ამ ქალაქში, ქუჩების დამსუფთავებელ მენაგვეს მსახურად დაუდექი.

დავრიშისათვის მოძღვარს უცილობელი ავტორიტეტი გააჩნდა. იგი სასწრაფოდ მითითებული ქალაქისაკენ გაემართა. მართლაც, ნახა იქ მომუშავე მენაგვე, რომელიც მთლიანად ჭუჭყით იყო მოს-კრილი, დავრიშმა მის მიმართ ზიზღი იგრძნო, განზე გადგა — ვერ წარმოედგინა თავი მის მსახურად. გაურკვევლობისაგან აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როდესაც მენაგვემ სახელით მიმართა:

— ლაჯავარდ, ნეტავ რომელ ჩიტს მოკლავდი დღეს ან რომელი ქალი შეიცნობდა შენს ახლანდელ აზრებს? ლაჯავარდ, ნეტავ რომელ უსიამოვნო მოვალეობას დაგაკისრებს ხვალ შენი მოძღვარი?

ლაჯავარდი გაოგნდა:

— როგორ შეაღწიე ჩემს აზრებში? როგორ გამოსდის უბრალო მენაგვეს ის, რაც არ ძალუბს ღვთისმოსავ განდეგილს? ვინ ხარ შე?

მენაგვემ უპასუხა:

— ზოგიერთ ღვთიურ განდეგილს ასეთი რამ ძალუბს, მაგრამ მათ შენთვის არა სცალიათ — სხვა საზრუნვავი გააჩნიათ. შენთვის მე მენაგვე ვარ, რადგან ეს ჩემი სამუშაოა. შენ იგი არ მოგეწონა — და ამიტომ მეც არაფრისმაქნისად ჩამოვალე. შენთვის წმინდანობა — განბანვა, პირქვე დამხობა და მედიტაცია — სწორედ ამიტომ, იგი შენთვის მიუღწეველია. მე კი მოვიპოვე, რადგან წმინდანობაზე არასოდეს მიოცნებია. მე ყოველთვის ჩემს მოვალეობაზე ვფიქრობდი. როდესაც მოძღვრისადმი ანდა რაიმესადმი პატივისგებას გასწავლიან, — ამით შენ ჯეროვნის მიზღვას შეგასწავლიან — გესმის ჩერჩეტო! მთავარი, რისი მიხვედრაც შენთვის აუცილებელია — ეს არის ვალი ხალხისა და ვალი ტაძრის წინაშე. რადგან არ შეგიძლია აზრი მართებულზე შეაჩერო — ცუდადაა შენი საქმე!

როდესაც ლაჯავარდი შეეგუა მენაგვის მსახურებას და აღიქვა, რომ სხვისი სამსახური მისი მოვალეობაა, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდა მსოფლიოში ცნობილ გასხივოსნებულ, სასწაულ-მოქმედ, უფაქიზესი სულის მქონე პირვენებად — შეიხ აბდურ-რაზაკ ლაჯავარდად.

## 18. ფანტაზიები

ო, ადამიან!

რომ იცოდე, შენი გონების წარმოსახვითი თამაშობანი რამდენად ახლოსაა ჭეშმარიტებასთან — აწონილ-დაწონილ და ფრთხილ დასკვნებით!

რამდენად არიან ჭეშმარიტებანი ქმედებას მოკლებული მანამდე, სანამ მეოცნებე, გააკეთებს რა თავის საქმეს, — წარმოსახვითობის მონობიდან თავს არ დააღწევს.

## 19. პატარა სპილო

ოდესდაც, უძველეს დროში, ცხოვრობდა ერთი პატარა სპილო.

ერთხელაც მას მოესმა, რომ ვიღაცამ თქვა:

— შეხედეთ, თავი!

ადამიანი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოსთქვა სინამდვილეში თაგვს უყურებდა, მაგრამ პატარა სპილომ გაიფიქრა, რომ ამას მასზე ამბობდნენ.

თაგვები კი იმ მხარეში ძალიან ცოტა იყო. ისინი თავის სოროებში ისხდნენ და ჩვეულებრივ, კრინტსაც არა ძრავდნენ.

პატარა სპილო აღტაცებული და კმაყოფილი ყველგან გაიძახოდა:

— მე თავი ვარ!

ამას ყველას უუბნებოდა და ისე ხმამაღლა და ხშირად იმეორებდა, რომ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ახლა არსებობს მთელი მხარე, სადაც თითქმის ყველას სჯერა, რომ სპილოები და განსაკუთრებით, პატარა სპილოები — თაგვებს წარმოადგენენ.

თუმცა, ხანდახან თაგვები, თავის მხრივ, ცდილობენ გადაარწმუნონ ისინი, ვისაც სჯერა ამ აზრისა, — მაგრამ ყოველთვის მარცხს განიცდიან.

თუკი ოდესმე ვინმე ამ მხარეში სპილოებისა და თაგვების საკითხს დაუბრუნდება, მას ძალიან საფუძვლიანი დამამტკიცებელი არგუმენტები, ძლიერი ნერვები და პრობლემების მოგვარების ქმედითი საშუალებები უნდა გააჩნდეს.

## 20. სამარყანდელი ტყვე

ერთხელ, სამარყანდის ბრძნი მმართველი და მისი ახლო მეგობარი ქალაქის ქუჩებში დას-ეირნობდნენ. უცბად, მათ გვერდით მდებარე სახლიდან ხმამაღალი კივილი გაიგონეს.

— რომელიღაცა უბედურს ტანჯავენ, — წარმოსოქვა მეგობარმა და ადგილზე გაშეშდა. კივილი ძლიერდებოდა.

— შევუმსუბუქოთ მას ტანჯვა? — იკითხა მმართველმა.

— რასაკვირველია, შენ ხომ ეს ძალგიძს, როგორც ვალის (ანუ სუფიურად ღემრთთან დაახლოვებული პიროვნება), თუ იქნება ღმერთის ნება.

— კარგი, — დათანხმდა მმართველი, — მიყურე მე. იგი მოშორდა ამ სახლის კუთხეს ხუთი ნაბიჯით.

კივილი შეწყდა.

— შენ მოშორდი და ყველაფერი ჩაწყნარდა! მე კი ყოველთვის მეგონა, ტანჯულთან დაახლოება ამსუბუქებს მის ტანჯვას, — წარმოსოქვა მეგობარმა.

მმართველმა გაიღიმა და არ უპასუხა, მხოლოდ შეასრულა უესტი, რომელიც სუფიებთან ნიშნავს „შემკითხველის მდგომარეობა ისეთია ამ მომენტში, რომ შეიძლება არ უპასუხო“.

რამდენიმე წლის შემდეგ, მმართველის მეგობარი იმყოფებოდა მაროკოში, სადაც შემთხვევით მოისმინა ერთი დავრიშის ნაამბობი, რომელიც თავის შეგირდებს უყვებოდა:

— მრავალი წლის წინათ, მთვარის კალენდრის მეცერე მარხვის თვეს, მე დამიჭირეს როგორც ღატაკი, ძონებში გახვეული მაწანწალა და ჩამსვეს სასამართლოს ქვის საკანში. ჩემი კამერის კედლები გვერდზე მდებარე სახლის ქუჩაში გამავალ ორ კედელს ესაზღვრებოდა. მე შევეგუე ჩემს ბედს და ღრმა ჭვრეტით მდგომარეობაში ვიჯექი. უცბად, ვიგრძენი წმინდა ადამიანის გვერდით ყოფნა, იგი გარეთ, ჩემგან ძალიან ახლოს იმყოფებოდა.

მე დავიყენე, ავტეხე კივილი, კედლებს ვასკდებოდი, რადგან ვგრძნობდი მის ძალას და მძაფრად მსურდა მასთან მიახლოება, მაგრამ არ შემეძლო.

შემდეგ მე ვიგრძენი, რომ ის განზე გადგა — თითქოს ჩემმა კივილმა შეაშინა. მე მოვისურვე მისი ყურადღების მიქცევა, დავწყნარდი და ღამის მსგავსი გავხდი.

სუფიის შეიპმა, რომელიც წრეში დავრიშთან ერთად იჯდა, თქვა:

— შენმა განცდებმა იმის ათვისების საშუალება მოგცა, რომ სულიერი ძალა (სუფიურად — ბარაქა) ყველაზე ძლიერად მხოლოდ მაშინ ზემოქმედებს, როდესაც უტილიტარული მიზნებისთვის მისი გამოყენების საშუალებას მოკლებული ხარ.

ვალიზ ეს ცოდნა შენ გადმოგცა, მიუხედავად იმისა, რომ ტუსაღი იყავი. ირგვლივ მყოფნი კი, ამას ვერც კი შემჩნევდნენ ანდა სხვა რამედ მიიღებდნენ.

მმართველის მეგობარი ჰყვება:

— ამ შემთხვევის მეშვეობით, როგორც იქნა, მივხვდი, რომ სულიერების შემეცნების ამ ცდაზე არაფერია ისეთი „საოცრებად ასაღიარებელი“ და სინამდვილეში ის უნდა გვიკვირდეს, რომ ნაკლებად ვხვდებით ისეთი ადამიანებს, რომელებმაც მსგავსი განიცადეს. ამასთან ერთად, ის უფრო გასაოცარია — ადამიანმა იმის მაგივრად, რომ თავის გამოცდილებაზე ისწავლოს, აღმერთებს ისეთ განცდებს და ღებულობს ისეთად, როგორსაც სინამდვილეში ისინი არ წარმოადგენენ.

## 21. თილისმა

ჰყვებიან, რომ ერთი დავრვიში, რომელსაც სურდა ცოდნის მიღება დიდი ძალის ხმევის გარეშე, ცნობილი სუფიის მოძღვრის შეიპ შატარის სკოლიდან გააძევეს (სუფიებთან დავრიში — მოხეტიალე, ღატაკი სუფია — ანუ ის ადამიანი, რომელსაც ღმერთთან შეხების მძაფრი მოთხოვნილება გააჩნია). როდესაც ეს გადაწყვეტილება შეიპმა მას გამოუცხადა, დავრიშმა უპასუხა:

— თქვენზე ამბობენ, რომ ისეთი ადამიანი ბრძანდებით, ვისაც წამის მეასედში შეუძლია შეასწავლოს ნებისმიერს დიდი სიბრძნე, — რატომ ფიქრობთ, რომ მე თქვენთან საათობით ვიჯდები მუხლმოდრეული?

— შენ ჯერ ვერ ისწავლე ის, თუ როგორ უნდა შეიძინო ცოდნა, მაგრამ შენ მიხვდები იმას, რაც მე მაქვს მხედველობაში, — უპასუხა სუფიამ.

დავრიშმა თავი მოაჩვენა თითქოს მართლაც ღატოვა სკოლა, თუმცა ყოველდამე მალულად შედიოდა იქ, რათა ეთვალთვალა შეიპისთვის.

ერთხელაც, მან დაინახა, რომ შეიპ შატარმა პატარა სკივრიდან ძვირფასი ქვა ამოიღო. მან ეს ქვა თავისი შეგირდების თავს ზემოთ დაიჭირა შემდეგი სიტყვებით:

— აი, ეს არის ჩემი ცოდნის სათავსი, ჩემი გასხივოსნების თილისმა.

„აი, თურმე რა ყოფილა შეიძის ძალის საიდუმლო“, – გაიფიქრა დავრიშმა.

იმავე ღამეს იგი შეიპარა სამედიტაციო დარბაზში და თილისმა მოიპარა.

მაგრამ როგორც არ ეცადა – მის ხელში ქვა არავითარ ძალას არ ავლენდა და არავითარ საიდუმლოებას არ გასცემდა.

დავრიში მწარედ გულგაცრუებული აღმოჩნდა.

შემდგომში, გაასაღა რა თავი დიდ მასწავლებლად, ბევრი მოწაფე შეაგროვა და ამ ქვით ცდილობდა მათი და საკუთარი თავის გასხივისნებამდე მიყვანას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ერთხელ, იგი სალოცავის წინ იჯდა და თავისი უიღბლობის მიზეზებზე ფიქრობდა. მის მოწაფეებს უკვე ეძინათ. და აი, მის წინაშე შატარი წარსდგა.

– ო, დავრიშო, – თქვა შატარიმ, – შენ ყოველთვის შეგიძლია რაღაც მოიპარო, მაგრამ ყოველთვის ვერ შეძლებ მის გამოყენებას. დაე, თუნდაც მოიპარო ცოდნა, იგი შენთვის უსარგებლო იქნება – ისევე, როგორც სამართებელი, რომელიც მჭედლის დიდი ცოდნის წყალობით იქნა გამოჭედილი. უსარგებლოა ქურდისთვის, რომელმაც იგი დალაქს მოპარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიღატაკეში გარდაიცვალა, რადგან ვერავის გაპარსვა ვერ შეძლო, მხოლოდ ჭრილობებს აყენებდა ამ სამართებლით ადამიანებს.

– მიუხედავად ამისა, მე თილისმას ვულობ, თქვენ კი – არა, – თქვა დავრიშმა.

– დიახ, იგი შენ გაქვს, მაგრამ შატარი ხომ მე ვარ, – თქვა სუფიამ, – ჩემი ოსტატობა სხვა თილისმის შექმნის საშუალებას მაძლევს. შენ ხომ შენი თილისმით შატარად ვერ გადაიქცევი.

– მაშინ აქ რატომდა მოხვედი! ჩემს დასაცინად?! – შესძახა დავრიშმა.

– მე იმიტომ მოვედი, რომ გითხრა: შენ რომ სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ გესმოდეს (არ უნდა გეგონოს, რომ რაიმე ნივთის საშუალებით შესაძლებელია საკუთარი თავის გარდასახვა) – მზად იქნებოდი იმის შესასწავლად, თუ როგორ უნდა შეიძინო ცოდნა.

დავრიშმა გაიფიქრა, რომ სუფიას უბრალოდ თილისმის უკან დაბრუნება სურდა (იგი ამჯერადაც არ იყო მზად ცოდნის შესაძენად), ამიტომ ფერადი ქვით კვლავ დაუღალავად აგრძელებდა ცდებს.

ასეთივე ცდებით იყვნენ დაკავებული ამ დავრიშის მოწაფეები, მათი მიმდევრები და მიმდევართა მიმდევრები. ახლანდე დროში, ფაქტიურად, მათი რელიგიების არსი მდგომარეობს იმ რიტუალებში, რომლებიც ამ გაუთავებელი ცდების შედეგად ჩამოყალიბდა. ვერავის ვერ წარმოუდგენია, რომ ყველა მათი რიტუალი, გასხივოსნებული დროით, წარმოიშვა იმ გარემოებებში, რომელზეც აქ იყო საუბარი.

პატივცემულ ადამიანებს, რომლებიც ეტმასნებიან ამ რილიგიას, იმდენად უუფლება მიზიდულობა იმისადმი, რაც საუკუნეებმა გაასხივოსნა და უცოდველობისადმი, რომ ამ სახის რწმენებს დიდი ხნის სიცოცხლე უწერია.

## 22. ორი მხარე

დავრიშების ორფერი სამოსელი პირველად შუასაუკუნოვან ესპანეთში გაჩნდა. თვაიდან მათ სასწავლო მიზნებისთვის იყენებდნენ, ხოლო დროთა განმავლობაში, უბრალოდ მორთულებად გადაიქცნენ.

ეს ასე მოხდა.

ფრანკთა მეფემ, რომელსაც მდიდრული სანახაობები ხიბლავდა და ამავე დროს, ფილოსოფიური ცნებების სწრაფ აღქმელად მიაჩნდა თავი, სუფია აგარინს სთხოვა უმაღლესი სიბრძნის გზაზე დაეყენებინა იგი.

აგარინმა უთხრა:

– თქვენს ყურადღებას დაკვირვებასა და მოფიქრებაზე მივაქცევდი. მაგრამ ჯერ მათ შესაცნობ საშუალებებს შევისწავლიდი.

– მე უკვე ვიცი, თუ როგორ მივმართო ყურადღება. კარგი იქნება, თუ თქვენი ტრადიციების მიხედვით ამათვისებინებთ ყველა იმ საფეხურს, რომლებიც სიბრძნესთან მიმიყვანენ, – უპასუხა მეფემ.

– ძალიან კარგი, – წარმოსთვა აგარინიმ, – ხვალ ქუჩის მსვლელობის დროს თვალნათლივ მოვიყვანთ ჩვენს მოძღვრებას ქმედებაში.

შესარულეს აუცილებელი წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები და მეორე დღეს სუფია აგარინის შეგირდმა – დავრიშებმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ქალაქის ქუჩებში.

მეფე და მისი სამეფო კარის წარმომადგენლები გზის ორივე მხარე განლაგდნენ: მარჯვნივ –

დიდებულები, მარცხნივ — მეომრები.

როდესაც პროცესიამ ჩაიარა, აგარინიმ მეფეს უთხრა:

— თქვენო უდიდესობავ, გთხოვთ, ჰკითხოთ მეორე მხარეს მდგომ მეომრებს, თუ რა ფერის სამოსი ემოსათ დავრიშებს.

მეფის ყველა რაინდმა დაბეჯითებით თქვა და ფიცით დაადასტურა, რომ დავრიშების სამოსელი ლურჯი ფერისა იყო.

მეფე და მისი დიდებულები გაოცებისგან გაშეშდნენ, რაღაც მათ სულ სხვა ფერი დაინახეს.

— ჩვენ, ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ყველა დავრიში ყავისფერ სამოსელში იყო გახეული, — თქვა მეფემ.

მან მეომრების მკაცრად დასჯის ბრძანება გასცა და მათ ტიტულები ჩამოართვა. ხოლო ისინი, ვინც მარჯვენა მხარეს იმყოფებოდნენ და მეფის ნათქვამი დაადასტურეს — გულუხვად დააჯილდოვა.

საქმეების ჩათავების შემდეგ მეფემ აგარინის ჰკითხა:

— რა მომაჯადოებელი ხელოვნება გამოიყენე ჩვენს წინააღმდეგ? რა დაემართათ ყველაზე ღირსეულ რაინდებს, რომ ჭეშმარიტება არაფრად ჩააგდეს და ორგულობა გამოიჩინეს, რამაც ისინი სამხედრო საქმეებისთვის უვარგისად აქცია?

სუფიად აუხსნა:

— სამოსის ის ნახევარი, რომელსაც თქვენ ხედავდით, მართლაც ყავისფერი, ხოლო დავრიშთა სამოსის მეორე მხარე კი ლურჯი იყო. წინასწარი მომზადების გარეშე თქვენმა მოლოდინმა თქვენ შეგაცდინათ. შემეცნების ამგვარი დონის ქონისას, შესძლებთ კი რაიმეს შესწავლას?

### 23. მისმინე

შორეული ქვეყნებიდან მოსულმა, სუფიის მოძღვარს მიმართა:

— ნება დამრთეთ, თქვენს ლექციებს დავესწრო და თქვენი სიტყვები შევისმინო, რადგან ცნობილია, რომ მოსმენილ სიტყვას ვერავითარი წიგნის კითხვა ვერ შეცვლის.

სუფიის მოძღვარმა უპასუხა:

— სამწუხარო! ახლა მე უკვე დავდუმდი და ვეღარ მოისმენს შენი ყური ჩემს საუბარს, მაშინ კი, როცა ვსაუბრობდი, როგორც ჩანს, შენი ყური ისმენდა, მაგრამ უგულისყუროდ. სამწუხაროდ, მე საუბრებს უკვე აღარ ვატარებ.

მოსულმა მიზეზის ახსნა სთხოვა.

— მე ამას მას შემდეგ არ ვაკეთებ, რაც ჩემთან ადამიანთა ჯგუფი მოვიდა, რომელსაც ყურთასმენა დაკვეითებული ჰქონდა. მე მათ ვუთხარი: „ძალლებსა და ღორებს ნუ დაემსგავსებით...“ როდესაც ისინი ჩემგან გავიდნენ, ძლიერ წაიჩუბნენ. ერთ აზრამდე ვერ დაიყვანეს ჩემი სიტყვა. მათ ვერ გაარჩიეს რა ვთქვი მე — „დაემსგავსეთ ძალლებს“ თუ „ჭამეთ ღორის ხორცი“. როდესაც სიტყვა დაწერილია, ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს. ხოლო თუ თქვენ ბრძანდებით, ყოველთვის მოიძებნება ვინმე, ვინც თქვენ დაწერილს წაგიკითხავთ.

### 24. ოქროს ბუზი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ადამიანი სახელად სალარი, რომელსაც კეთილისა და ბოროტის გარჩევა შეეძლო, იცოდა რა უნდა აკეთოს ადამიანმა და რა — არა. წიგნებიდან შეძენილი დიდი ცოდნა გააჩნდა. იმდენი იცოდა, რომ მოსამართლე ზაფრანის მოადგილედაც კი დანიშნეს. ზაფრანი კი ცნობილი კანონმდებელი და მსაჯული იყო.

მაგრამ სალარისთვის ყველაფრის ცოდნა შეუძლებელი იყო და საკუთარი ცოდნის საზღვრებშიც ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო.

ერთხელ, როდესაც მან ტკბილი წვენით სავსე ჭიქა განზე გასწია, პატარა, ოქროსფრად მოციმიმე ბუზი ჭიქის კიდეზე ჩამოვარდა და ოდნავ მოსვა წვენი. ასე განმეორდა მეორე დღესაც და შემდეგ ყოველდღე. პატარა ბუზი იზრდებოდა და ბოლოს და ბოლოს, სალარიმ იგი შეათვალიერა. თუმცა ბუზი ნელა იზრდებოდა და სალარი მას თითქმის ვერც ამჩნევდა.

კვირა კვირას მისდევდა.

ერთხელაც, სალარიმ, რომელიც მეტად ჩახლართული საკანონმდებლო საკითხით იყო დაკავებული, შენიშნა, რომ ბუზი ჩვეულებრივზე ბევრად დიდი ზომისა იყო. მან ბუზის მოშორება დაიწყო და იგი, როგორც იქნა, მოცილდა, შემოუფრინა ჭიქას და გაფრინდა.

მაგრამ კვლავ მალე დაბრუნდა.

როგორც კი სალარის სიფხიზლე მოდუნდა, ბუზი ისევ დაეშვა ჭიქის კიდეზე და იმდენი წვენი შესვა, რამდენიც შეძლო.

დღეები დღეებს მიჰყვებოდნენ, ბუზი უფრო და უფრო მსხვილდებოდა და რადგან უკვე მეტ წვენს მიირთმევდა, სხვანაირადაც გამოიყერებოდა.

თავიდან სალარი მას უბრალოდ იშორებდა. შემდეგ მოსაგერიებლად უკვე ჯოხი დასჭირდა. დრო-დადრო ეს ბუზი ნახევრად ადამიანად ესახებოდა. გასაგებია, იგი ხომ ჯინი იყო და არა ბუზი.

ბოლოს და ბოლოს, სალარმა ბუზს შეუყვირა, და ოი, საოცრებავ! – მან უპასუხა:

– მე შენს შარბათს არც ისე ბევრს ვსვამ, თან ლამაზი ვარ, ასეა არა?

სალარი გაოგნდა, შემდეგ შეშინდა და ბოლოს სულით დაეცა.

ახლა იგი ბუზის სტუმრობით ნაწილობრივ სიამორნებას ღებულობდა, იმის მოუხედავად, რომ იგი მის ტკბილ ღვინოს წრუპავდა. უცქერდა მის ცეკვას, მასზე უკვე ბევრს ფიქრობდა, სულ უფრო და უფრო ცოტას მუშაობდა და ბუზის ზრდის შესაბამისად, თანდათანობით გაძლიერებულ სისუსტეს გრძნობდა.

სალარის უკვე მოსამართლესთან ხშირად გაუგებრობები მოსდიოდა და ამიტომ იგი შინაგანად ბუზის მოსასპობად მოემზადა.

მოუყარა რა თავი მთელ თავის ვაჟკაცობას, მან ბუზს მთელი ძალით დაარტყა და ბუზი შემ-დეგი სიტყვებით განზე გაფრინდა:

– შენ მე მაწყენინე, მე კი შენთან მეგობრობა მინდოდა. რა გაეწყობა, მე გავქრები, რადგან შენ ასე გსურს.

სალარი ფიქრობდა, რომ ბუზს თავი დააღწია და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. „მე მას დავარტყი და ეს ამტკიცებს, რომ მასზე ძლიერი ვარ. იყოს იგი გინდ ადამიანი, გინდ ჯინი, გინდ ბუზი და კიდევ რაც გინდა“.

და როდესაც სალარიმ დაიჯერა, რომ ეს საქმე ჩათავდა, ბუზი ისევ გამოჩნდა. ძალიან დიდი ზომის, იგი ჭერიდან ადამიანის სახით ჩამოვიდა და თან წყლის ზედაპირივით ლივლივებდა. მისი უამრავი ხელი სალარის ყელს შემოეჭდო.

როდესაც მოსამართლე მოვიდა, თავისი მოადგილე იატაკზე გაგუდული იპოვა. სახლის გვერდითი კედელი, საიდანაც ჯინმა დატოვა ოთახი, ისე იყო განგრეული, გეგონება დიდმა სპილომ გაიარაო.

## 25. წმინდანი და ცოდვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გულმოდგინე დავრიში, რომელსაც სჯეროდა, რომ მისი მოვალეობა – გზასაცდენილთა გაკიცხვა, მათში კეთილი ზრახვების გაღვიძება და სწორ გზაზე დაყენებაა.

როგორც ჩანს, დავრიშს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მოძღვარი არავის უწესებს დადგენილი ნორმების შესაბამისად ცხოვრებას. თუკი მასწავლებელმა არ იცის თითოეული მოწაფის სულიერი მდგომარეობა, შეიძლება თავისი განზრახვის საწინააღმდეგო შედეგი მიიღოს.

თუმცა ამ დავრიშმა შეძლო ერთი აზარტული მოთამაშის გამონახვა, რომელიც მთელი გზნებით ეძლეოდა თამაშს და არ შეეძლო ამ დამღუპველი გატაცებისგან თავის დაღწევა. დავრიში მისი სამყოფელის წინ დასახლდა.

ყოველდღე, როცა კი ცოდვილი სათამაშოდ მიდიოდა, დავრიში თითო ქვას გადადებდა. მათგან მალე აღიმართა დიდი გროვა, როგორც მზარდი ცოდვიანობის თვალნათლივი დადასტურება.

ყოველთვის, როცა კი ეს ადამიანი სახლიდან გამოდიოდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, – დაბ-რუნებისას კი ხედავდა, როგორ იზრდებოდა ქვების გროვა.

გულმოდგინე დავრიშმს მოთამაშის დანახვა აღიზიანებდა და შინაგან ქმაყოფილებას (როგორც თვითონ უწოდებდა „ღვთიურ“) განიცდიდა, რადგან მის ცოდვებს აღნიშნავდა.

ასე გრძელდებოდა ოცი წელიწადი.

დავრიშის ყოველ დანახვაზე, მოთამაშე თავისთვის ამბობდა:

– აა, მესმის სიკეთე! როგორ იღვწის ეს ბრძენი ადამიანი ჩემს გამოსასწორებლად! რომ შე-მეძლოს, მოვინანიებდი და მას დავემსგავსებოდი! უეჭველია მისი ადგილი რჩეულთა შორისაა.

ისე მოხდა, რომ ორივენი ერთ დღეს სტიქიურ უბედურებას შეეწირნენ. მოთამაშის სულს ან-გელოზმა მოაკითხა: – შენ ჩემთან ერთად სამოთხეში წამოხვალ. – როგორ? – გაოცდა მოთამაშე, – მე ხომ ცოდვილი ვარ და ჩემი ადგილი ჯოვანებიშია. შენ ალბათ ის ღვთისმოსავი ადამიანი გჭირდება, მოპირდაპირე მხარეს რომ ცხოვრობდა და ოცი წლის განმავლობაში ჩემს გამოსწორებას ცდილობდა. – ღვთისმოსავი? – გაიკვირვა ანგელოზმა, – არა, ის ქვესტელში გაამწესეს, მას შამფურზე დახრუკვა ელის. – სად არის სამართალი? – წამოიძახა მოთამაშემ, – შენ ალბათ

დავალება აგერია. — სულაც არა, — უპასუხა ანგელოზმა, — ახლავე აგიხსნი ამ ამბის არსს. ღვთის-მოსავი კაცი ოცი წელი საკუთარი თავის უმნიშვნელოვანესობასა და აღმატებულობას აქეზებდა, ახლა მისი გამოსწორების ჯერი დადგა. სინამდვილეში, ქვებს საკუთარი და არა შენი ცოდვების დამადასტურებლად აგროვებდა.

— მე რით დავიმსახურე ჯილდო? — იკითხა მოთამაშემ.

— შენ დაჯილდოებული ხარ, რადგან ყოველთვის, როდესაც მას ხედავდი, ჯერ სიკეთეს ასხა-ამდი ხოტბას და მხოლოდ შემდეგ ფიქრობდი დავრიშზე. ამიტომაც დაიმსახურე ჯილდო მის ნაცვლად.

## 26. ბროლის თევზი

ერთ ახალგაზრდას, რომელიც მენავეს დაეხმარა და საჩუქრად მშვენიერი ციცქა ბროლის თე-ვზი მიიღო, სადღაც დაეკარგა იგი. დანაკარგით ძლიერ შეწუხებული, განრისხდა, როდესაც ასეთივე თევზი უცნობი ადამიანის მკერდზე თასმით ჩამოკიდებული დაინახა. მან ეს ადამიანი ქურდობაში დაადანაშაულა და სასამართლოში წაიყვანა. იგი გაასამართლეს და სატუსალოში გაგზავნის წინ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცეს.

მან თქვა:

— ჰკითხეთ ამ მხარეში ნებისმიერ მენავეს — ასეთი თევზი ყველას აქვს. ეს ნივთი ჩემია და არა ამ ახალგაზრდისა. მეც, ისევე როგორც მას, თვალები და პირი გამაჩნია. განა ეს ნიშნავს, რომ ისინიც მას ეკუთვნის და მე ვიქურდე?

— აქამდე რატომ არაფერს ამბობდი? — გაუკვირდა მოსამართლეს.

— ხალხისთვის მეტი სიკეთის მომტანია, როდესაც ჭეშმარიტება თავის სიმართლეს ბუნებრივად აჩვენებს, გახდება რა ყველასთვის ცხადი — იმის ნაცვლად, რომ ეცადო რაღაც ამტკიცო, რაც შეიძლება სულაც დაუმტკიცებელი აღმოჩნდეს.

— მაგრამ ყოველი ჩვენთაგანი ხომ უნდა სწავლობდეს, — თქვა მოსამართლემ.

— ვაი, რომ! — წამოიძახა მენავემ. — თუ სწავლებას სიმართლის მტკიცებამდე დავიყავნთ, ჩვენ სანახევროდ ვიქებით განსაწვლულნი და ვერაფერს მივაღწევთ.

ის სუფიური სამო, რომლის წევრიც მენავე იყო, ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ სალზი თავიანთი დროის დიდ ნაწილს ფლანგავს იმაზე, რომ გადადიან რა დასკვნებზე, მთლიანად ივიწყებენ რეალურ ფაქტებს.

## 27. კამათი სწავლულებთან

ყვებიან, რომ ერთხელ ბაჟადინს ჰკითხეს:

— რატომ არ ეკამათები სწავლულებს? ერთი ბრძენი გამუდმებით კამათობს, რითაც არცხვენს სწავლულებს და აღაფრთოვანებს მოწაფეებს.

მან უპასუხა:

— შეგიძლიათ მიმართოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან, რომ მეც ვედავებოდი მეცნიერებს, ალბათ ახსოვთ როგორ იოლად ვუძებულებოდი მათ საბუთებს და ვაქარწყლებდი მათ მტკიცებულებებს. მაგრამ ერთხელ, ჩემზე ბრძენმა ადამიანმა მითხრა:

— შენი ხშირი და დამაჯერებელი გამარჯვება სიტყვიერ პაექრობაში სხვა არაფერია, თუ არა დაცქანცველი საქმიანობა, რადგან ამით საბოლოო მიზანი არ მიიღწევა — თუმცა სწავლულების მტკიცებანი უარყოფილია, მაგრამ ამით ისინი უფრო გონიერნი არ ხდებიან და აგრძელებენ შენს გაკიცხვას.

შემდეგ დაამატა:

— გამარჯვება მოწაფეებს შენით აღაფრთოვანებს. გამოდის, რომ ისინი ეძლევიან ეიფორიას, ნაცვლად იმისა, რომ შენი მოწინააღმდეგებების უმაქნისობა და უშინაარსობა დაინახონ. და ამიტომ გამარჯვება შეიცავს შენს დამარცხებასაც — მეოთხედზე მაინც.

თანაც, აღტაცებაში მოსვლა — მოწაფეებს დროს აკარგვინებს, ძვირფას დროს, რომელიც შეიძლებოდა რაიმე საფუძლიანის შესწავლაში გაეტარებინათ. ამიტომაც განიცდი მარცხს — ვთქვათ, ისევ მეოთხედზე.

საბოლოო ჯამში, შენი ძალის და ნებისყოფის ნახევარი ტყუილად იფანტება.

ეს ოცის წლის წინ მოხდა. მას შემდეგ არ მაღლვებენ პაექრობანი სწავლულებთან, არავის ვაწუხებ არც გამარჯვებით და არც დამარცხებით.

# მეთერითებები საუბარი სუფიაზე

## რუსთაველი – სუფია?!

— არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი – შოთა რუსთაველი სუფია გახლდათ.

— რა საბუთი არსებობს?

— თვით პოემის ტექსტი! მისი პირველივე, თუნდაც ზერელე, გადაკითხვისასაც კი თვალში მოგხვდებათ სუფიერი სიმბოლიკა და უამრავი ტექნიკური ტერმინი, რომელებითაც პირდაპირ „გადაპენტილია“ იგი თავიდან ბოლომდე. აი, მაგალითად: პირველივე სიტყვა, რომელსაც ვკითხულობთ – პოემის სათაური „ვეფხისტყაოსნი“ სიმბოლოთა ენიდან რომ „ვთარგმნოთ“, სუფია-ს ნიშნავს.

თამარის ეპოქის სუფიათა ენა არაბული ენა გახლავთ. ის კი კოდირების, „სიტყვებით თამაშის“ დიდ შესაძლებლობას იძლევა. აი, მაგალითად, ცნება „ვეფხი“ აღინიშნება ძირით ნმრ, მაგრამ იმავე ძირით აღინიშნება აგრეთვე „ბეწვის სამოსელი“, რომელსაც სუფიები ატარებდნენ, და „შეუბლალავი ღირსება“ – რაც, სიყვარულთან ერთად, სუფიზმის საფუძველთა საფუძველია.

მნიშვნელოვანია, რომ პოემის ავტორია სუფია, ანუ ის, ვინც თავს „რუსთაველს“ უწოდებს! გარკვეულ მიზეზთა გამო, სუფიები დიდი მისტიფიკატურები იყვნენ. მაგალითად, ერთსა და იმავე პიროვნებას შეეძლო, საჭიროების მიხედვით, „განესახიერებინა“ მრისხანე მეფეც, ბრძნი ვეზირიც, ვირ-ეშმაკა მასხარაცა (სხვათა შორის, „მასხარა“ არაბული სიტყვაა და სუფია-ს აღმნიშვნელ კიდევ ერთ ტექნიკურ ტერმინს წარმოადგენს) და ზანზალაკიანი კეთროვანიც, ყველა რომ სიკვდილივით გაურბის. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ გარეგანი, ფიზიკური გარდასახვა, არამედ, პირველ რიგში! მინაგანი, ფსიქიური „გადართვა“, „მუშაობის რეჟიმში“. თავისთავად იგულისხმება, ასეთი რამ ყველას არ ხელეწიფებოდა. მხედველობაში მყავს უკვე გარკვეულ დონეს მიღწეული ინდივიდები...

სუფიებისათვის უცხო არ იყო ლიტერატურული, პოეტური მისტიფიკაციაც, რისი უამრავი მაგალითი მოიპოვება არაბულ და სპარსულ, აგრეთვე, სხვა ხალხების ლიტერატურაში. მიმაჩნია, რომ ასეთივე ლიტერატურული მისტიფიკაციის შედევრი გახლავთ „ვეფხისტყაოსნიც“.

რა შეიძლება დავასკვნათ აქედან გამომდინარე? ეს ყოველივე, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს – და ნიშნავს ცალსახად! – რომ პოემა შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც იმგვარად, რა სახითაც მოცემულია იგი (ანუ როგორც ნახევრად ზღაპარი, ნახევრად სარაინდო-სასიყვარულო რომანი), ასევე მეორენაირად, ან იქნება – მრავალნაირადაც. ერთი სიტყვით, ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს (პირდაპირაც გვეუბნება „დასაწყისში“: „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქამს, მიქია“-ო) და შემდეგაც, კითხვაში გართულებს, სპეციფიკური ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით მრავალგზის შეგვახსენებს, რომ „ვეფხისტყაოსნი“ – სუფიური, ე. ი. მრავალპლასტიკიანი (ან, თუ გნებავთ, – მრავალპლასტიკიანი) ნაწარმოებია.

ის, რომ რუსთველი სუფიაა, სრულიადაც არ გამორიცხავს არც მის ქრისტიანობას და, მით უმეტეს, არც მის ქართველობას. ოღონდ, უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს უფრო სწორად, რას ნიშნავდა იმ დროში „ქართველობა“.

ჩემი აზრით, ეროვნულობის უმთავრესი ნიშანი – მკაფიოდ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული საერთო-სახალხო მენტალიტეტია, ხოლო ინდივიდი, ამ ასპექტში, ფასდება იმით, თუ რამდენად აქვს მას გათავისებული ეს საერთო-სახალხო, ანუ ეროვნული მენტალიტეტი. სხვანაირად იმდროინდელი (და არა მხოლოდ იმდროინდელი!) „ქართველის“ განსაზღვრისას აუცილებელად ჩიხში მოვექცევით, რადგან საქართველოს მაშინდელ მოსახლეობაში ფიქსირდება სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი, საკუთარი სუბკულტურის მქონე უამრავი (ზშირად – მრავალრიცხოვანი) ეთნიკური ჯგუფი: საკუთრივ ქართველები, ებრაელები, სომხები, ოსები, ბერძნები, ყიზჩალები, თურქები, არაბები, სპარსელები და სხვანი. ეს ეთნიკური ჯგუფები არამც და არამც არ წარმოადგენენ ერთმანეთისაგან იზოლირებულ რაღაც დახურულ სისტემებს. პირიქით, ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან, მათ შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა, დანათესავება; ისინი ერთ საერთო-სახელმწიფო ენაზე – ქართულ ენაზე მეტყველებდნენ და – რაც ყველაზე მთავარია! – ისინი ყველანი თანაბარნი იყვნენ კანონის, სახელმწიფოს წინაშე (რა თქმა უნდა, საკუთარი, პიროვნული სოციალური სტატუსის შესაბამისად; უფლებრივიად თანაბარნი იყვნენ ქართველი და არაქართველი მდაბიონი, ქართველი და არაქართველი დიდებულები და ა. შ.). ცხადია, ასეთ პირობებში ეს ხალხი ერთგულად ემსახურებოდა თავის სახელმწიფოს, თავის სამშობლო საქართველოს და აქტიური წვლილი შეჰქონდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის აღორძინება-

აყვავებაში. ამიტომაც არის, რომ დღესაც კი არავის მოუვა თავში აზრად იმის გამოთვლა, – თუ რამდენი ეთნიკური ქართველი ან არაქართველი იბრძოდა ვახტანგის, დავითის, თამარის დროშებქვეშ, ქმნიდა ხელოვნების შედევრებს, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე იღვწოდა: იმარჯვებდა ქართველთა ლაშქარი, ბრწყინვადა ქართული ხელოვნება, ზეობდა საქართველო...

ერთი სიტყვით, მაშინდელი „ქართველი“ – მე დღევანდელი „საქართველოს მოქალაქის“ შესატყვის ტექნიკურ ტერმინად მიმაჩნია.


სხვათა შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში – ე. ი. თუკი საკითხს გენეტიკური კუთვნილების თვალსაზრისით მივუდგებით – მაშინდელი „არაქართველების“ სიის დაწყება თვით ბაგრატიონებით მოგვიხდება... ამასთან, ეს სია წარმოუდგენლად გრძელიც გამოგვივა.

„განა ეს არაა პასუხი იმ აბსურდზე, რომლის მსხვერპლიცაა დღეს ჩვენი გათიშული და დანგრეული საქართველო? განა ეს არაა პასუხი იმ ტრაგიკულ თვალთმაქცობაზე, რომელსაც „ეროვნების გრაფა“ ჰქვია და რომელსაც ბატონი გურამ შარაძე ასე აქტიურად მოსავს ეროვნულ საბურველში. განა ეს არაა პასუხი იმ ტყუილ იდეალებზე ზე-ქართველისა და ზე-საქართველოს, რომელმაც ორასწლიანი ნანატრი დამოუკიდებლობის და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სიხარულის ნაცვლად, ეროვნული მოძრაობისა და იდეალების სრული დაკინება მოიტანა. ჩვენ, სამწუხაროდ, აღმოვჩნდით მსხვერპლი ამ ტყუილს ეწირება ჩვენი სახელმწიფო დღესაც.“

იდეალი ცოცხალი მხოლოდ მაშინაა, როდესაც მის უკან ცოცხალი ადამიანი დგას და ემსახურება მას, ხოლო თუ იდეალი გახევდა, იგი კვდება. ასე კვდება ერი, ცივილიზაცია, რელიგია. სწორედ ასეთ დროსაა საჭირო ახალი ხედვა და გამბედაობა გადაფასებისათვის.

განა არ გვჭირდება გამოფხიზლება? განა არ უნდა გადავაფასოთ დღეს ყველაფერი ქართული – ასე შერყვნილი და დაპატიმრებული ჩვენი საზოგადოების მიერ?

დღეს, საქართველოში გაბატონებულია კორუფცია, ქვეყანაში ბრძოლაა იმის თაობაზე, ვის რამდენი ერგება და არა იმაზე, ვის რამდენი ევალება. გაზულუქებული ჩინოვნიკები დღეს ძარცვავენ ქვეყანას. როგორ ფიქრეობთ, რანაირად ცხოვრობენ ისინი? ისინი ხომ არ იკრიბებიან მასონურ ლოებში ან სატანისტურ შაბაშებზე? ისინი უსხედან ქართულ სუფრას და ქართული ღვინით, აი, ამ თანმიმდევრობით სვამენ სადღევრობელოებს: „თამადის“, „მშობლების“, „ჩვენი ბედკრული მამულის“, „ტკბილი მოგონებების“... „დაშლა-არ მოშლის“.



„ვეფხისტყაოსანი“, იმ გაგებით, როგორც დღეს ის ეს-მით, ამ ხლხის ხელშია და იგი მკვდარია; სწორედ იმისათვის, რომ გაცოცხლდეს „ვეფხისტყაოსანი“, საჭიროა მისი ახალი წაკითხვა.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ – წაკითხვა სიცოცხლეა და არა ჭეშმარიტება. მე არ მინდა კამათი უცნობი ავტორის მიერ წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანის“ ინტერპრეტაციის შესახებ, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ჩემთვის წარმოდგენილი პოზიცია ძალიან ახლოა, მაგრამ ახლოა არა მხოლოდ როგორც „პოზიცია“ ან „მეცნიერული აზრი“, თუმცა ასედაც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად ახლოა, როგორც თანამედროვე გაცოცხლება დიდი მისტიური ძალის მქონე ტექსტისა. ვფიქრობ, ავტორი შემთხვევით არ აღნიშნავს, რომ ისტორიის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც კი იქცა!“ – მას ეს ძალა დღესაც აქვს. და დღეს, ის ინტერპრეტაცია, რომელსაც სუფისტური ინტერპრეტაცია შეიძლება ვუწოდოთ პოემისა, უაღრესად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია სოციალურ ასპექტში.“

„ვეფხისტყაოსანის ავტორის რელიგიური კუთვნილების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სუფიზმის, როგორც ასეთის რაობასთან. ამის შესახებ კი ქვემოთ ვისაუბრებთ.“

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში სუფიზმი მართლაც ხშირად იწოდება ისლამის ერთ-ერთ სექტად, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. მათი პოზიცია ასეთია: უბრალოდ, სუფიზმი ისლამის წიაღში განვითარებისთვის ძალზე ხელსაყრელი პირობები ჰქოვა და მასთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საკუთარი ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ამ რელიგიის ბევრი გარეგნული ნიშან-თვისება შეიძინა. ისე კი, სუფიური ტრადიცია მას განიხილავს, როგორც ფენომენს, რომელიც კაცობრიობის დასაბამითვანვე არსებობს. ეს არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ან ჯგუფებისათვის ერთადერთი მისაღები აზროვნებისა და ცხოვრების

წესი, რომლისთვისაც არ არსებობს არც გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები, არც ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ჩარჩოები. ყველა სუფია ერთმანეთის მოყვასი, მოყვარე, მმა და მეგობარია (გავიხსენოთ: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“), ხოლო სიყვარული – ადამიანთა (მით უმეტეს – მოყვარეთა, მოყვასთა, მმათა და მეგობართა) თანაცხოვრების აუცილებელი პირობა და უმთავრესი ატრიბუტი გახლავთ. მისი დევიზია: „გული მივცეთ გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად!“

სუფიზმი, თავისი არსით, ანტიდოგმატური მოძღვრებაა, მაშინ, როცა ყველა ფორმალური რელიგია – იქნება ეს ქრისტიანობა, ისლამი, ოუდაიზმი, თუ სხვა – პირველ რიგში, როგორც ცნობილია, გარკვეულ დოგმათა კომპლექსს, დოგმატს ეყრდნობა.

თვითსრულყოფის ცალკეულ საფეხურებზე, სუფია, რა თქმა უნდა, იყენებს გარკვეულ „აქსიომებს“, ანუ ისეთ პირობით ჭეშმარიტებებს, რომელთაც დამტკიცება არ სჭირდებათ, რათა მათზე დაყრდნობით, შეძლოს შესაბამისი „თეორემების“ „მოხსნა“, ანუ მიმდინარე თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაძლევა. მაგრამ, როგორც კი იგი ამ საფეხურზე ამაღლდება და შემდეგის დასაძლევად მომწიფედება, მის მსოფლმხედველობაში ეს „აქსიომები“ „თეორემებად“ ტრანსფორმირდება და საჭირო ხდება – ახლა უკვე მათ „დასამტკიცებლად“! – „აქსიომათა“ ახალი სისტემა.

ეს პროცესი გრძელდება დაუსრულებლად – თვითსრულყოფის ბოლოს წინა საფეხურის ჩათვლით.

სრულყოფის ბოლო საფეხურზე, ანუ „მწვერვალზე“ ასეული სუფია აღარ საჭიროებს აღარმარავ „აქსიომებს“, ანუ პირობით ჭეშმარიტებებს, რადგან იგი უკვე აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დაეუფლა, უფრო ზუსტად – ეზიარა და თვით შეერწყა მას, ანუ სრულყოფილი, „სრულებრივი ადამიანი“ გახდა...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, რომ სუფია – თუკი ის მართლაც სუფიაა და თავს არ იტყუებს! – ვერ იქნება ორთოდოქსალური აღმსარებელი ერთი რომელიმე რელიგიისა, ჩვეულებრივი გავებით. სწორედ ამიტომ, სუფიები იდევნებოდნენ ყველა ფორმალური რელიგიის მიერ, როგორც მწვალებლები, ერეტიკოსები და აქედან გამომდინარეობს მათი მიღრეკილებაც მისტიფიკაციებისადმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რელიგიური მიმიკრიისადმი“.

ერთადერთი, რაც მათ ცალსახად სწამო – ღმერთის არსებობაა. ამდენად, მათთვის კაცობრიობა იყოფა (ძალზე პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა,!) არა ურთიერთდაპირისპირებულ ქრისტიანებად, მაკადაგიანებად, იუდეველებად და, თუ გნებავთ, კომუნისტებად (ორთოდოქს კომუნისტებად, რომელთაც აქვთ საკუთარი რელიგია – მეცნიერული კომუნიზმი, ჰყავთ თავისი წინასწარმეტყველნი – მარქსენგელს-ლენინ-სტალინი), არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, მორწმუნებად და ურწმუნობად. ამასთან „მორწმუნე“ მათთვის სულიერად ჯანსაღი ადამიანის სინონიმია, „ურწმუნონ“ კი... გასაგებია, ალბათ!

რუსთველი სუფიაა, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ სუფიური ტრაქტატი...

გიორგი მარგველაშვილის მიხედვით

# მეთორმეტე საუბარი სუფიაზე

## სუფისტური სიმბოლიკა „ვეზენისტიანისანში“

ანუ

### ჯადოსნური კარიბჭე

შოთა რუსთაველის პოემის სათაური, რომელიც ჩვენ უკვე გავშეიფრეთ (უფრო სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი თვითგაში იფრება დისტანციური სიტყვა, რამდენადაც არაბული ენა, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ, XII საუკუნეში ისევე იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დღემდე რუსული ენა გახლდათ და ყველა წიგნიერმა და განათლებულმა ქართველმა იგი სრულყოფილად იცოდა. ამასთან, არც სუფიზმი ყოფილა მაშინ მთლად „უცხო ზილი“), არის ის ოქროს გასაღები, რომელიც მთელი ნაწარმოების ჭეშმარიტი შინაარსის გაგებაში უნდა დაგვეხმაროს.

ისლა დაგვრჩენია, ეს გასაღები „საკეტს მოვარგოთ“, გადავატრიალოთ და ერთად შევაღოთ  
**ჯ ა დ ო ს 6 უ რ ი კარიბჭე**

ეს „ჯადოსნური კარიბჭე“ პოემის პროლოგია, ე.წ. „დასაწყისი“, როგორც აწერია პოემის პირველ მონაკვეთს „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წლის საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულ გამოცემაში); მაგრამ არ ვიცი, რამდენად იქნება შესაძლებელი ახლა მისი საფუძვლიანად განხილვა, რადგან ის, ფაქტიურად, რეზიუმეა მთელი პოემისა: მასში ავტორი მოკლედ ეხება ყველა იმ პრობლემასა თუ საკითხს, რომლებიც შემდეგ, ტექსტში ფართოდა გაშლილი და გაშუქებული.

თავიდან მივყვეთ:

როგორც მთლიანად პოემა, ისე პროლოგიც, ერთი შეხედვით, იმ დროში მიღებულ „სტანდარტულ თარგზეა გამოჭრილი“. ეს გულისხმობს, სხვათა შორის, იმასაც, რომ, უპირველეს ყოვლისა, ავტორმა ღმერთს უნდა შესთხოვოს შემწეობა წამოწყებულ საქმეში.

რუსთაველი ასეც იქცევა, მაგრამ როგორ აკეთებს ამას? იგი არსად არ ახსენებს წმინდა სამებას – არც „პროლოგში“, არც მომდევნო, ძირითად ტექსტში – არსად!

სწორედ ეს იყო უპირველესი ეჭვი და პრეტეზია მის მიმართ ყველა დროში და ათასგვარი გამონაგონის საბაბიც. მაგრამ აქ საქმე სულ სხვა რამეშია: ჩვენს ავტორს მხოლოდ ასე უნდა დაეწერა.

ამ ფაქტორის მთლიანად უგულვებელყოფა, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ, ვუიქრობ, ეს არ უნდა ყოფილიყო მთავარი: სუფიებს არა სჩვევიათ ღია კარის მტვრევა, და ისიც – საკუთარი თავით! მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ აბსოლუტურად მცდარია „მეცნიერელი“ მოსაზრება, თითქოს რუსთველი სამეფო კარის პოეტი იყო, ანუ „ოქროს გალიაში გამოკეტილი უწყინარი ბულბული“, რომელიც ისეთ ეგზალტაციაში ჩააგდო საკუთარმავე ჭიკჭიკმა, რომ ღმრთის სწორი, წმინდა სამების მეოთხე იპოსტასად შერაცხული საკუთარი მბრძანებლის შეყვარება გაბედა!

არა, ბატონო, ავტორი არ გახლავთ სამეფო კარის, ანუ პროფესიონალი პოეტი, რომელსაც საკუთარი ხელოვნება პროფესიად, ე. ი. თავისა და საკუთარი ოჯახის საარსებო წყაროდ გაუხდია.

ეს კაცი პროფესიონალი სხვა საქმეში გახლავთ: იგი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი და დიდი სახელმწიფო მოხელეა, ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია, და ყველა მისი აზრი, სიტყვა თუ საქციელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდიანრეობს, მისი კეთილდღეობის სურვილითაა ნაკარნახევი.

თუმცა „სურვილი“ აქ მთლად ის სიტყვა არაა, რომელიც სრულად გამოხატავს სათქმელს: არსებობდნენ და, იმედია, ჯერაც არსებობდნენ ადამიანები, რომელთათვისაც პატრიოტიზმი არა თუ არ არის ლიტონი სიტყვა, არამედ ქვეყნის, სახელმწიფოს სამსახური – მათი არსებობის ერთადერთი გამართლება – ცხოვრების აზრი და მიზანიცაა, ამთი ცხოვრების წესია! ისინი გასცემენ ყველაფერს, რაც კი რამ აქვთ – საკუთარი ღირსებისა და პატიოსნების გარდა – მით უმეტეს, რომ სახელმწიფო სამსახური არც მოითხოვს მათგან ამას. სწორედ ამგვარი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

– რა კავშირშია ეს წმინდა სამებასთან?

– პირდაპირში! ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და ალმსარებლურ სიჭრელეზე: იგი თუ არ სჭარბობს, არც არაფრით ჩამოუვარდება ახლანდელს! მთელ ამ ხალხს სამი რამ ჰქონდა საერთო: ენა (სახელმწიფო ენა – ქართული), მამული (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და სარწმუნოება – მონოთეიზმი, ანუ ერთი ღერმოთის რწმენა-აღიარება! სწორედ ამ საერთოს, ამ გამაერთიანებელ პრინციპს არ უნდა მისდგომოდა ჩრდილი და, პრინციპში, არც მიადგა: თუკი ქრისტიან შეიძლება გაუჩნდეს ზემოთ აღნიშნული პრეტეზია პოემისა და მის ავტორის მიმართ, ასევე შეიძლება გაუჩნდეს მუსულმანსაც (არ დაგვავიწყდეს: ისიც „ქართველია“, ე.

ი. საქართველოს მოქადაქეა!), რადგან არც მოპამედია ამ კონტექსტში საღმე ნახსენები და არც ალლაპი; ოუდეველსაც – არ ახსენებს იაპეს, ან ადონაი – უფალს, და ა. შ. და ა. შ.

სამაგიეროდ, იგი მოიხსენიებს და არა ერთხელ ერთ ღმერთს („პე, ღმერთო ერთო!“), რომელიც ყველა ამათთვის საერთოა და რომლის საწინააღმდეგო არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს (კერპ-თაყვანისმცემელთა გარდა, რომლებიც ამ დროისათვის, აღბათ, ერთეულები თუ საღმე შემორჩენილი). ამდენად, გარკვეული ნეიტრალური დამოკიდებულების პირობებში, ვერც ერთი კონფერენცია ვერ აუკრძალავდა და ვერ უსაყვედურებდა თავის მრევლს მისი პოემის წაკითხვას და იგი (პოემა) საეთო-ეროვნულ საკითხავად იქცეოდა, რაც, მართლაც, აღსრულდა კიდეც (ვფიქრობ, იმავე მიზანს ემსახურებოდა თითქმის ყველა ქართული დალექტის, აგრეთვე სომხური, ებრაული, არაბულ-სპარსული ლექსიკონის ფართო გამოყენებაც!). უფრო მეტიც: მე თუ მკითხავთ, „ვეფხისტყაოსანი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც კი იქცა!

ამაშია მისი დიდი ძალა და დიდი მნიშვნელობაც. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპექტში მაინც!

– კიდევ ერთი „ბუნდოვანი“ და „გაუგებრობის“ წარმომშობი ფრაზა: „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა!“ თუ „მიჯნურთა სურვილს“, „მიჯნურობას“, რომელსაც არაერთიხელ ეხება ჩვენი ავტორი, ჩვეულებრივი, მიწიერი (მატერიალისტური!) პოზიციიდან განვიხილავთ, ხელთ შეგვრჩება პრიმიტიული სექსუალური მისწრავებები და სხვა არაფერი.

მოდით, გამონაკლისის სახით, ერთი ავტორიტეტი მოვიშველიოთ: „აქ იხილეთ, კაცნო, თუ სიძვაზე რამ იყოს: რა სათხოვარია, სიკუდილამდი – ქრისტეს მცნობისა და ამ გვარის ფილასოფოსის კაცისაგან – მრუშება!“

და კიდევ:

„აქ აჩენს – მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძევსო. თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, – ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძევს! მაგრამ უბნობს: მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო და დიდი სამძღვარი ძესო, და გეხვეწებათ: ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურაგინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამს“, და ა. შ. და ა. შ.

ეს – ვახტანგ VI-ა, მეფე-პოეტი, დიდი მწიგნობარი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური წესით გამომცემელი და კომენტატორი. ქვემოთ იგი თავს ვერ იკავებს და ნამდვილი რუსთველური სარკაზმით ამბობს: „ხამს მიჯნური ხანიერი: ეს გასინჯეთ თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას – ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაციც. მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება!“

ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია და იმაზე უკეთესადაც, ვიდრე მე შევძლებდი.

ერთს დავამატებდი მხოლოდ, მიჯნური (უფრო ზუსტად „მაჯნუნ“, რომელიც „ხელსა გვიქვიან არაბულითა ენითა“) – კიდევ ერთი ტექნიკური ტერმინია, „სუფია“-ს აღმნიშვნელი!

– განა რამდენი ასეთი ტერმინი არსებობს?

– უამრავი. კონტექსტს გააჩნია! თუ ფრინველთა სამყაროში „მოვხვდით“, აქ ოფოფს უნდა მოველოდეთ (ბულბული – „ეგზალტირებული“ სუფიაა), ან ბუს, ცხოველთა სამყაროდან: ვეფხვი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, აქლები, ყარუფი და ა. შ.; მცენარეებიდან სუფიზმის სიმბოლოებია: ა) ფინიკის პალმის ხე (სემიტებთან), ვაზი (სპარსეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის სამხრეთში); მანდრაგორის ბუჩქი (ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში) და ა. შ.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ესეც ვთქვათ ბარებ: იცით, როგორაა ძველებრაულად ფინიკის პალმის ხე? – თამარ!

– დიახ. და იმასაც გეტყვით, რომ ძველად ახალშობილისათვის სახელის შერჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ათასნაირი გათვლა-განგარიშების საფუძველზე ახდენდნენ: აქ შემთხვევითობა თითქმის გამორიცხული იყო – სახელი რაღაც აზრის, მნიშვნელობის მატარებელი უნდა ყოფილიყო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში!

– საქართველოში არაბთა შემოჭრასთან ერთად სუფიზმის ახალი ნაკადიც შემოვიდა (ჩვენს სამშობლოში ადრეც არესბოდა გარკვეული ტრადიცია, მაგრამ მოგვიანებით ვისაუბროთ ამაზე, თუკი დრო დაგვრჩება საამისოდ) და დამკვიდრდა არაბულ ენასთან ერთად. ქართველებმა მას საკმაოდ სწრაფად აუღეს აღლო (როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მანამდეც და მას შემდეგაც, როცა ნებსით თუ უნებლივით, გვიხდებოდა ურთიერთობა ახალ, გარედან შემოტანილ რელიგიურ-ფილოსოფიურ თუ იდეოლოგიურ მოძღვრებებთან. გავიჩსენოთ თუნდაც, რა სიმაღლეებს მიაღწიეს ჩვენმა თანამემულებებმა სოციალურ-დემოკრატიულ მოძრაობაში, როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ მიმდინარეობებში!) და, როდესაც საამისო აუცილებლობა შეიქნა, საკუთარ ინტერესებშიც გამოიყენდა.

ენეს იგი: დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში სუფიზმის თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი!

— უნდა ვაღიარო, საკმაოდ სარისკო განცხადებაა, მაგრამ, როდესაც დავასრულებთ, თვითონვე ნახავთ, რა ლოგიკურობით ებმის ერთმანეთს ყველაფერი!

ახლა კი ის გავიხსენოთ მხოლოდ, რაც აუცილებელი ფაქტებია და ისტორიული წყაროებით დასტურდება:

ა) დავით IV ისევე დადიოდა მეჩეთსა და სინაგოგაში, როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, და ეს სულაც არ ყოფილა უბრალო პოპულიზმით ნაკარნახევი: იგი სწავლობდა!

ბ) სხვა დანიშნულების ობიექტებთან ერთად, იგი უამრავ ხანაგებსაც აშენებდა (ხანაგა — ფუნდუკია, რუსულად შიშილი ჰასიდ-ს რომ ეძახიან. სუფიური ტერმინოლოგიით კი ხანაგა — სუფიათა სავანეს ნიშნავს!)

გ) სახელმწიფო მმართველობის აპარატში მან შემოიღო მოძღვარომოძღვრის თანამდებობა („სახელო“), და ამ თანამდებობაზე მყოფი პირი, როგორც ჩვენი ისტორიული მეცნიერება ერთხმად აღიარებს, პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, თვით მეფის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვაბნიოს ამ „სახელოს“ ქართულმა დასახელებამ. ეს ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკურად მოძღვავრებულმა დავითმა უარი თქვა ყველა ბიზანტიურ ტიტულსა და თანამდებობაზე და საკუთარ მოხელეთა „სახელოებიც“ გადმოაქართულა: „მსახუროთუხუცესი“, „მანდატუროთუხუცესი“, „მეჯინიბეთუხუცესი“, „მეღვინეთუხუცესი“ და ა. შ. „მოძღვარომოძღვარი“ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და ზუსტი შესატყვისია არაბული „შეიპ-ალ-შეიპ“ (უფრო ზუსტად, შეიპ-ამ შუიუპ-ისა), რაც ასევე სუფიური კატეგორიაა და უმაღლეს იერარქის აღნიშნავს.

თვითონ „სახელო“ მოძღვარო-მოძღვრისა, ვფიქრობ, შეესაბამებოდა გვიანდელ „ეროვნებების (და რელიგიების — „იდ.“) საქმეთა სახალხო კომისრის“ თანამდებობას, რომელიც ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველ მთავრობაში ეკავა კიდევ ერთ ქართველ სუფიას — იოსებ ჯულაშვილს!

## მეცამეთი საუბარი სუფიაზე

### „დამპვეთოთა თავხედობა“

— სტალინი, რა, მართლა სუფია იყო?

— მიმაჩნია, რომ იყო! ამაზე აბსოლუტურად სწორი პასუხის გაცემა კი, ალბათ, თვით სტალინს შეეძლო მხოლოდ, ან კიდევ — ორიოდე მის თანამედროვეს. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ტრადიციას, ზეპირ გადმოცემას ვენდოთ და კიდევ — საკუთარ ინტუიციას...

იცით, შეიძლება იცვამ-იზურავდე, როგორც სუფია (ამაზე, თუკი მოისურვებთ, კიდევ ვისაუ-ბროთ), მოძრაობდე, როგორც სუფია; დაისწავლო პირობითი ნიშნები, მისალმებები, ფრაზები და ა. შ. ისაუბრო, როგორც სუფიამ, მაგრამ ჭეშმარიტ ოსტატს — ნამდვილ სუფიას — ამ ზედაპირული წვრილმანებით, გარეგნული მიბაძვით შეცდომაში ვერ შეიყვან, ვერ შეაცდენ, რამეთუ ლომი ჭანგ-თაგან შეიცნობის!

იაკობ მოციქული გვასწავლის: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა — მკვდარ არს“ — ო, ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია ჩვენი შემთხვევისთვისაც: ბოლოს და ბოლოს, სწორედ საქმენი გვიჩვენებენ, ვისთან გვაქვს საქმე! და სტალინს რომ საქმეები უკეთებია...

თუმცა, არსებობს კიდევ „არაპირდაპირი“ (ვისთვის — როგორ) მინიშნებები, მაგალითად: მისი უკიდურესობამდე უბრალო, სადა ცხოვრების წესი, ასეთივე ჩაცმა-დახურვა, ძალზედ თავისებური მეტყველებისა და წერის მანერა; ფანტასტიური შრომისუნარიანობა — თვით ძალზე ხანდაზმულ ასაკშიც კი (სუფიებს აქვთ სპეციალურ ვარჯიშთა სისტემები, რომელთაგან ბევრი სწორედ ასეთი შრომისუნარიანობის გამომუშავებაზეა ორიენტირებული); უდიდესი ნებისყოფა, პიპნოზური და ტელეპატიური უნარი (რასაც არაერთი თვითმხილველი ადასტურებს); ამათი გამომუშავებაც შედის სუფიათა მოსამზადებელ პროგრამაში“...

ცნობილია ასეთი ფაქტიც: როცა სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა (?!?) და სულთმობრძავი იწვა, მისი განკურნების მსურველი, მრავალ პროფესიონალ და არაპროფესიონალ დასტაქრებთან ერთად, სუფია ჰაქიმებიც აღმოჩნდნენ. ისინი უმორჩილესად ითხოვდნენ, და აეშვათ „კაცობრიობის დიად შვილთან“ და ლამის გარანტიასაც იძლეოდნენ, განკურნავთო!

აქ, ერთი შეხედვით, არაფერია საკვირველი, თუ არა შემდეგი გარემოება: სუფი-ჰაქიმების ერთადერთი, მაგრამ უთუო, სიტყვაშეუბრუნებელი პირობა პაციენტთან ურთიერთობისას, ის არის, რომ ინიციატივა, თხოვნა განკურნებისა — უშუალოდ ავადმყოფისგან უნდა მოღიოდეს, უკიდურეს შემთხვევაში, თუ თვითონ ავადმყოფი გონზე არაა, მისი ოჯახის წევრებისაგან მაინც. აქ არანაირი „შეღავათები“, „განსაკუთრებული შემთხვევები“ არ არსებობს, ერთადერთი გამონაკლისის გარდა — როცა ავადმყოფიც სუფია!

არა ეს არგუმენტი? ჩემთვის არის!

და კიდევ ერთიც: გორის საოსტატო სემინარიაში თითქმის ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ ყმაწვილები: იოსებ ჯუღაშვილი, შემდგომში XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი „გახსნილი“ სუფია, „რუსული (?) მისტიკიზმის ბურად“ აღიარებული გიორგი გურჯიევი (ისიც — ჩვენი თანამემამულე) და მოგვიანებით, ვაჟა-ფშაველად ცნობილი ჩვენი უდიდესი პოეტი-მისტიკოსი ლუკა რაზიკაშვილი...

სხვათა შორის, ასეთი დონის შეგირდების კონცენტრაცია, ერთსა და იმავე პერიოდში და ერთსა და იმავე ადგილას, მიუთითებს იქვე ძლიერი მასწავლებლის არსებობაზეც! აი, მისი ვინაობა კი, სამწუხაროდ, ნამდვილად უცნობია ჩემთვის!

მაგრამ ჩვენ — „პირველსა სიტყუასა ზედა“ მივიდეთ.

— ერთობ თავისუფლად ვმსჯელობთ ფრიად სერიოზულ თემებზე: მაპატიეთ გამოთქმისთვის, მაგრამ ისე იოლად ისვრით ყოვლად წარმოუდგენელ ჰიპოთეზებს, რომ კაცს ანაზღად გაუელვებს — ხომ არ დამცინისო. თანაც, ეჭვი არ მეპარება, რომ მშვენივრად აცნობიერებთ: ძალზე გაგიჭირდებათ თუნდაც ერთი-ორი თანამოაზრის პოვნა.

— თურმე, ბევრი რამაა, მეგობარო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლან-დებია!

მნელი დასაჯერებელია, არა? კარგა ხანს არც მე მჯეროდა, მაგრამ...

როგორც გახსნოვთ, ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რუსთველი, თითქოს, აგრძელებს თავისი დროის ლიტერატურულ ტრადიციას და ემორჩილება არსებულ „შაბლონს“ — პოემას იწყებს (პირველი და მეორე სტროფები) ღმერთისადმი მიმართებით. სინამდვილეში, პირველი სტროფი მაინც „განმარტებაა“ ღმერთისა, როგორც ასეთია: „რომელმან შექმნა სამყარო, ... მისგან არს ყოვლი ხელმწიფე...“

უფრო სწორად, აქ მოცემულია ავტორისეული ხედვა, შეგრძნება, აღქმა ღმრთისა.

აქვე, მეორე სტროფში, იგი „მიჯნურობის“ საკუთარ გაგებაზე ზოგადად უკვე მიგვანიშნებს (არ დაგვავიწყდეს ვახტანგ VI-ის კომენტარი!).

ამას ყველაფერს (ღმერთის „განმარტებას“, მისაღმი ვედრებას, მინიშნებას „მიჯნურობის არსზე) ფანტასიტური ლაკონიურობით ახერხებს – სულ ორად-ორ სტროფში! და მისი აზროვნებისა და წერის ეს მანერა (ერთად შერწყმული უკიდურესი ლაკონიურობა და სიცხადე) უკვე გარკვეულ აზრს გვიქნის.

შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო ამბები მოდის.

ახლა, წესით, ავტორმა ხოტბა უნდა შესხას ნაწარმოების „დამკვეთს“ ან „ადრესატს“, რომელსაც უძლვნის თავის ქმნილებას. საზოგადოდ, ეს შეიძლება იყოს მეფე, დედოფალი, სამეფო ოჯახის წევრი, დიდი ფეოდალი ან რიგითი მოკვდავიც კი – მაგალითად, ვინმე შეძლებული ვაჭარი, რომელმაც მეცნატობა გაუწია, მაგრამ არაფერი ამისი მსგავსიც კი, არავთარი ხოტბა და ქება-დიდება! მე-5 სტროფში (ზემოთ აღწერილი ლოგიკით, ეს სტროფი რიგით მე-3 უნდა იყოს, მაგრამ ამას ახლა არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) ავტორი ამბობს, მხოლოდ „მიბრძანეს“-ო „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, ანუ მისთვის მართლაც „დაუკვეთიათ“ ნაწარმოების დაწერა და „დამკვეთი“ – ორი ან რამდენიმე პიროვნება ყოფილა (არა „მიბრძანა“, არამედ „მიბრძანეს“!).

– ჩემი აზრით, „მიბრძანეს“ უფრო აღმატებულ ფორმას გამოხატავს, მაგრამ მივყვეთ თქვენს ლოგიკას, ვინ შეიძლება იყვნენ ეს „დამკვეთინი“?

– ამაზე ოდნავ მოგვიანებით. ...შემდეგ ავტორმა უნდა მოხაზოს თქმა, რომელსაც ეხება ნაწარმოები, ან – დამკვეთის სურვილზე უნდა მიანიშნოს.

ჩვენს შემთხვევაში (ეს – აშკარაა ა ამაზე, უკვე დიდი ხანია, აღარავინ დავობს!) ესაა „ქებანი“ და „შესხმა ხოტბისა შერისა“ თამარ მეფისა და მისი მეუღლის – მეფე დავით სოსლანის მიმართ.

მაგრამ, რეალურად... რა ხდება? მესამე სტროფში, სადაც მეფე-მზის – თამარის „ლომზე“, ანუ დავით სოსლანზეა ლაპარაკი, ისეთი დაუფარავი ირონია გამოსჭვივის, რომ უარესი – მნელი წარმოსადგენია! „მას არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?!“-ო, თითქოს ჩვენ გვეკითხება ავტორი და იქვე მიგვანიშნებს (ისევ და ისევ „შეფარვით“ განვითებს გამოთქმულის ჭეშმარიტ აზრს, როგორც ეს „მიჯნურობის“ შესახებ მსჯელობისას მოიმოქმედა და კვლავაც არაერთხელ იზამს ამსა! ამ ორჯოფობის მიზეზს: „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა (?!?! – იდ.) მირთმა ხამს მართლ მიშერისა!“

მართლაც და, საოცარია: სად მეფე-რაინდი, თამარის „ლომი“ და სად – მისთვის ყანდის (შაქა-რყინულის, მარმელადის) მირთმევა!

არ დაგვავიწყდეს XII საუკუნეა, ქართულ სამეფო კარზე ჯერაც ძლიერია არაბული კულტურის გავლენა; შენარჩუნებულია მრავალი ტრადიცია და შეხედულება! არაბთა აზრით, კი ვაჟკაცი საეთოდ არ მიირთმევს ტკბილეულს, „ვაჟკაცი“ და „ტკბილეული“ საზოგადოდ ურთიერთშეუთავსებადი, უფრო მეტიც, ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია!

– რა ვითიქროთ რესთველის დამოკიდებულებაზე დავით სოსლანის მიმართ?

– პირველი ის, რომ დავით სოსლანი ჩვენს ავტორზე (და, იქნებ, საკუთარ მეუღლეზეც!) ბევრად უმცროსია ასაკით, თითქმის ბავშვია!

და მეორე: ...თუმცა ამ მეორე „ვარაუდზე“ არცა ღირს შეჩერება – არც დრო და ადგილი მემეტება საამისოდ და არც თვით დავით სოსლანი (მაგრამ... ვინ იცის!).

კიდევ უფრო გაოცდებით მე-4 სტროფის („თამარს ვაქებდეთ...“) წაკითხვისას, თუკი ჩემს კიდევ ერთ მოსაზრებას მოისმენთ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ, რამდენადაც ვიცი, XII საუკუნეში, ჩვენს დროში მიღებული პუნქტუაცია, ჯერ არ არსებოდა, არ იხმარებოდა, ანუ დაწერილის წაკითხვისას წამკითხავს შეეძლო შეცვალა ინტონაცია და, შესაბამისად, შეეცვალა წაკითხულის აზრიც!

თუ ჩვენც ანალოგიურად მოვიქცევთ, ანუ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დასმულ სასვენიშნებს შეცვლით, ე. ი. შეცვლით ინტონაციას, აი, რას მივიღებთ: „თამარს ვაქებდე(თ) მეფესა?!“ (მრავლობითის ნიშანი „თ“ აქ პრინციპულად არაფერს ცვლის). ამ ფრაზაში რაც გამოსჭვივის, უკვე ირონია აღარ ეთქმის! ეს ვიღაცის (თუმცა, რაღა „ვიღაცის“ – „დამკვეთოა“!) თავხედობით გამოწვეული აღშვოთება, გულიდან ბრაზით ამოხეთქილი! (პირადად მე, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, რაღა თქმა უნდა, აქ, ამ კაცის რისხვით შემართული, მუშტად შეკრული მარჯვენაც წარმომიდგება თვალწინ!).

თუმცა, შეიძლება „დამკვეთთა თავხედობა“ აქ არაფერ შუაში იყოს: შეიძლება თვით ის აზრი აღაშვოთებს ავტორს, რომ თამარის „ქების“ გამოთქმას ავალებენ, სწორედ მას ავალებენ!

თუმცა! აქვე, ამავე მე-4 სტორიფის II, III და IV სტრიქონებიდან ირკვევა, რომ რუსთველს ადრე უპევ გამოუთქვამს თამარის „ქებანი“ „არ ავად გამორჩეული“, თანც ისე, რომ მთელი სული და გული ჩაუქსოვია ამ საქმეში: „მელნად ვიხმარე გიშრის ჭბა, და კალმად მე ნა რხეული“-ო, გვეუბნება ის. აქ საკუთარ თავზე, საკუთარ გრძნობებზეა ლაპარაკი. შედეგიც შესაბამისი ყოფილა: „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“-ო, ბრძანებს დიდი პოეტი და აშკარაა: აქ ავტო-რის სიამაყე გამოსჭვივის, საკუთარი ნახელავით კმაყოფილი ავტორის სიამაყე!

# მეთოთხმეტე საუბარი სუფიაზე

## ნოდარ ნათაძის აზრი

მოგახსენებთ ჩემს აზრს თქვენ მიერ აღძრულ საკითხზე, თუმცა სუფიზმის სპეციალისტი არ გახლავართ.

„ვეფხისტყაოსნის“ და სუფიზმის მიმართებაზე დღესდღეობით ორი მეტ-ნაკლებად მყარი დებულება არსებობს. პირველი: პოემის პროლოგში (სტრ.22) ნახსენები „მიჯნურები“, რომელთაც „საღრმოთო სიახლე“ აქვთ და „დაშვრებიან აღმაფრენითა“, საფიქრებელია, სუფიები ანუ მუსლიმანი მისტიკოსები არიან.

მეორე: ვახტანგ VI-ის უაღრესად ხელოვნური კომენტარი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც პოემაში აღწერილ მიჯნურობას „საღვთოდ თარგმნის“, ანუ იგი ესმის როგორც ღვთისადმი მისტიკური სწრაფვის გამომხატველი აღეგორია, სტიმულირებულია იმით, რომ სპარსულ პოეზიაში ტრფიალის გამოხატვა და მის მიღმა, აღეგორიულად ღვთისადმი მისწრაფების გულისხმობა ფართოდ გაგრცელებული მოვლენაა. მეფე-პოეტს არ უნდა, რომ ესოდენ მოხერხებული მეთოდი კეთილმსახურების გამოხატვისა და ქადაგებისა – სასიყვარულო პოეზიის მისტიკურ აღეგორიად ინტერპრეტაცია – უცხო რელიგიის მიმდევართა მონოპლიაში დატოვოს (ეს კ. კეკელიძის აზრი გახლავთ). თავისი მისტიკური კომენტარით იგი ეჯიბრება მუსლიმან მისტიკოსებს.

„ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებული სტატიების ავტორი, რესპონდენტი, რომელმაც ფსევდონიმად „იდიოტი“ აირჩია, ამ ორ ცონბილ დებულებას ვერაფერს ამატებს, როგორც დასაბუთებულ თეზისს. რაც შეეხება კითხვის დასმას, მე მგონი, ასეთად მის ნაწერში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის აზრი, რომ, რაკი სემატური ძირი „ნმრ“ ვეფხვსაც აღნიშნავს და შალის ტანსაცმელსაც, რასაც სუფიები ხმარობდნენ, ვეფხვის ტყავის ცმაც შეიძლება სუფიზმზე მინიშნებად ჩაითვალოს. მე არ ვიცი არის თუ არა ძირი „ნმრ“ მართლაც ამ მნიშვნელობათა მატარებელი (მასსოვს მხოლოდ, რომ ამ ძირზე აკადემიკოს მ. წერეთელს ჰქონდა ყურადღება მიქცეული „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით), მაგრამ, თუ ნიშნავს კიდეც, ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს, რომ პოეტს ტარიელი სუფიად ჰყავს ნაგულისხმევი, ან რამე კავშირს ხედავს თემასა და სუფიურ მოძღვრებას ან პრაქტიკას შორის.

რესპონდენტს მრავალი შეცდომა აქვს. წინააღმდეგ მტკიცებისა, რუსთაველი სამებას ახსენებს, თუმცა მინიშნებით („ერთარსებისა ერთისა“, სტრ. 845; ზედსართავი „ერთარსება“ სამების ატრიბუტი გახლავთ); არ არსებობენ, რამდენადაც ვიცი, არამესლიმანი სუფიები; არ არის მართალი, რომ სიტყვებში – „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ – პოეტი გულისხმობს რამე სხვას, თამარის ქებისა გარდა; წინააღმდეგ ავტორის აზრისა, სუფის „ქართველობა“ ფეოდალურ საქართველოში მნელი წარმოსადგენია. შეუძლებელია, ავტორთან ერთად, იმის თქმა, რომ დავით IV „ისევე დადიოდა მეჩეთსა და ეკლესიაში, როგორც სინაგოგაში“ (ეკლესიაში იგი სალოცავად დადიოდა, მეჩეთსა და სინაგოგაში კი არა).

ის, რომ ქრისტიანობაც, ისლამიც და იუდაიზმიც მონოთეისტური რელიგიებია, არ ნიშნავს, რომ ამით რბილდება მათი შეუთავსებლობა მათ აღმსარებელთა თვალში.

სუფიზმი არის ისლამური მისტიკიზმი – მისტრაფება ღმერთთან შერწყმისა, მისკენ სწრაფვაში საკუთარი მეობისა და თვითცნობიერების დაკარგვისა – არც მეტი, არც ნაკლები. ყველაზე მარტივი სამუალება საამისოდ არის თავის გაბრუნება დავრიშებში ცნობილი „ბზრიალა ცეკვით“, ყველაზე ამაღლებული – მაღალი პოეზია ჯალალდინ რუმისა, ნიზამისა, ჯამისა და მრავალი სხვისა (თითქმის ყველა დიდი სპარსელი პოეტი სუფი გახლავთ). სუფიზმის ფილოსოფიური ბაზა ნეოპლატონიზმია (III ს. ქრისტეს შემდეგ). სიტყვა „სუფის“ ორი ძირითადი ახსნა არსებობს. ერთს იგი გამოჰყავს ბერძნული „სოფოს“-დან („ბრძნინი“), მეორეს – არაბული სიტყვიდან, რომელიც შალის უხეშ სამოსს აღნიშნავს. დიდძალი ევროპული ლიტერატურიდან, რაც სუფიზმის შესახებ არსებოს, შეგვიძლია დავასახელოთ ედვარდ ბრაუნის, ნიკოლასანის, არბერის, მასინიონის გამოკვლევები (ეს ჩამოანთვალი მეტ-ნაკლებად შემთხვევითია). სპეციალისტი, რა თქმა უნდა, შეუდარებლად მეტს დაგისახელებთ). აქ გადმოცემულია სუფიზმის თეორიული საფუძვლები, მის მიერ აღიარებული პრინციპები, მისი სულისკვეთება, სუფიების ცხოვრების პრაქტიკა, სუფიური პოეზიის სტილი და მენტალიტეტი. დასახელებულია ძალიან მრავალრიცხოვანი სიმბოლოებიც ანუ საგანთა სახელები, რომლებშიც სუფი, როგორც ხელდასხმული ანუ საიდუმლოს ზიარებული (ბერძნულად – „მისტი“) აღეგორიულ აზრს დებს (იხ. პირველ ყოვლისა Arberry, Sufism), თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველა

ლიტერატურულ ქმნილებაში, სადაც ამ ყოველდღიურ საგანთა ხსენება გვზვდება, ამ სახელებში ალე-გორიული (მისტიკური) აზრი დევს და ამიტომ შეგვიძლია მათში სუფიზმი დავინახოთ. სუფიური შეხედულებების გადმოცემაში რესპონდენტი მათ ფრიად განსხვავებულ სახეს ხატავს, ვიდრე ისაა, რასაც ზემოხსენებული მკვლევარები ხატავენ. მისი მსჯელობა, ჩემი აზრით, უფრო საინტერესო იქნებოდა, იგი რომ წყაროს უთითებდეს, საიდანაც მისი ცნობები მომდინარეობს.

მე, პირადად, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარს, ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პოემის, მისი ძალიან მკაფიო სიუჟეტური და მხატვრული სტრუქტურის მიღმა („ვეფხისტყაოსანი“ პოეტური ენის ყოვლისმომცველ გამოყენებით დაწერილი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური რომანი გახლავთ) არის კიდევ რაღაცა ეზოთერიულ-შინაარსობრივი სტრუქტურა (დავიმოწმებ ზ. გამსახურდიას და ც. ინწყირველის მუშაობას ამ თემაზე), მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ მისი ამოცნობა ოდესმე მოხდება, რადგან ის ეზოთერიული მოძღვრებები, რომელთა კვალი „ვეფხისტყაოსანში“ იგრძნობა, ალბათ, სამუდამოდ დაკარგულია. ბატონ „იდიოტი“-ს ინტერესი ამ თემისადმი ბუნებრივია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მის მიერ დანახული „თანხვედრები“ (ვეფხისტყაოსანსა“ და სუფიზმს შორის) ამ ამოცანის ამოხსნასთან გვაახლოებდეს.

# მეთხუთე საუბარი სუფიაზე

## პასუხი ნოდარ ნათაძეს

მოხარული ვარ, რომ ჩემმა ფანტასმაგორიულმა „საუბრებმა“ უკვე მიიპყრო ისეთი სერიოზული მეცნიერის ყურადღება, როგორიც მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ ნათაძეა.

თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ მის პუბლიკაციას უკმარისობის გრძნობა არ აღეძრას ჩემში.

თავად განსაჯეთ.

მრავალთა შორის უმთავრესი პრეტენზია, რომელსაც ბატონი ნოდარი მიყენებს, არის ის, რომ მე ვერაფერს ვმატებ, „როგორც დასაბუთებულ თეზის“, იმ ორ ცნობილ, „მეტ-ნაკლებად მყარ დებულებას“, რომლებიც, თურმე, „ვეფხისტყაოსნისა“ და სუფიზმის მიმართებაზე დღეს-დღეობით არსებობს.

დავიწყოთ იმით, რომ მე არ მესმის, რას ნიშნავს „მეტ-ნაკლებად მყარი დებულება“! შეიძლება დებულება იყოს „მეტ-ნაკლებად მყარი“? და, თუ „მეტ-ნაკლებად მყარია“, რადა „დებულება“ ჰქვია მას?

მაგრამ, მაინც ვნახოთ, რა „დებულებებზე“ აქ საუბარი.

„პირველი: პოემის პროლოგში (სტრ.22) ნახსენები „მიჯნურები“, რომელთაც „საღრმოო სიახლე“ აქვთ და „დაშვრებიან აღმაფრენითა“, საფიქრებელია (ხაზი ჩემია – „იდიოტი“), სუფიები ანუ მუსლიმანი მისტიკოსები არიან.“

იძულებული ვარ, შევნიშნო, რომ ჯერ ერთი, „მიჯნურები“ (და „მიჯნურობა“) მარტო 22-ე სტროფში არ არის „ნახსენები“: მიჯნურობის თემა კი ნამდვილად არის პოემისა და, რომ იტყვიან, „წითელ ხაზად გასდევს“ მთელ ნაწარმოებს. ნუთუ ბატონ ნოდარს ჰერია, რომ შესავალში ავტორი „ერთ“ მიჯნურობაზე ლაპარკაობს (რომელსაც, სხვათა შორის, „ჭკვიანი ვერ მიხვდებიან!“), ხოლო მთელ მომდევნო ტექსტში „სხვა რამ“ მიჯნურობა აქვს მხედველობაში? მერე კიდევ: რას ნიშნავს „საფიქრებელია“? ეს რა, ახალი მეცნიერული ტერმინია? ანდა, თუ არ არის (და – ნამდვილად! – არ არის), მაშინ – ისევ და ისევ! სადაა აქ „დებულება“?

„დებულებად“ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად ფორმულირებული, მტკიცებითი აზრი, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ ამ შემაჯაბმებელ ფრაზას საფუძვლიანად არგუმენტირებული დასაბუთება უსწრებს წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ ე. წ. „მეცნიერულ ჰიპოთეზად“ შეიძლება მივიჩნიოთ. აი, „საფიქრებელია“-ს კი ეს „მეცნიერული ჰიპოთეზაც“ უბრალო „მოსაზრებამდე“ და-ჰყავს, ან, თუ გნებავთ, რიგით „ვარაუდამდე“, რომლის გამოთქმა ნებისმიერ მოკვდავს შეუძლია.

მეორე მეტ-ნაკლებად მყარი დებულება გვამცნობს: „გახტანგ VI-ის უაღრესად ხელოვნური (! – ხაზი ჩემია. „იდ.“) კომენტარი „ვეფხისტყაოსანზე“... სტიმულირებულია იმით (?! – „იდ.“), რომ... მეფე-პოეტს არ უნდა (?! – „იდ.“), რომ ესოდენ მოხერხებული მეთოდი კეთილმსახურების გამოხატვისა და ქადაგებისა – სასიცვარულო პოეზიის მისტიკურ აღეგორიად ინტერპრეტაცია – უცხო რელიგიის მიმდევართა მონოპოლიაში დატოვოს (ეს კ. კეპელიძის აზრი გახლავთ). თავისი მისტიკური კომენტარით იგი ეჯიბრება მუსლიმან მისტიკოსებს“.

მაპატიეთ, მაგრამ ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, საიდან შეიძლება იყოს ვინმესთვის დანამდვილებით ცნობილი ვახტანგ VI-ის მოტივაცია „კომენტარის“ წერისას, ან მისი მასტიმულირებელი ფაქტორები? არსებობს ამის შესახებ რაიმე საბუთი? თუ არსებობს, მისი წარმოდგენაა საჭირო, რადგან უამისოდ ზემოთ მოყვანილი აზრიც – კიდევ ერთი „ვარაუდია“ მხოლოდ, და მეტი არაფერი!

მე ასეთი კითხვაც დამებადებოდა: თუკი ვახტანგ VI-ს მე-18 საუკუნეში შეიძლება გასჩენოდა სურვილი, უცხო რელიგიის მიმდევართა მონოპოლიაში არ დაეტოვებინა „ესოდენ მოხერხებული მეთოდი კეთილმსახურების გამოხატვისა და ქადაგებისა“ (რომ „მეთოდი“ „მოხერხებულია“, ბ-ნი ნოდარი, როგორც ხედავთ, ვერ უარყოფს!), რატომ არ შეიძლება დავუშვათ – თუნდაც, „ვარაუდის“ სახით! – რომ იგივე სურვილი შეიძლება გასჩენოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც XII საუკუნეში – სუფიზმის ყოველმხრივი გაფურჩქვნა-აყვავების ხანაში.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არაა მთავარი.

მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ბატონი ნოდარი უსაფუძვლო სიმკაცრეს იჩენს ვახტანგ VI-ის მიმართ, როცა მის „კომენტარს“ „უაღრესად ხელოვნურს“ უწოდებს. საქმე ის გახლავთ, რომ მეფე-პოეტი სულაც არ არის ორიგინალური „კომენტარის“ კარდინალური ხაზის ამგვარი განვითარებისას!

ვახტანგ VI-ის „კომენტარი“ მცდელობაა, მეცნიერული მეთოდოლოგიის გამოყენებითი იმ საერთო აზრის დასაბუთება-დამტკიცებისა, რომელიც მყარად იყო ფეხმოკიდებული განათლებულ წრეებში მანამდეც და მის შემდეგაც.

ეს აზრი ზოგ ავტორთან, სუფიური ტრადიციის თანახმად, შეფარვითაა გამოთქმული (სერაპიონ კედელაური, XV-XVI სს.; „იოსებ-ზილიხანიანი“ მლექსავი ანონიმი, XVI ს.; სულხან თანიაშვილი, XVII ს. და ა. შ.), ზოგთან კი – აშკარად, „ღია ტექსტით“ (ფეშანგი, XVII ს.; არჩილი, 1647 -1737 წწ.; თეიმურაზ II, 1700-1761 წწ.; დავით გურამიშვილი, 1705-18.. წწ.). ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები, შესაძლებელია, სუფიზმის მიმდევრები არც იყვნენ, მაგრამ აშკარაა, რომ გასაგებ მიზეზთა გამო ისინი გაცილებით უკეთ არიან სუფიზმის შესახებ ინფორმირებულნი, ვიდრე თანამედროვეთა უმრავლესობა.

მოვიყვან მაგალითებს:

„შეფარვით“ თქმის კლასიკური ნიმუშია თეიმურაზ I-ის ერთი სტრიქონი მაჯამის ბოლოსი-ტყვაობიდან, სადაც ის ამბობს, რომ „ვეფუნისტყაოსანი“ არის „სხვად არად მოსახმარისი, ოდენ სჩანს სიბრძნე გულისა“. აქ საქმე გვაქვს სრულიად შეგნებულად, გარკვეული მიზნით შედგენილ ალოგიზმთან (გავიხსენთ: მსგავს ალოგიზმზე რუსთველთან მიგვითოთებს ვახტანგ VI, როცა აანალიზებს ფრაზას – „ხამს მიჯნური ხანიერი“), რაც წმინდა სუფიური მეთოდია და გამოიყენება საჭირო საგანსა თუ მოვლენაზე მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. მოცემულ შემთხვევაში კატეგორია, რომელზეც გამახვილებულია ყურადღება, რაის „სიბრძნე გულისა“ (რუსულენოვან ლიტერატურაში „разум сердца“), ანუ... სუფიზმი!

ღია ტექსტით სათქმელის გამოხატვის მაგალითად გამოგვადგება არჩილის „გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. გვაცნობს რა საკუთარ შეხედულებას ამ ორი პოეტის შემოქმედებაზე, იგი ამბობს:

„ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საეროო,

სამღვდელოსა მცოდინარე საეროსა მოერიო,

ამათ – ორნივ სცოდნებიათ, დაუჩაგრავს მით სწორიაო!“

ოღონდო, – დასძენს არჩილი:

„ოუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს“-ო!

არჩილის ამ აზრს ეხმანება და ადასტურებს XVII-XVIII სს. ანონიმი:

„რუსთვლის ნათქვამი ზანდუკს ჰეგვას, მორთულსა ოქრო თვალითა, იაგუნდით და ალმასით, სავსეა ჩანათვალითა!

კახის ბატონის – მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ – ვალითა და არასფერითა სავსესა – არც ქვით, არცა სალითა!“

(ანუ: რუსთველი ფლობს და გასცემს კიდეც – „რასაცა გასცემ, შენია“-ს პრინციპით) სუფიზმის სიბრძნეს, თეიმურაზი კი მხოლოდ დემონსტრირებას ახდენს ამ ცოდნისას).

თვით ვახტანგ VI-ც მარტო „კომენტარში“ არ ლაპარაკობს რუსთველსა და მის პოემაზე:

„ტკბილ-მოუბარსა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი,

სიბრძნის სწავლითა იგავნი – საცოლ-ქმრო აშიკობანი,

ბერები საჩხრეკი ვერ მიხვდნენ, მიბაძეს ცუდი ხმობანი,

და საღმრთოდ წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი“.

(„რუსთველისათვის“)

დიახ, საღმრთოდ წერილი სიბრძნის სწავლითა იგავნია „ვეფუნისტყაოსანი“ და სწორედ ბევრად ჩხრეკაა საჭირო მისი საიდუმლოს ამოსახსნელად!

## მეთექვსმეტე საუბარი სუფიაზე

ვენიძიი, (მეტ) სახელად „მგრისანი“

„დიდება შენდა, მაღალო ღმერთო!

აპა, მოვსულვარ პირნათელი, რაა პირისპირ შეგეყარო და ბოლომდე  
განვიცადო სრულოყფილება შენი, ჭეშმარიტებავ უზენაესო! მე გავიშორე  
ყველა ცოდვა და ყველა საცდური ამქეყნიური – შენი გულისოფის...

არასოდეს კოფილვარ უსამართლო, არ დამიჩაგრავს ძე კაცისა,  
არ მითქამს ტყუილი. არავინ გამიძარცვავს, არავინ მომიწამლავს, არც  
თუ მახვილით მომიკლავს ვინმე... მე სპეტაკი ვარ ღმერთისა და კაცის  
წინაშე და ესაა სისპეტაკე ფენიქს დიდისა...“

„წიგნი მიცვალებულთა“

„თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვწედავ

ქვეწად ჩემგან უფრო ბრმათა!“

დავით გურამიშვილი

„დაბრმავებული არ დაივიწყებს

თავის საუნჯეს – დაკარგულ თვალებს...“

უილიამ შექსპირი

– ჩვენი უკანასკნელი საუბარი მაშინ შევწყვიტეთ, როცა ვამტკიცებდი, რომ რუსთაველი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე ერთხელ უკვე ჰქონდა გამოთქმული „არ ავად გამორჩეული“ ქება თამარისა, ამ ახალ „დაკვეთას“ („მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტბ-ბილისა“), ძლიერ აღუშფოთებია („თამარს ვაქებდეთ მეფესა“?!) მისგან თანხმობის მიღებასაც დიდი ძალისხმევა დასჭირვებია („გასტეხს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვიისა ლბილისა“) და ამ საკმაოდ აღოგიკურ, წინააღმდეგობრივ გარემოებას იმით ვხსნიდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ორ ფაქტს, ორ მოვლენას შორის (პირველი „ქების“ გამოთქმა და ახალი „ბრძანების“ მიღება) გასულია რაღაც დრო...

– დიახ, დორ! „შამი, ყოველისა შემაქცევარი!“

მას შემდეგ, რაც დაიწერა (თუ გამოითქვა) „არ ავად გამორჩეული“ „ქებანი“ თამარისა, ვიდრე ამ ახალ „დაკვეთამდე“, როგორცა სჩანს, გარკეული დროა გასული და დროის ამ მონაკვეთში რაღაც ისეთია მომხდარი, რომ ჩვენი ავტორის დამოკიდებულება თამარ მეფის მიმართ დიამეტრალურადაა შეცვლილი! მან იცის, რომ მის შესახებ „დამკვეთებმაც“ მშვენივრად უწყინ, ამასთან, მის ხასიათსაც კარგად იცნობენ, და ეს არის სწორედ, როგორც მე ვვარაუდობ, მისი აღშფოთებისა და ბორგვის მიზეზი: როგორ-თუ, ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ თამარის ქებას ითხოვენ ჩემგანო!

მერედა, რა უნდა მომხდარიყო ნეტავ ისეთი, რამაც პოეტს ასე ააყრევინა გული თავის მბრძანებელზე? ან ვინ არის იგი, ასეთი ტონით ლაპარაკის უფლებას რომ აძლევს საკუთარ თავს?

ისევ და ისევ! თვითონ პოეტი გვპასუხობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმავე მე-4 სტროფში: „... სისხლისა ცრემლდათხეული!!!“

აი, რა ყოფილა – მისოვის სისხლის ცრემლები დაუდენიათ!

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ეს „სისხლის ცრემლები“ სპარსული პოეზიიდან გადმოღებულ, ძლიერი ემოციების გამომხატველ მეტაფორადაა მიჩნეული. არც იმაზე უნდა დაგხუჭოთ თვალი, რომ „ტირილი“, „ცრემლთა ღვრა“ – სუფიათა „საიდუმლო ენაზეც“ ძლიერ ემოციურ განცდებზე, უზენაესის გამძაფრებულ მისტიურ წვდომაზე მიუთითებს! მაგრამ, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, განვასხვავოთ, სადაა წმინდა სუფიური პლასტი და სად – რეალისტურ-ისტორიული. რამეთუ ჩვენ ახლა სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ, სწორედ რეალისტურ-ისტორიულ პლასტი გვაქვს აქ საუბარი!

კი, ბატონო! დავუშვათ, „სისხლის ცრემლები“ მართლაც მეტაფორაა (იგი, მოგვიანებით, სხვა ქართველმა პოეტებმაც გამოიყენეს არაერთხელ; ვთქვათ, აკაკის „სისხლის ცრემლები ვღვარეო“, მაგრამ... რას ვუზამთ მაშინ მე-10 სტროფს?

„თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა!“

და იქვე:

„მიაჯეთ ვინ – ხორცთა დაწვა კმარის! მისცეს სულთა ლხენა! (პუნქტუაცია აქაც შეცვლილ-ია).“

„რა, „უნათლო თვალნი“ და „ხორცთა დაწვა“ – ესეც მეტაფორებია?

შეიძლება არის (რაკი ასე ფიქრობენ აღიარებული ავტორიტეტები!), შეიძლება – არა!

მე – „იდიოტი“ ვარ! *apriori* მე არა მჯერა არანაირი „ავტორიტეტებისა“ და ამიტომ მიმაჩნია, რომ – არა! მეტაფორა აქ არაფერ შუაშია: ჩვენი პოეტი – ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ წერისას მაინც – ბრძაა, უფრო სწორად, დაბრძავებულია – მისთვის თვალები ამოუშანთავთ!

სავსებით ბუნებრივია შეკითხვა: აკი თამარ მეფე ჩვენს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, თავიის ჰუმანურობითაა ცნობილი! აი, ნახეთ, რას წერს ბასილი ეზოსმოძვარი: „...დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმდლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა-ვინ დასჯილი... თვით არცა-ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატივისასა მიეხადა თანანადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოგუეთილ იქმნა და არცა სიბრძითა დაისაჯა“!

და შემდეგ:

„...თვინიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით... ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს.“

ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყალება თამარისი, ამისთუის მისსა შეკითხვამდის თვალნი დასწუნა!“

აბა, რას იტყვით?

თუკი ჩვენი ავტორი მართლაც ეს გუზანია, რომელიც დავით სოსლანს თამარ მეფის უკითხავად თვალების დათხრით დაუსჯია, მაშინ სრულიად გასაგები ხდება მისი აშკარა ანტიპათია „თამარის ლომის“ მიმართ, რომელიც საკმაოდ არაორაზროვანი ირონით გამოიხატა, „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა“-ო, რომ ამბობს.

მაგრამ... რამდენად სერიოზული იქნება პირონების იდენტიფიცირების მცდელობა მხოლოდ ერთ მიმანიშნებელ ფაქტორზე დაყრდნობით?

რამდენადაც ვიცი, ამისათვის, სულ ცოტა, სამი მონაცემი მაინცაა საჭირო, მაგალითად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში მაინც): სახელი, მამის სახელი, გვარი; ან – გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა; ან – სახელი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და ა. შ. და ა. შ. მხოლოდ ერთი „ფაქტორი“ (სიბრძავე, „სიბრძითა დასჯა“), ისიც „შეფარვით“ მინიშნებული ნამდვილად არ არის საკმარისი...

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ითვალისწინებს იმას, რომ მის მეტოვებული ინფორმაცია საკუთარი პიროვნების შესახებ, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს და ქვემოთ, მე-8 სტროფში, აზუსტებს, თუ კონკრეტულად რა „დანაშაულისათვის“ არის იგი „სიბრძითა დასჯილი“:

„მე რუსთ ველი! ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...“ (და არა „მე, რუსთველი, ხელობითა...“).

„მე რუსთ ველი“ – ე. ი. „მე რუსებს ველოდები“-ო. თუმცა, დაკონკრეტებაა საჭირო: ავტორი საზოგადოდ „რუსთ“ კი არ ელის, არამედ – სწორედ „იმ“ რუსს!

– დიახ, „რუსი იგი მნელბედი და სუეუსუე“, „იგივე რუსი... კაუნისაებრ მქლელი არა ძმისა, არამედ თავისა თავისა...“ (თამარის ისტორიკოსის სიტყვები გახლავთ).

უნდა გითხრათ, რომ ამ ადამიანის პიროვნებას ჩვენს თხრობაში ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს, რადგან მან და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა – შეიძლება, უნებლიერ, მაგრამ მაინც! – ფატალური გავლენა მოახდინეს არა მარტო თამარისა და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პირად ცხოვრებაზე, არამედ საქართველოს ისტორიულ ბედ-ილბალზეც...

ამრიგად, უკვე გვაქვს პიროვნების მიმანიშნებელი ორი ფაქტორი: პირველი – ეს პიროვნება „სიბრძითა“ ყოფილა დასჯილი, და მეორე – იგი დაუსჯიათ არა სხვა დროს და არა სხვა რამ დანაშაულისათვის, არამედ სწორედ თამარის მეფობის ქამს – მისი პირველი ქმრის, გიორგი ანდრიას ძისათვის თანადგომის გაწევისათვის, მისი ბოლომდე ერთგულებისათვის! ასეთი კაცი – ისევ და ისევ ერთია და ერთადერთი: გუზან...

და, თუმცა ეს ორი „ფაქტორი“ უკვე საკმაო სიზუსტით მიანიშნებს მის პიროვნებაზე, მაგრამ, პრინციპში, არც ესაა საკამრისი, რადგან არაა დაცული „წმინდა ტრიადის პრინციპი“, ეს თავისებური „ოქროს კვეთის წესი“ სუფიზმში...

უნდა გითხრათ, რომ მესამე ფაქტორის ამ *ultimaratatio*-ს ძიების პერიოდი იყო ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და საინტერესო ეტაპი „ვეფხისტყაოსნის“ ჩემეული „ბგერად ჩხრეკისა“.

ვერც კი გეტყვით, რამდენჯერ გადავიკითხე არა მარტო „პროლოგი“, არამედ მთლიანად პოემაც,

մաշրամ... ամառն! ցաջուրելով դա Շորև մոցուսրողը Տաթյա-կալամուրա և հիմն հանա՞րեծուրաց...

պատճենագործ տաք և ազգային պատճեն, ուստի ուժի մեջ կազմակերպությունը, այս մշտական պատճենը մարդու պատճեն է Տաթյա-կալամուրա և այլ պատճեններու համար պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

Երտեղաբար, Տաթյա-կալամուրա և այլ պատճեններու համար պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

— Տաթյա-կալամուրա և այլ պատճեններու համար պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

մարդու պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

Կազմության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

Մարդու պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

Մարդու պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:


Հայոց ազգային պատճենագործության մեջ մասնակի կազմությունը է առաջարկում:

# მეჩვიდმეტე საუბარი სუფიაზე

## ვინ არის იგი?

უჩინმაჩინი, „რუსთველისაგან“ განსხვავებით, რომელსაც XII-XIII საუკუნეების მემატიანეები კატეგორიულად „არ იცნობენ“, გუზანი იმავე პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთობ პოპულარული პიროვნებაა. თუმცალა, ესეც ვთქვათ, ბარემ: მისი პოპულარობა – „იუდას პოპულარობა“ გახლავთ!

...დაახ, მას მოიხსენიებს – და, როგორც წესი, ნეგატიურ კონტექსტში! – სამივე ქართველი მემატიანე, რომელიც „საქართველოს ოქროს ხანას“ აღწერენ: თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ბასილი ეზოსმოძღვარი („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი“). ამ წყაროებიდან ყველაზე დიდი მოცულობის მასალას გვაწვდის „ისტორიანი და აზმანი...“, რომელიც ხუთ ეპიზოდს შეიცავს გუზანის მოხსენიებით; დანარჩენი ორი კი – მხოლოდ თითო ასეთი ეპიზოდის შემცველია. შეეცადოთ, შეძლებისდაგვარად, კრიტიკულად გავაანალიზოთ ინფორმაცია, რომელსაც ეს წყაროები გვაწვდიან.



შოთა რუსთაველი. მხატვარი ს.  
მაისაშვილი

დავიწყოთ ბოლოდან.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა ყველაზე ლაკონიურია – იგი სულ ორიოდე ფრაზით იფარგლება: „მისსა (თამარის) სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ განპატიჟებულა, თვინიერ გუზან ტაოს-კარელისაგან კიდე: მას თუალნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“.

ამ მოკლე ცნობაში ოთხი მომენტი იქცევს ყურადღებას:

პირველი – გუზანი მოხსენიებულია ტაოსკარელად. ვფიქრობ, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ, როგორცა ჩანს, ისტორიკოსს უსარგებლია რაღაც განსხვავებული, ადრეული პერიოდის დოკუმენტით, სადაც ჩვენი გმირი ახალგაზრდობისდროინდელი ტიტულით იყო მოხსენიებული, ალბათ, ჯერ როგორც მხოლოდ სასეფეწულო მამულის, ციხე-ქალაქ ტაოსკარის მფლობელი. და, თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტაოკლარჯეთ-შავშეთის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა (რომ იგი სწორედ ამ „სახელის“ მფლობელი იყო, ქვემოთ ირკვევა) მას შემთხვევით არ ჩავარდნია ხელში: იგი იმ ფეოდალური სახლის, იმ გვარის ერთ-ერთი წევრთაგანი გამოდის, რომელსაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა;

მეორე – გუზანი დაუპატიმრებიათ არა საქართველოში, არამედ – „გაღმა გასული სპარსეთს“, ანუ: ამ კაცის დაპატიმრება – დასჯა არ ყოფილა პროვიცირებული მისი იმუქამინდელი საქმიანობით, არამედ ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო, როგორც სპეც. ოპერაცია საშიში სახელმწიფო დამნაშავის შემდგომი ქმედებების აღკვეთის მიზნით – ანუ, უბრალოდ, როგორც შურისძიების აქცია უკანასკნელის მიმართ;

მესამე – გუზანი შეუპყრია ვინმე ზაქარია ასპანის ძეს, და მეოთხე – დაპატიმრებული გუზანი,, დარბაზისათვის“ (ანუ სახელმწიფო საბჭოსათვის) გადაუციათ.

როგორც ვხედავთ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე საერთოდ თავს იკავებს გუზანის „დანაშაულის“ აღწერა-შეფასებისაგან (თუმცა, ეს საკმაოდ მოულოდნელად და გაუგებრადაც კი გამოიყერება – თუნდაც იმიტომ, რომ ეს პიროვნება უკვე ყველასათვის არის ცნობილი, როგორც ერთადერთი დასჯილი დიდგვაროვანი თამარის მეფობის დროს!). ავტორი მხოლოდ მისი დაპატიმრებისა და დასჯის ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება...

ამ ამბების განსხვავებულ სურათს ხატავს ბასილი ეზოსმოძღვარი: „ესე (გუზანი) შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და დავით მეფესა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყვალება

თამარისი, ამისათუის მისა შეკითხვამდის თვალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“.

როგორც ვხედავთ, აქ არსადაა ნახსენები არც ზაქარია ასპანის ძე, როგორც გუზანის „ამყვანი“ (იგი შეუძყრიათ ვიღაც „მთიბავთა თივისათა“), არც – დარბაზი, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა – და, მათ შორის, გუზანის „საქმის“ – შემსწავლელი), სამართლის გამჩენი და განაჩენის გამომტანი ორგანო. პირიქით, ბასილი ხაზს უსვამს, რომ არავითარი სასამართლო და საქმის განხილვა არ ყოფილა. დავით მეფეს, რომლისთვისაც გუზანი მოუგვრიათ, კარგად სცოდნია რა თვისი მეუღლის მოწყალე ხასიათი (და, იქნებ, დარბაზის წევრთა ფარული სიმბათიებიც გუზანის მიმართ!), „მისა შეკითხვამდის“ დაუსჯია იგი თვალების დაწვით. ეს გამეორება მაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში დავითს მარტო „სახელმწიფო ინტერესები“ არ ამოძრავებდა, მას საკუთარი „ანგარიშების“ გასწორება სწადდა გუზანთან და ეს შემთხვევა (თუკი ეს – შემთხვევა იყო!) ხელიდან არ გაუშვა!

ბასილის, როგორც თამარის აპოლოგეტსა და მისი პოლიტიკის აგიტატორ-პროპაგანდისტს, არ შეუძლია (ან, იქნებ, უფლებაც არა აქვს!), ფაქტების უბრალო კონსტატაციით დაკმაყოფილდეს და გუზანის „დანაშაულს“ ასე აღწერს: „გუზან, ღირსი სიკუდილისა... ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“. როგორც ვხედავთ, ჩვენი გმირი აქ ყოველგვარი ტიტულატურის გარეშე მოიხსენიება, როგორც ერთი ვინმე ჩვეულებრივ ავაზაკთაგანი და ამას ხაზიც ესმევა: იგიო, – „ავაზაკობდა მალვით“. ბასილი ამბობს, რომ გუზანი არის „ღირსი სიკუდილისა“, რადგან ის, თურმე „ორგულებით განდგა“, მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს „განდგომა“, ან, საერთოდ, ვინ არის, რა კაცია ეს „გუზან, ღირსი სიკუდილისა“ – ამაზე ბასილი სიტყვასაც არ ძრავს. ალბათ, იგულისხმება, რომ მისმა თანამედროვეებმა თვითონაც მშვენივრად უწყიან გუზანის ვინაობა და „საქმი საგმირონია“, მომდევნო თაობებმა, შთამომავლობამ კი – არც არის საჭირო, რომ იცოდეს!

„გაუგებარია, აგრეთვე, რა იგულისხმება ბასილის სიტყვებში „ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთა“ (თუ რატომაა გაუგებარი, ამის შესახებ – ქვემოთ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმართა, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის სახით ჩვენ საქმე გააქვს... გუზანის ფარულ გულშემატკივართან! ერთი მხრივ, იგი მოვალეა (ან, იქნებ სულაც, იძულებული!) საჯაროდ დაგმოს გუზანი და გაემიჯნოს მას, როგორც „სახელმწიფო დამნაშავეს“, მეორე მხრივ კი – ჯერ შეფარვით (აქაც და ისევ – შეფარვით!) მიგვანიშნებს სიტუაციის ალოგიკურობას (გუზანი, როგორც შემდეგ შევიტყობთ, ტაოს ერისთავთ-ერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი, რატომდაც „კოლას სადმე“ – ე. ი. ფაქტობრივად, „საკუთარ ტერიტორიაზე! „... მთათა შინა ავაზოკობდა მალვით!“), შემდეგ კი პირდაპირ, აშკარად გვეუბნება, რომ მისთვის, ყოველგვარი გამოიძება-გასამართლების გარეშე, – დაუთხრია თვალები დავით სოსლანს – ვითომდა, იმის შიშით, რომ თამარს, თავისი მოწყალე ხასიათისა გამო, დაუსჯელი არ დაეტოვებინა იგი, „ღირსი სიკუდილისა“!

„და თუკი ჩვენი ეს უკანასკნელი ვარაუდიც სწორია, მით უფრო საინტერესო და აუცილებელიც კი ხდება, ბოლომდე ჩავწვდეთ გუზან ტაოელის „დანაშაულის“ არსე, მისი „განდგომის“ მიზეზსა და მიზანს, რადგან ყოველივე ამან, შესაძლოა, ბასილი ეზოსმოძღვრის ვინაობასაც მოჰყონოს ნათელი...!

„ისტორიანი და აზმანი...“, როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, ხუთ ისეთ ეპიზოდს შეიცავს, სადაც გუზანია მოხსენიებული, მაგრამ მათგან ერთი (რიგით V), ფაქტობრივად, ჩვენთვის არავითარ საინტერესო ინფორმაციას არ იძლევა (აქ თამარის გულმოწყალებაზე ლაპარაკი; ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე შეწყალებულსა და „მსუბუქად“ დასჯილს ჩამოთვლის მემატიანე და მათ შორის მოიხსენიებს გუზანსაც), მეორე კი (რიგით III ეპიზოდი) – მხოლოდ გიორგი რუსის რევანშისტულ „პუტჩში“ გუზანის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებს, ისიც არაპირდაპირ: „პუტჩისტოა“ თავშეერის ადგილი სწორედ გუზანის რეზიდენცია ყოფილა (ვარდენ დადიანმარ „გაგზავნა ლაშქარნი ქუენისანი და მივიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი და... მივიდეს გეგუთს“). სამაგიეროდ, დანარჩენი სამი ეპიზოდი (რიგით I, II და IV) თითქმის ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს გუზანის პიროვნებაზე, საკუთრივ მისა და მისი ოჯახის, „პუტჩის“ შემდგომ ბედზე...

კერძოდ, „პუტჩის“ ჩაშლის შემდეგ, „...გუზან, პირველოვანვე წარმწერდელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხვათა ციხეთ მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაპარმენისასა, და სამძივარი სხუათა აზნაურისშვილებითა, რომელთა თანა იყო მეღვინეოთუხუცესიცა სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა. მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის

შვილისა და შაპარმენის ლაშქრითა მისლვა გუზანის ცოლისა და შვილისა წრასხმად და ციხეთ შინა თურქთა შეექნებად. დაღაცათუ ლაშქარნი დიდი იყვნენ და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი, და მხსენებელთა ქრისტეს სჯულისათა და თამარის ბედისა და სიმართლისათა, შებმა ჰყვეს და სიდიდითა მათითა და სიკეთითა დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს. ბოლოდ, მათთა გამქცეველთა და ამომწყუედელთა, ხელთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანაშემოქცეულთა აიხუნეს ციხენით და სიმაგრენი...“ (რიგით IV ეპიზოდი).

„გავშიფროთ“ ეს ინფორმაცია: „პუტინის“ ჩაშლა-დამარცხების შემდეგ გუზანს, თითქოსდა, განუზრახავს ტაოსკარის, ვაშლოვანისა და სხვა მრავალი ციხის გადაცემა შაპარმენისათვის, რისთვისაც წასულა ამ უკანასკნელთან ერთგული აზნაურებისა და უფროსი ვაჟიშვილის თანხლებით („სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“), რომელსაც ამ დროისათვის უკვე სჭერია სამეფო კარის მეღვინეთუხუცესის საპატიო თანამდებობა...

ასეა თუ ისე, საქართველოს საზღვარზე გადმოსულ თორმეტათასიან ჯარში („პატრონნი თორმეტისა დროშისანი“) თვითონ გუზანი უკვე აღარ ჩანს: ფიგურირებს მხოლოდ მისი ვაჟი – „სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“ – მეღვინეთუხუცესი – და, შესაძლებელია – შაპარმენიც, საკუთარი პერსონით...

აი, გადმოკვეთეს მათ საქართველოს საზღვარი და „გავიდეს მთასა კოლისასა“. აქ კი საქმე მათვის მოულოდნელად დატრიალებულა: „მიეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი (სწორედ ეს „ზაქარია ფანასკერტელი“ უნდა იყოს „ზაქარია ასპანის ძე“, რომელსაც ლაშაგიორგისდროინდელი მემატიანე იხსენიებს) და მიწიელი, ყრმანი კარგი და პატრონისაგან შეწყალებული. რაღაც მანქანებით (?)! ისინი მაშინვე („შეყრასავე თანა“!) მიმხვდარან (როგორ, რანაირად?) რომ ეს ხალხი მოდიოდა არა მარტო „გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად“, არამედ, აგრეთვე, „ციხეთ შინა თურქთა შეექნებად“. მიმხვდარან, და უკანაც აღარ დაუხვიათ: მიუხედავად მიმსა, რომ, რიცხობრივი სიმცირის გამო, „დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს“, მაინც – „ქრისტეს სჯულისათა და თამარის ბედისადა სიამართლისათა“ წყალობით – უკუაქციეს მოწინააღმდეგე, ხელთ ივდეს გუზანის ცოლ-შვილი, ხოლო უკან დაბრუნებულებმა აიღეს „ციხენი და სიმაგრენი“...

ისევე, როგორც სხვა მრავალი მომენტიც, ეს ეპიზოდი ჩემში გარკვეულ ეჭვებს აღძრავს. თავად განსაჯეთ:

ავტორი ამბობს, რომ გუზანი არის „გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანის და სხუათა ციხეთ მრავალთა“. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს „გატანა“? აკი, ორიოდე ფრაზის შემდეგ თვითონვე აღიარებს, რომ გუზანის ვაჟთან ერთად, შაპარმენი მოდიოდა „ციხეთა შინა თურქთა შეექნებად“, ე. ი. იმ მომენტისათვის, როცა შაპარმენისა და ფანასკერტელის რაზმები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ტაოსკარიც, ვაშლოვანიცა და სხვა ციხებიც ჯერ ისევ ქართულ გარნიზონებს ეკავათ! პრობლემა იმაში თუ მდგომარეობდა მხოლოდ, რომ, როგორცა ჩანს, ეს გარნიზონები თავის პატრონის – გუზანის მიმართ ინარჩუნებდნენ ერთგულებას...

და კიდევ: თუ გუზანს, შაპარმენის ჯარის მოვანამდე, მხოლოდ განზრახული ჰქონდა ასეთი რამის ჩადენა (არადა, ასე გამოდის!), ვინ აუწყა ამის შესახებ ჩვენს მეისტორიეს? ან ზაქარია ფანასკერტელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა როგორ შეძლეს ასე, თვალის ერთი შევლებით, მომხდურთა „ავი ზრახვების“ განჭვრეტა?

თქვენი არ ვიცი და, მე კი ნამდვილად არ მჯერა, ზაქარია ფანასკერტელსა და მის ხალხს იმ დღეს „დიდად დაჭირვებული ომი“ გადაეხადოს, მით უმეტეს, რომ ამ „აშკარად უთანასწორო ბრძოლაში,, მათ დანაკარგებიც კი არ ჰქონიათ (წინააღმდეგ შემთხვევაში, არათუ მათი მოხსენიება არავის დაავიწყდებოდა, არამედ მონაცემების „გაბერვასაც“ არ მოერიდებოდნენ) ჩემი ვარაუდით, სულ სხვანაირად იყო საქმე და, აი, როგორ:

გუზანსა და მის უფროს ვაჟს ნაჩქარევად მოუხდათ საქართველოს დატოვება (ამ აჩქარების მიზეზი ათასნაირი შეიძლება ყოფილიყო), ოჯახის დანარჩენი წევრები კი სამშობლოში დარჩენილან. ზაქარია ფანასკერტელი, რომელსაც, შეიძლება, დავალებული ჰქონდა „გუზანის საქმის მოგვარება“, მაგრამ ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ მას საკუთარი ინიციატივით ემოქმედა (კარიერისტები და მაამებლები ყველა დროში უხვად არიან!), მაშინვე მიხვდებოდა, რომ მამა-შვილი დიდხანს არ დატოვებდა უფურადღებოდ ბედის ანაბარა მიტოვებულ საკუთარ ოჯახს. ამიტომ მან, მე ვფიქრობ, სასწრაფოდ ხელთ იგდო და მძევლად აიყვანა ეს უმწეო ადამიანები (ქალი და მცირეწლოვანი ბავშვები), ხოლო, მოგვიანებით, შეიარაღებულ რაზმთან ერთად დახვდა რა კოლას მთასთან საზღვარზე გადმოსულ მეღვინეთუხუცესს (თვითონ გუზანი, ვიმეორებ, ამ ისტორიაში არსად ჩანს), მის დასაშანტაჟებლად გამოიყენა ისინი, რის შედეგადაც გუზანის ძე უომრად, – ან თითქმის უომრად,

— გაბრუნდა უკან. არა მგონია, მხოლოდ მომხდების უკუქცევა ყოფილიყო ზაქარია ასპანის ძის მიზანი: იგი, ალბათ, იმედოვნებდა, რომ ქალისა და ბავშვების (ანუ გუზანის ცოლ-შვილის) განთავისუფლებისა და ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ, გუზანი და მეღვინეობურებესი ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ მას. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა: გუზანი აქ საერთოდ არ აღმოჩნდა, მისი ვაჟი კი, ან არ ენდო ფანასკერტელის სიტყვას, ან თვითონ ფანასკერტელმა აღარ ცნო საჭიროდ თავისი გეგმის განხორციელება, რადგან მას, პირველ რიგში, მამა (გუზანი) სჭირდებოდა და არა — შვილი (მეღვინეობურებესი)!

მართალია, ეს გეგმა ვერ განახორციელა, მაგრამ ზაქარია ასპანის ძეს ის მაინც მოუხერხებდა, რომ „მძიმე ომგადახდილსა“ და უკუშემოქცეულს აუღია ციხენი და სიმაგრენი, ალბათ, იმავე მეთოდის (შანტაჟისი) გამოყენების გზით, ხოლო გუზანის ერთგული (ცხადია, ქართული!) გარნიზონები თავისი ხალხით შეუცვლია...

რა თქმა უნდა, გუზანი არც ამის შემდეგ აიღებდა ხელს ცოლ-შვილის განთავისუფლების მცდელობაზე. რაკიდა მიხვდა, რომ დიდი ძალებით საქართველოს სახლვარზე შეუმჩნევლად ვერ გადმოვიდოდა, იგი, როგორცა ჩანს, მარტო (ან რამდენიმე კაცის თანხლებით) დაბრუნებულა და, ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებით „კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მაღვით“, ანუ ცდილობდა, თავისი ცოლ-შვილის ადგილსამყოფელი დაედგინა და როგორმე ტყვეობიდან გამოეხსნა ისინი.

რითიც დამთავრდა მისი ეს მცდელობა, ჩვენ უკვე ვიცით.

ზემოთ უკვე ორჯერ მომიხდა იმის აღნიშვა, რომ გუზანი ვიღაც უბრალო შარაგზის ყაჩალი და ავაზაკი კი არ ყოფილა, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტის წამკითხავს, არამედ ტაოს ერთისთავთ-ერისთავი და კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი გახლდათ. მე ვეყრდნობოიდ სწორედ „ისტორიანი და აზმანი“-ის იმ ცნობას (რიგით II ეპიზოდი), რომელიც ახლა აქ სიტყვასიტყვით მომყავს: ბიზანტიიდან შემოქცეულ გიორგი რუსს „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“.

ბოლომდე და სრულად რომ გავიცნობიეროთ ჩვენი გმირის სოციალური წარმოშობა და მდგომარეობა, მისი ადგილი სახელმწიფო იერარქიაში, ორიოდე სიტყვით შევახსენებ მკითხველს იმას, რაც სადღეისოდ კარგადაა ცნობილი ისტორიული მეცნიერებისათვის და არანაირ ეჭვს არ იწვევს.

კერძოდ: იგანე ჯავახიშვილის აზრით „საქართველოში სამეფოს მემკვიდრეობის მისი სახელმწიფოუბრივი უზენესი უფლების პატრონად, მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთან მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდათ „მკუიდრნი ქუენისანი“, ან „მკუიდრნი სამეფოსანი“ და რომელნიც, აგრეთვე, სახელმწიფოუბრივი დიდმიშვნელოვანი საქმეების განვებაში მთავარ მონაწილეობის მოჩანან“.

ამ „მცხოვრებთა მოწინარე წრეს“, უპირველეს ყოვლისა, ერისთავთ-ერისთავები შეადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილისავე ცნობით, „გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროს საქართველოში ერისთავთ-ერისთავები იყვნენ: სხვანთა ერისთავთ-ერისთავი, რაჭის ერისთავი, ცხუმისა, ოდიშისა, ქართლისა, კახეთისა, პერეთისა და სამცხისა“.

და შემდეგ:

„საერისთერისთავოთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდა, რომელიც წინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყენენ.“

ის ხელისუფალი, რომელსაც ამგვარი სამთავროს მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, იყო „მჯდომი მეფეთა ადგილსა“, „მეფეთა ადგილსა ზედა“ დადგენილად ირიცხებოდა და ეს კი საქვეყნოდ გამგე ხელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც (!).

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ორი (!) ამგვარი „მეფეთა ადგილსა მჯდომი“-ა დასახელებული.

ერთი იყო „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“, რომელიც საქართველოს მბრძანებელს „ძუელთა მეფეთა ტაოელთა... ადგილსა შეეწყალა“, მეორე კიდევ ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს ქართველი ისტორიკოსი, „მჯდომშისა სომეხთა მეფეთა ადგილსა“...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დიდი მეცნიერის აზრით, „თუმცა სხვები მოხსენებული არ არიან, მაგრამ საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ საერისთერისთაობის ადგილებიც, რომელიც წინათ, გაერთიანებამდე, დამოუკიდებელ სამეფოებად ითვლებოდნენ, როგორც, მაგ., კახთა და რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით საპატიო სახელისუფლოდ იყვნენ ცნობილი

და ამ სახელთა მქონელიც „მეფეთა ადგილსა მჯდომად“ იყვნენ ცნობილნი“.

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ გუზან ტაოელი, ტაოს ერთისთავ-ერთისთავი, პატრონი კლარჯე-თისა და შავშეთისა, ნამდვილად არის ერთ-ერთი განსაკუთრებით პრივილეგირებული ერთისთავ-ერთისთავთაგანი, რადგანაც იგი „მეფეთა ადგილსა მჯდომად“ გახლავთ, თანაც არა სხვა როემლიმე მეფეთა, არამედ „მეფეთა ტაოელთა დიდებულთ“ „,ანუ მმართველი დინასტიის – ბაგრატიონთა – წინაპრების „ადგილსა მჯდომად! ანუ: ის არის უზენაესი სამოქალაქო, სასამართლო და სამხედრო ხელისუფალი მისდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე (ბაგრატიონთა მამაპაპეულ სამკვიდრო მამულზე!), რომელიც, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავს. „რუსთველისავე“ სი-ტყვებით რომ ვთქვათ „სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა“!

მაგრამ!

ჩვენ კიდევ დაგვრჩა ერთი ეპიზოდი რიგით I. აი, ისიც: თამარისა და გიორგი რუსის შეუღლები-დან სულ ცოტა ხნის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილან „კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქი გარმანისანი, ცხენოსანი და ქუეითი, და აიგსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქვეყანა. აქეთ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მისი ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცალა იახლა, მოესწრნეს მესხნი და მარბიელ-გაშუებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქცივნეს მუნცა და დახოცნეს. და მუნითხა მოიღეს ურიცხუი კაცი და ცხენი წინაშე მეფისა ღმრთივ-გვირგივნოსნისა და დღითი-დღე აღმატებულისა და წარმართებულისა...“

ირკვევა, ტაოს ერთისავთ-ერისთავი სამხედრო საქმეშიც დიდად განსწავლული სარდალი და ძლიერი მეომარი ყოფილა. თუმცა მემატიანე აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აშკარად ცდილობს, დააკნინოს პირადად გუზანის როლი და მისი დამსახურება სხვებს გადაუნაწილოს, მაგრამ ბევრსაც ვერავის ასახელებს („...და ბოცო, და ვინცალა იახლა, მოესწრნეს მესხნი...“) და საბოლოოდ, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, ამ გამარჯვებასაც „ბედსა და სუესა თამარისას“ მიაწერს. მიუხედავად ამისა, ფაქტი სახეზეა: გუზანს, პრაქტიკულად მარტოს, მცირერიცხოვანი რაზმით (მარბიელგაშუებულთა“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ საერისთავთერისთავოს ძირითადი სამხედრო ძალები ადგილზე არა ყოფილან – სათარეშოდ იყვნენ გასული მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე) თურქთა უზარმაზარი ურდო დაუმარცხებია, რომლითაც ავსებული ყოფილა „კლარჯეთისა და შავშეთის ქუეყანა“. შედეგიც შესაბამისი ყოფილა: „ურიცხუი კაცი და ცხენი“ აუყვანიათ დავლად ქართველებს და „ღმრთივ-გვირგვინოსანი“ მეფისთვის მიურთმევიათ....

და – რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია – ირკვევა აგრეთვე, რომ გუზან ტაოელის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალმოსილება მხოლოდ მისი პირადი სტატუსით არ განისაზღვრება, არ შემოიფარგლება.

რატომ? იმიტომ, რომ აქ, ამ ეპიზოდში, პირდაპირაა ნათქვამი: იგი, გუზან ტაოელი, არის ძე, ანუ ვაჟიშვილი აბულასანისა!

ხოლო აბულასანი...

## მეთვრამეტე საუბარი სუფიაზე

### „თავნი და პირნი ქვეყნისანი“ აბულასანი და სხვები

აბულასანი, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, კიდევ უფრო დიდი და გავლენიანი ფეოდალი და სახელმწიფო მოხელე ყოფილა, კიდრე მისი ვაჟი – ტაოს ერისთავთ-ერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი გუზანი გახლდათ...

ამ კაცის ავტორიტეტსა და პოლიტიკურ „წონაზე“ თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მის პოზიცია – აზრი და სიტყვა – თვით ისეთი ძნელი და კარგა ხანს გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებაშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, როგორც ახალგაზრდა თამარისათვის ღირსეული საქმრის შერჩევა და დაქორწინება იყო. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს თამარის პირველი ისტორიკოსი: ერთ-ერთი დარბაზობაზე, რომელზეც ამ საკითხს განიხილავდნენ,, „გამო-ვინმეჩნდა მეტყუელი მკუიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან, და მეტყუელმან თქვა: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მოწებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდამოუიტუენა ბიძისა, სავალათად წოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქეა...“, და ა. შ. და ა. შ. („ისტორიანი და აზმანი...“). ამ განხილვის შემდეგ სულ ცოტა ხანში აბულასანის „პროტეფე“ რუსი უფლისწული ჩამოიყვანეს და მალევე ჯვარიც დასწრერეს.

საოცარია, მაგრამ – ფაქტია: აბულასანი ქართულ მატიანებში მეორედ აღარსად მოიხსენიება...

სამაგიეროდ, არსებობს სხვა წყაროები. კერძოდ, ესა ორი წაწერა.

ერთში (ერთი-ერთი XII საუკუნის ხატის მოჭედილობაზე – „იდ“) ... თვით აბულასანი თავის თავზე ამბობს: „შეიწირე... ესე მსახურებაი ჩემგან ერთისთავთ-ერთისთავისა და მეჭურ(ჭლე)უხუცესისა აბულასანისაგა, იობის ძისა“-ო (ე. თაყაიშვილის Apx. ეკ. II, 70).

მეორეგან – ვერეს ლურჯ მონასტრად წოდებულს (იოანე ღვთისმეტყველის სახელობის – „იდ“) ეკლესიის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა, ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოსის-ყოფილი, მე კეთილნათესავისა იობისი“ ამბობს, რომ მან ააგო ეკლესია „ნაცვალსაგებელად ჩემთუს და საყუარელისა ძმისა ჩემისა, ერისთავ-ერისთავისა ქართლისა ამირათ-ამირისა რუსთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონისა აბულასანისათვის“ (ე. თაყაიშვილის Apx. ეკ. IV, 149-150, 70).

ამრიგად, ირკვევა, რომ გუზანის მამა, აბულასანი – ერთდროულად თუ სხვადასხვა დროს – ყოფილა: ერთი მხრივ – „თავადი“, „რუისთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი“, მეორეს მხრივ კი – „მეფეთა მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული“, „ერისთავთ-ერისთავი“, „ამირათ-ამირა ქართლისა და ტფილისისა“ და, ბოლოს „მეჭურჭლეთუხუცესი“!

ვფიქრობ, გასაგებია, რა ნიშნითაცაა დაჯგუფებული თრად წოდება-თანამდებობების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი: პირველი ჯგუფის ტერმინები მფლობელის წოდებრივ და ქონებრივ მდგომარეობას მიუთითებენ, მეორისა კი – მის თანამდებობებს.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა „თავად“-ის მნიშვნელობა.

ეს ტერმინი გამოწვილვით აქვს შესწავლილი ივ. ჯავახიშვილს. აი, რა დასკვნამდე მისულა იგი: „თავადი“ აზნაურივით წოდებრივი ტერმინი კი არ იყო, არმედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი... „თავადი“ – დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა... „დიდებული თავადი“ მთელ საგვარეულოში მხოლოდ „ერთი თავი“ ყოფილა და „თავად“-ის დანარჩენ „სახლის კაცებს“ მასთან თანასწორი უფლება და მასავით „თავადობა“ არა ჰქონიათ... „თავადი“ შეიძლება „უხელოც“ ყოფილიყო და არავითარი თანამდებობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო!... დიდებულთა, წარჩინებულთა და თავადთა ცოლებსაც კი განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონიათ და, თუ ხელმწიფისა და მეფი სთანამეცხედრეს „დედოფალი“, „დედოფალთ-დედოფალი“ ეწოდებოდა, მათ კიდევ „დიდოფალ“-ს და „დიდოფალთ-დიდოფალ“-ს ეძახდნენ, თურმე... „დიდებულნი“, „წარჩინებულნი“ და „თავადნი“, ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი, „თვალნი და პირნი ქვეყნისანი“ იყვნენ“!

მნიშვნელოვანია ჩვენთვის ისიც, რომ აბულასანის საკუთრება ყოფილა (იგი იყო პატრონი!)... „რუისთავი“, ანუ „რუსთავი“!

ახლა – „სახელო“ – თანამდებობის შესახებაც ვთქვათ.

თუ რას ნიშნავდა, რა ძალაუფლებას ფლობდა ერისთავთ-ერისთავი, ჩვენ უკვე ვნახეთ თვით

გუზანის მაგალითზე: იგი, ფაქტობრივად, მეფისნაცვალი (გნებავთ – გუბერნატორი) იყო დიდი პროვინციისა.

რაც შეეხება „ამირთა ამირა“-ს თანამდებობას, ივ. ჯავახიშვილი, სათანადო წყაროების ნაკლებობის გამო, მხოლოდ ვარაუდობს, რომ ამ დროისათვის იგი „უმთავრესად, რასაკვირველია, ქალაქის უფროსი იყო“. ჩემი მხრიდან დავმატებდი, რომ, ალბათ, დიდი ქალაქის (ან იქნებ, დედაქალაქის) – თბილისის უფროსს – ამირთა ამირა ერექტა და მის ხელქვეით კიდევ რამდენიმე ამირა უნდა ყოფილიყო (ანალოგია: დღევანდელი „მერი“ და „გამგებლები“), ხოლო უფრო მომცრო ქალაქების (ჩვენს შემთხვევაში – ქართლის ქალაქების) სათავეში კი „უბრალო“ ამირები მდგარან, რომლებიც ქართლის ამირათ-ამირას ემორჩილებოდნენ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ორივე ეს „სახელო“ – თბილისის ამირთა-ამირისა და ქართლის ამირთა-ამირისა – ერთი კაცის კუთვნილება ყოფილა და ეს კაცი – აბულასანი გახლდათ!

საინტერესოა, რომ ამირები და ამირთა-ამირები – მეჭურჭლეთუხუცესის საგამგებლოში შედიოდნენ, მეჭურჭლეთუხუცესი კი... ისევ და ისევ აბულასანი ყოფილა!

„მეჭურჭლეთუხუცესის“ შესახებ ცნობილია, რომ იგი ფინანსთა მინისტრი იყო და მეფის სავაზიროში – ვაზირთა ოთხეულში (მწიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი) შედიოდა, ხოლო „ლირსებით მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირთა უპირველესსა და მწიგნობართუხუცესს გარდა დანარჩენ ყველა ვაზირს უდრიდა...“! „ამასთანავე იგი „საპატიო“ ვაზირად ითვლებოდა“... „მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეით ყოფილა: 1) ძველი ქალაქები, 2) საზოგადოდ ყველა „ქალაქის ამირანი“ და „მეჭურჭლები ქალაქისანი“, 3) ვაჭარნი და აღებმიცემობა, 4) სავაჭრო გადასახადები და ბაჟი, და 5) მეფის ყოველგვარი სავაჭრო და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი“...


(– ყველა ციტატა მოყვანილია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IV, თბილისი, 1982 წ.).

რატომ ვუთმობთ ამდენ დროსა და ადგილს ამ ისედაც ყველასათვის ცნობილ ამბების ხელახლა გამეორებას? რისთვის გვჭირდება ეს?

გვჭირდება, და აი, რისთვის.

უპირველეს ყოვლისა, ზემოთქმული ნათელს ხდის, თუ რატომ და საიდან იცნობს „ვეფხ-ისტყაოსნის“ ავტორი ასე კარგად ქალაქების – დიდი სავაჭრო ცენტრებისა და ნავსადგურები – საქმიან ცხოვრებას, ვაჭართა წრის არა მარტო ტრადიციებსა და სხვადასხვა რიტუალს, არამედ აზროვნებისა და ცხოვრების წესის უამრავ ნიუანსები.

საქმე ის გახლავთ, რომ ფეოდალიზმის ხანაში პიროვნების თანამდებობრივი დაწინაურება მარტო მისი პირად წარმატება როდი იყო – იგი მთელი ოჯახის, მთელი გვარის დაწინაურებას ნიშავდა (მით უმეტეს, როცა საქმე გვარის, ფეოდალური სახლის თავკაცისათვის – თავადისათვის რამე „სახელო, -ს ბოძებას ეხებოდა): მაშინაც, ისევე როგორც ჩვენს დროში, ასეთი ადამიანი თანამდებობაზე საკუთარ „გუნდთან“ ერთად მოდიოდა, რომელიც, ძირითადად, მისი „სახლის კაცებით“ იყო დაკომპლექტებული. ოღონდ, ცხადია, ამ „გუნდში“ მოსახვედრად მარტო „სახლის კაცობა“ არა კმაროდა: აუცილებელი იყო სათანადო ცოდნა-განათლება და კომპტენტურობა სახელმწიფო აპარატის იერარქიაში სათანადო ადგილის დასაკავებლად... მეორე მხრივ, ასეთ „გუნდში“ მოხვედრა ახალგაზრდა მოხელისათვის კარგი სკოლა იყო გამოცდილების მისაღებად ამა თუ იმ სფეროში და, პარალელურად, ტრამპლინიც – მოძავალი კარიერისათვის.



ეჭვგარეშეა, რომ ჯერ ქართლისა და თბილისის ამირათ-ამირას, შემდეგ კი – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის „გუნდში“ ერთ-ერთი უპირველესი და თვალისაჩინო პირი – მისი გაჟი – გუზანი იქნებოდა.

მეორეც: რუსიშველოლოგიაში, რამდენადაც ვიცი, დღემდე არსებობს სამი ვერსია „ვეფხისტყაოსნის“

ავტორის ვინაობა-საქმიანობისა. პირველი ვერსიის თანახმად, „რუსთაველი“ საერო პირი ყოფილა და, მკვლევართა უმრავლესობის აზრით (არის სხვა მოსაზრებებიც), მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა სჭერია; მეორე ვერსიით, იგი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო – სავარაუდოდ, რუსთავის ეპისკოპოსი, და სწორედ ამიტომ იხსენიებს თავს „რუსთველად“; მესამე ვერსია „კომპრომისულია“ – არც მწვადს წვავს და არც შამფურს: „რუსთველი“ სასულიერო პირი კი ყოფილა, მაგრამ, ამასთან მეჭურჭლეთუხუცესის „სახელოსაც“ ითავსებდა, თურმე...



შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. წარწერები პორტრეტზე: ქართულად (ხუცურად): „ამისა დამხატა - ვისა შოთას შეუნდოს ღმერთმან, რუსთაველი“. არაბულად (კუფურად): „მოიხსენე, უფალო... მონა... ...ალ ამმარი“ (1308 წ.). არაბულად (ნუსხურად): „მღვდელი... ხათუნ...“ (1367 წ.)

სამივე ეს ვერსია, ძირითადად, დაფუძნებულია... ზეპირ გადმოცემებზე! და, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემში ამ „ზეპირ გადმოცემათა“ უტყუარობა ყოველთვის გარკვეულ სკეფსისს ბადებდა (რვაასი წელია, რაც არ უნდა იყოს, გასული!), აღმოჩნდა, რომ ამთ მაინც გააჩნიათ რეალური საფუძველი: დიახ, იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ – არა თვითონ „რუსთველი“, არამედ – მამამისი აბულასანი! დიახ, იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი, მაგრამ (ისევ!) – არა თვითონ „რუსთველი“, არამედ – მისი ბიძა ბასილი! აი, ის „ცეცხლი“ (სიმართლისა), ურომლისოდაც „კვამლი“ (გზასაცდენილი, მცდარი აზრიც კი) არ არსებობს!!

და – მესამე და უმთავრესი:

თუკი სამართლიანად ჩავთვლით ჩვენს ადრინდელ პუბლიკაციებში გადმოცემულ მსჯელობას და იმ მოსაზრებებს, რომელთაც ამ მსჯელობისას ვეყრდნობით, გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სულაც არ ყოფილა ისეთი „უჩინმაჩინი“ პიროვნება (არც „მეჭურჭლეთუხუცესი რუსთველის“, არც „ეპისკოპოს რუსთველის“ არსებობა XII-XIII საუკუნეების ქართული მატიანეებით არ დასტურდება!), როგორადაც ის ადრე ითვლებოდა: სრულიად ცალსახად იკვეთება არა მარტო პირადად „რუსთველის“ ვინაობა და საქმიანობა, არამედ მისი უახლოესი სანათესაოსიც! ჩვენს ხელთაა მთელი „გენეალოგიური შტო“ „რუსთველის“, რომელიც ასე გამოიყერება:

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-საქმიანობის ჩემეული ვარიანტის (გუბან ტაოელი – ერისთავ-ერისთავი + სუფია) ჩინებული ილუსტრაციაა „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“...

## მეცნამეტე საუბარი სუვიაზე პორტრეტი

„მარქვი, სად ვტყუი, სად გარ მცდარი,  
სად ვარ მართალი, პანტოკრატორი,  
შენს წინ ვდგავარ მუხლმოდრეკილი“  
„ხმა ჯვრის მონასტერში“  
ირაკლი აბაშიძე

ცნობები „რუსთველის“ პორტრეტული გამოსახულების არსებობის შესახებ, კერძოდ, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სამხრეთის სვეტის მოხატულობაში, XVIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, დაფიქსირებული იყო ტიმოთე გაბაშვილის, ნიკოლოზ ჩუბინაშვილის, არქიმანდრიტ ანტონინის, დ. ე. ბაქრაძისა და ალ. ცაგარელის ნაწერებში, მაგრამ უკვე 1902 წ. ნიკო მარმა აღნიშნულ ფრესკას ვეღარ მიაკვლია, რადგან ამ დროისათვის იგი საღებავის სქელი ფენით აღმოჩნდა დაფარული. მხოლოდ 1960 წლის ოქტომბერში შეძლეს ქართველმა მეცნიერებმა (აკადემიკოსები: ა. შანიძე, გ. წერეთელი, ირ. აბაშიძე) პორტრეტის მიკვლევა და გაწმენდა. მოგვიანებით, მათ მიერ მოპოვებული და ჩამოტანილი მასალების საფუძველზე, ფრესკა შეისწავლა შ. მირიანაშვილმა (შალვა ამირანაშვილი, „შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ. ქვემოთ ყველა ციტატა ამ მონოგრაფიდანაა მოყვანილი).

კომპოზიცია მრავალი რამითაა ორიგინალური და, შეიძლება ითქვას, უცნაურიც...

მაგრამ მივყვეთ თანამიმდევრულად:

ა) სურათზე გამოსულია ღრმად მოხუცებული, თუმცა ჭარმაგი მამაკაცი, გრძელი თეთრი წვერით. იგი მღლოცველის, მავედრებლის პოზაშია მუხლმოყრილი და ხელებაპყრობილი ორი წმინდანის, იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე (თავისთავად უკვე ეს კომპოზიციაა ძალზე მრავლისმეტყველი, მაგრამ ახლა აქ ამაზე არ შევჩერდები).

ბ) მამაკაცს თბა არ უჩანს. მას „მაღალი, მოთეთრო ფერის მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი“ ჰქურავს. „ამგვარი თავსაბურავი მიღებული იყო საქართველოში მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში დიდი გაზირებისათვის. მაღალ წვეტიან, მომრგვალებული თავსაბურავს ატარებდნენ საქართველოში ერისთავთ-ერისთავები“.

მივაქციოთ ყურადღება: თავსაბურავი, რომელიც სურათზე გამოსახულ მამაკაცს ახურავს, ერთისთავთ-ერისთავთა საზეიმო სამოსლის ერთ-ერთი ატრიბუტი ყოფილა.

გ) მამაკაცს მოსხმული აქვს მეწამული ფერის (ამ ფერის შ. ამირანაშვილი „მოწითალო-იის-ფერ“-ს უწოდებს), გრძელი, გრძელსახელოებიანი სამოსელი (დიახ, სწორედ მოსხმული: წინა პლანზე აშკარად ჩანს ძირს ჩამოშვებული სახელო ამ სამოსლისა), რომელსაც, „მიღებული შეხედულების თანახმად, ბერძნები „სკარამანგიონ“-ს უწოდებენ, ქართვები კი – „სკარამანგს“. ამგვარ სამოსელსაც „ატარებდნენ საქართველოში გაზირები, ერისთავთ-ერისთავები“. აი, მეორე ატრიბუტი ერისთავთ-ერისთავთა საზეიმო სამოსლისა, – მეწამული („მოწითალო-იისფერი“) სკარამანგი!

დ) ამ სკარამანგს „აქვს თეთრი ბეწვეულის გადაკეცილი საყელო წინ გაჭრილი, რომელიც ყარყუმის ბეწვი უნდა იყოს“. აი, ამ ყარყუმის ბეწვის საყელოს კი უკვე დიდ გაუგებრობა და არეულობა შეაქვს იმ ჩვეულ მწყობრ სისტემაში, რომლის სილუეტიც ეს-ესაა იკვეთებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ შ. ამირანაშვილის აღიარებით, მას „პირდაპირ ანალოგიას ხელოვნების ქართულ ძეგლებში ვერ მოვუძებნით. არ შემიძლია სათანადო მასალა მივუთითო ბიზანტიურ ხელოვნებაში“.

მიუხედავად ამისა, მეცნიერს მაინც უცდია ანალოგიების მოძიება სხვა ქვეყნების ხელოვნებაში. აი, რას წერს იგი: „ერთადერთი ანალოგია ამ დეტალს მოებოვება საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში... ყარყუმის გადმოკეცილი საყელო განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა უკვე XIV საუკუნეში, განსაკუთრებით კი – შემდეგ საუკუნეებში“.

თითქოს ყველავერი გასაგებია: ერთადერთი ანალოგია „ქართულ-პალესტინურ“ ყარყუმის საყელოს, თურმე, „უკვე XIV საუკუნისა“ და „განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების“ საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში მოიპოვება. აღბათ, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ საქართველო ყოფილა ყარყუმის ბეწვის საყელოს „სამშობლო“ (აქ იგი, როგორც დავინახეთ, XII-XIII საუკუნეებიდან იყო ხმარებაში) და სწორედ აქედან შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის გავლით – მოდა (გნებავთ ტრადიცია) მისი ხმარებისა გადასულა „უკვე XIV საუკუნისა და განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების“ ევროპაში, კერძოდ – საფრანგეთსა და იტალიაში.

მაგრამ...

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად (და, პირდაპირ ვიტყვი, გასაოცრადაც) შ. ამირანაშვილი ასეთ

დასკვნას გვთავაზობს: „ყარყუმის გამოყენება საზეიმო ტანსაცმლისათვის უთუოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომდინარეობს(?) არც ერთ ტანსაცმელს საერო პირისა, რომელსაც დიდი თანამდებობა ეჭირა სამეფო კარზე, ყარყუმის გადმოკეცილი საყელო არა აქვს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქართველ დიდმოხელეს ჩაცმულობის საზეიმო ხასიათის მისაცემად შეუთვისებია ის წესი, რომელიც გავრცელებული ყოფილა საფრანგეთში“(?).

მეპატიოს ეს უნდობლობა დიდი მეცნიერის მიმართ, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა გადმოელო „უკვე XIV საუკუნისა და, განსაკუთრებით კი, შემდეგი საუკუნეების“ ფრანგული მოდა ქართველ დიდმოხელეს, რომელიც... XII-XIII საუკუნეებში, ანუ, სულ ცოტა, 100-150 წლით ადრე ცხოვრობდა? ანდა, თუკი ანალოგის მოძებნა შეუძლებელი აღმოჩნდა ბიზანტიურ ხელოვნებაში, რატომ არ შეიძლებოდა მისი მოძებნა მახლობელი აღმოსავლეთის სხვა (როგორც მუსლიმანურ, ისე, სხვათა შორის, ქრისტიანულ) სახელმწიფო წარმონაქმნთა ხელოვნებაში?

როგორც ხდავთ, „ყარყუმის ბეწვის საყელოს საკითხი“ ჩემთვის, ჯერჯერობით, ღიად რჩება... შემდეგ:

ე) „რუსთველს აცვია მწვანე ფერის კაბა, რომელიც წელზე შეკრულია ტყავის სარტყლით. სურათზე აბზინდი კარგად ჩანს“. შ. ამირანაშვილის ფრთხილი კომენტარი სარტყლისა და აბზინდის თაობაზე მაფიქრებინებს, რომ მკვლევარი დაუფიქრებია „დიდმოხელის“ ჩაცმულობის ამ ატრიბუტების ხაზგასმულ უბრალოება-სისადავეს (დიდმოხელენი გაცილებით უფრო ძვირფას, გემოვნებით მორთულ სარტყელებსა და, შესაბამისად, აბზინდებს ატარებდნენ), მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან იგი, ამ შემთხვევაში, საერთოდ თავს იკავებს.

მეცნიერი არაფერს ამბობს, აგრეთვე, მწვანე ფერის კაბაზეც, რომელსაც ეპითეტად „უბრალო“, „სადა“ აღარც კი სეეფერება: იგი ბერის ანაფორას უფრო წააგავს, ვიდრე ერისკაცის სამოსს, რომ არ მისი ქრისტიანი ბერის ანაფორისათვის შეუფერებელი მწვანე ფერი.

ნუდარ გავაჭიანურებო სათქმელს: მწვანე ფერის ხამი კაბა, სადა სარტყელ-აბზინდით შემოკრული სუფია განდეგილის „ანაფორა“ გახლავთ.

სუფისტურ ფერთა სიმბოლიკაში მწვანე ფერი თვით სუფიზმის სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების აღმნიშვნელი ფერია.

რატომ, მაინცა და მაინც „მწვანე“?

ცნობილია: ადამიანის ცნობიერებაში „მწვანე ფერი“, „სიმწვანე“, ჩვეულებრივ, „გაზაფხულთან“, „ბუნების გამოღვიძებასთან“ ასოცირდება. ანალოგიურად – „გაზაფხულთან“ და „გამოღვიძებასთან“ ასოცირდება ეს ფერი სუფისტის ცნობიერებაში, ოღონდ უფრო დაკონკრეტებით, ფოკუსირებულად:

„სულისა და გონების გამოღვიძებასთან“,

აზრისა და სულისკვეთების გაზაფხულთან“!

მოკლედ: „სუფიზმი სიმწვანეა“!

იმიტომ, რომ „სუფიზმი სულისა და გონების მარადიული გაზაფხულია!“

რაც შეეხება ყარყუმის ბეწვის საყელოს, იგი, ასევე სუფიების ჩაცმულობის ატრიბუტი იყო უკვე XI-XII საუკუნეებშივე, ოღონდ არა „რიგითა“ სუფიების, არმედ სუფიური ორდენების წინამძღვართა (სპარსულ-არაბულად „შეიჰ-თა, „შაჰ-თა“) ჩაცმულობის ატრიბუტი!

სწორედ სუფია-შეიპოვან გადაიღეს ყარყუმის ბეწვის, როგორც მისტიკური სიბრძნის სიმბოლოს, ტარების ტრადიცია პირველი კათოლიკური სასულიერო-რაინდული ორდენების დიდმა მაგისტრებმა (დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ პოსპიტალიერთა და ტამპლიერთა ორდენების პროტოტიპი, სუფიური ორდენები იყო: ამ უკანასკნელთაგან გადაიღეს მათ არა მარტო გარეგნული ატრიბუტიკა და სიმბოლიკა, არამედ უამრავი რიტუალიცა და მთლიანობაში, ცხოვრებისა და აზროვნების წესიც)...“

მას შემდეგ, რაც შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე კანონგარეშე გამოაცხადეს, შეაჩვენეს და გაანადგურეს ტამპლიერთა ორდენი, ხოლო მისი დიდი მაგისტრი უკვე დე მოლე და რამდენიმე ათეული მისი თანამომებ კოცონზე დაწევეს, საფრანგეთის მეფე, ფილიპ ლამაზმა, ისე, რომ წუთითაც არ უგრძნია სინდისის ქენჯნა, ყარყუმის ბეწვებმოვლებული მისი მანტია თვითონ მოიგდო მხრებზე...

ეს ამბავი მოხდა საფრაგენთში, 1312-14 წლებში, ანუ... „უკვე XIV საუკუნეში“. მოგვიანებით („განსაკუთრებით კი შემდეგ საუკუნეებში“), ტრადიცია ყარყუმის ბეწვის ქობაშემოვლებული მოსასხამის ტარებისა გავრცელდა ჯერ იტალიაში, შემდეგ კი – ევროპის სხვა ქვეყნებშიც...

მაგრამ დღესაც კი, როდესაც ყარყუმის ბეწვი უკლებლივ ყველა ევროპელი (და არა მხოლოდ ევროპელი) მონარქის საზეიმო სამოსს ამშვენებს, მისი სიმბოლური მნიშვნელობით ცოტა ვინმე თუ ინტერესდება.


დასანანი კია...

## მეოცე საუბარი სუფიაზე

### „მომხიბვლელი მკვლელი“

...ტრადიციის თანახმად, სუფიზმი თეორიასა და პრაქტიკაში სახე-სიმბოლოების ფართო გამოყენება სრულიად კონკრეტულ მიზანს ემსახურება, და ეს მიზანია ადეპტის (პირველ რიგში, ნეოფიტის – „ახალწვეულის“) გონების „გამოღვიძება“ ასოციაციური აზროვნების „ჩართვა“-გააქტიურების გზით.

ანუ: იგულისხმება, რომ თითოეული სუფიური სახე-სიმბოლო ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ ფონეტიკურ (ასო-ბერით), ვიზუალურ, ან შინაარსობრივ ასოციაციას (იდეალურ შემთხვევაში კი – სამივეს ერთად) უნდა აღძრავდეს.



და აღძრავს კიდეც! ამასთან, ცხადია, ამ ასოციაციათა მრავალფეროვნება და სისრულე პირდაპირპოპორციულია სუბიექტის (მკითხველის, მსმენელის) ცოდნისა მოცემული სახე-სიმბოლოს – კონკრეტული საგნისა, თუ აბსტრაქტული ცნების – გარშემო... მთლიანობაში, საზოგადოდ კი მისი განათლება-განსწავლულობისა (ცნობები იმის შესახებ, რომ არაერთი დიდი სუფია თითქოსდა, სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარიც კი იყო, უმრავლეს შემთხვევაში, ლეგენდებისა და მითების კატეგორიას განეკუთვნება)!

რა ასოციაციებს იწვევს ჩვენში ამჯერად კონკრეტული სახე-სიმბოლო „ყარყუმი“?

...მართალი გითხრათ, იმ დღის, როცა დასმულ საკითხში გარკვევის საჭიროება დადგა, მე ძალზე ბუნდოვნი წარმოდგენა მქონდა ამ ცხოველზე, თითქმის არაფერი ვიცოდი მის შესახებ.

ის-ის იყო, საჭირო ლიტერატურის მოძიება დავაპირე, რომ, სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ცნობილი რესი ნატურალისტის, ფოტოხელოვანისა და მწერლის, პროფესორ ე. პესკოვის შესანიშნავი ნარკვევი „მომხიბვლელი მკვლელი“.

აი, რას წერს იგი:

„ყარყუმს ბუნებაში არაერთხელ შევხვედრილვარ... და ყოველთვის მაოცებდა მისი საკვირველი ცნობისმოყვარეობა, დაუდგრომლობა და უშიშარობა... იგი ადაპტაციის განსაკუთრებული უნარითაა დაჯილდოებული – ევრაზის კონტინენტზე მას ყველგან შეიძლება შეხვდეთ: მდინარეთა ხეობებში, ტბისპირა ლაქაშებსა და წიწვოვან ტყეებში, მაღალმთიან (ზღვის დონიდან 3-4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე) რაიონებსა და ოვალურწვენელ სტეპებში, სადაც მრავალ ასეულ კილომეტრზე ერთ ბეჭობსაც კი ვერსად ნახავთ; ხალხმრავალი, მჭიდროდ დასახლებული სოფლების სიახლოვესაც, და უდაბურ, სრულიად უკაცრიელ ადგილებშიაც. ყველაზე ხშირად კი მას მაინც ქვაყრილებსა და ძველ შენობათა ნანგრევებში წააწყდება კაცი... ყარყუმის გარეგნობა – თვით ფიზიკური ჰარმონიულობის, დახვეწილობისა და სინატიფის განსახიერებაა: ტანგრძელი, გველივით მოქნილი და გასაოცრად სხარტი, იგი თვალშეუვლები სისწრაფით დაძვრება ხვრელებსა და სოროებში, ხის ფუღუროებში, ელვასავით გაკროება ხოლმე ლაქაშებსა და ბუჩქნარში, რიყეზე გაფანტულ ლოდებს შორის... მოკლედ, მისოვის გადაულახავი წინააღმდეგო არ არსებოს! ყარყუმი შესანიშნავად დაბის, ხტუნავს, დაძვრება და დაცოცავს, ბრწყინვალედ ცურავს, ერთია – არ დაფრინავს მხოლოდ!

მას ერთი წამითაც ვერ ნახავთ უმოძრაოდ; მაშინც კი, როცა ერთ ადგილზეა გაჩერებული, მოძრაბს მისი ნატიფი თავი, მოძრაბენ პატარა შავი თვალები, ყურები, ცხვირი... ერთი სიტყვით, ამასთან, მთელი მისი სხარტი სხეული ერთიანად შემართული და მობილიზებულია, რათა საჭიროების შემთხვევაში, ელვისებური სისწრაფით შეიცვალოს ადგილი, თვალს მიეფაროს, გაქრეს, ან... პირიქით, იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგებეზე! ...ეს პატარა მტაცებელი მართლაც რომ უბადლო, ზღვარდაუდებელი შესაძლებლობების მქონე მონადირეა: თაგვებსა და ვირთაგვებს, მასთან შეხვედრისას, პრაქტიკულად,

გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვთ — ყარყუმი ადვილად ეწევა და თვალისძახამხამებაში უსწორდება, და არა მარტო მათ, არამედ ნებისმიერ სხვა მღრღნელსაც — კურდღლის ჩათვლით! შეუძლია, ახტეს და ჰაერში სტაციონი პირი საქმაოდ მაღლა აფრენილ ფრინველს (მაგალითად, როჭოს!) და ეს მაშინ, როცა მისი სიგრძე სულ რაღაც 32 სანტიმეტირა, კუდის ჩათვლით, კუდი კი... 10 სანტიმეტირის სიგრძისა აქვს!!!

თუმცა ეს მხეცუნა უპირატესობას თბილისისხლიან ცხოველებს ანიჭებს, არც ცივსისხლიანებზე — ხვლიკებზე, ბაყაყებსა და გველებზე ამბობს უარს; ხშირად იტკარუნებს პირს მწერებით, ფრინველის კვერცხებითა და კენკრითაც კი... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ყარყუმი არასოდეს რჩება მშიერი. და მაინც; ნანადირევის ნაწილს (აბა, რად უნდა მოელი კურდღლი ან როჭო ამ ციცქას!) იგი ხშირად სამალაგებში ინახავს. ერთი კია, თივთონ იშვიათად უბრუნდება ამ სამალავებს(?)!

ნაზურით — „პატარა მზეთუნახავი“ — ნამდვილი მაწანწალაა; მისი სანადირო სავარგულის საზღვრების დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია!

...აი, გარეგნობა კი მას, როგორც უკვე ვთქვით, მართლაც ბრწყინვალე აქვს. ამრტო მისი ბეწვი რად ღირს! მართალია, წელიწადის უმეტეს ნაწილს იგი დამცავი (მოუღალო-მურა) ფერის „ყოველ-დღიურ ტანსაცმელში“ გამოწყობილი ატარებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ზამთარში იმოსება ულამაზესი, თოვლივით თეთრი „საზეიმო“ ქათიბით, რომელსაც... ნახშირივით შავი კუდის რიკი ამშვენებს! ერთი შეხედვით, ეს შავი ლაქა თითქოს ცუდად ხვდება ტვალს, უაზროდაც კი გამოიყურება საერთო თეთრ ფონზე, მაგრამ ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება — ამ შავ კუდის რიკს ყარყუმის მდევრის დასაბერებად იყენებს (იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მასზედაც ნადირობენ!): უკანასკნელ მომენტში გააქნეს ამ შავრიკა კუდს ერთ მხარე, თვითონ მეორე მხარეს გახტება და წამის მეასედიც მოგებულია, ე. ი. გადარჩენილია სიცოცხლე! კიდევ ერთხელ — გადარჩენილია...“

ბევრი სხვა საინტერესო რამის გაგება შეიძლება კიდევ ყარყუმის შესახებ — როგორც ამ ნარკვევიდან, ისე სხვა წყაროებიდანაც, მაგრამ ვფიქრობ, ეს მცირე ინფორმაციაც ჯევერობით საკმარისია იმის მისახვედრად, თუ „მომხიბვლელი მკვლელის“ სახით, ვისთან გვაქვს საქმე...

თუ რაგვარ შინაარსობრივ და ვიზუალურ ასოციაციებს აღმრავს თქვენში ეს „პიროვნება“, ამის გადაწყვეტა და შეფასება ისევ თქვენთვისვე მომინდია, მე კი შევეცდები, ტრადიციაში დამკვიდრებული და, ამდენად, სრულიად სარწმუნო, ფონეტიკური ასოციაციის მექანიზმი ავხსნა.

არაბულად „ყარყუმი“ დაახლოებით ასე გამოითქმის „კააკუუმ“, ხოლო წერილობით ფიქსირდება ძირით „კეტ“; მაგრამ, ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ამისი ცოდნა უკვე აღარაა საკმარისი, რადგან იგივე ძირის მქონე სხვა სიტყვების (ომონიმების) მოძიება არანაირ შედეგს არ იძლევა.

ანალოგიურ შემთხვევებში სუფიები ვარაუდობენ, რომ სახეზეა დაშიფრული ინფორმაცია და გამოყენებულია რომელიდაც ფონეტიკური შიფრი. ასეთ შიფრთაგან უმარტივესია ე. წ. „აბჯად“-ის სისტემა. რას წარმოადგენს იგი?

ცნობილია, რომ არაბული ალფაბეტის (ისევე, როგორც მრავალი სხვა ალფაბეტის, მაგ., ქართულის) თითოეულ ასოს გააჩნია რიცხობრივი ექვივალენტი. ჩვენ შემთხვევაში ესენია 100 („კ“) და 40 („ბ“).

გაშიფვრის პირველ ეტაპზე საჭიროა, შეიკრიბოს ეს რიცხვები:

100 („კ“)

100 („ბ“)

40 („ბ“)

240

შემდეგ, მიღებული ჯამი (240) იშლება ახალ სამწევრა კომბინაციებად; ასეთებია:

ა) 200+30+10 მისი ხუთი გარიაციით:

200+10+30; 30+200+10; 30+10+200; 10+200+30; 10+30+200.

ბ) 200+20+20 ორი გარიაციით:

20+200+20 და 20+20+200

ზედმეტი ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, გამოსადეგია მეორე კომბინაციის პირველივე ვარიანტი (200+20+20). ამ რიცხვების, ანუ 200-ისა და 20-ის ფონეტიკური შესატყვისებია „რ“ (200) და „ქოროლლი“ (20), ანუ მივიღებთ კლასიკური სამთანხმოვნიანი ძირი „რქექ“. ასეთი ძირის მქონე სიტყვებს შორის არის სიტყვა „რაქქ“, რაც გამოხატავს ცნებებს „ძირი“, „საძირკველი“, „საფუძველი“, „საყრდენი“, „დასაყრდენი“...

არაბულ სამყაროში ტიტულს „რწმენის (და) საყრდენი“, გნებავთ „სარწმუნოების (და) საყრდენი“ — ატარებდნენ სუფიურ ორდენთა წინამდლვრები (შეიკები), მოგვიანებით კი — ის სასულიერო

მოღვაწეები და თეოლოგებიც, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვდათ მაპმადიანური სარწმუნოების წინაშე.

პირველი ასეთი მოღვაწე გახლდათ დიდი ალ-ღაზალ (იგივე „ალ-ღაზალი“, „ალ-გაზელი“) – ყველა დროის უდიდესი სუფია, ბრწყინვალე პოეტი, გამოჩენილი სჯულმდებელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. სწორედ მან შესძლო, ისტორიაში პირველმა, სუფისტური მოძღვრების შესაბამისობაში მოყვანა ორთოდოქსალურ ისლამთან, მათი ურთიერთ-, მორიგება“, „შერიგება“ და „შერწყმა“. ვფიქრობ, მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ალ-ღაზალი – დავით ალმაშენებლის თანამედროვე გახლდათ (მისი ცხოვრების წლებია 1050-1111), სუფიზმის ისლამთან „შერწყმა-შერიგება“, ანუ მისი კანონზომიერბა კი მხოლოდ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოხერხდა. მანამდე, ანუ XII საუკუნემდე, სუფიზმი ორთოდოქსალური ისლამის მიერ განიხილებოდა, როგორც ერები, მწვალებლობა („ფარული ქრისტიანობა“) და მკაცრად იდევნებოდა მუსლიმანური ინკვიზიციის მიერ (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამ – მუსლიმანური ინკვიზიციაც არსებობდა, თურმე!)...

ასოციაციების სისრულისათვის აუცილებელია, გავითვალისწინოთ, აგრეთვე, ყარყუმის თეთრ-შავი შეფერილობა და გავიხსენოთ, რომ არსებობს „სუფიური ფერთა სიმბოლიკაც“, რომლის შესახებ ჯერ თითქმის არაფერი გვითქვამს...

არაერთი მკვლევარი დღესაც ცდილობს იმის გამორკვევას, თუ ვინაა ლეონარდოს თანამედროვეთაგან, გამოსახული ამ პორტრეტზე; ან ნამდვილად ყარყუმია თუ არა ბანოვანის მკერდზე ნებიერად მიხუტებული ცხველი (აეჭვეთ მისი ზომები, შეფერილობა)...

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ისინი ცდებიან, მათი ცდომილების მიზეზი კი ის არის, რომ ეს მკვლევარი პორტრეტის „წაკითხვას“ რეალიზმის „ენაზე“ ცდილობენ, არ ითვალისწინებენ იმას, რომ ლეონარდო და ვინჩი – არა მარტო გენიალური ინტელექტუალი, არამედ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მისტიკოსიც გახლდათ...

პორტრეტზე გამოსახული „ბანოვანი“ (სხვაგან – „მშვენიერი უცნობი ქალი“, „საოცნებო სატრფო“, „სანატრელი ქალწული“ და ა. შ.) კი – ჩემი აზრით, რაღა თქმა უნდა, – სუფიზმის (სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების) სახე-სიმბოლო გახლავთ, რაზედაც აშკარად მიგვანიშნებს მის მკერდზე მიხუტებული ყარყუმი – მეორე და ერთ-ერთი უმთავრესი სახე-სიმბოლო სუფიზმისა...

## ოცდამერთი საუბარი სუფიაზე ზურაბ ვახანიას გამოხატვისა – ვის უნდა ეშინოდას სიმართლისა?

დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულ წერილებს „ვეფხ-ისტყაოსნის“ შესახებ. უნდა გაირკვეს, როგორი დამოკიდებულება გვაქვს მიუკერძოებელი სიამ-რთლისადმი, რა უფრო ძვირფასია ჩვენთვის – მართალი სიტყვა თუ საამო სიტყვა.

ღრმა რწმენით, მთავარი მანც სიმართლეა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ვითომ ვინმემ უტყუარი მეცნიერული საბუთებით დაამტკიცა გაცილებით უარესი რამ, ვიდრე ასაბუთებს „იდი-ოტი“, ვიდრე თუნდაც 6. მარისა და სხვათა ვარაუდი იყო; დაამტკიცა, მაგალითად, რომ „ვეფხ-ისტყაოსნის“ ნამდვილი ავტორი სომეხია. ჩემთვისაც და ქართველთა უმრავლესობისთვისაც კი თავზარდამცემი იქნებოდა (თუმცა, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში თანდათან მომრავლდნენ ისეთი ქართველებიც, რომელთათვისაც ეს „აღმოჩენა“ გულის მოოხების, ღვარძლიანი ქილიკობისა და ნიშნისმოგების კარგი ნიადაგი გახდებოდა!). თავზარდამცემია, მაგრამ გვაძლევს კი ეს იმის უფლებას, რომ ამ თავზარდამცემი სიმართლის მთქმელი ჩავახშოთ და არ დავინახოთ ის, რისი დანაზვაც არ გვაწყობს?

განა გვინდა ჩვენ სიცრუეზე და სხვისის მითვისებაზე, ანუ ქურდობაზე აგებული ყალბი სიდი-ადე?!

კიდევ ერთი რამ მჯერა: საქართველოს, ქართულ სულსა და ქართულ კულტურას არ შეიძლება ხელს არ აძლევდეს წრფელი სიმართლე! ოღონდ, ეს უნდა იყოს თანმიმდევრული, სიღრმისეული, ბოლომდე მიყვანილი და წრფელი სიმართლე და არა ზერელე, მიკიბულ-მოკიბული ან ნახევარსი-მართლე, რომელიც ხშირად ტყუილზე უარესია ხოლმე.

რაც უფრო მეტად ჩავულრმავდებით და რაც უფრო მეტად წარმოვაჩენთ სიმართლეს, მით უფრო აღზევდება ქართული კულტურა, მე ასე მჯერა, საქართველოს საუნჯეს არ სჭირდება – შე-კოწიწებული სიყალბები, მას მხოლოდ შემხმარი ქერქისა და რიოში დანაშრევების ჩამოცეხვა სჭირდება, რათა გაბრწყინდეს ხალასი სხივებით. ეს დანაშრევები და მცდარი აზრები, აკვატე-ბული დოგმები და უცხოთა მიერ თავს მოხვეული სიმრუდები კი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია. ძალიან ბევრია ჩამოსაცეხვი.

უცნობი „იდიოტი“ ასაბუთებს, რომ შოთა რუსთაველი სუფიტების მიმდევარი იყო (ანდა, შედარებით მოგვიანებით გახდა მათი მიმდევარი). ჩემი აზრით, ეს რომც მართალი აღმოჩნდეს, არაფერი იქნება თავზარდამცემი. მაგალითად, გოეთესა და ჰეგელის მიერ სუფიტური პოეზია მსოფლიოს უმაღლეს პოეზიადაა აღიარებული, ხოლო კერძოდ ჯალალედინ რუმი – ყველა დროის უდიდეს პოეტად. შოთა რუსთაველი მართლაც რომ ყოფილიყო სუფიტების მიმდევარი ეს მას ოდნავადაც არ დაამცირებდა. შოთა რუსთაველმა იცოდა პლატონის, ნეოპლატონიკოსების, ფსევდო დიონ-ისე არეოპაგელისა (პეტრე იბერის) და სხვათა ნააზრევი; მათი მეტ-ნაკლები გავლენაც ეტყობა; შესაძლოა, სუფიზმის გავლენა ყველაზე მეტიც იყო. ეს ოდნავადაც არ ბლალავს „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს და არც მის ხალას, თავანკარა ორიგინალურობას ამცრობს. იმავე გოეთეს რამდენიმე სხვადასხვა მოძღვრების გავლენა ეტყობა, მაგრამ იშვიათია მისებრ ორიგინალური და დიადი ზელოვანი.

შოთა რუსთაველი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოძღვრების მიმდევარი იყო, უპირველესად არის უდიდესი ხელოვანი, პოეტი, დამოუკიდებლად მოძღვრებათაგან! ამასთან, ის ღრმად ქართველი, „თხემით ტერფამდე“ ქართველი ხელოვანია. ამას უჟეველად ადასტურებს მისი პოემის საო-ცარი ქართული ენა. ადამიანი, რომელიც მთელი სულითა და გულით ააა ქართველი, რომელიც საქართველოზე არ ლოცულობს და ქართველობას არ ესავს, ვერაფრით ვერ შეძლებს ასეთი ქართულით წერას! ასეთი, მართლაც რომ ცადაზიდული ენა უბრალო ცოდნითა და გაწაფვით ვერ მიიღწევა! იგი ქართული სულის იდუმალი წიაღისა და მრავალთათვის სიღრმეთა ჩაწვდომას და მათთან ზიარებას თუ დაეფუძნება.

ყოველივე ამისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა წერია „ვეფხისტყაოსნში“. ნაწარმოების მხოლოდ ენაც კი სავსებით საკმარისი მტკიცებულებაა.

ამგვარად, შოთა რუსთაველის ღრმა ქართველობას ვერასდროს ვერაფერი დაექადნება. ვერც მისი ნაწრმოების სიდიადეს (როგორც მხატვრული, ისე შინაარსობრივი მხრივ). შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. პიროვნულად პოეტი თუნდა მართლმორწმუნე ბერი ყოფილიყო, თუნდა სუფიტი, თუნდ

ნეოპლატონიკოსი, თუნდ სოციალისტი და თუნდაც ეგზისტენციალისტი.

მაგრამ ამის შემდეგ ძალიან საინტერესოა, მაინც რისი მიმღევარი იყო შოთა რუსთაველი? „იდი-ოტის“ მტკიცებათა დიდი ნაწილი ძალიან დამაჯერებელი ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებათაგან ზოგიერთი საეჭვოა, ზოგი – ნაძალადევი და საფუძვლო (მაგალითად, რიცხვებზე ხელოვნურ შეკრება-გამოკლებათა და სხვა მოქმედებათა ჩატარებით ყველაფრის „დამტკიცება“ შეიძლება). მაგრამ რჩება მთავარი საკითხი: შოთა რუსთაველი მონასტრის კედელზე ნამდვილად სუფი წინამდლოლის საწესო სამოსშია გამოსახული?

ვთხოვ რედაქციას, სამი კონკრეტული შეკითხვით მიმართოს ბატონ ალექსანდრე გვახარიას, რომლის სათანადო განსწავლილობასა და კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ გვეპარება:

1. სუფი წინამდლოლის საწესო სამოსი ნამდვილად იყო თუ არ მწვანე მოსახამი, თავისებური სარტყელი და ყარყუმის ბეწვის საყელო?

2. ნამდვილად ასეა თუა რა გამოსახული შოთა რუსთაველი?

3. მართალია თუ არა, რომ ევროპაში ამგვარი სამოსი მხოლოდ XII საუკუნის მომდევნო ხანებში გავრცელდა, და ისიც სუფიტურ ორდენთა გავლენით?

ეს სამი შეკითხვა კონკრეტულ-ისტორიულია, მათზე პასუხი არაა დამოკიდებული მეცნიერულ თუ სარწმუნოებრივ მრწამსზე, ზოგად შეხედულებებსა და „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზ-განმარტებებს (რაც ყოველთვის სადაო შეიძლება გახდეს).

საკითხი ძალიან საინტერესოა. მაგრამ, კიდევ გამოვვეთ, რომ იგი ნაკლებად ეხება „ვეფხ-ისტყაოსნის“. ეხება და უშუალოდაც ეხება შოთა რუსთაველის, მაგრამ არა მის ნაწარმოებს. ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები არასდროს არ დაიყვანება მის შემადგენელ საწყისთა ერთობლიობაზე. ნაწარმოები უსასრულოდ მაღლაა, უსასრულოდ მდიდარია. იგი არ ექვემდებარება ერთმნიშვნელოვან განმარტებებს, დაყვანებსა და ანალიზებს. „ვეფხისტყაოსნი“ არ იქნებოდა უმაღლესი უკვდავი ხელოვნების შედევრი, იგი რომ მხოლოდ ალეგორია ყოფილიყო. ალეგორია იშიფრება, ხელოვნება კი არა, ხელოვნება ამოუწურავია. როგორც მუსიკა არ დაიყვანება მის შემადგენელ ბგერათა რაგინდ ზუსტ და მრავალრიცხვან აკუსტიკურ მახასიათებლებზე, კომპოზიტორის შეხედულებებსა თუ სარწმუნოებაზე, ჰარმონიის, კომპოზიციისა თუ თემის განვიტარების კანონებზე და სხვ. სად ზეშთაგონებული მუსიკა და სად ალეგორიული იგავ-არაკი!

მხოლოდ ალეგორიის შემცვალი ნაწარმოები (თუნდა ქრისტიანული, თუნდ სუფიტური, თუნდა ნეოპლატონისტური, თუნდ ზნეობრივი, თუნდა ქართულ-მამულიშვილური) დაბალი დონის ხელოვნებაა, „გაკეთებული“ ხელოვნებაა, მეტ-ნაკლები ოსტატობით ანუ ხელოსნობით შეკოწიწებული. შეიძლება ნაწიბურები არც ეტყობოდეს, ისე ოსტატურად იყოს გახვეწილი, მაგრამ უკვდავი სული მაინც არ იქნება შთაბერილი შემოქმედ-ხელოვანის მიერ. ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები ზეშთაგონებით იქმნება. იქმნება მთლიანი, განუწილველ-დაუნაწევრებელი, უთვალავწახნაგოვანი ცოცხალი მშვენიერება, დაუშრეტელი გრძნობებითა და ამოუწურავი ფიქრებით მფეთქავი სულით.

„ვეფხისტყაოსნი“ სწორედ ამგვარი ხელოვნების მიუწვდომელი მწვერვალია, თანაც ძირისძირამდე ქართული და მას ვერც ვერაფერს დააკლებს და ვერც ვერაფერს შემატებს მისი შემქმნელის პიროვნულ, ზნეობრივ, გონებრივ თუ სარწმუნოებრივ თავისებურებათა წარმოჩენა, მაგრამ ისე ჩვენთვის საინტერესო კია...

ზურაბ ვახანია  
მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის  
ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე

## ოცდამეორე საუბარი სუფიაზე

### ალექსანდრე გვაჩარიას გამოხმაურება – მოკლე პასუხი ბატონ ზურაბ გახანიას

შეძლებისდაგვარად მეც ვადევნებ თვალს საინტერესო გაზეოს „ახალ განათლებას“ და იქ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ, მათ შორის, რუსთველოლოგიურ მასალებს.

ბოლოს გამოქვეყნებულ წერილში „ვის უნდა ეშინოდეს სიმართლის“ (18-24.04.02) ბატონი ზურაბ გახანია უშუალოდ ჩემგან ითხოვს პასუხს რამდენიმე კითხვაზე. დიდი მადლობა ნდობისათვის, მაგრამ ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, არ ვთვლი თავს ისეთი რთული პრობლემის, როგორიცაა სუფიზმი, დიდი მცოდნედ და მეორე, ვფიქრობ, თავად ბატონმა ზურაბმა მართებულად შეაფასა არსებული ვითარება.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“ გენიალური მხატვრული ქმნილებაა, რომანული უანრის მწვერვალი, ხოლო მისი ავტორი, „შოთა რუსთაველი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოძღვრების მიმდევარი იყო, უპირველესად არის უდიდესი ხელოვანი, პოეტი, დამოკიდებლად მოძღვრებათაგან“ (ზ. გახანია). სავსებით მართებულად მიმაჩნია წერილის ავტორის მსჯელობა პოემის ქართული სულისკვეთებისა და მისი უბადლო ენის შესახებ.

ისიც ცხადია, რომ რუსთველის ქრისტიანული აღმსარებლობა, რომლითაც განმსჭვალულია პოემა, თუმცა ეს ზედაპირზე არ ძევს და ერთის შეხედვით თითქოს არ ჩანს, არ გამორიცხავს მის ღრმა განსწავლულობას თანადროულ დასავლურ და აღმოსავლურ მოძღვრებებში, მათ შორის, სწორედ XII საუკუნეში აგრე რიგად პოპულარულ და გავრცელებულ სუფიზმში. მაგრამ არავითარი კვალი ამისა პოემაში არ ჩანს. საერთოდ, მის აღეგორიული თუ მისტიკური ინტერპრეტაცია ხელოვნურად მიმაჩნია.

არ ვაპირებ ისლამის წიაღში ჩასახული ამ მისტიკური მოძღვრების თუნდაც ზედაპირულ დონეზე განხილვას. ეს ძალიან შორის წაგვიყვანდა. არც ე. წ. „იდიოტის“ მიერ ადრე წარმოდგენილ საბუთთა შესახებ მსჯელობას, რომელთაც ნაწილობრივ უკვე გაეცა პასუხი. მოკლედ შევეხები წერილს „მომხიბვლელი მკვლელი“ (11-17.04.02), რომელმაც გამოიწვია ზ. გახანიას შეკითხვები.

წერილში, ვ. პესკოვის ნარკვევის მიხედვით, წარმოდგენილია საინტერესო ცნობები ყარყუმის შესახებ, მისი ზომა, ბეწვი (ზამთარში თეთრი), კუდი (ბოლოში შვაი) და ა. შ. მაგრამ რა კავშირშია ეს ყველაფერი „ვეფხისტყაოსანთან“ და მის ავტორთან? მესმის, მას რომ განეხილა ტაქი „გამრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუნი უსაპირონი“, რომლის გაგება ცილობას იწვევს (კერძოდ, რას ნიშნავს „გამრცვილსა“, ან „ყარყუმი უსაპირონი“. ზოგი მკვლევარი აქ „ყარაყორუმსაც“ კი ვარაუდობს და იქაურ სამოსს, თუმცა ჩემთვის აშკარაა, რომ აქ სწორედ ხსენებული ცხოველის ბეწვისგან შეკერილ მოსასხამზეა (საუბარი). თითქოს გადაკვრით იგულისხმება მისი კავშირი ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახულ რუსთველის პორტრეტთან.

სრულ გაუგებრობად მიმაჩნია „იდიოტის“ მსჯელობა რაღაც დაშიფრული ინფორმაციის შესახებ სიტყვაში „ყარყუმი“. მისი აზრით, „არაბულად „ყარყუმი“ დაახლოებით ასე გამოითქმის „კაპუუმ“, ხოლო წერილობით ფიქსირდება ძირით „კეტ“. არ არის სწორი! არაბულად გამოით მის და იწერება კიდეც „კაკუმ“ (კაფი, ალეფი, კაფი და მისი). ასეა ის შეტანილი ლექსიკონებში და განმარტებული – „გორნოსტაი“. არაბისტებს ეს სიტყვა არაბულში შემოსულად, ნასესხებად მიაჩნიათ, ამდენად არავითარი ძირი „კეტ“ არ არსებობს, არ არსებობს საფუძველი რიცხვებით თვითნებური მანიპულირებისა (ამაზე ზ. გახანიამაც მიუთითა). მით უფრო აქედან ფანტასტიკური გზით სიტყვა „რაქექის“ გამოყვანისა („სამირკველი, საფუძველი“), როგორც სუფიური ორდენების წინამდოლოთა („შეიხების“ და არა შეიძების“, როგორც წერს „იდიოტი“) ტიტულატურის შემცველი ტერმინისა (ისე, „სარწმუნოების დასაყრდენი“ იქნება „რუქად-დინ“ და არა „რაქექ“).

აღარ გავაგრძელებ სხვა უზუსტობათა აღნუსხვას (აღ-ღაზალი სწორია, მაგრამ მცდარია „აღ-ღაზელი“, მით უფრო „აღ-გაზელი“ და მისი „ბრწყინვალე პოეტობა“, ის იყო ორთოდოქსი თეოლოგი და ფილოსოფოსი, რომელმაც სცადა, მაგრამ ვერ მოარიგა ისლამი და სუფიზმი). გადავალ პირდაპირ პასუხებზე.

1. სუფი იმიტომაც ეწოდებოდა ამ მოძღვრების მიმდევრებს, რომ მათ ეცვათ უხეში მატყლისგან (სუფისგან) მოქსოვილი სამოსი, მოსასხამი – „ხირყე“, რომელიც, ჩვეულებრივ, მუქი ლურჯი ფერისა იყო (ამდენად ხშირად მის სიმბოლოდ იას ასახელებენ). მწვანე ფერი („საბზფუში“) მხოლოდ უმაღლეს სფეროთა მაცხოვრებლებს – ანგელოსებს, წინასწარმეტყველს, ხიზრს – მიემართებოდა.

გამორიცხულია სუფის, ან სუფიური ორდენის წინამდობლს მდიდრული, ყარყუმის ბეწვის საყელოიანი სამოსი ჰქონდა (ბარემ აქვე ვიტყვი, არაბულიდან „კაკუმ“ გვაძლევს სპარსულში „ყარყუმის“, ხოლო ქართული ფორმით, რომელშიც ეს სიტყვა სპარსულიდან შემოვიდა და „რ“ დაემატა – „ყარყუმი“. შდრ. კალამი და ყალამი, აკიკი და აყიყი და ა. შ.). პირველი და უდიდესი სუფი მოძღვარი აბუ საიდი (X ს.) ასე ქადაგებდა: „სუფიზმი ეს არის დიდება დამცრობაში, სიმდიდრე – სიღარიბეში, სიმაძრე – შიმშილობაში, შემოსვა – სიშიშვლეში, თავისუფლება – მონობაში, სიცოცხლე – სიკვდილში და სიტკბოება – სიმწარეში...“

2. შოთა რუსთაველის პორტრეტის ირგვლივ მთელი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა (მართლა ის არის, თუ არა; როდის არის დახატული და ა. შ.). ცხადია, აქ ამს ვერ მოვიხმობ, მით უფრო, იკონოგრაფიის სპეციალისტი არ გახლავართ. ერთი რამ ცხადია, აქ გამოსახულ დიდებულს არაფერი აქვს საერთო სუფიური ორდენის წარმომადგენელთან. ყარყუმის ბეწვის საყელო სწორედ ამის საპირისპიროს მეტყველებს.

3. ვერაფერს მოგახსენებთ, როდიდან გავრცელდა ანალოგიური სამოსი ევროპაში, მაგრამ მეე-ჭვება, მას რაიმე საერთო ჰქონდეს სუფზმთან, ისევე, როგორც ლეონარდო და ვინჩის პორტრეტს, თუმცა, დაკვირვება საინტერესოდ მეჩვენება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით „ყარყუმის“ სიმბოლიკასთან დაკავშირებით. ყველაზე სრული და ცნობილი განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ეკუთვნის ირანელ მწერალსა და მეცნიერს დე-ჰხოდას, გვაუწყებს: „ყარყუმი – პატარა ცხოველია სიასამურთა ოჯახიდან, თეთრი ფერისაა, კუდის ბოლო შავი აქვს, მის ბეწვს დიდებულთა თბილ სამოსად იყენებენ. გადატანით აღნიშნავს „დღე“, როგორც „ყუნდუზი“ (სიასამური) – ღამეს“... შემდეგ მოტანილია მაგალითები პოეზიდან. აი, ერთი ნიმუში: „როდესაც ყარყუმი ან აბრეშუმი ნაზია, მის სხეულზე თრთის სირცხვილისაგან“ (ნიზამი). სუფიურ სიმბოლიკაში არ შემხვედრია (აქ უხვად გვაქვს ყვავილები – ვარდი, ია, ზამბაზი, ტიტა, ნარგიზი; ძვირფასი ქვები – იაგუნდი, ლალი, ზურმუხტი; ფრინველები – ბულბული, მიმინო, მტრედი; ცხოველები – აქლემი, სპილო; არაბული ანბანი – ალეფი, მიმი და სხვ.).

დასკვნის სახით: სუფიზმი და ქართული მწერლობა – შესასწავლი პრობლემაა. პირველად, აღორძინების ეპიქასთან მიმართებაში (თეიმურაზი, ვახტანგი), იგი დააყენა კორნელი კეკელიძემ. პრობლემის სიფრთხილეს და დიდ სიფრთხილეს მისი კვლევისას ხაზი გაუსვა რეზი თვარაძემ. ამ მხრივ, ქართველ ირანისტთა ახალი თაობის დიდი იმედი აქვს.

# ოცდამესამე საუბარი სუფიაზე

## „ნათელი აღმოსავლეთიდან მოდის!“

„...მე ვარ ქართველი, ე. ი. მე ვარ ევროპელი!“  
ზურაბ უვანია

„თუ გიყვარვარ, გახსოვდეს, რომ აზიელი ხარ! აზია კალ-  
თაა დედაჩვენისა. თავმომწონედ აღიარე ეს და ეცადე, აზიურ  
მცნებებზე მოაწყო ცხოვრება.“

გააუმჯობესეთ იგი მცნებები, ფრთები შეასხით მათ, ახალი  
ძალა მოპერეთ მათ, მაგრამ უარნუჟყოფთ, ნუ ამოაგდებთ ფესვი-  
ანად ჩვენს ხეხილს უცხოური ნერგისათვის, ეცადეთ დაიცვათ და  
გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით,  
დიდი მოაზრებით დასკვნილი ჭეშმარიტებები!“

ვასილ ბარნოვი

ფერთა სიმბოლიკას ფართოდ იყენებდნენ ისლმამდელი ცივილიზაციებიც... „ეძიე ცოდნა, თუნდ  
საამისოდ თვითონ ჩინეთში მოგიხდეს წასვლა“, – ამბობს სუფიური ანდაზა.

მოდით, ჩვენც „წავიდეთ“, ვნახოთ, რა ხდება იქ – „ჩინეთის დიდი კედლის მიღმა“ (რეზო  
ყარალაშვილი. ობილისი, „ნაკადული“, 1989 წ.). ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ჩინური ცივი-  
ლიზაცია – უძველესია თანამედროვე ცივილიზაციათა შორის და მისი ისტორიოგრაფია ორმოც  
საუკუნეების მოიცავს. ეს კი სახუმარო ამბავი როდია.

„ევროპელისაგან განსხვავებით, ჩინელი პოეტი არასოდეს არ გაიხდიდა საკუთარ ინდივიდუ-  
ალობასა და წმინდა სუბიექტურ განცდებს შთაგონების წყაროდ, არამედ ისტრაფვოდა, ბუნებას  
მინდობოდა და გარედან მომდინარე შთაბეჭდილებებით ესაზრდოვა. მგოსანი, ჩინელთა წარმოდგე-  
ნით, მუდამ განსხილი უნდა ყოფილიყო გარესამყაროს მიმართ, სადაც ყოველი მოვლენა სამყაროს  
საპირისპირო ძალების „ინ“-ისა და „იან“-ის მარადიულ ჭიდილზე მეტყველებდა.


იგი უნდა შერწყმოდა ყოფიერებას საკუთარ თავში, უნდა ეგრძნო „ინ“-ისა და „იან“-ის ფეთქვა  
და მხოლოდ მას მერე, რაც ზღვარი „შიგნით“-სა და „გარეთ“-ს შორის სრულიად წაიშლებოდა, მას  
მერე, რაც იგი უყოფმანოდ მიენდობოდა თავისი სულის წიაღიდან მომდინარე იდუმალ ძახილს, მხოლოდ  
ამის შემდეგ შეეძლო მას იქ აღბეჭდილი სახეები ქაღალდზე გადმოეტანა!“ (რ. ყარალაშვილი).

საპირისპირო ძალები „ინ“ და „იან“... მოდით, დავაკონკრეტოთ მაინც, რა „ძალებზე“ აქ  
საუბარი?

„ინ“ და იანი“, რომელნიც, სიყტვასიტყვით თარგმნილი „მთის დაჩრდილულ“ და „მზით გა-  
ნათებულ“ „ფერდობებს“ აღნიშნავენ, პირველადი კოსმოსური ძალები და ყოფიერების საპირისპირო  
პოლუსებია: „ინ“ ბნელ, უარყოფით, პასიურსა და ქალურ(!) საწყის განასახიერებს, ხოლო „იან“



სურათი 1. ინ-იანის სიმბოლო



სურათი 2. ბრინჯაოს სარკე ჯინ-ში სოს კოლექციიდან.  
სარკის ცენტრში გამოსახულია ინ-იანის სიმბოლო და  
რვა ტრიგრამა. წარწერა მაგიური შინაარსისაა.

— ნათელ, დადებით, ქმედითსა და მამაკაცურ საწყისს“ (რ. ყარალაშვილი).

„ერთი „ინი“, ერთი „იანი“ — ამას უწოდებენ ხოლმე „დაო“-ს! („ი ძინ“-ის კომენტარიდან).

„დაო“ რაღა?

**დაო** — უძველესი ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების დაოიზმის ცენტრალური კატეგორია გახლავთ. მისი გადმოღება ევროპულ ენებზე არაერთგზის უცდიათ, მაგრამ, ცნების მრავალმნიშვნელობის გამო, დღესაც ვერ შეთანხმებულან, თუ როგორ თარგმნონ იგი.

ჩინურში „დაო“-ს ხმარობენ ზმის სახითაც და არსებითი სახელის სახითაც. ამიტომ ის შეიძლება აღნიშნავდეს „სიარულს“, „წინსვლას“, „მართვას“, „ხელმძღვანელობას“, „ლაპარაკს“, „თქმას“, „დასახელებას“... და ამავე დროს, „გზას“, „პრინციპს“, „უნარს“, სიტყვას“...

როგორც ფილოსოფიური კატეგორია, „დაო“ მრავალნაირად უთარგმნიათ — „არსი“, „აზრი“, „ლოგოსი“, „გონება“, „ღმერთი“, „სამყაროს კანონი“, „შემოქმედი პრინციპი“, „პირველმიზეზი“ და სხვა“ (რ. ყარალაშვილი).

როგორც ჩინელთა უძველესი და უპირველესი წმინდა წიგნი „დაო დე ძინ“-ი ამბობს:

„დაო შობს: ერთს;  
ერთი შობს: ორს;  
ორი შობს: სამს;  
სამი: ყოველ არსი!  
ყოველი არსი:  
შეიცავს — „ინ“-სა და „იან“-ს.  
აღვსილია — „ცი“-თ  
და ქმნის — ჰარმონიას!“

„ცი“ სიცოცხლის წყაროა. „ზოგნი „ცის“ მატერიალურ ნაწილაკებად მიიჩნევს და ფიქრობდნენ, რომ თავდაპირველად მხოლოდ ერთიანი „ცი“ არსებობდა. შემდეგ, „ცი“-ს თვითშედების შედეგად, მსუბუქი და ნათელი ნაწილაკები — „იან-ცი“ ზევით წარემართნენ და ზეცა წარმოშვეს, მძიმე და მღვრიე ნაწილაკები „ინ-ცი“ კი — ქვემოთ დაუშვნენ და მიწა შექმნეს. ზეცისა და დედამიწის ურთიერთქმედებამ შექმნა ყოველივე სიმრავლე სამყაროში.

მეორე კონცეფციის თანახმად, „ცი“ — სიცოცხლის ელემენტარული გამოვლენა და სამყაროს სულია. ეს სული ყველა საგანსა და მცენარეში, ყველა სულდგმულსა და არსებაშია განფენილი და სამყაროს იდეალური ერთიანობის საფუძველია“ (რ. ყარალაშვილი).

ვფიქრობ, დაკვირვებული თვალი — გონების თვალი! — ადვილად შენიშნავს, რომ აქ, ორივე ამ სტროფში — მაქსიმალური სიცხადის მისაღწევად — ერთსა და იმავე რამეზე, კერძოდ — სამყაროს (როგორც სრულიად-სამყაროს, ანუ მაკრო-სამყაროს, იგივე მაკრო-კოსმის, ისე მიკრო-სამყაროს, მიკრო-კოსმის, ანუ ადამიანის) მოწყობაზე, მის მოდელზეა საუბარი, ოღონდ: პირველში — დაღმავალი ხაზით („დაო“-დან „ყოველ არსამდე“), მეორეში კი პირიქით — აღმავალი ხაზით („ყოველი არსიდან“ უზენაეს „ჰარმონიამდე“; გნებავთ, „ჰარმონიულობამდე“), ანუ „დაო“-მდე, ანუ „უზენაეს ჭეშმარიტებამდე“, ანუ... ღმერთამდე!

სწორედ ამიტომაა, რომ, უპირველეს ყოვლისა, „დაო შობს“ ერთს, ანუ — თავისთავს! იგი არის „პირველსაწყისი“, „უზენაესი ჰარმონია“, „უზენაესი ჭეშმარიტება“... „ღმერთი“, რომელიც თვითმარია: მას არავის დახმარება არ სჭირდება, იგი თვითონ არის შემომქმედი „ყოველი რასისა“, მათ შორის — და უპირველეს ყოვლისა! — საკუთარი თავისა, როგორც „უზენაესი არსისა“ — „ერთისა“!

ასე და ამრიგად, აქაც სახეზეა კიდევ ერთი „წმინდა ტრიადა“:

„დაო“-„ინ-იანი“-„ცი“, ანუ: ღმერთი-მატერია-სული!

უნდა ითქვას, რომ სამყაროს მოწყობის აღწერილი პრინციპი, რომელსაც მოკლედ „ინ-იანის პრინციპს“ უწოდებენ, ძალზე ცხოველმყოფელი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა: გაუძლო რა ათასწლეულების გამოცდას, იგი დიალექტიკურ მატერიალიზმშიც კი შევიდა „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის“ სახელწოდებით!

ყოველივე ზეომთ თქმულის ფონზე, და კიდევ იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩინური მხატვრული აზროვნება ტრადიციულად ფერთა პალიტრის თვალისმომჰრელი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რამდენადმე „უცნაურად“ გამოიყერება ის ფაქტი, რომ „ინ“-ისა და „იან“-ის აღსანიშნავად ამ უძველესმა კულტურამ ორი ყველაზე „მარტივი“, „პროზაული“ ფერი — ისევ და ისევ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი — შავი („ინ“) და თეთრი („იან“) აირჩია.

თუმცა, შეიძლება, სწორედ ეს „უბრალოება“, ეს „სიმარტივე“ აღმოჩნდეს მომავალში გასაღები კიდევ ერთი კოდისა, რომელსაც ძველი მოაზროვნენი იყენებდნენ. ამას ჩვენ მომავალში დავინახავთ...

## ოცდამეოთხე საუბარი სუფიაზე

ცისარტყელა  
ანუ  
„ეს უცნაური სიმბოლიკა...“

,,ნაშთი ძველის დიდებისა  
არ გამქრალა ჯერაც ყველა...  
დღესაც მისი შარავანდით  
ნიშანს გვაძლევს ცისატყელა!  
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს  
მოელვარე ის შვიდფერი,  
და გვამღერებს: არ მომკვდარა,  
გაიღვიძებს ისევ ერი!“  
„თორნიკე ერისთავი“

,,ყარყუმს რა მოჰკლავს? – თავისი ენა!“  
ვინ გეხვეწება შენ, რომ იმღერი?  
ყველას მაგისთვის პურს შენი წყენა  
და მას გიწყრება... ტვინმეისტერი!“

„რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“  
აკაკი წერეთელი

...ვფიქრობ, დაინტერესებული მკითხველი უკვე მოიძებდა დიდი ლეონარდოს ფერად რეპროდუქციას „ბანოვანი ყარყუმით“ და თვითონვე დარწმუნდებოდა ჩემი ვარაუდის საფუძვლიანობაში: გარდა (რეალიზმის პოზიციებიდან!) ძალზე „თავისებური“ და „უცნაური“ კომპოზიციისა (მშვენიერი ქალბატონი მკერდზე ნებიერად მიხუტებული ყარყუმით – „მომხიბვლელი მკვლელით“, რომელიც... საერთოდ, არ თვინიერდება, მითუმეტეს – არ შინაურდება!), აქ, ჩემი აზრით, თვალშისაცემია ერთგვარი ფიზიკური მსგავსებაც სურათზე გამოსახულ ორ არსებას შორის...

და კიდევ: ამ ფერწერულ ტილოზე აშკარად დომინირებს მწვანე ფერი: – მუქი მწვანე ფერისაა სურათის ფონი; შედარებით ბაცი მწვანე ფერისა – კაბა, რომელიც ბანოვანს აცვია! თუმცა, აქვე „წარმოდგენილია“ სხვა ფერებიც...

მაგრამ ჩვენ – „პირველსავე სიტყუასა ზედა მივიდეთ“: „ვეფხისტყაოსანს“ დავუბრუნდეთ!  
...მიუწედავად იმისა რომ დიდებული პოემის ლექსიკა, თავისი ბრწყინვალებითა და ფერადოვნებით, მართლაც ჩინურ ფერთა პალიტრას თუ შეედრება მხოლოდ, თვით ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს მისი ავტორი ძალზე იშვიათ დ იყენებს. ესენია, უპირველეს ყოვლისა, ცისარტყელას ფერები – ლურჯი, ლაქვარდისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, მეწამული (პოემაში – ძოწისფერი, „ძოწეული“) და, აგრეთვე – ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი – თეთრი და შავი (თეთრ-შავი ყარყუმი, თეთრ-შავი ინ-იანის სიმბოლო...)!

მე მგონი, მკითხველი უკვე აუდებდა ალლოს სუფიური სიმბოლიკის შინაგან ლოგიკას, ინფორმაციის შიფრირება-დეშიფრირების სუფიურ მეთოდს. ამიტომ, დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით, აღარ შევუდგები – თითოეულ ფერთან მიმართებაში – ამ პროცესის დეტალურ აზსნას. ვიტყვი მხოლოდ, რომ:

ნარინჯისფერი – მზის ფერად მოიაზრება და არის სიმბოლო იმისა, რასაც „მზე“ განასახიერებს, ანუ: კონკრეტულად – ღმერთისა, ღვთავისა, საზოგადოდ კი – ყველაფერი ღვთავისა;

ყვითელი – ოქროს (უძვირფასესი, უკეთილშობილესი მეტალის) ფერია; ამ ფერისაა ყველა და ყველაფერი „მზის“ სივებით მოფენილი, ანუ „გასხივოსნებული“ („ვარდთა და ნეხვთა – (ყოველთა!) – მზე სწორად მოეფინების“). განსაკუთრებით – „განათლებული პიროვნება, „გასრულებული ადამიანი“, „ოქროსთავიანი და ოქროსგულა კაცი“ – სუფია!

მღვანე – უკვე ვიცით: „სულისა და გონების მარადიული გაზაფხულის“, „ჭეშმარიტების გზის“, „სატრფოს“, ანუ სუფიზმის აღმნიშვნელი ფერია;

ღურჯი – გამოხატავს „სატრფოსთან“, „მიჯნურთან“, ან – „მოყვარესთან“ („მოყვასთან“,



„მეგობართან“) განშორებით გამოწვეულ სეკციასა და დარღს და იმედიან მოლოდინს მასთან კვლავ შეყრისა;

**ჭითელი** – „სისხლი“, „სიცოცხლე“, „სული“ და ამ სულის თვისება – ცეცხლია სიყვარულისა“, რომელიც განშორებისას კი არ ნელდება, პირიქით – უფრო ღვივდება, ძლიერდება და მიჯნურს ახალი და ახალი „საგმირო საქმეებისაკენ“ უბიძგებს;

**ლაშვარდისფრი** – „აისის“, „განთადს“, ე. ი. „მზის აღმობრწყინების მოახლოებას“ მოასწავებს, ანუ „გამარჯვების მოახლოების დღესასწაულს“!

**მეტამული** (ძოწისფერი, „ძოწეული“)

– ჩემი აზრით, განსაკუთრებულ ახსნას საჭიროებს: საქმე იმაში გახლავთ, რომ ცნება „ცხოვრება“, „ცხოვრებისეული ორომტრიალი“

სუფიზმში აღინიშნება სიმბოლოთი „ზღვა“, „ოკეანე“ (ქართულად „ცხოვრების მორევს“ ვეტყვით), ხოლო ძველი არაბი სუფიებისათვის ზღვა – სწორედ... მეწამული ფერისა იყო, რადგან ისინი (ყოველ შემთხვევაში, მრავალი მათთვანი მაინც) მეწამული ზღვის ნაპირებზე სახლობდნენ და იღვწოდნენ!

**თეთრი** – ადამიანის სულისა და მისი მრწამისის სისპეტაკეზე, სარწმუნოების, რწმენის ერთგულებაზე მიანიშნებს. და, ბოლოს:

**შავი** – „სიბრძნის“ სინონიმია როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც...

ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სულ სხვანაირად დავინახოთ და ახლებურად შევაფასოთ ინ-იანის სიმბოლოში კოდირებული აზრი – ყოველ შემთხვევაში, მიკრო-კოსმის დონეზე მაინც: „ადამიანი (იდეალში – ადამიანები, ადამიანების ერთიანობა-საზოგადოება, ერი) ღვთისაგან შექმნილია, როგორც განსხვეულებული, ხორცებსხმული ჰარმონია რწმენისა და სიბრძნისა, აღვსილი ღვთაებრივი სულით!“

მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ იგივე, ან დაახლოებით იგივე აზრი, იგივე იდეა უნდა იყოს ჩაქსოვილი ქართული სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაშიც...

მოდით, ჯერ გავიხსნოთ, როდის შეიქმნა ჩვენი დროშა – 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ე. წ. „მენშევიკების“, ანუ იგივე სოციალ-დემოკრატების მმართველობის ხანაში!

ნურც მისი სიმბოლიკის „გაშიფრის“ იძღრინდელ ვერსიაზე დაგწუჭავთ თვალს: თუ არ ვცდები, შავი ზოლი – ჩვენი ხალხის მძიმე, საშინელი და ბნელი „ფეოდალურ-კაპიტალისტური“ წარსულის აღმიშვნელი იყო, თითქოს; თეთრი – ნათელი „სოციალ-დემოკრატიული“ მომავლისა, რომელსაც მენშევიკები ჰპირდებოდნენ ქართველ ერს; მეწამული ფერის ფონი კი – იმ ზღვა სისხლისა, რომელიც დაიღვარა და კიდევ უნდა დაღვრიყო ამ „ნათელი“ მომავლის მისაღწევად...

დიახ, თითქოს!

ასე და მხოლოდ ასე რომ „იშიფრებოდეს“ ჩვენი დროშის სიმბოლიკა, ის ჩვემთვისაც ისევე „გაუგებარი“, ანუ მიუღებელი იქნებოდა, როგორც მისი მრავალი, და ხშირად – საკმაოდ ავტორიტეტული, ოპონენტისთვისაც!

მაგრამ!

წელან „დამკვეთი“ ვახსენეთ – საქართველოს მაშინდელი, „მენშევკური“ მთავრობა. ახლა „შემსრულებლებიც“ გავიხსნოთ: ვინ არიან ისინი? დიახ, „არიან“ და არა „იყვნენ“, რადგან ის „დამკვეთები“ დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, ესენი კი – „შემსრულებლები“ – უკვდავნი არიან:

დიდი ივანე ჯავახიშვილი!

დიდი ექვთიმე თაყაიშვილი!

დიდი იაკობ ნიკოლაძე!

დიახ, როგორცა სჩანს, სოციალ-დემოკრატებს ეყოთ ჭკუაც, გამჭრიახობაცა და ვაჟკაცობაც, რომ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის (ამ შემთხვევაში – დროშის) შექმნა ღირსეული ადამიანებისათვის მიენდოთ; ჩვენ კი...?

მე ყოველთვის დაუჯერებლად მიმაჩნდა თვით ვარაუდიც კი იმისა, რომ ქართული კულტურის

ამ სამმა ტიტანმა, სამმა გენიოსმა სწორედ ის პრიმიტიული აზრი ჩააქსოვა თავისი სალოცავი საშობლოს – მარადიული საქართველოს – სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაში, რომელიც მხოლოდ სისხლით დამთვრალ და ვერგამძლარ სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ „მიეღოთ“ და „შთამომავლობისათვის დაეტოვებინათ“.

მართლაცდა, ნუთუ შესაძლებელია იმის დაჯერება, რომ დიდი ივანე, დიდი ექვთიმე და დიდი იაკობი იმაზე მოცდნენ, იმას ანაცვალეს საკუთარი დრო, ენერგია და, რაც მთავარია, მამულიშვილური მრწამსიც კი, რომ ქართველი ერისათვის სოციალ-დემოკრატთა პარტიული, ე. ი. დროებითი დროშა „მიეძღვნათ“?

კი, დღევანდელ „პოლიტიკოსებს“ შეუძლიათ იფიქრონ, რომ რამდენი პარტიაც მოვა ხელისუფლებაში, იმდენჯერ შეიძლება ეროვნული დროშის შეცვლა...

მაგრამ!

ნუთუ „ისინიც“ ასე ფიქრობდნენ?

ან, იქნებ მიაჩნდათ, რომ სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური“) მმართველობა საქართველოში არასოდეს შეიცვლებოდა?

ასეთი გულუბრყვილობი და მოკლე თვალსაწიერისანი იყვნენ, ვითომ?

არ მჯერა და არც არასდროს მჯეროდა, რადგან დარწმუნებული ვარ: გენიოსები „დროებითზე“, „წარმავალზე“ არასოდეს იხარჯებან – ისინი ყოველთვის „დიადს“, „უნივერსალურს“, „მარადიულს“ ქმნიან! ამიტომაც არიან ისინი გენიოსები!

...დიას, ჩვენი დროშა ცოტა „მუქ“ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, როგორცა სჩანს, საქმეს სჭირდებოდა ასე.

რა „საქმეს“ და „რატომ“?

ამის გარკვევაში პირადად მე ისევ ზემოთმოყვანილი სუფიური ფერთა სიმბოლიკა დამეხმარა. როგორ „იკითხება“ ამ სიმბოლიკის თანახმად ჩვენი დროშა?

„ჩვენ – ქართველი ერი – ცხოვრებაში (მეწარმელი ფონი) გზას მივიკვლევთ რწმენითა (თეთრი ზოლი) და სიბრძნით (შავი ზოლი)“!

მოკლე ფორმულა, ერთგვარი დევიზიც კი შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„რწმენითა და სიბრძნით აღიმართენით!“

აბა, რა არის აქ „გაუგებარი“ ან „მიუღებელი“?

თქვენი არ ვიცი, და პირადად ჩემთვის – არაფერი!

პირიქით, ყველაფერი სრულიად გასაგებია და, მე თუ მკითხავთ, სრულიად მისაღებიც, რამეთუ ეს სიმბოლიკა უნივერსალურია – გუსინაც, დღესაც და ხვალაც ყველა სარწმუნოებისა და ყველა სოციალური ფენისათვის ასევე ერთნაირად გასაგები, მისაღები და სასურველიც!

გავბედავ და მეტსაც ვიტყვი: ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ჩვენი დროშა – ის „სავიზიტო ბარათია“, რომლის წინაშე ყველა კარი იღებოდა, ირება და კვლავაც გაიღება – თუკი მას, რაღა თქმა უნდა, ღირსეული პატრონიც ეყოლება ქართველი ერისა და საქართველოს მთავრობის საჩით!

როგორც ვხედავთ, ქართული სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაში საქმაოდ ღრმა აზრი ყოფილა „ჩადებული“, სხვანაირად კი – არც შეიძლება ყოფილიყო: ჩვენ ხომ „ბუმბერაზების მხრებზე ვდგავართ“!

...ასეთი „წაკითხვა“ ჩვენი დროშისა მით უფრო სარწმუნო და დამაჯერებლად მეჩვენება, რომ სუფიურ ფერთა სიმბოლიკაზე დაყრდნობით, საუცხოოდ „იშიფრება“ სხვა დემოკრატიული ქვეყნების – მაგ., იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის... სახელმწიფო დროშებიც!

...თუმცა, შეიძლება, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ესეც ჩემი ფანტასმაგორიული ზმანებები აღმოჩნდეს მხოლოდ...

თქვენ როგორ გგონიათ...?

## ოცდამას უთე საუბარი სუფიაზე „...სმენად მხეცი მოვიღიან...“

„თვით პომეროსიც კი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე ცხოვრობდა, ცხოვ-  
ელთა გამოყენება-აღწერით შოთას უახლობდება, მაგრამ მას მაინც ვერ ეტოლება...“

რუსთველი პომეროსივით დიდ ადგილს უთმობს ცხენს, ამის შემდეგ ლომს (ნახსენებია 78-  
ჯერ) და ვეჯხვს (22-ჯერ), მაშინ როდესაც პომეროსი მხოლოდ ერთხელ ასახელებს ჯიქს, ვეჯხვს  
კი – არც ერთხელ...“ (აღ. პაპავა. „ვეჯხისტყაოსინის“ ცხოველთა სამყარო“).

„რუსთველი ვირს ასახელებს 4-ჯერ. რამდენი ვირი იყო ამ დროს საქართველოში, ან რამდენი  
ვირია დღეს, ამის შესახებ ნაშრომში არაფერია თქმული“ (ნ. დუმბაძე. „სასარგებლო ნაშრომი“).

...ყარყუმის ბეჭვის საყლოზე საუბრისას, შეუძლებელია მკითხველს არ გახსენებოდა, რომ „ვე-  
ფხისტყაოსანშიც“ – თინათინის გამეფების შემდეგ მისი და ავთანდილის პირველი შეხვედრისას  
– ქალს „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმი უსაპირონი...“

რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ნუთუ „ყარყუმ“-ს აქაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც – იერუსალიმურ ფრესკაზე?

ნუთუ...?

დიახ!

მაგრამ...

მოდით, თინათინს მოგვიანებით დავუბრუნდეთ, ახლა კი ჩვენს „პატარა მზეთუნახავსა“ და ფაუნის  
სხვა – ჩვენთვის პირველი რიგში საინტერესო – წარმომადგენლებზედაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

...ვფიქრობ, მკითხველი უკვე თავადაც მიხვდებოდა – თუნდაც „მწვანე ფერის“, „სიმწვანის“  
გაშიფრვის მაგალითზე – სულ ცოტა, ორ რამეს მაინც: პირველი – იმას, რომ, რაღა თქმა უნდა,  
„სუფიათა საიდუმლო ენის“ საფუძველი – სუფიური სახე-სიმბოლოებია, და მეორე – რომ ამ სახე-  
სიმბოლოების შემმუშავებელთა მიზანი იმთავითვე, როგორცა სჩანს, მსმენელისა თუ მკითხველის  
ასოციაციური აზროვნების „გამოღვიძება“ (გნებავთ, „ჩართვა“-გააქტიურება) იყო.

ჩემი აზრით, მათ კიდეც მიაღწიეს დასახულ მიზანს, რადგან თითოეული სუფიური სახე-სიმ-  
ბოლო მართლაც აღძრავს ადამიანის (მკითხველის, მსმენელის) ცნობიერებაში გარკვეულ ფონეტიკურ  
(ასო-ბერით), ვიზუალურ, ან შინაარსობრივ ასოციაციას (იდეალურ შემთხვევაში კი – სამივეს  
ერთად). ისიც ცხადია, რომ აღძრული ასოციაციების მრავალფეროვნება და სისრულე – პირდაპირ  
პროპორციულია ამ ადამიანის ცოდნისა მოცემული კონკრეტული საგნისა თუ აბსტრაქტული ცნების  
გარშემო, მთლიანობაში კი – მისი განათლება-განსწავლულობისა...

ასე, მაგალითად: პირველსავე „საუბარში“, სიტყვამ მოიტანა და, ვახსენეთ ვეჯხვი. ვთქვით, რომ  
ეს ცხოველი სუფისტურ სიმბოლიკაში აღნიშნავს თვით სუფიზმს, სუფისტურ სწავლებას, სუფის-  
ტურ სიბრძნეს, და მივუთითეთ ერთ-ერთ გარემოებაზეც, რომელმაც განაპირობა ამ ორი, ერთმანე-  
თისაგან უსასრულოდ განსხვავებული ცნების („ვეჯხვი“, „სუფიზმი“) ურთიერთკავშირი – თუნდაც  
სიმბოლოების დონეზე. კერძოდ, ეს „გარემოება“ გახლდათ ფონეტიკური (ასო-ბერითი) აოსციაცია,  
რომელსაც აღძრავს ცნება „ვეჯხვის“ აღმნიშვნელი არაბული სიტყვა „ნიმრ“. საქმე იმაში გახ-  
ლავთ, რომ, რამდენადაც არაბულ დამწერლობაში ხმოვნები არ იხმარება, ეს სიტყვა (ისევე, როგორც  
ყველა სხვა!) გრაფიკულად გამოისახება მისი ძირით „ნიმრ“. მაგრამ იგივე ძირით გამოისახება  
სხვა, შინაარსობრივად მისგან მკვერთად განსხვავებული ცნებები, კერძოდ „ბეჭვის ტანსაცმელი“ და  
„შეუბლალავი ღირსება“, ხოლო ამ სამთავრო, რომელ ცნებასთან გვაქვს კონკრეტულ შემთხვევაში  
საქმე, კონტექსტიდან გამომდინარე, ისევ და ისევ ასოციაციურად უნდა მივხვდეთ; მაგალითად: თუ  
ლაპარაკია „ტყის ბილიკზე მიმავალ“ ნმრ-ზე, აქ, ცხადია „ვეჯხებს“ ვიგულისხმებთ უმალ, ვიდრე  
„ღირსებას“, ან „ტანსაცმელს“; წაკითხვისას ნმრ-ძირის თანხმოვანთშორისებს შევავსებთ სათანადო  
ხმოვნებით (ამ შემთხვევაში ესაა მხოლოდ ერთი „ი“) და გამოგვივა, რომ „ტყის ბილიკზე მიდის  
ნიმრ“ (ანუ ვეჯხვი).

აი, ამიტომაა, რომ სიტყვა „ნიმრ“ – ზეპირად წარმოოქმული თუ წერილობით დაფიქსირებდნენ, ან ამოკითხული – ასოციაციურ დონეზე უცილობლად გაგვახსენებს ორ დანარჩენ ცნებას, და იმასაც,  
რაც ამ ცნებებს უკავშირდება („ბეჭვის ტანსაცმელი“ და „შეუბლალავი ღირსება“ არაბულენოვან  
სამყაროში განუყოფლად არის დაკავშირებული და აუცილებლად ასოცირდება „სუფისტური მოძ-  
ღვრების ადეპტთან“, „სუფიასთან“, რომელიც უძველეს წარსულში სწორედ ბეჭვის ტანსაცმლით  
იმოსებოდა და „შეუბლალავი ღირსების ქვენე ადამიანის განსახიერება გახლდათ, მის ეტალონა-  
დაც კი ითვლებოდა. მინდა აქვე შეგახსენოთ, რომ ასეთ ადამიანს ქართველები „რაინდს“ ვეძახით



“ხმალი გავტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ჟელითა...” “იდუმალის გზაზე დამდგარი ადამიანების (“რინდების” - გზის ადამიანების) წინაშე შეწყვიტეთ ყბედობა. თუ თქვენ რეალობის მიმართ თავდაყირა დგეხართ, თქვენი ცოდნა და ორლიგია გამრუდებულია (დამახინჯებულია), ადამიანი საკუთარ თავს თავისივე მიზნებში თვითონვე ხლართავს. ლომები თავიანთ გალიას ნაწილებად ამსხვრევენ და ვეფხვის ბილიკით აგრძელებენ გზას” (სუფიური

გამოხატული სქესობრივი დეფორმიზმი, ანუ სქესის განმსაზღვრელი ნიშნები: მარი და მდედრი ვეფხვები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (შინაარსობრივი ასოციაციები).

სულ სხვაა ლომი! ხვადი და მუ, კარგად თუ არ დააკვირდი, შეიძლება სხვადასხვა სახეობის ცხოველებადაც კი მიიჩნიო კაცმა: ხვადი ბევრად უფრო დიდი და ძლიერი და, რაც მთავარია, უმშვენიერესი ფაფრითაა შემქული. სწორედ ამიტომ, იგი ყოველთვის აღიქმებოდა როგორც საზოგადოდ მამრის, მამაკაცური საწყისის (მამაკაცობის, სიმამაცის) სიმბოლო. ამ იმპოზანტურმა გარეგნობამ და ცხოველისათვის ცოტა არ იყოს უჩვეულო, დინჯმა, თავდაჯერებულმა და თითქოსდა ამპარტავნულმა ქცევამ მას „ნადირთა მეფის“ საპატიო ტიტული მოუპოვა (ასოციაცია: „მეფე“, „მბრძანებელი“ საზოგადოდ). ...მაგრამ ნუ დაგვავიწყდება: მიუხედავად იმისა, რომ ლომები მრავალრიცხოვან ოჯახებად (პრაიდებად) ცხოვრობენ, სწორედ „მარტოხელა მაწანწალამ“ – ვეფხვმა განდევნა ისინი ევრაზის კონტინენტიდან და დღემდე, სადაც ვეფხვის ყრუ კრუტუნი ისმის, იქ ლომს თავისი მშვენიერი ფაფრითა და ბუქუნა ხმით არაფერი ესაქმება! მაშ, ვინ ყოფილა ჭეშმარიტი „ნადირთა მეფე“?

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც: ლომისა და ვეფხვის „სიყვარული“ – სრულიად უპერსპექტივო რამ გახლავთ: იგი ნაყოფს იშვიათად იძლევა (მსგავსი ექსპერიმენტებიც ჩატარებულა!), მაგრამ თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, თვით ეს „ნაყოფი“ – აბსოლუტურად უნაყოფო, ბუნებრივად სტერილური გამოდის...

ის, ვინც ამ მსჯელობას მიღებს და გაიზიარებს, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თვალით შეხედავს, სხვანაირად აღიქვამს და გაიზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდს, რომელსაც „მბობა

„რინდ“-ებს კი ჩვენი წინაპრები სწორედ სუფიებს უწოდებდნენ...).

მისთვის, ვისაც ვეფხვი ნანახი ჰყავს, მაგრამ – ტყვეობაში (ზოოპარკში, ცირკში...) ეს ცხოველი ასოცირდება აგრეთვე ყველაფერ „დიდთან“, „ძლიერთან“, „სწრაფთან“, „მოქნილთან“, „ძალიან ლამაზთან“, „პოტენციურად საშიშთან“... (წმინდა ვიზუალური შთაბეჭდილებები და შესაბამისი ასოციაციები).

ცხადია, შეუდარებლად მეტ და მრავალფეროვან ასოციაციებს აღძრავს სახე-სიმბოლო „ვეფხვი“ იმ ადამიანის გონებაში, რომელსაც პქონია ბედნიერება, ბუნებრივ პირობებში დაკვირვებოდა ფაუნის ამ საოცრებას (ეს შეიძლება იყოს მეცნიერ-ნატურალისტი, პროფესიონალი მონადირე, ან სხვა ვინმე). ეს ასოციაციები დაახლოებით ასეთი იქნება: „სიმშვიდის დროს – თვალისმომტრებულად მშვენიერი“, „მრისხანების დროს – სულისშემძღვრელად საშინელი“, „ძალიან საშიში მოწინააღმდეგ“. ვეფხვი, გარდა იმისა, რომ დიდი ძალის, მოქნილობის, სისხარტისა და სისწრაფის პარმონიული შერწყმის განსახიერებაა, სრულიად უჩუმრად მოძრაობს და გადაადგილდება ნებისმიერ ზედაპირზე; ამასთან მას შეუძლია გამოსცეს გარკვეული სიხშირის ბევრები, რომელთა გაგონება, ძალზე დაბალი ტემპრის მიუხედავადაც კი, სრულიად აშეშებს და აბსოლუტურად უმშეოს ხდის მოპირდაპირე... მოპირდაპირეს კი არა, მსხვერპლს (ჰიპნოტური უნარი)!

ვეფხვი ბუნებით მარტოსულია. იგი ნამდვილი, მარადი „მგზავრია“ – „ერთთავად გზა-შარასაა გაგებული“ – უზარმაზარ ტერიტორიებზე (ვეფხვი მხოლოდ გამრავლების პერიოდში ორსულდება და ისიც ძალზე ხანმოკლე დროით და მუ ვეფხვი ბოკვერებსაც მარტო ზრდის) და იშვიათად ათევს ზედიზედ ორ დამეს ერთსა და იმავე ადგილას.

ნიშანდობლივია, რომ ვეფხებში სუსტადაა ცხოველებადა განმსაზღვრელი ნიშნები: მარი და მდედრი ვეფხვები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (შინაარსობრივი ასოციაციები).

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ლომისა და ვეფხვის „სიყვარული“ – სრულიად უპერსპექტივო რამ გახლავთ: იგი ნაყოფს იშვიათად იძლევა (მსგავსი ექსპერიმენტებიც ჩატარებულა!), მაგრამ თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, თვით ეს „ნაყოფი“ – აბსოლუტურად უნაყოფო, ბუნებრივად სტერილური გამოდის...  
ის, ვინც ამ მსჯელობას მიღებს და გაიზიარებს, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თვალით შეხედავს, სხვანაირად აღიქვამს და გაიზიარებს „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდს, რომელსაც „მბობა

ტარიელისაგან ლომ-ვეფხვის დახოცისა“ ჰქვია. მკითხველს შევახსენებ, როგორ აღწერს ამ ამბავს თვითონ ტარიელი:

„ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთგან შეიყარნეს,

ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს“;

„შეიყარნეს და შეიბნეს, იძრძოდეს გამწარებულინი“;

„პირველ ამოდ ილალობნეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს,

თვითო ტოტი ერთმანეთსა ჰქრეს, სიკვდილისა არ დაპრიდნეს“.

ცხადია, მუ ვეფხვი დიდხანს ვერ გაუძლებდა ხვადი ლომის მძვინვარე შემოტევას. მას გა-  
რიდება უცდია:

„ლომი სდევს, ვეფხვი მიურბის...“

და

„გამორიდნა ვეფხმან გული, — დედათამცა განარიდნეს! —

ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს“.

რაღა თქმა უნდა, თუკი ამ სცენას რეალისტურად გავიაზრებთ, აյ სახეზეა ორი ცხოველის, მდედრისა და მამრის, ე.წ. „სასიყვარულო თამაში“, რომელიც, ლოგიკურად, მათი შეწყვილებით, ანუ სექსუალური აქტით უნდა დასრულდეს (ასეთი რამ, როგორც მოგახსენეთ, ლომსა და ვეფხვს შორის სრულიად შესაძლებელია), მაგრამ მოხდა საკმაოდ უცნაური და რეალისტურ დონეზე, ძნელად გასაგები რამ: წყვილის სასიყვარულო „ლალობა“ მათ მძვინვარე ჩხუბში, შეურიგებელ კონფლიქტში გადაიზარდა („შეიყარნეს და შეიბნეს, იძრძოდეს გამწარებულინი“). თუმცა, ტარიელის თქმით, მათ ორივემ — ერთმანეთი „სიკვდილისა არ დაპრიდნეს“, მაგრამ მონათხრობიდან აშკარად ჩანს, რომ აგრესია გაწბილებული ხვადი ლომისაგან მოდის: „გამორიდნა ვეფხვმან გული, — დედათამცა განარიდნეს!“

„ლომი სდევს, ვეფხვი მიურბის...“

„ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს“.

ამრიგად, სურათი ნათელია: გამიჯნურებულ ლომს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ — მუ ვეფხვმა არ მისცა საშუალება, დაუფლებოდა მას!

...ახლა ისევ სუფიური სიმბოლიკა გავიჩსენოთ: ხვადი ლომი — „მამრის“, „მამაკაცის“, „მეფის“, „მბრძანებლის“ სახე-სიმბოლოა; მუ ვეფხვი კი (თუმცა სქესს ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა) — „სუფიური მოძღვრების, „სუფიური სიბრძნისა“.

აქვე შემოდის ახალი სახე-სიმბოლოც — „სექსუალური აქტი“, რომელიც მისტიკურ მოძვრებებში საზოგადო „დაუფლებას“, კონკრეტულად კი „სიბრძნის დაუფლებას“, „საიდუმლოს განდობას“, „ჭეშმარიტების შეცნობას“ გამოხატავს (გაიხსენეთ, შესაბამისი ეპიზოდი ფილმიდან „მეცხრე კარიბჭე“: სექსუალური აქტი საიდუმლოებით მოცულ მშვინიერ უცნობ ქალთან აღმოდებული ციხე-სიმაგრის ფონზე). ციხე-სიმაგრე — აქაც და ყველგან სხვაგანაც — „ქავეთის ციხე“ — სახე-სიმბოლოა უკანასკნელი და ყველაზე დიდი წინააღმდეგობისა, რომელიც უნდა დაძლიოს და წარმატებით გადალახოს „მაძიებელმა“, რათა განიცადოს „ზეციური ნეტარება“ — „დაუფლოს სანატრელ ქალწულს“.

ცხადია, აյ წარმოდგენილია კონფლიქტი ამ ორ საწყისს, ცხოვრების ორ წესს შორის: ერთის მხრივ, ესაა ცხოვრება მამაკაცის, მეფის, მბრძანებლისა, მეორეს მხრივ, კი ბრძენი სუფისტისა... მაგრამ რა გარემოში, სად ხდება ეს კონფლიქტი? — სწორედ ტარიელის ფსიქიკაში, მის სულში ებრძვიან ერთმანეთს „ლომი“ (მამრის, „მამაკაცის“, „მბრძანებლინი“) და „ვეფხვი“ („სუფია“)! ესაა უკანასკნელი „ბრძოლა-არჩევანი“. ტარიელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას:

„ლომშა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,

შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!

ხრმალ-გამოწვდილი მივუსე, მივეც ლახვართა სობასა,

თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა.“

ტარიელი კლავს „ლომს“ და ზურგს აქცევს მას, ანუ საბოლოოდ ამბობს უარს ძველი ცხოვრების წესზე.

„ხრმალი გავტყორცე, გარდვიჰერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;

მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;

მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა,

ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.“

# ოცდამეექვსე საუბარი სუფიაზე

## შაბდიზი

„ხარ ას ფარვიზზე მდიდარი და ვინ შეგედრება:  
ყორნისფერ რაშთა – შაბდიზების – დაგიდის რემა!  
ხარ ამაყი და მძლავრი, მაგრამ დაიცხრე რისხვა –  
მზიან დღეს მოსდევს ავდარი და ბუნება წყრება.“  
ადიბ საბირ თირმიზი (XII ს.)

„თვით პომეროსიც კი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთა  
აღრიცხვამდე ცხოვრობდა, ცხოველთა გამოყენება-აღწერით შოთას  
უახლოვდება, მაგრამ მას მაინც ვერ ეტოლება...“

რუსთველი პომეროსივით დიდ ადგილს უთმობს ცხენს, ამის  
შემდეგ ლომს (ნახსენებია 78-ჯერ) და ვეფხვს (22-ჯერ), მაშინ  
როდესაც პომეროსი მხოლოდ ერთხელ ასახელებს ჯიქს, ვეფხვს  
კი – არცერთხელა...“

აღ. პაპავა, „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველთა სა-  
მყარო“

„რუსთველი ვირს ასახელებს 4-ჯერ. რამდენი ვირი იყო ამ  
დროს საქართველოში, ან რამდენი ვირია დღეს, ამის შესახებ  
ნაშრომში არაფერია თქმული.“

6. დუმბაძე, „სასარგებლო ნაშრომი“

...აბა, რა მოიფიქრეთ?

თქვენი არ ვიცი, და მე კი მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ძალიან წააგავს სიმართლეს და  
ჭეშმარიტებასთან საკმაოდ ახლოს უნდა იყოს!

მაგრამ ახლა ისევ „ჩვენს ცხვრებს დაცუბრუნდეთ“ – მითუმეტეს, რომ, როგორც იქნა, „ას-  
პარეზზე“ პოემის ერთ-ერთი გმირი – ტარიელი ჩნდება („მადლობა ღმერთსაო“, იტყვის, ალბათ,  
ჩვენი მკითხველი)!

6. „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ზელოვანება!

ძალი მომეც, და შეწევნა – შენგნით მაქვს: მივსცე გონება;

მით შევეწივნეთ ტარიელს – ტურფადცა უნდა წსენება...“

მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება!

7. მო, დავსხდეთ... ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი!

მისებრი მართ დაბადებით ვინძცა ყოფილა შობილი?!...“

ეს „გამოჩენა“, ერთის მხრივ, ლოგიკურია (ოდესმე ხომ უნდა გამოჩენილიყო მაინც!), მეორეს  
მხრივ კი – მოულოდნელი!

რატომ – მოულოდნელი?

თავად განსაჯეთ:

ჯერ მხოლოდ მე-6 სტროფამდეა პოემის მკითხველი მისული; წინა სტროფებში და მე-6  
სტროფის 1-2 სტრიქონებშიაც საუბარია სავსებით კონკრეტულ, რეალურად არსებულ „სახელებზე“  
(1-სა და მე-2 სტროფებში – ღმერთზე, მე-3 და მე-4-ში – გვირგვინოსნებზე: თამარსა და დავითზე),  
და კიდევ – ავტორის საკუთარ, ასევე რეალურ განცდებზე („გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“, „აწ  
ენა მინდა გამოთქმად...“, „ძალი მომეც, და შეწევნა...“), და ამ დროს – უცებ! – „მით შევეწივნეთ  
ტარიელს“! ხოლო ვინ არის ეს „ტარიელი“, საიდან გაჩნდა? – არ ვიცით!

ჯერ – არ ვიცით!

ძალიან მალე, უკვე მომდევნო ფრაზებიდანვე კი ცხადი ხდება, რომ დიდი, დიდად მნიშვნელოვანი  
ვინმე ბრძანებულა უეჭველად, რადგან:

ა) მას, თურმე, აქაც კი – მირონცხებულ გვირგვინოსანთა გვერდით! – რატომდაც, „ტურფადცა“  
99

უნდა ხსენება“!

ბ) იგი იმდენად ახლო დამოკიდებულებაში ყოფილა თამარსა და დავითთან, უფრო მეტიც – ამ სამი ადამიანის ბედ-იღბალი იმდენად მჭიდროდ ყოფილა ურთიერთ გადახლართულ-გადაჯაჭვული, რომ სწორედ ამ გარემოებას იყენებს საბაბად პოემის ავტორი, რათა „ტარიელიც“ მოქმედებაში ჩაერთოს. ეს არგუმენტი („მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“!), როგორც დრომ აჩვენა, საკმაოდ ძლიერიც აღმოჩნდა, რადგანაც პოემა „შედგა“, გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია!

გ) „მნათობი“ – აქაც და ყველგან სხვაგანაც – მბრძანებლის, მეფის, ხელმწიფის სახე-სიმბოლო და, უყოფმანოდ მიაკუთვნებს რა „ტარიელს“ ამ „მნათობთა სამეულს“, „რუსთველი“ მას სოციალური იერარქიის იმავე საფეხურზე მოიაზრებს, რომელზედაც თამარი და დავითი დგანან (საყურადღებოა, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არც „დამკვეთებს“ ეწოთირათ, როგორც სჩანს!)... თუმცადა, ერთი კია: ეტყობა, ვიღაცას თუ ვიღაცებს გარკვეული ეჭვი თუ პრეტეზია გასჩენიათ „ტარიელის“ პიროვნების მიმართ, და პოეტი ამთავითვე – მისი პირველი და, ფაქტიურად, გაკვრით ხსენებისასვე – კრიჭაში უდეგბა ამ „ვიღაცას“ (თუ „ვიღაცებს“): თითქოსდა, ნიშნისმოგებით, სარკასტულად შენიშნავს (ირონია, სარკაზმი – საერთოდ, იუმორის გრძნობა – ძალზე დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი ავტორისა, როგორც ჭეშმარიტი სუფისა!) – „მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი“-ო!

და... მორჩა!

მეტი არაფერი!

„ტარიელი“ სცენიდან ქრება!

ქრება ისევე მოულოდნელად, როგორც გამოჩნდა...

ამგვარი მოულოდნელი გამოჩენა-გაქრობა საერთოდ დამახასიათებელია „ტარიელისათვის“. ზუსტად ასევე გვევლინება იგი პირველად სიუჟეტშიაც, კერძოდ – როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა-შეჯიბრის ეპიზოდის ფინალში:

82. „იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა.

ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა,

ახლოს უთქმს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა...“

ანუ: არც თვითონ როსტევან მეფესა და ავთანდილს („ორნივეს“), არც „ლაშქართა“ (რომელნიც „უფროსნი ბზეთასა“ ყოფილან) და არც თორმეტი მონას, რომლებიც „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ იყვნენ და, როგორც სჩანს, როსტევანის პირად დაცვას შეადგენდნენ, ირგვლივ საეჭვო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არავინ და არაფერი შეუმჩნევიათ, ... და თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა“.

მაგრამ, უცებ (აქაც – უცებ!):

83. „ნახეს: უცხო მოყმე ვინმე – ჯდა მტირალი წყლისა პირსა,

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.

ცრემლსა ვარდი დაეთროვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

84. მას ტანსა კაბა ემოსა გარეთმა ვეფხის ტყავისა,

ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა;

ხელთა ნაჭედი მათრახი პქონდა უსხოსი მკლავისა...

ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.“

(არც გაემტებუნებოდათ – ვინ არ დაინტერესდებოდა?!)

...ჩვენს პირველსავე „საუბარში“ ვთქვი: პოემის ტექსტი – თავიდან ბოლომდე! – პირდაპირ „გადაპენტილია“-მეთქი სუფიური სიმბოლიკითა და ტექნიკური ტერმინებით და, თუ ვინმე და რამე მყავდა მაშინ მხედველობაში – ეს, პირველ რიგში, სწორედ „ტარიელი“ გახლდათ და მასთან დაკავშირებული მოვლენა-გარემოებანი.

თავიდ განსაჯეთ:

„ვეფხვს“, „ვეფხვის ტყავსა“ და მისგან დამზადებულ ტანსაცმელს (კაბასა და ქუდს) თავი რომ დავანებოთ (ამაზე, მგონი, უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ), წმინდა სუფიური სიმბოლოებია: „შავი ცხენი“, „მათრახი“, „მარგალიტი“...

ჯერ ეს ვიქმაროთ!

რას აღნიშნავს თითოეული მათგანი?

...სუფიზმის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია და ყველაზე გავრცელებული ტექნიკური ტერმინია არაბული სიტყვა „ტარიკ(ა)“ (სპარსულად „ტარიკატ“), რომელიც შინაარსობრივად ზუსტად შეესატყვისება ჩინურ „დაო“-სა და იაპონურ „დო“-ს და ნიშნავს გზას, უფრო კონკრეტულად – „ადამიანის ჰარმონიული (ერთდროულად: ფიზიკური, გონებრივი და სულიერი) განვითარების გზა“-ს.

მართალია, ამ ტერმინმა დროთა განმავლობაში გარკვეული ევოლუცია განიცადა და მოგვიანებით იგი აღნიშნავდა სუფიზმის უკვე კონკრეტულად რომელიღაც მიმდინარეობას (სუფათა კონკრეტულ „წრეს“, „საძმოს“, „ორდენს“...), მაგრამ მას არც პირვანდელი მნიშვნელობა დაუკარგავს, ხოლო იმთავითვე იგი, ფაქტურად, იყო სინონიმი სიტყვისა „ატ-ტასავუფ“ (ამ სიტყვით აღინიშნება არაბულში ცნება „სუფიზმი“).

ანუ: „ტარიკ(ა)“ – გზა – იგივე „სუფიზმი“-ა, შესაბამისად სუფია – იგივე „გზაზე დამდგარი კაცი“, ანუ „მგზავრი“, „მოგზაური“, „ყარიბი“...

და ესეც ხომ ვიცით: ყოველ პროფესიას, ყოველგვარ საქმიანობას ადამიანისას – თავისი, ყველა-საგან გამორჩეული ატრიბუტი გააჩნია, რომელიც ამ საქმიანობის სახე-სიმბოლოდაც შეიძლება გამოდგეს (და, ხშირად, ითვლება კიდეც); მწერლისათვის ასეთი ატრიბუტია, უპირველეს ყოვლისა, კალამი; მეცნიერისათვის – წიგნი, მეომრისათვის – მახვილი, როგორც საზოგადოდ იარაღის სიმბოლო, ხოლო მოგზაურ-ყარიბისათვის ესაა არგანი, ანუ უბრალოდ, საკმაოდ გრძელი და საკმაოდ მსწვილი ჯოხი (გნებავთ, კეტი), რომელსაც იგი – გარემოებისამებრ – ხან საბრჯენად იყენებს, ხან ოთხფეხთა თუ ორფეხსა მომხდეურის მოსაგერიებლად.

...ასეთი სუფიური გადმოცემაც არსებობს: „ერთსა ჰყითხეს – ხომ არც მოხუცი ხარ, არც ავადმყოფი და, რა არის, ერთთავად ჯოხით რომ დადიხარო? – ამით ჩემს თავს შევახსენებ, რომ „გზას ვადგავარ“, აქ – მხოლოდ დროებითა ვარ შეწერებული, და ნებისმიერ წამს მზად უნდა ვიყო გზის გასაგრძელებლადო, უპასუხა ამან, ცხადია – სუფიამ! (იხ. პატრიკ ლინი 1961).

მაგრამ, მოგეხსენებათ, მგზავრი – ქვეითიც არსებობს და რაიმე ცხოველზე ამხედრებულიც – ხარზე, კამეჩზე, აქლემზე, ცხენზე, ვირზეც კი! (ამდენად, გასაგებია ბ-ნ ნოდარ დუმბაძის გულისტ-კივილი იმდროინდელ და თანამედროვე საქართველოში ვირების საერთო რაოდენობის აღურიცხაობის გამო...)

შესაბამისად, ცხენზე ამხედრებული „მგზავრის“ ატრიბუტია მათრახი – იმავდროულად ძალაუფლების, მმართველობის, ბატონ-პატრონობის (აქ იგულისხმება: „საკუთარ თავზე ბატონობა“, „საკუთარ ვნებათა სრული კონტროლი და მართვა“) სიმბოლო.

თვით „ცხენი“ – გზის („ტარიკა“) სიმბოლოა, ხოლო მისი ფერი აღნიშნავს ამ გზის რაობას, უფრო ზუსტად: ფერი მიანიშნებს იმ მონაკვეთს „გზისას“, იმ ეტას თვითგანვითარებისას, რომელზე-დაც იმყოფება ამჟამად „მხედარი-ყარიბი“. რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით „შავი ფერი“-ს სიმბოლური მნიშვნელობაც, ადვილი მისახვედრია, რომ „ტარიკელი“ საერთო „გზის“ უკანასკნელ მონაკვეთზე – „სიბრძნის ეტაპზე“ ყოფილა გასული (შედარებისათვის: სანადიროდ ამხედრებული ავთანდილი ჯერ მხოლოდ „ძოწეულითა მოსილი“-ა და თეთრ ცხენზე ზის – იგი-ო, „მოდგა თეთრტაიჭოსანი“).

შაბდიზი – (სპარს.) ყორნისფერი, შავი ცხენი. ეს სახელი („შავრა“) რქმევია შაპ ხოსროვ-ფარვაზის (590-628) საყვარელ ცხენს. სახელი თვით ამ ხელმწიფოსა, რომელიც კარგა ხანს მდიდარი და ძლიერი მმართველი იყო, მაგრამ შემდეგ, ბიზანტიასთან ომში დამარცხების შედეგად დასუსტებული, საკუთარმა ვაჟმა ჩამოაგდო ტახტიდან, – ძლიერი მმართველისა და თავდადებული მიჯნურის სიმბოლოდ არის მიჩნეული (პოემა „ხოსროვ-შირინიანი“).

## ოცდამეშვილე საუბარი სუფიაზე „იდიოტის“ ოდიოზური გამოსვლები

გაზეთმა „ახალმა განათლებაშ“ დაახლოებით ერთი წლის წინ (19-25 ოქტომბერი 2000 წ. №30/89), მკითხველს შესთავაზა ახალი რუბრიკა: „საუბრები „ვეფხისტყაოსანზე“. თანაც დასძნდა, რომ „რუბრიკა იქნება ღია და მასში მონაწილეობისათვის იწვევდა... ყველას, ვისაც აღეძვრებოდა სურვილი „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობისა“.

და გაზეთი რუბრიკას იწყებს ალექსანდრე გვახარიას წერილებით – „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური კომენტარები“.

რატომ მაინცდამაინც „აღმოსავლური“?

თავისთავად ეს და ასეთი თემა მეტად სერიოზული და ყოველმხრივ გამართლებული მეცნიერული თემაა. ოვითონ წერილებში დასტული საკითხები და, საერთოდ, ამ წერილების სტილი და მისი ავტორის ზნეობრივი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი მეცნიერული ეთიკის ფარგლებში თავსდება.

მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალი რუბრიკის ორგანიზატორებმა საგანგებოდ შეარჩიეს „აღმოსავლური“ თემა. ამით მათ გარკვეული ნიადაგი მოუმზადეს „იდიოტის“ ოდიოზურ გამოსვლებს: „საუბრები „იდიოტთან“.

აქვე შევნიშნავთ, სრულებით არა სავალდებულო ალექსანდრე გვახარია „იდიოტის“ თანამოაზრედ და თანამზრახველად ჩავთვალოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, პატივცემულო ალექსანდრე გვახარიას მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული ინტერესები ამოძრავებდა და სხვა არაფერი.

ახლა ვიკითხოთ: რატომ მალავს თავის სახელს „იდიოტი“? განა „ვეფხისტყაოსანზე“ მეცნიერული წერილების წერა სათაკილოა? თავის დროზე ივ. ჯაბადარიც მალავდა თავის სახელს „ნ.დ.“ („ნარ-დონი“) ფსევდონიმით, რადგანაც კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ასევე კარგად ესმის „იდიოტის“, რასაც აკეთებს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, „იდიოტი“ გულუბრყვილოდ ან ვინმე-საგან წაქეზებით მოქმედებდეს. მისი ოდიოზური „იდეოლოგია“ მისი ბუნებიდან გამომდინარებს. ამას ზუსტად მიესადაგება რუსთველის ცნობილი აფორიზმი „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ამავე საუკუნის 80-იან წლებში, პატრიოტულად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია მიუჯდა „ვეფხისტყაოსანს“ მისი ტექსტის წესრიგში მოყვანის მიზნით. რამდენიმე წელიწადს მუშაობდნენ და ბოლოს მათი ლვაწლი დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემით, 1888 წელს. დიდი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩიც მიიწვიეს პოემისათვის ილუსტრაციების შესაქმნელად. ზიჩის მოღვაწეობა ვიწრო ინტელიგენტურ სფეროს გასცდა და საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო. საქმე ისაა, რომ ზიჩიმ მოაწყო „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა „სტატიკური“ სცენები. ეს სცენები ისეთი მიმზიდველი და მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ უამრავი დამსწრე მასურებელი მიაწყდა. ერთი სიტყვით, ყოველივე ამას ქართველობა პატრიოტული სულისკვეთების დიდი აღმავლობა და აღტყინება მოჰყვა.

საქართველოში გაბატონებულ უცხო თესლს – რუსებს და რუსიფიკაციული პოლიტიკის ქართველ ადგატებს, ცხადია, თვალში არ მოუვიდოდათ ქართველების ასეთი ეროვნული ზეიმი „ვეფხისტყაოსნის“ გამო. სწორედ ასეთ დროს ჩნდება რენეგატი, რომელმაც, ლევან სანიკიძის თქმისა არ იყოს, ყველაზე უკეთ იცის, როგორ ამოარტყას იღლიაში ხანჯალი ქართველს.

ესაა ზემოთ უკვე ნახსენები „ნ.დ.“ („ნარ-დონი“) – ივანე ჯაბადარი, რომელმაც მოსკოვურ ჟურნალ „Северный Вестник“-ში გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა: „Письма о Грузии“ 1889 წელს.

ამ წერილებში იგი აბიაბრუებდა საქართველოს მთელ ისტორიასაც და კულტურასაც. განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანს“. ივ. ჯაბადარი „ვეფხისტყაოსანს სპარსულიდან თარგმნილად თვლიდა. ამით იგი ცივ წყალს ასხამდა ქართველთა აღტაცებასა და სიყვარულს „ვეფხისტყაოსნისადმი“, აბუჩად იგდებდა და ამცირებდა ქართველთა ეროვნულ მეობას. ერთი სიტყვით, ეს „ნარ-დონი“ რუსის სამსახურში იდგა და რუსებს უკმერეს საკმეველს, ქართველთა დამცრობის ხარჯზე. მისი ნიპილიზმი თავის დროზე სათანადოდ გააკრიტიკეს ილიამ, აკაკიმ ვაჟამ და სხვებმა.

რა პირად გამორჩენა ჰქონდა ივ. ჯაბადარს ამ თავისი ქმედებიდან, ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ნ. მარის პირადი ამბიციები „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიის პოზიციის გამო ცხადზე უცხადესია.

დამპყრობლები, ჩვენს შემთხვევაში რუსები, კოლონიურ ქვეყნებში ცდილობენ, ყოველი დამონებული ერის არასრულფასოვნება დაასაბუთონ, ჩააგონონ და დაარწმუნონ ეს ერი თავის ყოველმხრივ ჩამორჩენილობა-უვარგისობასა და უსუსურება-უძლურებაში. ამისთვის კოლონიზატორი აქეზებს, ხელს უწყობს და ყოველგვარ პირობებს უქმნის რენეგატიზმს, რადგან რენეგატის ხელით კოლონიზატორის შავბნელი პოლიტიკის განხორციელება უფრო მოხერხებული და უფერებულია. ჩვეულებრივ, ასეთი რენეგატიზმი ცხოვრების ყველა სფეროში იდგამს საცეცებს. ეს იყო და არის ქართველთა ისტორიულ უბედურებათაგან უდიდესი და უმწარესი.

ამჯერად ჩვენი მსჯელობა 6. მარს ეხება. 6. მარი ძალზე როული პიროვნება და მოღვაწეა. მას „მსოფლიო მასშტაბის დიდ მეცნიერად“ თვლიან, მაგრამ ჩვენ ჩვენი ქართული ანგარიში გვაქვს მასთან. სიტყვას არ გავაგრძელებ და მივუთითებ მარიამ კარბელაშვილის წერილზე, რომელიც გამოქვეყნდა რუსთველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა კრებულში. „შოთა რუსთაველი“, 1: „რუსთველოლოგია XX–XXI საუკუნეთა მიჯნაზე“. ამ წერილში საფუძვლიანადაა შესწავლილი და შეფასებული 6. მარის ე. წ. „რუსთველოლოგიური თეორია“ და ამ „თეორიის“ კრედო, ამიტომ ამ მხრივ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 6. მარი ი. ჯაბადარის შეხედულებებს იზიარებს. ერთი სიტყვით, ივ. ჯაბადარი და 6. მარი ერთ რუსულ ღუმელში გამომცხვარი „პიროვებია“.

მ. კარბელაშვილის აზრით, 6. მარს, „ნარ-დონისაგან“ განსხვავებით, შესანიშნავად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე...“

6. მარმა იცოდა, რასაც აკეთებდა. იგი არაფერში სცდებოდა. თავისთავად დიდი შეცდომაა, ვინც 6. მარს ამ თავის „თეორიას“, „შეცდომად“ (ვუკ. ბერიძე) ჩაუთვლის. ვინ რა შემცდარა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისას, მაგრამ მისი სახლის კარგი არავის უმტკრევია. რუსთველის შესახებ რამდენი „თეორია“ უარყვეს, მაგრამ კეტით არავინ არავის გამოკიდებია. რაღა 6. მარი ამოიჩემეს ქართველებმა? ვუკ. ბერიძე აღიარებს: „ამიტომ იყო, ნიკო მარს ეგ თქმა (1890 წელს უურნალ „თეატრში“ გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ განმაქიქებელი წერილი – ა. დ.) არ აპატიეს და შეძლევ, დიდი ხნის განმავლობაში, ყველაფერს ივიწყებენ და დიდი მეცნიერის ამ პირველთქმას, ახალგაზრდობის პირველთქმას იგონებდნენ“.

რაშია საქმე? რატომ გამოირჩა ასე მწვავედ 6. მარი სხვებისაგან?

6. მარი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი პიროვნება იყო, იგი ამასთანავე იყო ძალზე ჭკვიანიც. მან ახალგაზრდობიდანვე სწორად აუღო ალდო ცხოვრებას, თავიდანვე მიხვდა, საით უბერავდა ქარი და ამ ქარის მიმართულბით გაშალა იალქნები. თავისი სამეცნიერო კარიერისთვის მას ეცოტავა საქართველო და რუსეთის დიდ სივრცეებს მიაშურა. ამისთვის მან ქართველთა საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ თხზულებად გამოაცხადა, რითაც ერთი მხრივ, დაამცირა ქართველი ერი, ხოლო ამით, მეორე მხრივ, გული მოფხანა რუსულ იმპერიალიზმს და საიმედოდ გაიკაფა გზა თავისი სამეცნიერო კარიერისკენ. ცხადია, რუსეთმა „თავის კაცს“ უდიდესი სამეცნიერო გასაქანი მისცა და 6. მარი რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად ითვლებოდა. ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ დამცრობით ამაღლებული 6. მარი ჩვენს დიდ პოემაზე თავის პირვანდელ შეხედულებებს ვერ შეელეოდა და არც არასოდეს შელევია.

პოემის სპარსული დედნის ძიების საქმე ჩავარდა: რაც არ არსებოდა, რას იპოვიდნენ, მაგრამ ამან „დიდ მეცნიერს“ ნირი ვერ შეაცვლევინა. იგი სიგვდილამდე დარჩა თავისი ყალბი „თეორიის“ ერთგული: 6. მარი ჯიუტად იმეორებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, სპარსული ამბავია და რუსთველი – მუსულმანიო (კ. კაკალიძე). ახლა წარმოიდგინეთ, ეს „მსოფლიო მასშტაბის დიდი მეცნიერი“ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით ავრცელებდა ამ სიყალბეს.

„ვეფხისტყაოსანზე“ 6. მარის შექმნილი „ცრუ თეორია“ (მ. კარბელაშვილი) ქართველი ერის მიმართ ჩადენილი დალატი იყო. ამიტომ იყო, რომ მას ქართველებმა ვერ აპატიეს ვერც პირველი და ვერც შემდგომი თქმა ჩვენი პოემის მიმართ, რადგან, რამდენადაც დიდი სახელი ჰქონდა 6. მარს მოხვეჭილი რუსულ და ევროპულ სამეცნიერო წრეებში, იმდენად მძიმე, აუტანელი და შეურაცხმყოფელი იყო მისი ყალბი „თეორია“ ქართველებისათვის, განსაკუთრებით, ქართველი ინტელიგენციისათვის...

მაგრამ 6. მარი ამ მხრივ არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ასეთი მეტ-ნაკლები ზომისა და სიდიდის რენეგატები საქართველოს მანამდეც ბევრი ჰყოლია, მის დროსაც და მის შემდეგაც. აქ საკვირველი არაფერი არ არის. უცხო ძალის კოლონიური პოლიტიკა ყოველთვის წარმოშობს

ასეთ სულმდაბლობას.

რუსეთში იღია, აკაკი, ვაჟა... სწავლობდნენ და შემდეგ ივ. ჯავახიშვილიცა და აკ. შანიძეც. მათ თავი „დაიმცირეს“ და საქართველოს სახელი განადიდეს, ნ. მარმა კი საქართველო და მისი „ვეფხისტყაოსანი“ დაამცირა და თავისი სახელი განადიდა და თავისი სამეცნიერო მდგრმარეობა გაიუმჯობესა. საქართველოდან განდევნილ ვიკტორ ნოზაძეს მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ახსენებენ საქართველოში, ნ. მარმა კი თვითონ განდევნა თავისი თავი საქართველოდან და სამართლიანად დაიმსახურა სიძულვილი თავისი პროცესული და ანტიქართული იდეოლოგით.

6. მარზე მსჯელობას დაგამთავრებთ მ. კარბელაშვილის სიტყვებით: „აკად. ნ. მარის რუსთველოლოგიური თეორია XX საუკუნის უდიდესი რუსთველოლოგიური სოფიზმია, რომელმაც მთელი საუკუნის მანძილზე უმძიმესი კვალი დააჩნია ქართული ფილოლოგიის ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს დარგს“.

საქართველო დღესაც კოლონიალიზმის არეალშია. ამიტომ ამ მხრიდან ქართველი ხალხის ეროვნული თაგმოყვარეობის შელახვა არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ არც გულხელდაკრეფილი ყოფნაც გვეპტიება. ყოველგვარ ასეთ გამოხდომას საკადრისი მკაცრი პასუხი უნდა გაეცეს.

ამჯერად მხედველობაში „იდიოტი“ გვყავს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს ზემოთ უკვე დახასიათებულ რენეგატთა გზას. მან ისევ წამოჭრა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის თი-თქოსდა დაძლეული პრობლემა.

ერთი ვიკოთხოთ, რამ აიძულა „იდიოტი“ ასე გამწარებით თავს დასხმოდა „ვეფხისტყაოსანს“ და, საერთოდ, ქართველი ხალხის წარსულს? „ნარ-დონიც“ ხომ ასე იქცეოდა?

იძულებითი პაუზის შემდეგ, XX საუკუნის ბოლოს, ქართული ფილოლოგია ისევ ფეხზე დადგა. შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა განაახლა აქტიური სამეცნიერო საქმიანობა. განახლდა ყოველწლიური სამეცნიერო კრებულის „ლიტერატურული ძიებანის“ გამოცემა. გამოვიდა რუსთველოლოგიური სამეცნიერო კრებული „შოთა რუსთაველი“, რომელიც ამიტოდან ორწლიანი შუალედით სისტემატურად გამოიცემა. ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებით იბეჭდება სამეცნიერო პერიოდული კრებული „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, იბეჭდება ერთჯერადი გამოცემებიც. გაზეთი „ახალი განათლება“ და სხვა პერიოდული გამოცემები სისტემატურად ბეჭდავნ სამეცნიერო წერილებს ქართული ლიტერატურის პრობლემებზე, განსაკუთრებით კი რუსთველოლოგიურ საკითხებზე. ასევე ახალი ენერგიით გააჩაღეს სამეცნიერო მუშაობა თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სხვა სამეცნიერო ცენტრებმა. სისტემატურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები. ქართველი მეცნიერ-ფილოლოგები დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულითა და გულმოდგინებით ივკლევენ და სწავლობენ ქართული ლიტერატურის პრობლემებს. 2012 წელს სრულდება ვახტანგ VI-ის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წელი. ქართული ფილოლოგია უკვე იწყებს მზადებას რუსთველის დაბადებიდან 850 წლის იუბილეს აღსანიშნავად. დღესდღეობით ეს მოძღვანელი ვიწრო სამეცნიერო სფეროს ბევრად არ სცილდება, მაგრამ იგი ზვავად ქცევის პოტენციას შეიცავს: მალე საერთო-სახალხო მოძრაობად იქცევა.

ჩვენ ზემოთ დავიწყით, რომ, როცა რომელიმე დაპყრობილი ერთ თავისი ეროვნული მეობის წარმოჩენა-აღორძინებას იწყებს, დამპყრობელი კონტრზომებს მიმართავს. ერთი ასეთი კონტრლონის-ძიება „იდიოტის“ გამოსვლები გაზეთ „ახალ განათლებაში“ რებრიკით: „საუბრები „იდიოტთან“.

რუსთველოლოგის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა რუსთაველის ქრისტიანად აღიარება. ამით მკვლევარები ჩვენი დიდი პოემის ქართულ ძირებს ეძებს და ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ეროვნულ ძირებზეა ამოზრდილი.

„იდიოტი“ სწორედ ამ მიმართულებას ებრძვის: რუსთაველს სუფიად აცხადებს, „ვეფხისტყაოსანს“ კი სუფისტურ ქმნილებად.

ამით რისი თქმა სურს „იდიოტს“? ვითომ ჭეშმარიტების ძიების სრულილი აიძულებს ამას? თვითონაა სუფია და ამიტომ ყველაფერი სუფისტურ სამოსელში გახვეული ეჩვენება? თუ რაიმე ანგარება ამოძრავებს? რამდენადაც ვიცი, თვითონ სუფიები არასოდეს ცდილან „ვეფხისტყაოსნის“ „მითვისებას“. „იდიოტს“ რა აიძულებს, „ვეფხისტყაოსანი“ მაინცდამაინც არაქართულ, სუფიურ ქმნილებად გამოაცხდოს?

თვითონ სუფიზმი, როგორც მისტიკურ-ასკეტური მოძღვრება, ისლამურ გარემოში წარმოიშვა VIII საუკუნეში და ისლამურ სამყაროში გავრცელდა. იგი ისლამის სექტად ითვლება. ამ აზრს „იდიოტი“

არ იზიარებს. იგი ემყარება თვითონ სუფისტების შეხედულებას ამ საკითხში: „სუფიზმი მართლაც ხშირად იწოდება ისლამის ერთ-ერთ სუქტად, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. მათი პოზიცია ასეთია: უბრალოდ, სუფიზმა ისლამის წიაღში განვითარებისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები ჰქოვა და მასთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საკუთარი ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ამ რელიგიის ბევრი გარეგნული თვისება შეიძინა. ისე კი სუფიურ ტრადიცია (მას სუფიზმს – ა. დ.) განიხილავს, როგორ ფენომენს, რომელიც კაცობრიობის დასაბამიდან არსებობს“ (გაზ. „ახალი განათლება“ 7-13 დეკემბერი, 2000 წ. №38 (97)).

ერთია, რასაც თვითონ სუფიები ფიქრობენ, ხოლო მეორეა, რაც სინამდვილეში არიან. ყველა სახის მსოფლმშედველობა, რომელიც ასე თუ ისე ვრცელ ხასიათს მიიღებს, ყოვლისმომცველობის პრეტენზით გამოდის და მსოფლიო მასშტაბებს ებლაუჭება. ამ მხრივ გამონაკლისი არც სუფიზმია. ამიტომ სუფიზმის „იდიოტისნაირ“ შემფასებლებს ან საგნებისა და მოვლენების რეალური აღმის უნარი არ გააჩნიათ, ან, თუ გააჩნიათ, წყალს შეგნებულად ამღვრევენ, რათა თავისთვის რამე მოინადირონ.

„იდიოტი“ რუსთაველს სუფიად რომ თვლის, ამით იგი რუსთაველის მსოფლმშედველობას სუფისტურად აცხადებს. მსოფლმშედველობა ხომ გადამწყვეტი ფაქტორია შემოქმედისათვის. ფაქტობრივად, ყოველგვარი შემოქმედება მსოფლმშედველობაა: სწორედ თავის მსოფლმშედველობას ასხამს მხატვრულ ხორცს შემოქმედი. თუ რუსთაველი სუფიაა, გამოდის, რომ მისი ქმნილებაც სუფისტურია, უცხოური და არაქართული. ქართველებს კი პოემიდან გვრჩება მხოლოდ ცარიელი ქართული სიტყვები. „იდიოტის“ აზრები და შეხედულებები არანაირად არ ესადაგება და არ უკავშირდება ქართულ სინამდვილეს.

„ნარ-დონი“ და ნიკო მარი „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს, ფაბულას თუ სიუჟეტს, ერთი სიტყვით, შინაარსს თვლიდნენ სპარსულიდან მომდინარედ. ნ. მარი გარკვეული კუთხით პოემას ქართულ სინამდვილესაც უკავშირდება. ამით მან არა მარტო „ვეფხისტყაოსნი“, არამედ საქართველოს მთელი ისტორიული წარსულიცა და აწყოც სუფიზმის არეალში მოაქცია.

ჩვენ არ ვაპირებთ „იდიოტის“ „შემოქმედების“ მთლიანობაში განხილვას. ეს მერე უნდა მოხდეს, როცა იგი საბოლოოდ გამოავლენს თავის თავს. ამჯერად, ერთი კონკრეტული ფაქტით შემოვიფარგლებით, რომელშიც გარკვევით ჩანს მისი პოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ.

რუსთაველის სიღიადე მისი პოემის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ხასიათშია. ეს ილიადან მოყლებული მრავალჯერ თქმული ჭეშმარიტებაა. ამაში ეჭვის შეტანა და მით უმეტეს მტკიცება იმისა, რუსთაველი ვიწრო ეროვნული დიაპაზონის შემოქმედია, არა მარტო რუსთაველის პოემის მხატვრული დირსების დამცირებაა, არამედ ნიკილიზმია და ხელყოფა ქართული ეროვნული სიტმინდისა. „იდიოტს“ რუსთაველის ღმერთი ჩამოყავს პრაგმატიზმის, XII საუკუნის ქართველ ხელისუფალთა პრაქტიკული საჭიროების დონეზდე.

რუსთაველის ღმერთი ერთია პოემის ყველა პერსონაჟისათვის, მიუხედავად მათი ეროვნული და სოციალური განსხვავებისა. უფრო ზუსტად: დედამიწის ყველა მცხოვრებისათვის ღმერთი ერთადერთია. რუსთაველისდროინდელი კაცობრიობა ურთიერთგამომრიცხავი და ერთმანეთის მიმართ მტრულად და კონფლიქტურად განწყობილი რელიგიების მიხედვით იყო დახლეჩილ-დანაწევრებული. თავისი პოემით რუსთაველი პრინციპულად უარყოფს ასეთ დანაწევრებას, რადგანაც ეს ხელს უმლის კაცობრიობის ერთიანობას, ერთიან რაობად წარმოდგენას, დედამიწის ყველა მცხოვრების გაერთიანებას პუმანიზმის დროშის ქვეშ. რუსთაველისა და მისი მთავარი პერსონაჟის მთელი ძალისხმევა სწორედ აქეთკენაა მიმართული. ბოლოს ისინი აღწევენ მიზანს: მთელი კაცობრიობის მასშტაბით ამყარებენ ეროვნულ და სოციალურ პარმონიას: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“.

„იდიოტი“ წერს, რომ რუსთაველი არ იყო პროფესიონალი პოეტი. „ეს კაცი („იდიოტი“ რუსთაველს გულისხმობს – ა. დ.) პროფესიონალი სხვა საქმეში გახლავთ: იგი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი და დიდი სახელმწიფო მოხელეა, ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია, ყველა მისი აზრი, სიტყვა თუ საქციელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მისი კეთილდღეობის სურვილითაა ნაკარნაზევი“. შემდეგ „იდიოტი“ ხაზს უსვამს „საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და აღმსარებლურ სიჭრელეს...“ და ასე აგრძელებს თხრობას: „მთელ ამ ხალხს სამი რამ ჰქონდათ საერთო: ენა (სახელმწიფო ენა – ქართული), მამული (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და სარწმუნოება... მონოთეიზმი, ანუ ერთი ღმერთის რწმენა-აღიარება, სწორედ ამ გამაერთიანებელ პრინციპს არ უნდა მისდგომოდა ჩრდილი და, პრინციპში, არც მიადგა: თუკი ქრისტიანს შეიძლება გაუჩნდეს ზემოთ აღნიშნული პრეტენზია პოემისა და მისი ავტორის მიმართ, 105

ასევე შეიძლება გაუჩნდეს მუსულმანსაც (არ დაგვავიწყდეს: ისიც საქართველოს მოქალაქეა, ე. ი. „ქართველია“), რადგან არც მაჰმადია ამ კონტექსტში საღმე ნახსენები და არც ალლაჰი; იუდე-ველსაც – არ ახსენებს იაჰვეს, ან ადონაი – უფალს და ა. შ.

სამაგიეროდ, იგი მოიხსენიებს და არა ერთხელ ერთ ღმერთს („ყპე, ღმერთო, ერთო!“), რომელიც საერთოა და რომლის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს. ამდენად გარკვეული ნეიტრალური დამოკიდებულების პირობებში ვერც ერ თი კონფესია ვერ აუკრძალავდა და ვერ უსაყველურებდა თავის მრევლს მისი პოემის წაკითხვას და იგი (პოემა) საერთო-ეროვნულ საკითხა-ვად იქცეოდა, რაც, მართლაც, აღსრულდა კიდეც: „უფრო მეტიც: მე თუ მკითხავთ, „ვერხისტყაოსანი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც იქცა!

ამაშია მისი დიდი ძალა და დიდი მნიშვნელობაც, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპექტში მაინც!“ (გაზეთი „ახალი განათლება“, 9-14 ტებერვალი, 2001 წ. №3 9102).

ჯერ ეს ვთქვათ: რუსთაველის ბიოგრაფიიდან რაიმე მეტ-ნაკლებად ხელშესახები მონაცემები არ მოგვეპოვება. მისი ბიოგრაფია ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, ამიტომ ვარუდები და ჰიპოთეზები ჯერ კიდევ არ არის მეცნიერული ჭეშმარიტება. საიდან აკეთებს ასეთ კატეგორიულ განცხადებას „იდიოტი“: „რუსთაველი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელია და დიდი სახელმწიფო მოხელე ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია?“ დავუშვათ, მართლაც, შეიძლება ყოფილიყო ჩვენი დიდი პოეტი „დიდი სახელმწიფო მოხელეც“, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ჩვენს პოეტს სულ არ ჰქონდა რაიმე ბიოგრაფია: იჯდა არქივებში, იქნებოდა ხელნაწერებში, სწავლობდა და აკვირდებოდა ყველაფერს, შემდეგ მოელი თავისი ერუდიცია, ცოდნა და შეხედულებანი გადმოაფრქვია თავის პოემაში.

როგორც ვხედავთ, „იდიოტი“ არა მყარ (უფრო ზუსტად: არ არსებულ!) ბიოგრაფიულ მონაცემებს აკისრებს კატეგორიულობის მნიშვნელობას და მასზე დაყრდნობით აკეთებს შორს გამწვდომ დასკვნებს: თითქოსდა რუსთაველმა, როგორც „დიდმა სახელმწიფო მოხელემ“ და „პოლიტიკოსმა“ პატრიოტული მოტივით შექმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ცხადია, XII საუკუნის საქართველოს იმპერიის „მოსახლეობის ეთნიკური და აღმსარებლური სიჭრელე“ მეტად სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საქართველოს ხელისუფალთ. ასევე, ცხადია, ეს ხელისუფალი ამ პრობლემების გადასაწყვეტად ზნეობრივად და პოლიტიკურად მეტ-ნაკლებად გამართლებულ ღონისძიებებს მიმართავდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „იდიოტი“ რუსთაველის პოემას ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მიიჩნევთ: სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობამდე ჩამოჰყავს, ყოველდღიური პრაქტიკული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების ფუნქციას აკისრებს, თითქოსდა რუსთაველი იმიტომ არ ახსენებს სამებას, მაჰმადს, იაჰვეს..., რომ პოემა საქართველოს იმპერიაში მცხოვრები „ეთნიკურად და აღმსარებლურად“ განსხვავებული მოსახლეობისათვის თანაბრად საკითხავი ყოფილიყო. აქედან „იდიოტი“ ასეთ დასკვნას აკეთებს: „... ვეფხისტყაოსანი“ ერის შინაგან გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცაო“. ერის გამთლიანება-შეკავშირების იდეა არაა დასაწუნი. პირიქით, შემდეგ და შემდეგ, როცა საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, „ვეფხისტყაოსანი“ იყო საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები გამოხატულება.

მაგრამ „იდიოტი“ ასეთი რამის თქმა კი არ სურს, იგი „ერის შინაგან გამთლიანებაში გულ-სიხმობს ქართული იმპერიის „ეთნიკურ და აღმსარებლურ სიჭრელეს“ და ამათ გაერთიანების საჭიროებას. ამით „იდიოტი“ რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო დიაპაზონს ამცირებს, საქართველოს იმპერიაში მყოფი სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებთა ურთიერთდამოკიდებულების რეგულატორის როლით შემოფარგლავს, რითაც აცლის მას უმთავრესს: მაღალმხატვრულ ღირსებასა და ფართო მასშტაბის იდეურ ფუნქციას.

ივ. ჯაბადარი („ნარ-დონი“), ნიკო მარი, მარისტები და „იდიოტი“ ერთ სწორ ხაზზე დგანან, ისტორიული სიღრმეებიდან მოჰყებიან ქართველ ერს. თავიანთი იდეოლოგით ისინი ცდილობენ ქართველი ერის დემორალიზაცია გამოიწვიონ, ლაფში ამოსვარონ ქართველების ერთ-ერთი უსაჩინოები სიწმინდე – „ვეფხისტყაოსანი“. მათ კარგად იციან, ლაფის სროლით „ვეფხისტყაოსანს“ ვერაფერს დააკლებენ, როგორც მზეს, მაგრამ მათ ისიც იციან, ვის დაეცემა ეს ლაფი თავზე. ესაა ქართველი ერი და, განსაკუთრებით, მისი პატრიოტულად განწყობილი მოაზროვნე ინტელიგენცია. ამ უკანასკნელთა ლაფში ამოსვრა მათი უპირველესი საზრუნავი, რათა საკუთარი ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ, დაამცირონ, ამით კი შეამცირონ ამ ინტელიგენციის კეთილი გავლენა თავისი ქრის ცნობიერებაზე, თავს მოახვიონ უცხო მსოფლმხედველობა და აურიონ გზ და კვალი.

ვიცი, „იდიოტები“ საიდანაც უნდა წამოჰქორა ხელი, რუსულ „ვანკა-ვსტანკასავით“ მაინც ფეხზე დადგება. ეს თვისება მან უკვე გამოავლინა ბატონ ნ. ნათაძესთან კამათში, როცა ნ. ნათაძის სიტყვა-ფრაზების გაქილიკება-გატრიზავებას მიჰყო ხელი და არა მისი აზრის გაგება-შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს წერილშიც იპოვის იგი საკბილოს. ადვილად მოსალოდნელია, „იდიოტი“ გამოღმა შეგვედავოს: შეწე ნაკლებად არ მიყვარს საქართველო, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც: ტყე მგელსაც უყვარს და ირემსაც. მგელს – მოსაჭმელად, ირემს კი – დასამშვენებლად. ცხადია, სამშობლოს მგლური სიყვარული არავის ეპატიება და ამ მხრივ ნურც „იდიოტი“ ჩათვლის თავს გამონაკლისად.

დასკვნის სახით:

მტერი ყოველთვის მიზანში იღებს ერის უმთავრეს სიწმინდეებს. ჩვენ შემთხვევაში ესაა ეკლესია, ქალი და „ვეფხისტყაოსანი“.

ჩვენი ქართული ქრისტიანული ეკლესია თავიდანვე მადეანური აგრესიის წინააღმდეგ მიმართული ძალა იყო, შემდეგ კი – მუსლიმანური შემოსევისაგან ქართველთა სულიერი გადარჩენის ციტადელი.

ქალი, საერთოდ, და, კონკრეტულად კი – დედა, განსაკუთრებით შუა საუკუნეებიდა მოყოლბული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ელემენტი იყო. იგი არა მარტო ერის სიცოცხლის საწყისი იყო, არამედ – ქართველის ქართველად დიდი აღმზრდელიც.

„ვეფხისტყაოსანი“ ხომ ზეაწეული დროშა იყო ყოველთვის, უწმინდესი და უსაჩინოესი. ერის სულიერი საზრდოც იყო იგი, სულიერ ჭრილობათა მკურნალიც, ერის დამრიგებელიცა და მასწავლებელიც, საბრძოლო ნაღარაცა და დიდი იმედიც. ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცის სინდისიც იყო, ღირსებაცა და სიამაყეც.

გარეშე მტერი როცა მოძალდებოდა საქართველოში, ცდილობდა, პირველ რიგში, ეს სიწმინდეები მოეგდო ფეხქვეშ, შეებდალა და დაემცირებინა, რათა იოლად ებატონა და ეპარპაშა.

მაგრამ ეს სამი ქართული ფესვი ისეთი ღრმა და ძლიერი იყო, ვერა რა ძალაში ვერ აღმოფხვრა იგი: ქართველი მაინც ლოცულობდა ეკლესიაში, ქართველი დედა მაინც უჯდა აკვანს, „ვეფხისტყაოსანს“ მაინც კითხულობდა ქართველი.

ანზორ დარცმელიძე  
აბაშა, სოფელი სამიქაო

## ოცდამერვე საუბარი სუფიაზე „მარგალიტი“

„...წლებით უმრწემესი ვარ მე, თქვენ კი – მოხუცებულნი; ამიტომაც მომერიდა და ვერ გაგტედე, ადრევე მომეხსენებინა თქვენთვის ჩემი აზრი.

ვიფიქრე: დაე, დღეებმა ილაპარაკონ, და წელთა სიმრავლემ ასწავლოს-მეთქი სიბრძნე;

ნამდვილად კი, მხოლოდ კაცში მყოფი სული და სუნთქვა ყოვლადძლიერისა განასწავლის ამს!

დღეგრძელნი ყოველთვის არ არიან ბრძენნი და მხოლოდ მოხუცებულნი არ მიხვედრილან სიმართლეს!

ამიტომ ვამბობ: მომისმინეთ – მეც გამოვთქვა ჩემი აზრი!

...შორიდან წამოვიდებ ჩემს აზრს და ჩემს შემქმნელს მივაგებ სიმართლეს!

...რადგან სავსე ვარ სიტყვებით და შიგნიდან მაწვება სული; აპა, თავმოუხდელ ღვინოსავით არის ჩემი შინაგანი, გასკდომაზეა ახალი ტიკივით.

ვილაპარაკებ, რათა სული მოვითქვა; გავხსნი ბაგეებს და პასუხს გავცემ;

გულწრფელია ჩემი სიტყვები და ჩემი ბაგე ნათლად გამოაცხადებს ცოდნას!

პირფერობას არ დავუწყებ კაცს, და ადამიანს არ მოველა-ქუცები!

რადგან მე ლაქუცი არ ვიცი.

უმალ ღმერთმა წამილოს აქედან!“

იობი (32, 6-10; 18-22; 33, 3; 36, 3)

„მარგალიტი – სფეროსებრი ან არასწორი ფორმის წარმონაქმნია, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის (კერძოდ, ორსაგდულიანიდა მუცელფეხა მოლუსკების) ორგანიზმში რაიმე უცხო სხეულის (ბაქტერია, კენჭი, ქვიშის მარცვალი...) მოხვედრის შედეგად.

...ამ უცხო სხეულის გარშემო – კონცენტრულად, ფენა-ფენა – დაგროვებას იწყებს სადაფი, იგივე პერლამუტრი (გერმ. perle – მარგალიტი, Mutter – დედა), რომლის თხელი ფენითაც, ნორმა-ლურ პირობებში, დაფარულია ამ მოლუსკების ნიჟარის შიგნითა ზედაპირი.

...ქიმიურად ეს ნივთიერება, ძირითადად, შედგება არაგონიტის (კარბონატების  $\text{CaCO}_3$  კლასის მინერალი) კრისტალებისაგან.

...მარგალიტის ახასიათებს ცისარტყელისებრი ელვარება. იგი ერთ-ერთ უძვირფასეს სამშვენისად ითვლება და, რაც უფრო დიდი ზომისაა, მით უფრო მეტად ფასობს“ (ცნობარებიდან).

...მარგალიტის, ამ უშვენიერესი „ცოცხალი ქვის“ ხატი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, სრულიად განსაკუთრებით დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოა – არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“, არამედ, საერთოდ – მთელს სუფიურ ლიტერატურაშიც.

ამასთანავე აღმოჩნდა, რომ იგი – ის „წყალქვეშა კლდეცა“, რომელზედაც არაერთი მეცნიერის „ცოდნის ხომალდი“ დამსხვრეულა!

თუმცადა – ესეც უნდა ვთქვათ! – არც საკვირველია.

თავად განსაჯეთ:

როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა „მარგალიტი“ უხსოვარი დროიდან იხმარება და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ მხრივ, არც „ვეფხისტყაოსანია“ გამონაკლისი; მაგ:

„უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა“. (683)

„ოქროც რამე წარიტანეს, მარგალიტი ღარიბები“. (1367)

„ოქრო, თვალი, მარგალიტი, შვენიერი სანახავად“. (1643)

...მაგრამ ამასთანავე, ეს სიტყვა არის ერთ-ერთი უძველესი ეპითეტი და მეტაფორაც, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მწერალ-პოეტები.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა, რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი.

...ძველი არაბული პოეზიის მთარგმნელები – თინათინ მარგველაშვილი და გივი ციცქიშვილი, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „მარგალიტები არაბუ პოეზიაში სატრფოს ლამაზი კბილების მეტაფორაა“. ეს კომენტარი დართული აქვს VIII-IX საუკუნეების არაბი პოეტის აბუ ნუვასის ერთი უსათაურო ლექსის შემდეგ ტაქს:

„და როს ღვინო შიგ შერეულ  
ღრუბლის ნაჟურს ვეღარ იტევს,  
იღიმება და თან აჩენს  
სადაფების მარგალიტებს“.

მთარგმნელები სრულიად სამართლიანად შენიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში „...პოეტს აქვს ორმაგი მეტაფორა... კბილებთან კი აქ შედარებულია ბუშტები, რომლებიც წარმოიქმნებიან ღვინის წყალთან გაზავების შედეგად“ (კომენტარები. „არმაღანი“, წიგნი მეოთხე, თბ., 19 88).

ანალოგიური მნიშვნელობით „მარგალიტი“ არაერთხელაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანშიც“:

„ვნახე: ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა“. (534)

„შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“. (1142)

„კბილ-მარგალიტი, ტან-ალვა, ღაწვ-ბალახში, ყორან-თმიანი“ (1578)

და ა. შ.

...მაგრამ, აბუ ნუვასის სხვა ლექსში, რომელიც ამავე კრებულშია წარმოდგენილი,

– „ნარგიზებიდან ჯინანს სცვივა მარგალიტები,

ვარდს სილას ურტყამს, თან იხოკავს ბროლის თითებით!“ –

და, მართალია, ეს „მარგალიტები“ მთარგმნელებს უკვე კომენტარის გარეშე დაუტოვებიათ, მაგრამ აქ ისედაც ხომ ცხადია: „ნარგიზებიდან“ (ლამაზი, მშვენიერი თვალების მეტაფორაა; რუსთველთან, მაგალითად, „ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“, 1315) ჯინანს უკვე... ცრემლები სცვივა!

ხოლო რუსთველს „მარგალიტი“-ს არც ეს მნიშვნელობა გამორჩენია მხედველობიდან:

„ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, სწვიმს ვარდისა დასანაზოდ“ (141)

„თვალთათ, ვითარ მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“ (628)

„თვალთათ, ვითა მარგალიტი, გარდმოყარა ცრემლი ხშირი“ (1172)

და სხვა.

(აქვე, ალბათ, უპრიანია, ისიც ვთქვათ, რომ მრავალ შემთხვევაში „მარგალიტი“ გამოიყენება, აგრეთვე, როგორც საზოგადოდ წყლის – ზღვის, მდინარის – შეეფების, აგრეთვე ნამის წვეთების ეპითეტი ან მეტაფორა, მაგ.:

„ცვარი, თითქოს, წმინდა მარგალიტი არის,

მთვარე – მოჭიმული მშვილდი!“

(ვან ი ტაი, შუა საუკ. ჩინელი პოეტი)

მაგრამ!

აღმოსავლურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ისეთ „საჩოთირო“ ეპიზოდებს, რომელთაც საბჭოთა (და, მათ შორის ქართული) მეცნიერბა, უმეტეს შემთხვევაში, „მორცხვი“ დუმილით, კომენტარების გარეშე უკლიდა გვერდს. ასე, მაგალითად:

„იქვე ეწერა: ასეთია

განგების ნება –

როცა ეს ვაჟი წამოჰყოფს თავს

ქვეყნის მპყრობელი,

შვიდი სამეფოს შვიდი მეფის

შვიდ ლამაზ ასულს

გულში ჩაიკრავს ის ობოლი მარგალიტივით...“

ნიზამი განჯელი, „ბაპრამ გური“

ალბათ, ცხადია, რომ ეპითეტი „ობოლი მარგალიტივით“ აქ სრულიად არაორაზროვნადაა გამოყენებული „შვიდი ლამაზი ასულის“ მიმართ!

– კი მაგრამ, საჩოთიროს აქ რას ხედავთო, – იკითხავთ.

საქმე იმაშია, რომ ნიზამი შემდეგ უფრო შორს „მიტოპავს“:

„ნოყმანი, შვილი იემენის

მეფის – მონზერის,  
ტახტისთვის მებრძოლს ამოუდგა  
ბაპრამ-გურს გვერდში.  
მიართვა ბაპრამს ლაშქრობისთვის  
ურიცხვი განძი;  
იმდენი იყო მარგალიტი –  
ვინ გახვრეტდა მათ!“,

ხოლო ამ საქმაო დბუნდოვანი პასაჟის შემდეგ კი (აქ, გულუბრყვილო მკითხველმა, შეიძლება, გაიკვირვოს კიდეც: „მარგალიტების გახვრეტა რაღა მეფეთა სადარდებელი იყოო, ვითომ!“) ნიზამი უკვე ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე გვიცხადებს, რომ:

„როგორც კი ქალაქს მიატანა,  
სიტყვის პატრონმა  
გვირგვინი ისკვნა თავის გულის  
სასურველ ქალთან:  
...გახვრიტა მარჯნით მარგალიტი გაუხვრეტელი!  
– თევზმა ჩათვლიმა, როცა ჩიტმა  
გამოიღვიძა...“

(იქვე)<sup>1</sup>

...საერთოდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეროტიზმი, მეტ-ნაკლები სიმბაფრის ეროტიკული სურნელი შუა საუკუნეების – განსაკუთრებით, რენესანსის ეპოქის – პოეზიისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი, იქნებ ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაც კი იყო. მითუმეტეს, რომ ცხოვრებისული პერიპეტიიების აღწერისას თვით დიდი პოეტებიც კი ჩვენთვის (სულ ცოტა ხნის წინ!) საკმაოდ უჩვეულო ნატურალიზმს უყოყმანოდ მიმართავდნენ, რათა მათ მონაყოლს ხელოვნურობის ჩრდილი ზომაზე მეტად არ მისდგომოდა და მას დამაჯერებლობა არ დაეკარგა; გავიხსენოთ, თუნდაც, სულისშემცველი სცენა „ვეფხისტყაოსნიდან“:

„დავარ მოსთქმიდა სიტყვათა, რომელნი არა მსმენოდეს:  
– ბოზო, შე ბოზო, რად მომკალ? ვეჭვ, შენც არა გლხენოდეს!  
როსკი ბო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?  
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?“  
.....  
ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოუქლუშნა...“

(575, 576, 577)

და ა. შ., ა. შ.

...თუმცალა, „რადღა ვაგრძელებ სიტყვასა – უამია შემოკლებისა“: ცხადია, რომ ზემოომოყვანილ ეპიზოდებში (ლაპარაკია „ბაპრამ გურიდან“ მოყვანილ ეპიზოდებზე) მარგალიტი – ქალის მეტაფორაა, თანაც საკმაოდ დაკონკრეტებულია (აქ, ყოველ შემთხვევაში, მანდილოსნებთან ბოდიშს მოვიხდი!): გაუხვრეტელი მარგალიტი – ქალწული ყოფილა, გახვრეტილი მარგალიტი კი – დედაკაცი!

იმის დამადასტურებელ მაგალითებს, რომ ეს – ასეა (და არა მხოლოდ ნიზამი განჯელთან), დაინტერესებული მკითხველი, ვფიქრობ, საკმაოდ მოიძევებს სპარსულ-არაბულ ლიტერატურაში, და არა მხოლოდ იქ: ჩვენს დიდ პოეტს – დავით გურამიშვილსაც, მაგალითად, მიაჩნია, რომ

„ნამუსიანად მქცეველი ქალი  
არს მარგალიტი, ძეირფასი თვალი!“...

როგორცა სჩანს, სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი (თუ საბაბი) იმისა, რომ ზოგიერთ მკლევარს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ჩვენი პოემის ერთი ეპიზოდისათვის, კერძოდ: იქ, სა-დაც ტექსტის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი მოყმის საძებნელად წასული ავთანდილის პირველი შემოქცევისას, თინათინთან მისი პირისპირ შეყრის დროს, ამ რაინდს „ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულებრივი მისი საწადელი!“ (სტრ. 707), თითქოსდა, იგულისხმება, რომ მან საკუთარი თავი, საკუთარი ქალწულობა „მიჯნურს!“

ყოველივე ზემოომულიდან გამომდინარე, ასეთ ინტერპრეტაციას უდავოდ აქვს გარეგნული თეორიული საფუძველი – მით უფრო, რომ აღნიშნულ ეპიზოდს საკმაოდ „გამჭვირვალე“ პასაჟიც მოსდევს:

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,

ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს...“

(708)

(ან კი, მართლაცდა, რა უნდა იყოს გასაკვირი იმაში, თუკი მიჯნურთა ისყვარული, ბოლოს და ბოლოს, მათი ფიზიკური სიახლოვით დაგვირგვინდა?! ალბათ, არაფერი...)

მაგრამ!

აქ არის ერთი მომენტი – თითქმის შეუმჩნეველი და, ალბათ, ამიტომ – ყურადღების მიღმა დარჩენილი შტრიხი: ავთანდილს „ქალმან მისცნა მარგალიტნი“ და არა „მარგალიტი“, ანუ: ნახმარია მრავლობითი ფორმა ამ სიტყვისა, რაც – თუკი აქ კონკრეტულ ქალზე, ან მის ქალწულობაზეა საუბარი, – სრულიად უადგილოა!

ესეც ვიფიქროთ ბარემ: იქნებ გადაწერისას, რედაქტირებისას, ან ბეჭდვის დროსაა გაპარული შეცდომა (და, ე. ი., უნდა იყოს „მარგალიტი“ და არა „მარგალიტნი“, როგორც ეს ტექსტშია), ან, იქნებ, თვით ავტორი გვიბნევს შეგნებულად გზა-კვალს, როგორც ამას არაერთხელ სჩადის?!

მაგრამ – არა! ყველაფერი სწორია, რაღაც მოგვიანებით, შინ დაბრუნებული „ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების, მაგრა ახლავს გონებითა, სყვარელსა არ მოსწყდების,

.....

მან მარგალიტნი მოიხენა, მის მზისა სამეყვისონი, მის მზისა მკლავსა ნაბამნი, პირსა დაიდვა, აკოცა; ცრემლი სდის, ვითა ბისონი...“

(714, 716)

და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქაც – „მარგალიტნია“, თანაც „მის მზისა მკლავსა ნაბამნი“ (სამაჯური ყოფილა!), ასე რომ – შეცდომა გამორიცხულია: „ქალმან მისცან მარგალიტნი“, სწორედ „მარგალიტნი“!

და – რა გამომდინარეობს აქედან?

რად „დავშვრით ესე“?

ნუთუ მავანთა „გასაკრიტიკებელ-განსაქიქებლად“, როგორც ეს ზოგიერთს კვლავ შეიძლება მოეჩვენოს?

არა, რა თქმა უნდა!

მაშ, რატომ, რისთვის?

...ვფიქრობ, ჩემი დასკვნა მთლად მოულოდნელი აღარ აღმოჩნდება მკითხველისათვის: ვერსია „ქალი არს მარგალიტი“ (დავით გურამიშვილისეული ფორმულა) – „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში! – მცდარია, მაგრამ – მცდარია მხოლოდ ნაწილობრივ!

ანუ: იგი მცდარია, როგორც საბოლოო ვარიანტი; მაგრამ, ამასთანავე, სწორედ ეს მნიშვნელობა „ბერად-საჩხრეკი“ სახე-სიმბოლოსი წარმოადგენს – თუმცა შუალედურ, მაგრამ – უმნიშვნელოვანეს რგოლს იმ ლოგიკური ჯაჭვისა, რომელსაც მის კიდევ ერთ მნიშვნელობამდე მივყავართ...

# ოცდამეცხრე საუბარი სუვიაზე

## „მარგალიტი“

### – სუვიური ვერსია –

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს!“  
მარკოზი (4.22), ლუკა (8.17)

„თქმულა: სიწყნარე გმობილი – სჯობს სიჩქარესა ქე-  
ბულსა!“ (1339)

„ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი!“  
(1447) „ვეფხისტყაოსანი“

ჩვენს ბოლო საუბარში („მარგალიტი“: „ვერსიები“, „ახ. განათლება“, №35-36, 2002 წ.) განვიხ-  
ილე რა რამდენიმე ვარიანტი სიტყვა „მარგალიტი“-ს ეპიტეტ-მეტაფორად გამოყენებისა, დასკვნის  
სახით გამოვთქვი მოსაზრება, რომ ვერსია „ქალი არს მარგალიტი“ (დავით გურამიშვილის ეული  
ფორმულა) უნდა წარმოადგენდეს უმნიშვნელოვანეს შუალედურ რგოლს იმ ლოგიკური ჯაჭვისას,  
რომელსაც მის კიდევ ერთ მნიშვნელობამდე მივყავართ...

დიახ, ასე მცონია, და აი, რატომ:

გავიხსენოთ – სუფიური პოეზიის მთავარი თემა, ძირითადი მოტივი – სიყვარული გახლავთ,  
ცენტრალური ფიგურა კი – ამ სიყვარულის ობიექტი:

„საოცნებო სატრფო“, „სანატრელი ქალწული“, „მშვენიერი უცნობი ბანოვანი“, ...ანუ განზო-  
გადებულად, „ქალი“!

ხოლო!

რა „სიყვარულია“ ეს და რომელ „საოცნებო სატრფოზეა“ აქ საუბარი?

იგულისხმება: „ღვთაებრივი სიყვარული“ – პირდაპირი გაგებით, ანუ სიყვარული ღვთაების,  
ღმერთის, უზენაესის მიმართ!

აქედან გამომდინარე, „მარგალიტი“ – ღვთაების, ღმერთის, უზენაესის სახე-სიმბოლოცაა („მარ-  
გალიტი“ – „ქალი“ – ღმერთი).

მაგრამ...

არც ეს მნიშვნელობაა სიმბოლო!

...ღმერთი (ღვთაება, უზენაესი) – პირველსაწყისი და, ამდენად, განსახიერებაა ღვთაებრივ  
(უზენაეს, ჭეშმარიტი) სათნოებათა; ანუ: იგი თვითონაა:

უზენაესი, ჭეშმარიტი სიკეთე,

უზენაესი, ჭეშმარიტი სამართლიანობა,

უზენაესი, ჭეშმარიტი სიყვარული,

უზენაესი, ჭეშმარიტი სიბრძნე...

მეორე მხრივ, ღმერთი რჩება უზენაეს, უდიდეს საიდუმლოდ, რამეთუ იგი ყველგანაა და  
ყველაფერშია, მაგრამ, იმავდროულად, ყოველთვის უჩინარი რჩება ადამიანის თვალთაგან, „ღმერთი  
არასოდეს არავის უნახავს“ (გამოს. 33,20. I იოა., 4,12. I ტიმ., 6,16) იოანე, 1,18.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გვაქვს უფლება ვიგულისხმოთ, რომ  
„უზენაესი, ჭეშმარიტი სიკეთე“ – საიდუმლო სიკეთეა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სამართლიანობა“ – საიდუმლო სამართლიანობაა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიყვარული“ – საიდუმლო სიყვარული,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიბრძნე“ კი – საიდუმლო სიბრძნე!

ალბათ, ამიტომაც გვასწავლის ჩვენც, მის მოწაფეებს, ღმერთი განკაცებული – უფალი, მაცხ-  
ოვარი და უზენაესი მოძღვარი ჩვენი იესო ქრისტე:

„ერიდეთ სამართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად; თორემ ვერ მიიღებთ  
საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან.

ჰოდა, როცა მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ შენ წინაშე, როგორც თვალთმაქცი სჩადიან  
ამას სინაგოგებსა და ქუჩებში, რათა ხალხმა აქოს ისინი.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური!

შენ კი, როდესაც მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა!

რათა შენი მოწყალება დაფარულში იყოს!

და მამაშენი, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ!“

მათე, (6, 1-4)

...სოლო „დაფარული“ – ბიბლიური სინონიმია სიტყვისა “საიდუმლო“.

ასეთივე მნიშვნელობით იყენებს მას ‘ვეფხისტყაოსნის’ ავტორიც:

‘ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული;

ემასა უთხრა: – მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,

ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული?..“ (281)

‘...კარის მცველმან მონა უხმო, უთხრა საქმე დაფარული...“ (389)

‘შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰყადრა არმალული;

ერთსა რასმე მოგახსნებ: გამიცხადე დაფარული –

ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,

რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? –

თქვი, დავიღო მერმე სული!“ (892)

‘არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძნთა თქმულსა:

არ იხმარებ – რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (899)

‘ამ საქმესა დაფრულსა ბრძნი დივნოს გააცხადებს...“ (1486)

‘ტარიელცა დაიზახნა, დაფარული გააცხადნა“ (1583)

‘ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარული!“ (1447)

...რადგან ქმნა ჭეშმარიტი სიკეთისა (სახარებისეული ‘მოწყალების გაცემა’), აღსრულება ჭეშმარიტი სამართლიანობისა (სახელმწიფო. ‘სიმართლის კეთება’) და ხორცებს მარიტი სიყვარულისა (სახარება იოანესი, 14, 34: ‘...გიყვარდეთ ერთმანეთი! როვორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენ ისე გიყვარდეთ...!’, უპირველეს ყოვლისა, ყოველივე ამის ე. წ. ‘თეორიულ ცოდნასა’ და ‘პრაქტიკულ უნარს’ მოითხოვს, ანუ – ჭეშმარიტ ცოდნას, ჭეშმარიტ სიბრძნეს, – გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ ჩამოთვლილ სათნოებათაგან წარმოადგენს ერთგვარ შესაკრებელს დანარჩენებისას, ე. ი.

ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი სიბრძნე თავის თავში აერთიანებს, შეიცავს ყველა სხვა ღვთაებრივ სათნოებას – ჭეშმარიტ სიკეთეს, ჭეშმარიტ სამართლიანობას, ჭეშმარიტ სიყვარულს...

აი, სწორედ ამ ღვთაებრივ სათნოებათა შესაკრებლის – ჭეშმარიტი, საიდუმლო (დაფარული) სიბრძნის (იგივე ცოდნის, იგივე მოძღვრების) – ან, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლოა აქ – ‘მარგალიტი’!

‘ცათა სასუფეველი წააგავს საუნჯეს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს.

და კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს. როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, – წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და იყიდის მას!“

მათე (13, 44-45-46)

(ცხადია, აქ ‘სასყიდელში’ არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები უნდა ვიგულისხმოთ – თუმცა, პირველ რიგში, სწორედ ისინი, რადგან ‘ძნელია მდიდრისთვის სასუფეველში შესვლა... უმალ აქლემი გაძვრება ნეშისი ყინწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში’ – მათე (20, 23-24) – არამედ დახარჯული დრო და გაწეული შრომა: ‘მარგალიტი არვის მიპხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად’ (161).

...აქ, ვვიქრობ, კიდევ ერთი საკითხი უნდა დაზუსტდეს და, კერძოდ, აი რა:

ბავშვიც კი მიხვდება – მარგალიტები, რუსთველის ეპოქაშივე, მილიონობით თუ არა, ალბათ, ასეულ ათასობით მაინც მოიპოვებოდა, ჭეშმარიტი სიბრძნე, ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი მოძღვრება – ანუ, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტება კი ერთადერთი შეიძლება იყოს მხოლოდ!

და როგორ ებმის ერთმეორეს ეს ორი გარემოება?

პასუხი: ძალზე მარტივად!

‘ვეფხისტყაოსნის’ ტექსტის ყოველი მცოდნე იოლად გაიხსენებს, რომ თუკი თავიდან მისი ავტორი არ აკონკრეტებს მარგალიტების ზომა-წონა-რაოდენობას – სხვათა შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ სიტყვას აშკარად სუფიური ტექნიკური ტერმინის დატვირთვა აქვს, მაგალითად, სტრ. 83: ‘ზშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა’; სტრ. 707: ‘ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-

ქმნა მისი საწადელი“ – პოემის ფინალურ ნაწილში ქაჯეთის ციხის აღების შემდგომ ეპიზოდებში იგი საქმაოდ აშკარად, დემონსტრატიულადაც კი ხაზს უსვამს რაოდენობრივ მახასიათებელს:

‘იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა!“ (1461)

‘კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა“ (1553)

‘ცხრა მარგალიტი სიდიდით, მართ ვითა კვერცხი ბატისა“ (1459)

‘ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავმოდგმული“ (1554)

‘ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა“ (1361)

და ბოლოს, (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: უპირველეს ყოვლისა!):

‘ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელსაგოგმანები,

გპოვე და ლექსად გარდავთქი – საქმე ვქმენ საჭოჭმანები!“

ვფიქრობ, დიდი ახნა-განმარტება აღარაა საჭირო: ჭეშმარიტი სიბრძნის, ჭეშმარიტი ცოდნის, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო – სწორედ ეს ხელიხელსაგოგმანები ობოლი მარგალიტია, ანუ ისეთი მარგალიტი, რომლის ბადალი – ტოლი და სწორი მეორე – არსად მოიპოვება (ამიტომაცაა იგი ობოლი)!

...ხოლო სხვა მარგალიტები კი (დაღმავალი ხაზით ‘ოდენი ბურთისა საბურთალისა’, ‘სიდიდითა მართ ვითა კვერცხი ბატისა’, ‘მართ ვითა კვერცხი ტრედისა’, ‘მარგალიტი სვილი’, ‘უბრალოდ მარგალიტი’, ან ‘მარგალიტნი’) ჩვეულებრივი ცოდნის მარგალიტებია, ანუ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის (რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე) ჭეშმარიტებათა შემცველი საიდუმლოებებია, რომელთა განდობა ხდება ‘გზის’ სხვადასხვა ეტაპზე, როგორც მაძიებლის (მოწაფის, შეგირდის, მიურიდის), ისე მასწავლებლის (მოძღვრის, ოსტატის, მურშიდის) ცოდნა-კვლიფიკაციის შესაბამისად...

კიდევ ერთი რამ: ხებისმიერი ცოდნა – თავისთავად დიდი ძალაა, მძლავრი იარაღია მის ხელში, ვინც მას ფლობს. მით უმეტეს – ჭეშმარიტი სიბრძნე, უზენაესი ჭეშმარიტება – ‘ობოლი მარგალიტი’! ეს დიდი სიკეთე აუცილებლად, ასევე, დიდ ბოროტებად იქცევა უკეთურთა ხელში! ამიტომაც გვმოძღვრავს მაცხოვარი მის მესავთ:

‘ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ!

ვინაიდან ყოველი, ვინც ითხოვს – ღებულობს, ვინც ეძებს – პოულობს, და ვინც აკაკუნებს – გაელება“.

მათე (7,7-8)

მაგრამ:

‘ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს, და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა: ფეხებით არ გათელონ ისინი, არ მოგიბრუნდნენ და თქვენც არ დაგელიჯონ!“

მათე (7,6)

(საფიქრებელია, რუსთველსაც ამიტომ მიაჩნია, რომ ‘საქმე ჰქმნა საჭოჭმანები’!).

ამრიგად: როგორც ასეთი, მარგალიტი საზოგადოდ, სიბრძნის, ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო ყოფილა – იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის ‘(და)ფარულია’; იგი არ ბრწყინავს – მოკრძალებულად ელგარებს მხოლოდ, მაგრამ მაინც გონებისწამდებად მშვენიერია, როგორც თვით მარგალიტი; ამასთანავე, იგი ყოველთვის მარტივია და უბრალო – როგორც ქვიშის მარცვალი, ამ მარგალიტის გულში რომ გაყურსულა! (აქედან – მოარული გამოთქმაც: ‘მარტივი, როგორც ჭეშმარიტება!’).

...უნდა ვაღიარო: ბევრი კი ვიწვალე და თქვენც დაგდალეთ, მაგრამ, მგონია, ‘ამაოდ დავშვრი’ მარგალიტის ამგვარი ინტერპრეტაციის პირველადმომჩენობას (ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს) ვერ დავიჩემებ; აი, ნახეთ:

‘ყოფნა-რაყოფნის საიდუმლო – აუხსნელია,

ეს მარგალიტი – კაცის ხელით აუსხმელია!

ბევრი რამ თქმულა, რომ აეხსნათ გონების ძალა,

მთავარი მაინც – დაფარული და უთქმელია!“

ნიზამი განჯელი, ‘ბაჟრამ-გური’

მგონი, ამავე ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს დაექტებდა სულხან-საბა ორბელიანიც – სან მშვიდად და დინჯად:

‘მოცდის ნავი ნაღვლის ზღვასა შევაცურე სარგებელად, ან დავითქმი, ან – მარგალიტს ამოვილებ, ვიგდებ ხელად!“

სან ფიცხლად და გაშმაგებით:

ჩავიჭრა ოკეანესა – ზღვის ფსკერმა სწრაფად მიტია,  
ანუ სრულიად დავინთქა, ან – ვპოვო მარგალიტია!“

და ბოლოს: პატივცემულ აღ. პაპავას კვლევის მეთოდს დავესესხები სიტყვა ‘მარგალიტი’ ჩვენს პოემაში მოხსენიებულია სულ 33-ჯერ! აქედან 9-ჯერ – როგორც ‘ჭეშმარიტების საიდუმლოს’, გნებავთ, ‘საიდუმლო ჭეშმარიტების’ (საიდუმლო სიბრძნის, საიდუმლო ცოდნის) აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი.

ალბათ, უკვე გასაგებია – რატომაც.

P.S. მინდა, მკითხველს ჩემი პატარა სიხარული გავუზიარო:

ალბათ, გემახსოვრებათ, ერთ-ერთ საუბარში გამოვთ ვი მოსაზრება, დიდი ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთ ცნობილ ტილოზე (‘ბანოვანი ყარყუმით’) გამოსახულია-მეტე არა რომელიმე კონკრეტული, ხორციელი ქალბატონი, არამედ ‘ქალი’ (‘საოცნებო სატრფო’, ‘სანატრელი ქალწუხლი’, ‘შშვენიერი უცნობი’...) – როგორც სახე-სიმბოლო კონკრეტულად ღმერთისა, ღვთაებისა და, საზოგადოდ, უზენაესი სიბრძნისა – სუფიზმისა. ხოლო ყარყუმი – სახე-სიმბოლოა ღვთით განბრძნობილი, გასხივოსნებული ადამიანისა, ‘ოქროსთავიანი და ოქროსგულა’ კაცისა – სუფიისა.

ამას რომ ვწერდი, მე არ შემეძლო დავყრდნობოდი რაიმე დოკუმენტურ მასალას, რადგან ასეთი მასალის არსებობა მაშინ არ იყო ცნობილი.

მაგრამ – მოხდა საოცნება! ‘კვირის პალიტრის’ 11-17 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია ‘ლეონარდო და ვინჩი მონად დაბადებულა’, რომელშიც მოკლედა გადმოცემული იტალიულ მეცნიერთა სულ ახალი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც აღასტურებს, რომ დედამისი – მონა იყო, რომელიც და ვინჩის მამამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯვაროსნული მოგზაურობის შემდეგ წამოიყვანა... 1452 წელს, და ვინჩის დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მამამისმა მხატვრის დედა, კატერინა, ცოლად გააყოლა თავის მსახურს. თუმცა, ახალი ოჯახის შექმნის მიუხედავად, კატერინა აგრძელებდა ბიჭთან ურთიერთობას: აწავლიდა მას მათემატიკის საფუძვლებს, ფილოსოფიას (ალბათ, გასაგებია, თუ რა ფილოსოფიას! – „იდ.“), ხატვას... და ვინჩის შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ მის ინტერესს აღმოსავლური კულტურის მიმართ, აგრეთვე აღმოსავლური მოტივების არსებობას მის მხატვრულ და მუსიკალურ შედევრებში...

მიმაჩნია, რომ ეს აღმოჩენა, უდავოდ, მხარს უმაგრებს ჩემს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ყოველ შემთხვევაში, მის მეცნიერულ ასპექტს მაინც...

ჭეშმარიტად, „არვინ უწყიან გზანი უფლისანი“!

# ოცდამეათე საუბარი სუფიაზე „მშვეარე სახის რაინდი“

„...მ ბრძენმა, ვისაც ბედი ჩემთა ღვაწლთა აღწერას არგუნებს, საჭიროდ დაინახა, უწინდელ დროთა რაინდების მსგავსად, ჩემთვის რაიმე მეტსახელი მოეცა – როგორც, მაგალითად, ერთს ერქვა: მგზნებარე მახვილის რაინდი, მეორეს – მარტორქისა, მესამეს – ქალწულთა რაინდი, სხვებს კიდევ – ფენიქსისა, ფასკუნჯისა, ზოგს – სიკვდილისა და სხვა...“

ამ მეტსახელებით არიან ცნობილი ისინი მთელს ქვეყანაზე!

ამიტომაც ვფიქრობ, სანჩო, რომ ჩემმა მომავალმა ისტორიოსმა ჩაგაგონა, ეგ მეტსახელი – მწუხარე სახის რაინდი – გეწოდებინა ჩემთვის!

და მეც, ამიერიდან, ამ სახელს ვირქმევ...“

სერგანტესი, „დონ კიხოტი“

...ახლა ისევ იქ მივბრუნდეთ – „წყლისა პირსა“, სადაც პირველად შევავლეთ თვალი ჩვენს გმირს – გარიელს!

დიახ, მხოლოდ თვალი შევავლეთ, რადგან ეს ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა უამრავი კითხვა გაგვჩენოდა.

კერძოდ, გასარკვევი აღმოჩნდა, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს – რა თქმა უნდა, სუფიზმის პოზიციებიდან! – „უცხო მოყმე ვინმეს“ იმ ატრიბუტიკას, რომელზედაც ასე ხაზგასმითა და საგანგებოდ მიგვანიშნებს ავტორი: შავ ცხენს – რომელიც „სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“ (083), მარგალიტს – რომელიც „ხშირად ესხა... ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ (083), ვეფხის ტყავს – რადგან „მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ (084) და მის მათრახს – რომელიც „ნაჭედი“ და „უსხოსი მკლავისა“ ყოფილა! და – რა გავარკვეით?

ა. ტარიელი – სუფია („ვეფხივ“ სუფიზმის, სუფიური მოძღვრების სიმბოლოა, შესაბამისად: ვეფხვის ტყავის მატარებელი, ვეფხვის ტყავით მოსილი ადამიანი, ანუ ვეფხისტყაოსანი – სუფიური მოძღვრების მიმღევარი, სუფიზმის ადეპტი, ანუ – სუფია! მაგრამ! სუფიაც არის და – სუფიაც...“

ბ. იმ ღროისათვის, როდესაც ჩვენ მას პირველად ვხვდებით, იგი – ჯერ კიდევ! – დერვიშია, ანუ მოხეტიალე სუფია (სპარს., თურქ., „დარვიშ“, არაბ. „ფაკირ“ – ღარიბ-ღატაკი, მათხოვარი, უპოვარი. – „ისლამი“, „ეციკლოპედიური ცნობარი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1999). თუმცა, უკვე სუფიური გზის („ტარიეკა სუფია“) ამ ეტაპის – „ყარიბობის ეტაპის“ – უკანასკნელ მონაკვეთზე – სიბრძნის მონაკვეთზე – გასული (სიმბოლო: „შავი ცხენი“, ყარიბობის ეტაპს მაძიებელი თეთრ ცხენზე ამხედრებული იწყებს): იგი აბსოლუტურად ფლობს საკუთარ „მე“-ს – მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს თავის ვნებებსა და ემოციებს (სიმბოლო: მათრახი) და სუფიური მოძღვრების არაერთ საიდუმლოსაა ნაზიარევი (სიმბოლო: მარგალიტი, რომელიც „ხშირად ესხა“).

მათ, ვინც გულისყურით ეცნობოდა ჩვენს წინა საუბრებს, ვფიქრობ, არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, თუ, რაღა მაინცდამანც „წყლისა პირსა“, „ჯდა მტირალი“ მოყმე, ან კიდევ – რა „ატირებდა“ ადამიანს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს საკუთარ ვნებებსა და ემოციებს (?): ადრე, როგორდაც, უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ „წყლი“ საზოგადოდ (ოკეანე, ზღვა, ტბა...) – ცხოვრებაა, წუთისოფელი: „მიმღინარე წყალი“, „წყლის დინება“, ე. ი. „მდინარე“ კი, შესაბამისად, წუთისოფელის მდინარებას აღნიშნავს, ანუ, უბრალოდ, ლილ-ს! რაც შეეხება ტირილს, ცრემლთა ღვრას – იგი უზენაესის გამდაფრებულ მისტიურ წვდომაზე მიუთითობს...

უფრო გასაგებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი: როსტევანი, ავთანდილი და მათი მხლებლები მოულოდნელად წაადგნენ თავს დერვიშს (მოხეტიალე სუფიას), რომელიც აქ – ამ მიყრუებულ და უკაცრიელ ადგილას – სრულ მარტობაში მყოფი, ღროს უზენაესის გამდაფრებულ მისტიურ წვდომაში ატარებდა, ანუ... მედიტირებდა! იგი მისტიურ ექსტაზში მყოფი ღვრიდა ცრემლებს და

მისი ეს ცრემლები – სასოწარკვეთილებისა კი არა, ღვთაებრივი ნეტარების ცრემლები იყო!

სწორედ ეს მდგომარეობაა აღწერილი ფრაზით:

„სხვაგან ქრის მისი გონება – მისმა თავისა წონამან!“ (088)

ამიტომაც იყო, რომ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, როსტევანის წარგზავნილმა მონამ მას ვერაფერი შეასმინა:

„იგი ტირს და არა ესმის მისგან – გაუუმეცარდა!“ (086)

„მის მონასა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი!“ (087) და ა. შ.

ის კი არადა, მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოახლოებაც კი ვერ გაუგია:

„მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი!“ (087)

საგულისხმოა, რომ უცხო მოყმის უცნაური სულიერი მდგომარეობა როსტევანის მიერ წარგზავნილი მონის მხრივ სრულიად ადეკვატურ რეაქციას იწვევს: მას, ახლოს მისულს, „მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად“ (085), რადგან „დიდხანს უჭვრეტს გაკვირვებით“ (086). მეფის შათირი საკმაოდ სწრაფად გაერკვა სიტუაციაში – იგი მიხვდა, თუ ვისთან პქონდა საქმე და, ამიტომაც, „გული უმაგარდა“ (086); თანაც, შემდგომი საუბარი, უაზრობისა გამო, აშკარად ზედმეტად მიიჩნია:

„ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა!“ (086)

მაგრამ, სამსახური სამსახურია, ბრძანება – ბრძანებაა და ისიც მოვალეობას ბოლომდე იხდის: „მოახსენა: „გიბრძანებსო!“ – ახლოს მიდგა, დაუწყნარდა...“ (086)

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, – არავითარი შედეგი:

„არცა დააგდო ტირილი, რაცა რა გაიგონა მან,

არცა გახლიჩა ბაგეთათ, თავი ვარდისა კონამან!“ (088)

ამიტომაც „ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მანამან!“ (088)  
და: „რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა“ (089)

ალბათ, გასაგებია, რომ ჩვეუელბრივი ტირილი ასე უგრძნობელს ვერ გახდიდა ადამიანს – თანაც ისეთს, როგორიც ჩვენი გმირი გახლავთ. აი, მედიტაციიდან გამოსასვლელად, გონს მოსასვლელად, აქვეყნად მოსაბრუნებლად კი – ნებისმიერ ადამიანს აუცილებლად სჭირდება გარკვეული დრო, ან – ძლიერი გამაღიზიანებელი!

...ბანაკში მიბრუნებული მეფის ეჯიბი აშკარად ცდილობს სიტუაციის განმუხტვას – ვითომ სხვათა შორის: „როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა“-ო! (089). თანაც, უწინარეს ყოვლისა, ბოდიშს იხდის დაგვიანების გამო (ვითომ, ეს იყოს მთავარი!):

„ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ზანი მუნ, და...“ (089)

და არც შთაბეჭდილებას მალავს, მტირალ ვეფხისტყაოსან მოყმეს რომ მოუხდენა მასზე:

„თვალი მზეებრ გამირეტნა, გული მეტად შემიძრწუნდა“ (089)

– მოახსენებს თავის მბრძანებელს...

მაგრამ – ამაო ყველაფერი: გულდინჯი ადამიანი, ალბათ, გაანალიზებდა მიღებულ ინფორმაციას, მოწყალედ ჩაიცინებდა დერვიშის ამ უცნაურობაზე და შეეშვებოდა საწყალ ყარიბს, მაგრამ – არა როსტევანი!

შემდეგაც არაერთხელ დავრწმუნდებით მეფეთა მეფეს ერთობ დიდი, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ პერსონაზე, მისი სიამაყე ამპარტვანებასა და თავკერძობაში გადადის, სიფიცხე კი ყოველთვის აფექტის ზღვრამდეა მისული! ამ შემთხვევაშიც იგი, ფაქტობრივად, არც კი უსმენს თავის შათირს – მისთვის ისაა მთავარი, რომ მისი ბრძანება არ სრულდება: ვიღაც ყარიბი, საწყალი მარტოკაცი ბედავს და ქედს არ იხრის მისი – როსტევანის! – დიდებულის წინაშე!!!

„მეფე გაპკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე,

გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,

უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,

მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!!!“ (090)

აი, სწორედ ამ თორმეტი მონის იარაღის ულარუნი აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში, ის ძლიერი გამაღიზიანებელი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, „ამ ქვეყანას მოაბრუნა“, გამოაზიანებლა ჩვენი გმირი:

„...მაშინდა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმდუღარია,

თვალი მოარნა ყოველგნით, ნახა ლაშქართა ჯარია,

ერთხელ ესე თქვა: „ვაი, მეო“, სხვად არას მოუბარია.

თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,

ხმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა“ (091-092)

და... მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიურ შემთხვევებში ასეთი ძლიერი გამაღიზიანებლის ზემო-

ქმედება მძაფრ, ხშირად მძვინვარე უკურეაქციასაც კი იწვევს, მან მაინც შეძლო თავის შეკავება:

„...ცხენსა შეჯდა — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! —

სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა!“ (092)

აშკარაა: ვეფხისტყაოსანი მოყმე მშვიდობიანი ადამიანია, მას არავისგან არაფერი უნდა, ერთი რამის გარდა — თავი დაანებონ, მარტოობა აცალონ! აკი მოვინანებით, ავთანდილთან საუბარში, იგი ნაღვლიანად იხსენებს კიდეც ამ გაუგებრობას და გაკვირვებას ვერ მაღავს:

„რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანეთსა რითა ვჰგვანდით?

თქვენ — მორჯვულნი სთამაშობდით,

ჩვენ — მტირალნი ღაწვთა ვბანდით...“ (290)

ასეთ ფონზე როგორც როსტევანის საქციელი, ისე მის მონათა მოქმედებაც ცალსახად აღიქმება, როგორც თავხედობა, როგორც აგრესია და, თანაც, აგრესია ყოვლად გაუმართლებელი, არაპროვოცირებული. ხოლო ასეთი აგრესია არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს, მას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი — ამას მოითხოვს რაინდული ლირსების კოდექსი! და ეს „პასუხიც“ არ აგვიანებს:

„მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად —

მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:

ჰქონდეთ ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელაუკყრობელად.

ზოგსა გარდაჰქონის მათრახი იქვე მკრდამდის გასაპობელად!“ (093)

როსტევანი, რომლის თვალწინ მოხდა ეს ყველაფერი, ცხადია, მიხვდებოდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ მან უკან დასახევი გზაც თვითონვე მოიჭრა; ამიტომ იგი ვეღარ ჩერდება:

„მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა!“ (094)

ხოლო ეს ლაშქარნი, როგორც გვახსოვს, „უფროსნი ბზეთასა“ ყოფილან! მაგრამ... ყმამ

„მდევართა მოწევნამდის არ უჭვრიტა, არცა ნახა,

რაზომნიცა მიეწივნეს — ყოვლი მკვდართა დაასახნა:

კაცი კაცსა შემოსტყორცნა! — როსტან ამად ივაგლახნა...“ (094)

ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რომ ყოველივე ამას ვეფხისტყაოსანი მოყმე თითქოსდა ძალდაუტანებლად, უხალისოდ, აგრესიულობის გარეშე სჩადის. იგი კვლავინდებურად ცდილობს, მხოლოდ გაერიდოს ამ „ხალხმრაგალ ადგილს“, თანაც ამასაც მეფური სიდინჯით, აუჩქარებლად აკეთებს. მის წასვლას, გაცევას ვერანაირად ვერ უწოდებ:

„იგი ლაღი და უკადრი! — მივა ტანისა მრხეველად,

ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად!“ (095)

წამოწეულ მდევრებს კი იგი, მათგან თავმობეზრებული, მართლაც რომ ბუზებსავით ხოცავს!

ვფიქრობ, ამ უცნაური მოყმის სწორედ ასეთმა პასიურმა, უხალისო, არააგრესიულმა აგრესიაზ გააბედინა თვით როსტევანს (და ავთანდილსაც) ამ კონფლიქტში აქტიურად ჩაბმა (თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მათ სხვა გზა არც დარჩენოდათ), და

„შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად“ (095)

მაგრამ ვეფხისტყაოსანმაც, უკვე საბოლოოდ გონს მოსულმა და გამოფხიზლებულმა, თავის მხრივ, „შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანამდეველად“ (095) და...

რა მოხდა შემდეგ?

ის, რაც შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო აშკარას ხდის იმას, რომ ჩვენს ვეფხისტყაოსანს არანაირი „ავი ზრახვები“ არ გააჩნია, მას არავისგან „არა უნდა რა“! უფრო მეტიც: იგი აშკარად პატივისა სცემს როსტევანის ჭალარას და მასთან პირისპირ შეყრას სწორედ ამიტომ გაურბის (თუმცა, მოგვიანებით, ავთანდილს სხვა, მისი მხარისათვის უფრო „მისაღებ“ და „საპატიო“ მიზეზს უსახელებს: „...რა პატრონი შენი ვნახე, / ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე“/291/):

„რა ცან, მეფე მოვიდაო, ჰქონა მათრახი მისსა ცხენსა,

მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა...“ (096)

...დასაწყისში, როგორდაც, მოგახსენეთ უკვე, რომ პოემაში აღწერილი მოვლენები მე რეალურ ისტორიულ ფაქტებად მიმაჩნია, მასში მონაწილე ადამიანები, ასევე, რეალურ ისტორიულ პიროვნებებად, ხოლო ჩვენი ავტორი — ყოველივე ამის თვითმხილველად და მიუკერძოებელ მოწმედ და მემატიანედ. ახლა ვიტყვი: ამას მაფიქრებინებს არა მარტო სკრუპულობურად აღწერილი უამრავი წვრილ-წვრილი დეტალი და გარემობა, მეტყველებისა და მოქმედების თანმდევი ფსიქოლოგიური შტრიხები, არამედ — აქა-იქ, თითქოსდა, სხვათაშორის, „შემთხვევით“ ნაპერწკალივით „გაკვესებული“ ფრაზები, როგორიცაა ზემოთ მოყვანილ 096-ე სტროფში: „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“ —

და არა „მათსა“, ან „მისსა“ (ასეთივე ფრაზა გვხვდება თინათინის კორონაციის შემდეგომ გამართული ნადიმის აღწერის ფინალშიც: ‘...გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ გავიხარენით!“ /070/). ანალოგიურ მინიშნებებს, აღწერილ ამბებში პოეტის აქტიური მონაწილეობის შესახებ, პოემის სხვა ეპიზოდებშიც არაერთხელ შევხვდებით...

მაშ, ასე: გაქრა კაცი!

თანაც ისე, რომ:

„ჰეგვანდა ქვესკნელ ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა: ექებდეს და ვერ პპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა!“ (096)

„კვალი ძებნეს და უკვირდა ვერპოვნა ნაკვალევისა, აგრე პირწმინდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა..!“ (097)

აი, ასე ეფექტურად გამოჰყავს პირველად „სცენაზე“ დიდ პოეტსა და დრამტურგს (დიახ, დიდ დრამატურგს! არ ვიცი რატომ ვერ ხედავენ ამას ჩვენი რეჟისორები!) თავისი შედევრის ცენტრალური ფიგურა, პირობითი სახელით „ტარიელი“!

რატომ ვთვლი, რომ ეს სახელი პირობითია? ან ვინ შეიძლება იყოს ნაგულისხმევი „ტარიელში“? ამის შესახებ – მოგვიანებით...

„ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული;

ყმასა უთხრა: – მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული, ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული?..“ (281)

„...კარის მცველმან მონა უხმო, უთხრა საქმე დაფარული...“ (389)

„შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰყადრა არმალული;

ერთსა რასმე მოგახსენებ: გამიცხადე დაფარული –

ეგე სამხრე მისული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,

რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? –

თქვი, დავიღო მერმე სული!“ (892)

„არას გარებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა:

არ იხმარებ – რა ხელსა ჰქინი საუნჯესა დაფარულსა?“ (899)

„ამ საქმესა დაფრულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს...“ (1486)

„ტარიელცა დაიზახნა, დაფარული გააცხადნა“ (1583)

„ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარული!“ (1447)

...რადგან ქმნა ჭეშმარიტი სიკეთისა (სახარებისეული „მოწყალების გაცემა“), აღსრულება ჭეშმარიტი სამართლიანობისა (სახელმწიფო „სიმართლის კეთება“) და ხორცების ჭეშმარიტი სიყვარულისა (სახარება იოანესი, 14, 34: „...გიყვარდეთ ერთმანეთი! როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენ ისე გიყვარდეთ...!“), უპირველეს ყოვლისა, ყოველივე ამის ე. წ. „ოთორიულ ცოდნასა“ და „პრაქტიკულ უნარს“ მოითხოვს, ანუ – ჭეშმარიტ ცოდნას, ჭეშმარიტ სიბრძნეს, – გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ ჩამოთვლილ სათნოებათაგან წარმოადგენს ერთგვარ შესაკრებელს დანარჩენებისას, ე. ი.

ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი სიბრძნე თავის თავში აერთიანებს, შეიცავს ყველა სხვა ღვთაებრივ სათნოებას – ჭეშმარიტ სიკეთეს, ჭეშმარიტ სამართლიანობას, ჭეშმარიტ სიყვარულს...

აი, სწორედ ამ ღვთაებრივ სათნოებათა შესაკრებლის – ჭეშმარიტი, საიდუმლო (დაფარული) სიბრძნის (იგივე ცოდნის, იგივე მოძღვრების) – ან, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლოა აქ – „მარგალიტი“!

„ცათა სასუფეველი წააგავს საუნჯეს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიღის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს.

და კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს. როდესაც იპოვის ერთ მვირფას მარგალიტს, – წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და იყიდის მას!“

მათე (13, 44-45-46)

(ცხადია, აქ „სასყიდელში“ არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები უნდა ვიგულისხმოთ – თუმცა, პირველ რიგში, სწორედ ისინი, რადგან „ძნელია მდიდრისთვის სასუფეველში შესვლა... უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყინწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“ – მათე (20, 23-24) – არამედ დახარჯული დრო და გაწულები შრომა: „მარგალიტი არვის მიჰქვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (161).

...აქ, ვფიქრობ, კიდევ ერთი საკითხი უნდა დაზუსტდეს და, კერძოდ, აი რა:

ბავშვიც კი მიხვდება — მარგალიტები, რუსთველის ეპოქაშივე, მილიონობით თუ არა, აღნათ, ასეულ ათასობით მაინც მოიპოვებოდა, ჭეშმარიტი სიბრძნე, ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი მოძღვრება — ანუ, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტება კი ერთადერთი შეიძლება იყოს მხოლოდ!

და როგორ ების ერთიმეორეს ეს ორი გარემოება?

პასუხი: ძალზე მარტივად!

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ყოველი მცოდნე იოლად გაიხსენებს, რომ თუკი თავიდან მისი ავტორი არ აკონკრეტებს მარგალიტების ზომა-წონა-რაოდენობას — სხვათა შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ სიტყვას აშკარად სუფიური ტექნიკური ტერმინის დატვირთვა აქვს, მაგალითად, სტრ. 83: „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“; სტრ. 707: „ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი“ — პოემის ფინალურ ნაწილში ქაჯეთის ციხის აღების შემდგომ ეპიზოდებში იგი საკმაოდ აშკარად, დემონსტრატიულადაც კი ხაზს უსვამს რაოდენობრივ მახასიათებელს:

„იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა!“ (1461)

„კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა“ (1553)

„ცხრა მარგალიტი სიდიდით, მართ ვითა კვერცხი ბატისა“ (1459)

„ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავმოდგმული“ (1554)

„ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა“ (1361)

და ბოლოს, (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: უპირველეს ყოვლისა!):

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელსაგოგმანები,

გპოვე და ლექსად გარდავთქი — საქმე კქმენ საჭოჭმანები!“

ვფიქრობ, დიდი ახნა-განმარტება აღარაა საჭირო: ჭეშმარიტი სიბრძნის, ჭეშმარიტი ცოდნის, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო — სწორედ ეს ხელიხელსაგოგმანები ობოლი მარგალიტია, ანუ ისეთი მარგალიტი, რომლის ბადალი — ტოლი და სწორი მეორე — არსად მოიპოვება (ამიტომაცაა იგი ობოლი)!

...ხოლო სხვა მარგალიტები კი (დაღმავალი ხაზით „ოდენი ბურთისა საბურთალისა“, „სიდიდითა მართ ვითა კვერცხი ბატისა“, „მართ ვითა კვერცხი ტრედისა“, „მარგალიტი სვილი“, „უბრალოდ, მარგალიტი“, „ან, მარგალიტნი“) ჩვეულებრივი ცოდნის მარგალიტებია, ანუ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის (რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე) ჭეშმარიტებათა შემცველი საიდუმლოებებია, რომელთა განდობა ხდება „გზის“ სხვადასხვა ეტაპზე, როგორც მაძიებლის (მოწაფის, შეგირდის, მიურიდის), ისე მასწავლებლის (მოძღვრის, ოსტატის, მურშიდის) ცოდნა-კვლიფიკაციის შესაბამისად...

კიდევ ერთი რამ: ნებისმიერი ცოდნა — თავისთავად დიდი ძალაა, მძლავრი იარაღია მის ხელში, ვინც მას ფლობს. მით უმეტეს — ჭეშმარიტი სიბრძნე, უზენაესი ჭეშმარიტება — „ობოლი მარგალიტი“! ეს დიდი სიკეთე აუცილებლად, ასევე, დიდ ბოროტებად იქცევა უკეთურთა ხელში! ამიტომაც გვმოძღვრავს მაცხოვარი მის მესავთ:

„ითხოვეთ და მოგეცემათ; ექბეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგედებათ!

ვინაიდან ყოველი, ვინც ითხოვს — ღებულობს, ვინც ექბს — პოულობს, და ვინც აკაკუნებს — გაედება“.

მათე (7,7-8)

მაგრამ:

„ნუ მისცემთ წმიდას ძალლებს, და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა: ფეხებით არ გათელონ ისინი, არ მოგიბრუნდნენ და თქვენც არ დაგელიჯონ!“

მათე (7,6)

(საფიქრებელია, რუსთველსაც ამიტომ მიაჩნია, რომ „საქმე ჰქმნა საჭოჭმანები“!)

ამრიგად: როგორც ასეთი, მარგალიტი საზოგადოდ, სიბრძნის, ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო ყოვილა — იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის „(და)ფარულია“; იგი არ ბრწყინავს — მოკრძალებულად ელვარებს მხოლოდ, მაგრამ მაინც გონებისწამლებად მშვენიერია, როგორც თვით მარგალიტი; ამასთანავე, იგი ყოველთვის მარტივია და უბრალო — როგორც ქვიშის მარცვალი, ამ მარგალიტის გულში რომ გაყურსულა! (აქედან — მოარული გამოთქმაც: „მარტივი, როგორც ჭეშმარიტება!“).

...უნდა ვაღიარო: ბევრი კი ვიწვალე და თქვენც დაგდალეთ, მაგრამ, მგონია, „ამაოდ დავშვრი“ მარგალიტის ამგვარი ინტერპრეტაციის პირველადმომჩენობას (ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს) ვერ დავიჩემებ; აი, ნახეთ:

„ყოფნა-რაყოფნის საიდუმლო — აუხსნელია,

ეს მარგალიტი – კაცის ხელით აუსხმელია!  
ბევრი რამ თქმულა, რომ აეხსნათ გონების ძალა,  
მთავარი მაინც – დაფარული და უთქმელია!“

ნიზამი განჯელი, „ბაჰრამ-გური“

მგონი, ამავე ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს დაეძებდა სულხან-საბა ორბელიანიც – ხან მშვიდად  
და დინჯად:

„მოცდის ნავი ნაღვლის ზღვასა შევაცურე სარგებელად,  
ან დავითქმი, ან – მარგალიტს ამოვიღებ, ვიგდებ ხელად!“

ხან ფიცხლად და გაშმაგებით:

„ჩავიჭრა ოკეანესა – ზღვის ფსკერმა სწრაფად მიტია,  
ანუ სრულიად დავითქა, ან – ვპოვო მარგალიტია!“

და ბოლოს: პატივცემულ ალ. პაპავას კვლევის მეთოდს დავესესხები სიტყვა „მარგალიტი“ ჩვენს პოემაში მოხსენიებულია სულ 33-ჯერ! აქედან 9-ჯერ – როგორც „ჭეშმარიტების საიდუმლოს“, „გნებავთ,,საიდუმლო ჭეშმარიტების“ (საიდუმლო სიბრძნის, საიდუმლო ცოდნის) აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი.

ალბათ, უპვე გასაგებია – რატომაც.

P.S. მინდა, მკითხველს ჩემი პატარა სიხარული გავუზიარო:

ალბათ, გემახსოვრებათ, ერთ-ერთ საუბარში გამოვთ ვი მოსაზრება, დიდი ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთ ცნობილ ტილოზე („ბანოვანი ყარყუმით“) გამოსახულია-მეტქი არა რომელიმე კონკრეტული, ხორციელი ქალბატონი, არამედ „ქალი“ („საოცნებო სატრფო“, „სანატრელი ქალწუხლი“, „მშვენიერი უცნობი“...) – როგორც სახე-სიმბოლო კონკრეტულად ღმერთისა, ღვთაებისა და, საზოგადოდ, უზენაესი სიბრძნისა – სუფიზმისა. ხოლო ყარყუმი – სახე-სიმბოლოა ღვთით განბრძნობილი, გასხივოსნებული ადამიანისა, „ოქროსთავიანი და ოქროსგულა“ კაცისა – სუფისა.

ამას რომ ვწერდი, მე არ შემეძლო დავყრდნობოდი რაიმე დოკუმენტურ მასალას, რადგან ასეთი მასალის არსებობა მაშინ არ იყო ცნობილი.

მაგრამ – მოხდა საოცრება! „კვირის პალიტრის“ 11-17 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია „ლეონარდო და ვინჩი მონად დაბადებულა“, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული იტალიელ მეცნიერთა სულ ახალი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ დედამისი – მონა იყო, რომელიც და ვინჩის მამამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯვაროსნული მოგზაურობის შემდეგ წამოიყვანა... 1452 წელს, და ვინჩის დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მამამისმა მხატვრის დედა, კატერინა, ცოლად გააყოლა თავის მსახურს. თუმცა, ახალი ოჯახის შექმნის მიუხედავად, კატერინა აგრძელებდა ბიჭთან ურთიერთობას: აწავლიდა მას მათემატიკის საფუძვლებს, ფილოსოფიას (ალბათ, გასაგებია, თუ რა ფილოსოფიას! – „იდ.“), ხატვას... და ვინჩის შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ მის ინტერესს აღმოსავლური კულტურის მიმართ, აგრეთვე აღმოსავლური მოტივების არსებობას მის მხატვრულ და მუსიკალურ შედევრებში...

მიმართა, რომ ეს აღმოჩენა, უდავოდ, მხარს უმაგრებს ჩემს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ყოველ შემთხვევაში, მის მეცნიერულ ასპექტს მაინც...

ჭეშმარიტად, „არვინ უწყიან გზანი უფლისანი!“

# ოცდამეთმომეტე საუბარი სუფიაზე

## „...ვითა სიზმარი ღამისა“

### აგბავი „ვეზენსატყაოსნისა“ სტურუას ვარიაციებით

(გაზეთი „24 საათი“, №3 (244) 15 თებერვალი, 2003 წ.)

— ქვეყანაში, სადაც აინტერესებთ უფრო უცხო, შორეული, იღუმალი და ამდენად დამაინტრიგებელი, რატომ აირჩიეთ ნაწარმოები, რომელიც ბიბლიის რანგშია აყვანილი და ერთგვარად ტაბუირებული. ეპატაჟს მიმართავთ?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ეპატაჟია. ბავშვობაში მამაჩემი მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. ბევრს ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ სიუჟეტი ვიცოდი. რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და ამდენად, დაკომპლექსებული გახლდით. როცა მოგვიანებით, ქართულად წავიკითხე, მართალი გითხრაო, ძალიან გამიჭირდა. 1965 წელს ჩვენს თეატრში მოსკოვისთვის დადგეს შემცირებული ვარიანტი, საკონცერტო შესრულებით. მხოლოდ ერთხელ უნდა ეთამაშათ, გახსნაზე. ახალგაზრდა რეჟისორებს დაგვირიგეს სცენები. ეს იყო ძალიან მოსაწყენი ლიტერატურული კითხვა პლასტიკური ფორმებით... ერთხელაც, დიდი ხნით წავედი უცხოეთში და თან წავიღე წიგნი.

— ინტერესის გამო კითხულობდით თუ, რომ ამბობდნენ დიდიაო, გინდოდათ გეგრძნოთ ეს სიდიადე?

— ჰო, მინდოდა გამეგო, რატომ არის დიდი. სხვათა შორის, ახლაც მინდა მაგის გაგება.

პეტერბურგში მყავს მეგობრები, მათთან გავიცანი ერთი პოეტესა, რომელიც დაინტერესებულია „ვეფხისტყაოსნით“, უნდა, რომ პწყარედით თარგმნოს და უკვე არსებულ თარგმანებთან ერთად გამოსცეს, როგორც ნიმუშები. ვკითხე, კარგია-მეთქი? აღფრთოვანებული იყო. მოვედი სასტუმროში და ვთქვი, რომ უნდა დავდგა „ვეფხისტყაოსანი“.

— გულწრფელად რომ ვთქვათ, სად არის ის სიღრმე, რომლითაც აღფრთოვანებულები არიან?

— ძალიან ღრმა ისტორიის თვალსაზრისით. ვიქტორ ნოზაძის წიგნით მიხვდებით, რომ რუსთაველან აღნუსხულია ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო. როცა ვკითხულობ, ვგრძნობ, რომ ტექსტში რადაც არის დაშიფრული.

— მაგრამ, ნებისმიერი წაკითხვა, თუნდაც, იგივე „მზისმეტყველება“ ნოზაძისა, არ არის სუბიექტური?

— სუბიექტურია, მაგრამ ის გიმტკიცებს, რომ შესაძლოა ეს ასე იყოს.

— პეროიკულ-რომანტიკული სიუჟეტის გარდა, რით შეიძლება დააინტერესოთ მაყურებელი, აფორიზმებით?... ან რომელიმე კლასიკოსის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, ვთქვათ, დაუდგამთ დანტე მის ქვეყანაში და გაუამროლება ამ დადგმას?

— დანტე კი დადგა პოლონელმა რეჟისორმა, უფრო სწორად, „ჯოვონეთი“ და შეადარა პიტლერის ისტორია. ძალიან პრიმიტიული გამოვიდა. სამაგიეროდ, იტალიელებმა დადგეს „სიმღერა როლანდზე“, ფანტასტიკური სპექტაკლი, თეატრის ისტორიაში რომ დარჩა, ისეთი.

— „ნიბელუნგები“ თუ არის გასცენიურებული, ვაგნერს არ ვგულისხმობ...

— თეატრში არ მახსოვს, თუმცა „ნიბელუნგების“ სიღრმეებს „ვეფხისტყაოსანს“ ვერ შევადარებ, აფორიზმებში კი არის სიბრძნე, მაგრამ...

— თქვენ როგორდა უნდა გააცოცხლოთ ეგ სიბრძნე?

— შემიძლია გითხრათ... მაგრამ ჯერ არ გეტყვით.

— ხედავთ უკვე კონტურებს?

— მთლად კარგად ვერა. აი, როცა რეპეტიციებს დაივწყებ...

— რომლის დროსაც, ალბათ, ყოველ წუთში შეიცვლება სცენები, პრემიერის დღესაც კი...

— სხვანაირად არ გამოვა, რადგან იმ საიდუმლოების გაგება, რაც წიგნშია, ერთ დღეში არ მოხდება. სულ ვეჯახები რაღაც კედელს, რომლის იქით არაფერია. სხვათა შორის, სრულიად შემთხვევაში, მოსკოვში ვნახე ინგლისელების მიერ გამოცემული წიგნი პეროიკულ-ეპიკურ რომანებზე, რუსთაველიც ჰყავთ მოხსენიებული და ამბობენ, რომ ეს არაა პეროიკული ეპოსი, ეს არის სასიყვარულო რომანი, ტრუბადურების პერიოდის...

— მოკლედ, იმ კოდს, რომელიც გახსნის შიფრს, ჯერ ვერ მიაგენით.

— ვერა, მაგრამ მეჩვენება, რომ ესაა ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს

ცხოვრებას, ქართველი რომ კითხულობს, პრინციპში უნდა გაეცინოს, არ უდნა დაიჯეროს ტექსტი. წარმოიდგინეთ, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომ პირდაპირ საქართველოც ვერ ახსენა და შემოიყვანა არაბები, ინდოელები. ისიც კი არ მახსოვდა, ისლამზე რომ იფიცებს ტარიელი.

— რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით რომ გადაიტანოთ სცენაზე, ბეჭვის ზიდზე შედგებით, რადგან „რუსთველით ამაყი ქართველები“ ირონიას ვერ გაიგებენ და ინკვიზიციის კოცონები აბრიალდება...

— ამიტომაც, მოვიგონე პერსონაჟი, კაცი, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს, მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება, დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არცერთი სიტყვა არაა სიმართლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს, ცინიკოსი კი არ არის, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზის, აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთადერთ შედევრად. ამ გაოგნებაში ნელ-ნელა გვებადება აზრი, რომ ეს კაცი რაღაცას გვატყუებს, გვიშლის, ბოლომდე მივყვეთ ამბავს, სიუჟეტს, ყველაფერს ირონიულ კომენტარს უკეთებს, გმირებიც სულ კონფლიქტში არიან მასთან და ბოლოს, უცბად, ხვდები, რომ მისი უარყოფა შენსი იწვევს თანაგრძნობას, სიყვარულის სურვილს.

— ჩვენში ხომ ასეა, სანამ ბოლომდე არ მოკლავენ, გააბითურებენ და დაამცირებენ ადამიანს თუ საგანს, მანამ ვერავინ დაინახავს, აღიარებს და უთანაგრძნობს.

— პოდა, ხვდები, რომ ეს კაცი სპეციალურ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ შეგაყვაროს ნაწარმოები და როცა მიზანი მიღწეულია, ის ცუდად ხდება, რადგან უჭირდა ყველაფერ ამის თამაში.

დასაწყისში ასეთი ეპიზოდია: წიგნი უჭირავს ხელში და ამბობს: აქ არის ქართული სული? მოისვრის და დაიფანტება ფურცლები. ნებისმიერი მაყურებელი ჩავარდება შოკში. ის კი განაგრძნობს: ასეთი ბუტაფორია 7 ცალი მაქვს ყუთში, გადასაყრელად.

— ვივარაუდოთ, რომ ეს პერსონაჟი თქვენი იღენტურია?

— არა, ეს პიესის გმირია, პიესა კი იმაზეა, რომ თუკი ჯერ კიდევ გვიყვარს საკუთარი თავი, სამშობლო, სხვანაირად უნდა მოვიქცეთ, თავიდან უნდა გადავწეროთ ჩვენი ისტორია, გარედან უნდა შევხდოთ ჩვენს მეფებს და ვიფიქროთ იმაზე, რომ კარგი თვისებები ძალიან ცოტა გვაქვს.

— სანამ ყველაფერს თავიდან გადავწერდეთ და წავიკითხავდეთ, მანამ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არიან გასაცოცხლებელი, რომელიც მაყურებელმა უნდა მიიღოს.

— პერსონაჟები გახდებიან რეალურები. აქ არის ადგილები, რომლებიც არ გვახსოვს...

— ტექსტს მიყვებით?

— ძირითადად კი.

— მაგრამ შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდს აქცევთ მნიშვნელოვნად?

— შეიძლება, რადგან კარგი დრამატურგი მნიშვნელოვანის ყოველთვის მალავს. აბა, თავიდანვე, იდეას პირდაპირ თუ იტყვი, მხატვრული ღირებულება ეკარგება ნაწარმოებს.

— რაც შეეხება ენას, რას უპირებთ თექვსმეტმარცვლიანი შაირის ფორმას?

— რაც გასაგებია, ვტოვებ, რაც გაუგებარია, ვყრი.

— პოლიტიკური თეატრის ელემენტები თუ იქნება მატრიარქატული სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე.

— სამი ქალი თამაშობს მთავარ როლს. ეტყობა, სულ ასე იყო ჩვენს ისტორიაში, ქალი თამაშობდა მთავარ როლს.

— როლები უკვე გაანაწილეთ?

— წამყვანი ზაზა პაპუამგილი იქნება, დანარჩენები ჯერ არ ვიცი.

— ძველ თაობას არ შეურევთ?

— შევურევ, თუმცა შეიძლება როსტევანის თამაში არ ესიამოვნოთ, პატარა როლია.

— როდის აპირებთ პრემიერას?

— მაისში რეპეტიციები დაიწყება, შეიძლება ახლავე მოგსინჯო რამდენიმე სცენა.